

პოლიტიკური ანგარიშსწორება

თბილისი
2001წ.

*შემდგენლები: მურმან ზაქარაია, სოსო ლაგვილაძე,
მანუშლი ხუბუა, ჯემალ შონია, გიორგი აბსანაძე*

რელაქტორ-გამომცემელი მურმან ზაქარაია

ბურამ აბსანაძე – პოლიტიკური პატიმარი... ნაკლებად თუ მოიძებნება საქართველოში მეორე საბოგალო მოღვაწე, რომელსაც მისი დარი განჯეა-წამება, ფიზიკური თუ სულიერი ტკივილები გადაეგანოს. ცხრა გყვია დაახალეს – ვერ მოკლეს! მაშინ მისი მორალურად განადგურება, პოლიტიკურად მოკვლეობა განიზრახეს.

2001 წლის 17 აგვისტოს, 42-თვიანი პატიმრობის შემდეგ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სსს კოლეგიამ გურამ აბსანაძეს ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, სისხლის სამართლისა და პროცესუალური კანონმდებლობის, კონსტიტუციური ნორმების დარღვევით, 17 წლის პატიმრობა მიუსაჯა. ამით სასამართლო კოლეგიამ არა მარტო შელახა რეფორმირებული სასამართლოს ავტორიტეტი და ღირსება, არამედ ლახვარი ჩასცა ეროვნული თანხმობის ახლად-ფუხადგმულ პროცესს. ამდენად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უზენაესი სასამართლოს ახლადშექმნილ დიდ პალატაში ამ საქმის საკასაციო განხილვას. როგორც უზენაესი სასამართლოს პალატის 2001 წლის 13 სექტემბრის განჩინებაშია ნათქვამი, „...აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე უნდა გადაეცეს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, რადგან საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის“. ეს კი დიდად შეუწყობდა ხელს ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

რელაქტორ-გამომცემელი

პასუხისმგებელი რელაქტორი თეანა ზაქარაია

ტიქნიკური რელაქტორი ლუარა გამყრალიძე

მთარგმნელები: მირანდა არბოლიშვილი, კახა შულაია

***კომპიუტერული დამუშავება: მანა გორგიაშვილი,
მანა ფარულაძე, კეთევან ნაზიანიძე***



გურამ პალიაოს ძე აბსანაძე დაიბადა 1952 წლის 18 აპრილს ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში. 1969 წელს დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1974 წელს. 1975 წელს მუშაობდა ზუგდიდის საფინანსო განყოფილებაში, ხოლო 1976 წლიდან 1984 წლამდე - ქ. ძოსკოვში, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში. სადაც განვლო გზა უფროსი ეკონომისტიდან მთავარი ეკონომიკური სამმართველოს განყოფილების უფროსამდე.

1984 წელს საქართველოს მთავრობას დადგენილებით გ. აბსანაძე გადმოყვანილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ადგილობ-

რივი მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დაფინანსების სამმართველოს უფროსად.

1988 წელს აირჩიეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსად.

1990 წლის ნოემბერში, ეროვნული ხელისუფლების მოსვლის დღიდან დაინიშნა საქართველოს ფინანსთა მინისტრად, 1991 წლის ივნისში კი – პრემიერ-მინისტრის მოადგილედ, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრად.

1992 წლის 6 იანვარს, სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დასრულების დღეს, ქართველი ხალხის მტრების მიერ გურამ აბსანძე და კანონიერი ხელისუფლების სხვა ხელმძღვანელები და მომხრეები ჩაცხრილულ იქნენ მეტეხის ხიდთან მანქანაში, სადაც გურამ აბსანძემ მიიღო ცხრა უმძიმესი ჭრილობა (ახლაც თან ატარებს 8 ტყვიას). ასეთ მდგომარეობაში მყოფი პიროვნება დაპატიმრებულ იქნა პუტჩისტების მიერ შეთითხნილი ბრალდებებით. ციხიდან განთავისუფლებული იქნა 1992 წლის აგვისტოში. იმ დღიდან იმყოფებოდა დევნაში. მას არ დაკლებია ტანჯვა-წამება, ცილისწამება, ოჯახური უბედურება, მაგრამ რწმენისა და იდეისათვის არასოდეს უღალატია.

დევნილობაში ყოფნისას კანონიერი ხელისუფლებისა და გურამ აბსანძის წინააღმდეგ დაწყებულ იქნა არნახული ცილისმწამებლური კამპანია მათი ღირსებისა და პატივის შესალახავად. უკანონო ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა დევნილი კანონიერი ხელისუფლების დისკრედიტაციას. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დალუპვის შემდეგ ამ ბინძურ საქმეში აქტიურად ჩაბმულ იქნა ხელისუფლების მთელი იდეოლოგიური მანქანა. მათ იმდენი სიცრუე და სიბილწე დათესეს საზოგადოებაში, რომ გურამ აბსანძე იძულებული გახდა მიეღო უმძიმესი გადაწყვეტილება და „ჩაბარებოდა“ უკანონო ხელისუფლებას, რათა დაეცვა საკუთარი და კანონიერი ხელისუფლების ღირსება.

აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით გურამ აბსანძე დასაბეჭდად გამზადებულ თავის წიგნში „სრულიად საქართველოს გასაგონად“:

„ძვირფასო მკითხველო! საქართველოში ყოველთვის უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა ცილისწამება, ვინაიდან ქრისტიანულ მოძღვრებაში ნათქვამია: უსამართლონი, ცილისმწამებელნი და ბოროტნი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს.

უფალი გვეუბნება, შური არ უნდა ვიძიოთ ჩვენთვის, არამედ ადგილი უნდა დავეთმოთ უფლის რისხვას: „ჩემია შურისგება და მე მივაგებ“- ამბობს უფალი.

მე, როგორც ქრისტიანი, ვემორჩილები ამ მოთხოვნებს, ამიტომ

შურს არ ვიძიებ, არამედ საერთაშორისო სამართლით მიღებული კანონის შესაბამისად შევეცდები დაცვაჯო ცილისმწამებლები, ვინაიდან ღრმად მწამს, ადამიანის ღირსების შეურაცხყოფელნი და ცილისმწამებელნი სამაგალითოდ თუ არ დაისჯებიან, მაშინ ქვეყანას გადაეფარება ბოროტების, უზნეობისა და უწმინდურობის ღრუბელი.

ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ მოსყიდული ყველაჯურის ცილისმწამებლებს დავალებული ჰქონდათ დევნილი კანონიერი ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის ღირსეული წარმომადგენლების დისკრედიტაცია და საქართველოს უახლესი ისტორიის ფალსიფიკაცია.

ქართველი ერი წინ უნდა აღუდგეს ზნედაცემულთა ამ მიზნების შესრულებას. ცილისმწამებელნი მხილებულნი და სასტიკად დასჯილნი უნდა იქნენ.

ბევრჯერ დამისვამს საკუთარი თავისათვის შეკითხვა: რატომ არის, რომ ყველა ბოროტს, უწმინდურს, ცილისმწამებელს და უზნეოს სძულს კეთილი, პატიოსანი და ვაჟკაცური ბუნების ადამიანები? – იმიტომ, რომ როცა ისინი საკუთარ თავს მათ აღარებენ, უფრო ცხადად გრძნობენ თავიანთ სისაძაგლეს; რაც უფრო მეტია ადამიანში ვაჟკაცობა და პატრიოტიზმი, მით უფრო ცდილობენ უნიათო კაცუნები მის კომპრომენტირებას. ეს ხომ ცილისმწამებელთა აპრობირებული მეთოდია.

ამიტომ საჭიროა ამქვეყნიურ ცხოვრებაში დაკუმტკიცოთ ქართველ ერს დევნილი კანონიერი ხელისუფლების სიმართლე და პატიოსნება, თორემ იმქვეყნად სად ვეძიოთ ცილისმწამებლები და უზნეოები საქმის გასარჩევად? ისინი ხომ ჯოჯოხეთის მუღმივი სტუმრები იქნებიან.

როგორც ზემოთ მოვახსენეთ, გარს შემომერტყა ცილისმწამებელთა ზროვა: ფაქტობრივი ხელისუფლება, ხელისუფლების მიერ დაქირავებული პრივილიგებული ინტელიგენცია, გაკოტრებული პოლიტიკოსები, მოსყიდული საინფორმაციო საშუალებები...

სიმართლე გითხრათ, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ჩემსა და კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ აგორებულ პროპაგანდისტულ მანქანას ვერ ვაჩერებდით. საჭირო იყო ასევე საინფორმაციო საშუალებებით გვეპასუხა, მოვახერხეთ კიდევ ორჯერ რუსეთის ტელევიზიით გამოსვლა, მაგრამ ამის შემდეგ უფრო შემტევი გახდა ცილისმწამებელთა მოქმედება.

ძვირფასო მკითხველო! განსაკუთრებით მოსვენებას არ მამლევედა მათ მიერ გავრცელებული ცრუ ინფორმაციებიდან მხოლოდ ერთი: დეზინფორმაცია ჩემს მიერ დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების „დატაცების“ შესახებ. დიახ, ფინანსთა მინისტრს აბრალებდნენ დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების დატაცებას. ეს ხომ ადვილი

დასაჯერებელი იყო, მით უმეტეს ამას „ამტკიცებდა“ არა მარტო ფაქტობრივი ხელისუფლება, ზოგიერთმა მიაშიტმა ადამიანმაც მართლაც იწამა ასეთი ფაქტის არსებობა და, წარმოიდგინეთ, ჩემი ნათესავები და ზოგიერთი მეგობარიც აღმოჩნდა მათ რიგებში. ფულის სასესხებლადაც მაკითხავდნენ ხოლმე. ფაქტობრივი ხელისუფლება მართლაც უნიკალურად ფლობს ცრუ ინფორმაციებისა და ჭორების გავრცელების ხელოვნებას.

ბოლო დროს „გაუშვეს“ ინფორმაცია, რუსები იმიტომ არ იჭერენ აბსანძეს, რომ იგი შეკრულია მათთანო, აბსანძეს იმიტომ არ იჭერს შევარდნაძე, რომ ისინი იმყოფებიან ალიანსშიო.

უკვე მერამდენედ მიხდება იმის განმეორება, რომ ფაქტობრივმა ხელისუფლებამ დევნილი კანონიერი ხელისუფლების დისკრედიტაცია განიზრახა ჩემი მეშვეობით. აღმოვჩნდი გამოუვალ მდგომარეობაში. საჭირო იყო დამემტკიცებინა ქართველი ერისათვის ჩემი აბსოლუტური უდანაშაულობა, რაც ავტომატურად ნიშნავდა დევნილი კანონიერი ხელისუფლების უდანაშაულობასაც. ამისათვის ერთადერთი გზა არსებობდა – საქართველოში ჩამოსვლა და უკომპრომისო ბრძოლა სიმართლის დასამტკიცებლად. რა თქმა უნდა, იყო შეიძლებოდა ყველაფრზე თვალის დახუჭვა და სხვა ქვეყანაში ემიგრაცია, რისი საშუალებაც ბოლო წუთამდე მქონდა, მაგრამ განა შემეძლო ასეთ სიტუაციაში ემიგრირება? ან მქონდა მორალური უფლება სხვა ქვეყანაში წასვლისა? ეს ხომ ღალატი იქნებოდა იმ იდეებისა, იმ რწმენისა, რომლებსაც თავი შესწირა მრავალმა მამულიშვილმა?! ბევრი ციხეებში იტანჯება, მრავალი სამშობლოდან გადახვეწილია. მხოლოდ მე, გურამ აბსანძეს, შემეძლო დევნილი ხელისუფლებისა და ჩემს წინააღმდეგ სისხლიანი ხელისუფლების მიერ გავრცელებულ ცილისწამებებზე საკადრისი პასუხის გაცემა, ვინაიდან მე ვფლობდი ყველა ინფორმაციას დევნილი ხელისუფლების მიერ საფინანსო-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაღუპვისა და პრემიერ-მინისტრ ბესარიონ გუგუშვილის საზღვარგარეთ ემიგრაციის შემდეგ თანამდებობრივადაც და კაცურადაც უნდა ამელო ჩემს თავზე უმძიმესი ტვირთი, რასაც ქართველი ერის წინაშე პასუხისმგებლობა ჰქვია. მეც რომ ემიგრაციაში წავსულიყავი, მაშინ ვის უნდა დაეცვა დევნილი ხელისუფლების ღირსება და ავტორიტეტი? იმ ადამიანებს ხომ არა, რომლებსაც დაწერილი და დაუწერელი კანონის მიხედვით ევალებოდათ დევნილი ხელისუფლების დაცვა უზნეთა ხელყოფისაგან, მაგრამ პირიქით – ისინი გახდნენ ინიციატორები ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ გავრცელებული ცილისწამებებისა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, შემეძლო თავიდან ამეცილებინა საქართველოში ჩემი ექსტრადიციის, ვინაიდან ვფლობდი ყველა ინფორმაციას, ვიცოდი დაკავებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებაც. ყველა პირობა მქონდა სხვა ქვეყანაში ემიგრირებისა, მით უმეტეს. მრავალი სახელმწიფო მთავაზობდა პოლიტიკურ თავშესაფარს, მათ შორის ევროპის ქვეყნებიც. გამაჩნდა პასპორტიც როგორც ჩემს, ასევე სხვის გვარზე. ასე რომ, ჩემთვის „გაქცევა“ პრობლემას არ წარმოადგენდა.

მაშ, რა მოხდა? რატომ გადავდგი ასეთი ნაბიჯი? – ნაბიჯი, რომელიც შეიძლება საბედისწერო გამოდგეს ჩემთვის?

ძვირფასო მკითხველო! საქმე ის გახლავთ, რომ რაც უფრო შორს და ხელმიუწვდომელი ვიქნებოდი საქართველოს პირსისხლიანი, უკანონო ხელისუფლებისათვის, მით უფრო გაზრდიდნენ ჩემსა და დევნილი ხელისუფლების მიერ საქართველოდან „დატაცებული“ სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრებისა და ქონების ოდენობას, ასევე გაზრდიდნენ ჩვენს მიერ „დაზოცილ“ ადამიანთა და ჩადენილი „ტერორისტული“ აქტების რაოდენობას, და ბოლოს, რაც მთავარია, გაქცევაში ხელშეწყობას დააბრალებდნენ რუსეთის სპეცსამსახურებს და ამით ქართველ ერს ჩამოუყალიბებდნენ მყარ აზრს ჩემი და დევნილი კანონიერი ხელისუფლების რუსებთან „შეკერის“ შესახებ.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თვით უკანონო ხელისუფლების მიზანი იყო ჩემი გაქცევა საზღვარგარეთ, ამიტომ მათ მიერ უფრო გაძლიერებული იქნა ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელება 1998 წლის თებერვლის ტერაქტის შემდეგ. ისინი იმედოვნებდნენ ასეთი დეზინფორმაციებით ჩემზე ზემოქმედებას, რაც მაიმულებდა საზღვარგარეთ ემიგრირებას. ეს ერთი, მეორეც, მაქვს მშვენიერი ოჯახი (რა თქმა უნდა, ყველას თავისი ოჯახი მოსწონს), მყავს სამი შვილი, შვილიშვილი, სანათესაო და სამეგობრო წრე. თუ ჩემი შვილები და შვილიშვილები თავიანთი ნიჭისა და გაქანების წყალობით მიაღწევდნენ წარმატებებს მეცნიერებაში, პოლიტიკასა თუ ბიზნესში, როგორ უნდა დამერწმუნებინა სისხლიანი ხელისუფლების მიერ იდუარად მოწამლული ქართველი ერის უდიდესი ნაწილი იმაში, რომ ყოველივე ამას მათ თავიანთი ნიჭის წყალობით მიაღწიეს? საქართველოს მოსახლეობას ხომ ცხრა წლის განმავლობაში უჭედავდნენ ცნობიერებაში ჩემს მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახსრებისა და ქონების „დატაცებას“? ამიტომ ოჯახის წევრების უმნიშვნელო წარმატებასაც კი ჩემს მიერ „დატაცებულ“ თანხებს მიაწერდნენ. ე. ი. ემიგრაციაში წასვლით არა მარტო შვილებს, არამედ შთამომავლობასაც ვუსპობდი ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობას და, ამავე დროს,

სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში შეულახავი ავტორიტეტით სარგებლობის პერსპექტივასაც.

აქვე უნდა აღვნიშნო, ჩემი დაკავებისა და ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ნამდვილად არ ვიყავი განცხადების დამწერი – არიქა, მიშველეთ, დამიჭირეთ და საქართველოში გამგზავნეთო.

რას მივალწიე ჩემი ასეთი ნაბიჯით? – 1. დავიცავი დევნილი კანონიერი ხელისუფლებისა და ჩემი ღირსება; 2. ჩემს ოჯახს, შვილებს, შთამომავლობას, ნათესავენსა და მეგობრებს სამარადჟამოდ მოვუხსენი ცილისმწამებლური ინფორმაციების შედეგად ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებები; 3. ნიღაბი ჩამოვხსენი და გავაშიშვლე ყველა ჯურის ცილისმწამებელი; 4. ავიმალღე ავტორიტეტი ქართველი ერის თვალში; 5. საქართველოს მოსახლეობას დაუბრუნე რწმენა და ნდობა დევნილი კანონიერი ხელისუფლებისადმი; 6. ძიების მასალების გაცნობისას წავაწყდი ისეთ ფაქტებს, რომლებსაც ვერც წარმოვიდგენდი. ამ ფაქტებმა ბევრ რამეზე ამიხილეს თვალი, შვეიცარი უამრავი ადამიანი. მარტო ამაღ ღირდა საქართველოში ჩამოსვლა.

ძვირფასო მკითხველო! ასეთი გადაწყვეტილების მიღებას პირადად ჩემთვის უდიდესი შედეგი მოჰყვა – დავაკლდი ოჯახს, ნათესავენს, მეგობრებს, შემერყა ჯანმრთელობა, დამაკლდა ყოველივე ის ადამიანი, რაც უფალმა თავისუფლებაში მყოფთ არგუნა, მაგრამ, მერწმუნეთ, არსებობს ამ გრძნობებზე უფრო მაღალი, უფრო ძლიერი, უხილავი რამ, რომელსაც ჰქვია რწმენა – რწმენა ღვთისადმი, იდეისადმი, ადამიანისადმი. მე რწმენით მივყვებოდი საქართველოს პირველ პრეზიდენტს ყველგან, მწამდა მისი იდეებისა და პირადად მისი. ამ თვალსაზრისით ჩემთვის რწმენა სინდისიერების, მეობის და უღალატობის საფუძველი იყო. ამ გზის არჩევა ჩემთვის არავის დაუძალებია. იგი თავად ავირჩიე, ამიტომ არც ვნანობ.

ნეტარია ის, ვინც თავის თავს არ სდებს მსჯავრს იმის გამო, რასაც ირჩევს (*იოანე, 3, 21*).

ისინი, ვინც დღეს ციხეში რწმენის, სიმართლისა და კანონიერი ხელისუფლების მხარდაჭერის გამო იტანჯებიან, საუკუნო დიდებას ქმნიან არა მარტო თავიანთი, არამედ ეროვნული, კანონიერი ხელისუფლების ხელმძღვანელთა და მხარდამჭერთა შთამომავლებისთვისაც.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ვიმყოფები ციხეში, მაინც კმაყოფილი ვარ (ზოგიერთი გაიცინებს, ალბათ, თუ კმაყოფილი ხარ, იყავი მანდო), ვინაიდან ეს ყველაფერი რწმენისა და იდეის ერთგულებისათვის გადამხდა. ჩემმა ასეთმა ბედმა მტკიცედ გაწვრთნა სული ჩემი, მან გაუძლო მრავალ ტანჯვას, ამიტომ ვარ ძლიერი. მე უკვე გამოვცადე საკუთარი

თავი. დარწმუნებული ვარ, რომ გამოცდას გავუძელი. ჩემი და ჩემი მეგობრების ტანჯვა ქართველი ერისა და ეროვნული იდეების ძნელბედობასთანაა დაკავშირებული, ამიტომ ენიჭება მას ამაღლებული მნიშვნელობა.

საქართველოში ჩემმა ექსტრადიციამ ბევრს სიამოვნება მიანიჭა. ამ ფაქტით განსაკუთრებით გაიხარეს ფაქტობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელებმა და მათმა მომხრეებმა. ვულოცავ მათ გამარჯვებას! მე ხომ კეთილი საქმეებისა და სხვისთვის სიამოვნების მინიჭებისათვის ვარ გაჩენილი. ღმერთმა ნუ მოგაკლოთ ისეთი სიამოვნება, რომელსაც სხვისი უბედურება უღვევს საფუძვლად. „გიხაროდენ!“, უხნეოებო!

პატიებას ვითხოვ იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც დღევანდელმა ჩემმა მდგომარეობამ გული დასწყვიტა.

ჩემი მტრები ფიქრობენ, გურამი დაიღუპაო. ვინც ასე ფიქრობს, იმათ შევახსენებ – თვითონ არიან განწირულნი. ჩემი ნავი ჯერ მიცვალებულთა სამეფოს საზღვრებს არ მიახლოებია, იქამდე დიდი მანძილი მაქვს დარჩენილი. მჯერა, რომ ღმერთი შესაძლებლობაზე მეტად არ გამომცდის და ამ გაჭირვების ჟამს გამოსავალსაც მომცემს, რათა შევძლო მისი გადატანა.

ბედნიერია ფიცის ერთგული,
ვინც სიტყვას კაცურს აღარ ღალატობს,
მან შეიძლება სიცოცხლე დათმოს,
ქედმოხრილი კი ივლის არასდროს!”

ასეთია გურამ აბსანძე თავისი შუქ-ჩრდილით. ალბათ, ნაკლებად თუ მოიძებნება საქართველოში მეორე საზოგადო მოღვაწე, რომელსაც მისი დარი ტანჯვა-წამება, ფიზიკური თუ სულიერი ტკივილები გადაეტანოს. ცხრა ტყვია დაახალეს – ვერ მოკლეს! მაშინ მისი მორალურად განადგურება, პოლიტიკურად მოკვდინება განიზრახეს... მოტყუედნენ. როგორც თვითონვე ამბობს: მან კაცურად აიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა კანონიერი ხელისუფლების ღირსებისა და ავტორიტეტის დაცვისა. დღემდე კაცურად მიაბიჯებს ამ ტკივილიან გზაზე. ამიტომაც მობრუნდა მისკენ საზოგადოებრივი აზრი, გურამ აბსანძის თავისუფლებისათვის ბრძოლამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. დღეს თითქმის არავის არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ეს ბრძოლა სულ მალე საღი აზრის გამარჯვებით, ქართველთა შორის ეროვნული თანხმობის დამკვიდრებით დასრულდება.



სევლია უბრახელიძე (გერონტი ქობალიასა და პაატა ზარქუას ადვოკატი) – მოსამართლემ სრულიად უკანონოდ შემიზღუდა მტკიცებულებების წარმოდგენის უფლება, რითაც ხელყო ჩემი დაცვის ქვეშ მყოფთა უფლებები, ამიტომაც აზრი დაკარგა სასამართლო პროცესში მონაწილეობამ. ჩვენთვის ცხადია, რომ განაჩენი უკვე დაწერილია.

ლალი ტიკიშვილი (ტარიელ გულუას ადვოკატი) – ვერ ვიმოქმედებდი განსასჯელ ტარიელ ბუკიას ინტერესების საზიანოდ და არ შევქმნიდი მისი დაცვის იმიტაციას. ამიტომ დავტოვე სასამართლო დარბაზი, თუმცა მის დაცვაზე უარი არასოდეს მითქვამს.



ნათია დოლიძე (ზაურ გულუას ადვოკატი) – დღიდან პროცესში ჩემი ჩართვისა, უხეშად ირღვევა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის უფლებები. ვინაიდან არ მომეცა საშუალება განმეხორციელებინა სრულყოფილი დაცვა, იძულებული ვარ დავტოვო პროცესი.

სისხლის სამართლის საქმე

№7498816 –

ბანაჩენის ანატომია

*„უმჯობესია დანაშაული დაუსჯელი დარჩეს,
ვიდრე უდანაშაულო დაისაჯოს“*

NUDA VERITAS*

ცალკეული ადამიანი – პიროვნება თუ მათი კრებული ადვილად იჭე-რებს ტყუილს იმიტომ, რომ თვითონაც ადვილად თხზავს მას და შემდეგ ამ თავისი ნათხზვეისა თვითონვე სჯერა. ასე შორდება ის რეალობას, რომ არათფერი ვთქვათ ჰემშარიტებაზე. საზოგადოება, რომელიც ქმნის სიცრუის ოკეანეს, სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე თავს ისე გრძნობს მასში, როგორც მილიონერი ტურისტი პრესტიჟულ კურორ-ტზე; ძლიერნი ძლებენ, სუსტები კი ყოველგვარი წინააღმდეგობის გა-რეშე, ერთიმეორეს აკიდებულნი, გადარჩენის ნაცვლად ახრჩობენ ერთ-მანეთს ამ ტყუილში.

კიდევ უფრო პიკანტური ხდება სიტუაცია, როცა ის, ვისაც ატყუ-ებენ („მსხვერპლი“, პოლ ეკმანი) თვითონ სიამოვნებით ატყუებინებს თავს და შემდეგ ამ ტყუილზე აგებს მომავალ გეგმებს, გამოაქვს საჭირ-ბოროტო დასკვნები, რომლებსაც ძალუძთ უბედურება მოუტანონ იმ მესამეს, რომელსაც არავითარი პირდაპირი შეხება არ ჰქონდა ამ სი-ცრუესთან, მის დამკვიდრებასთან.

საზოგადოებას, რომელიც ტყუილის ამ ოკეანეში აღმოჩნდა, არ შეუძლია შექმნას სამართლებრივი სახელმწიფო. მით უმეტეს, როცა მმართველი წრეები, რომლებიც ხელისუფლებაში ამ სიცრუისა და ტყუილების ტალღაზე მოვიდნენ, გამოუსწორებელ მატყუარებად და თაღლითებად არიან ქცეულნი, მთელი სისტემა ამ სიცრუეზე, ტყუ-

* უდავო (შიშველი) ჰემშარიტება.

ილზეა აგებული. უბედურია ერი, რომელსაც პათოლოგიური მატყუარები ხელისუფლობენ. ასეთ ფსევდოდემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლისა და სამართალდაცვითი ინსტიტუტების არსებობა ნომინალურია – კიდევ ერთი ტყუილია.

ყოველივე, რაზედაც ზემოთ ვმსჯელობთ, ღღევანდელი საქართველოსთვის არსებული რეალობაა.

მიუხედავად იმისა, რომ ლაპარაკი გვექნება კონკრეტულ საკითხზე, კონკრეტულ პიროვნებასთან მიმართებაში, მისი მიზანი არის ამ კონკრეტულ საკითხში დაშვებული შეცდომების გასწორებითა და რეალური სიმართლის დადგენით შეიქმნას პრეცედენტი, რათა დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ქვეყნის ახლად შექმნილი მესამე ხელისუფლება – სასამართლო (რეფორმირებული) გამოვიდეს იმ ჩიხიდან, რომელშიც ის მოაქცია სიცრუის ოკეანეში მოღრეიფე პოლიტიკურმა ხელისუფლებამ.

ბრძოლა გურამ აბსანძის დასაცავად – ესაა ბრძოლა დამოუკიდებელ საქართველოში დემოკრატიულ ნორმებზე აგებული სასამართლო ხელისუფლების დამკვიდრებისათვის. ამიტომ, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ის სცილდება ერთ კონკრეტულ, თუნდაც ძალზე რთულ კონკრეტულ საქმეს და ზოგადმნიშვნელოვანი დატვირთვა ეძლევა. აქედან გამომდინარე, ის უნდა გადაიქცეს საყოველთაო მსჯელობის საგნად. მით უმეტეს, პროცესი მიმდინარეობს ისეთ ურთულეს პერიოდში, როცა, ერთი მხრივ, ეროვნული თანხმობის იდეა პრაქტიკულ ცხოვრებაში მკვიდრდება და ნელ-ნელა ძალას იკრებს; მეორეც, იზრდება წინააღმდეგობა სიცრუეზე აგებულ პოლიტიკურ იერარქიაში, სადაც გარკვეული პოზიტიური ძალები ცდილობენ გამოეყონ ამ ყოველის წარმრყენელ შავბნელ ძალებს, მესამეც, საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც თვალყურს ადევნებს საქართველოში მიმდინარე პროცესებს და აშკარად სვამს კითხვას, გადარჩება თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, თავის საბოლოო დასკვნებს აკეთებს იმაზედაც, თუ რამდენად შეძლებს რეფორმირებული სასამართლო თავი დააღწიოს ძველ, საბჭოურ რეციდივებს და გახდეს რეალურ დემოკრატიულ ღირებულებათა დაცვის ინსტიტუტი.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრება, ქვეყნის უზენაესი სასამართლო ორგანო ვერ გაექცა პოლიტიკური კონიუნქტურის კლანჭებს, მთლიანად აღმოჩნდა კორუმპირებული პოლიტიკური ხელისუფლების მონობაში, მასთან ერთად სჩადის

ერისა და სახელმწიფოებრიობის საწინააღმდეგო ქმედებებს, რაც აისახება პიროვნების, ზოგადად ადამიანის ღირსებისა და უფლების შემლახველ აქტებში – განაჩენებსა თუ განჩინებებში. ის ყოველგვარი მორიდების ჯარეშე ხელყოფს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ კანონებს თუ კანონქვემდებარე აქტებს, დადგენილებებს, არღვევს კონსტიტუციურ ნორმებს. ასე იყო დღემდე. თუ რა იქნება დღეის შემდეგ, შეძლებს თუ არა მესამე ხელისუფლება თავი დააღწიოს ამ მდგომარეობას სხვასთან ერთად, მე ვიტყვოდი, უპირველესად დამოკიდებელი იქნება იმაზე, რამდენად მოახერხებს საკასაციო პალატა თავი დააღწიოს ამ სიცრუის მორევს, არ მოექცეს პოლიტიკური კონიუნქტურის ზეგავლენის ქვეშ, დადგეს კანონისა და სამართლიანობის მხარეს, რამეთუ ეს არაა რიგითი საქმე, იგი ეხება იმ უბედურებას, რასაც ეროვნული დაპირისპირება ჰქვია.

ამ საქმის სამართლიანად განხილვა დიდად შეუწყობდა ხელს არა მარტო ეროვნული თანხმობის პროცესს, არამედ იმასაც, თუ რამდენად შესწევს უნარი დღევანდელ სასამართლოს წავიდეს თვითგანწყმენდის გზით.

როცა შორმა ვერ იტევს შინაარსს

*Mihi res tota provisa est**

2001 წლის 17 აგვისტოს საქართველოს უზენაესი (სისხლის) სამართლის საქმეთა სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ი. ტყეშელაშვილი, მსაჯულები ნ. პაპავაძე, ო. იასეშვილი, სათადარიგო მსაჯული ლ. სააკიანი – დაასრულა „გურამ აბანძის და სხვათა მიმართ“ სისხლის სამართლის საქმე №7498816-ის სასამართლო განხილვა და გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. განაჩენი ტენდენციურია, თავიდან ბოლომდე აგებულია პოლიტიკური დაკვეთით შედგენილ საბრალდებო დასკვნაზე, თითქმის სიტყვა-სიტყვითაა გადმოწერილი ბრალმდებელთა მიერ სასამართლოზე წარმოდგენილი საბრალდებო სიტყვისა და გურამ აბანძისა და სხვათა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ

* მე ყველაფერი გავითვალისწინე (ციცერონი).

მტკიცებულებათა ცალკეული ელემენტების წერილობითი ფორმულირებიდან. ამის შესახებ დაინტერესებული მკითხველი დეტალურად გაიგებს წინამდებარე წიგნში შეტანილი საკასაციო საჩივრიდან, ამიტომ „განაჩენის“ იურიდიულ მხარეზე მსჯელობას არ გავაგრძელებთ. ჩვენ შევეცდებით შევხვით ამ განაჩენში ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების საკითხს, მის ზნეობრივ მხარეს და იმ შესაძლო პოლიტიკურ შედეგებს, რაც შეიძლება მოჰყვეს ამ სიცრუესა და სიყალბეზე აგებულ „განაჩენს საქართველოს სახელით“.

თუ ზემოთ თქმულიდან ამოვალთ, განსახილველი დოკუმენტის სახელდება „განაჩენი საქართველოს სახელით“ ამ ნაყალბეში არის უპირველესი სიცრუე.

გურამ აბსანძის საქმე არის გაგრძელება იმ ავბედითი მოვლენებისა, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 1991-1992 წლების მიჯნაზე და რომელსაც საქართველოს დღევანდელი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო თავისი 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებით აკვალიფიცირებს როგორც კანონიერი ხელისუფლების დამხობასა და სამოქალაქო კონფლიქტის დაწყებას: „1991 წელს საქართველოში დაიწყო დაპირისპირება, რასაც მოჰყვა კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფლიქტი“. აპრიორია, ასეთ სიტუაციაში არ შეიძლება ამ განაჩენს მთელი საქართველო უჭერდეს მხარს. იმავე დადგენილებით აღიარებულია, რომ „1991-1992 წლებში საქართველოში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების პოლიტიკური შედეგები დღემდე არ არის აღმოფხვრილი, რაც ხელს უშლის ქვეყნის სულიერ ერთიანობას და სახელწიფოს აღმშენებლობის პროცესს“. ამდენად, დადგენილებიდან გამომდინარე, როგორც პოლიტიკური დაპირისპირების შედეგად დამდგარი აღმოფხვრელი ურთიერთობის შედეგი, ასეთი განაჩენი დამხობილი კანონიერი ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს ერთ-ერთი უმაღლესი წარმომადგენლის – ვიცე-პრემიერისა და ფინანსთა მინისტრის მიმართ საერთოდ არ უნდა გამოეტანათ, არაფერი რომ არ ვთქვათ მის უდანაშაულობაზე. კანონით საქმე სასამართლო ძიების პროცესში უნდა შეწყვეტილიყო. ეს შეეძლო როგორც სასამართლოს, ასევე პროკურატურას. აბ, რას ატყობინებდა ეს უკანასკნელი 2001 წლის 27 ივნისს ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისიას: „ამასთანავე გაცნობებთ, რომ გ. აბსანძის მიმართ, ვითარების შეცვლის გამო სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საკითხი გადაწყდება საქართველოს სისხლის სამართლ-

ის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქმის სასამართლოში განხილვის დამთავრებამდე". ამაზეა ნათქვამი: "ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო". ამრიგად, 2001 წლის 17 აგვისტოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არა მარტო არ გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას, არამედ ის არც საქართველოს ხელისუფლების უმრავლესობის ნებას გამოხატავს...განაჩენი საქართველოს სახელით" არის სრული სიცრუე და ამიტომაც უნდა იქნეს ის გაუქმებული. ჩვენ გვესმის, რომ აქ საქმე ეხება დადგენილ სტანდარტს, ფორმას, მაგრამ თუკი ფორმა არ შეესაბამება შინაარსს ან, პირიქით, შინაარსი-ფორმას, მაშინ ნაძალადევი ხელოვნური კავშირი უნდა დაირღვეს, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება არა მარტო დიალექტიკის კანონებს, არამედ ქვეყანაში არსებულ (რა გინდ სუსტად) და მიღებულ ნორმებს და ამიტომაც საშიშია „ქვეყნის სულიერი ერთიანობისა და სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის". მოსამართლე – ბატონი ტყეშელაშვილი ღრმად უნდა ჩაკვირვებოდა ამ ფაქტს, სანამ სისხლის სამართლის თუ საპროცესო კანონებს მოკიდებდა ხელს, წინ უნდა დაედო კონსტიტუცია, პარლამენტის მიერ მიღებული ზემოთ დასახელებული დადგენილება და ეფიქრა შინაარსისა და ფორმის ურთიერთმიმართებაზე, თუ აღმოაჩენდა წინააღმდეგობებს, მაშინ უნდა გამოეტანა ერთადერთი სწორი დასკვნა: „აქ ლაპარაკი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სახელით შეუძლებელია". მაშასადამე, არ შეიძლება განაჩენი მიღებულ ფორმაში მოთავსდეს, ე. ი. ის არც უნდა გამოტანილიყო.

მივყვეთ დიდი ტყუილიდან შექმნილ ნაყალბევს.

შემდეგ მოდის: „ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – ი. ტყეშელაშვილი, მსაჯულები ნ. პაპავაძე, ო. იასეშვილი (სათადარიგო მსაჯული –ლ. სააკიანი)...“ თითქოს არაფერი არ უნდა იყოს აქ ექვმისატანი, მაგრამ აღვოკატების ს. ბარათაშვილის და მ. ჯანგირაშვილის მიერ შედგენილი საკასაციო საჩივრიდან ჩანს, რომ სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს სათადარიგო მსაჯულმა სააკიანმა რამდენჯერმე შეცვალა მსაჯული იასეშვილი და პაპავაძე, რის შედეგად დაირღვა სსსკ 434-ე მუხლი და სასამართლო კოლეგია გახდა ოთხკაციანი, სადაც მსაჯულები ერთმანეთს ცვლიდნენ, ეს კი თურმე დაუშვებელია და სსსკ 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ყველა შემთხვევაში წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს. მაგრამ ეს საქმე დაუტოვოთ საკასაციო პალა-

ტას, ჩვენი მიზანია დავაფიქსიროთ ის ტყუილები, რომლისგანაც შედგება ეს ე.წ. განაჩენი.

ახლა ჩავიწიოთ ორი სტრიქონით ქვევით და აღმოვაჩინოთ კიდევ ერთი სიყალბეს, რომელიც სიცრუის ფსიქოლოგიაში განსაზღვრულია, როგორც გაჩუმება, გვერდის ავლა. ბატონი მოსამართლე სასამართლოს მდივნების და სახელმწიფო ბრალმძებლების ჩამოთვლის შემდეგ ასახელებს დამცველებს: ს. ხუჯაძეს და ი. ძინძიბაძეს, ს. მელაძეს და ნ. თედაშვილს. მაგრამ არ ჩანს, თუ ვისი დამცველები არიან ისინი და როგორ მოხდა, რომ 13 ბრალდებულს ოთხი დამცველი ჰყავს, რატომ არ მონაწილეობენ სასამართლო პროცესში მათ შორის მთავარი ბრალდებულის – გ. აბსანძის აღოვაკატები. ალბათ აქაც სტანდარტთან და ფორმის დაცვასთან გვაქვს საქმე და იქნებ არაა აუცილებელი მითითება იმისა, რომ მოსამართლემ აიძულა ორი წყება დამცველები, დაეტოვებინათ (!?) პროცესი, მაგრამ როგორც ზემოთ ვთქვით, თუ ფორმაში რეალური შინაარსი ვერ ეტევა, მაშინ ასეთი განაჩენი ტყუილია, ნაყალბეა და დაუშვებელია ასეთი განაჩენის გამოტანა. განაჩენში არსებული ეს „ხარვეზი რომ შეივსოს“. უნდა ვნახოთ, რა დაფარა და რა სიყალბე ჩაიდინა ამ უბრალო ფორმალობის შესრულებისას ბატონმა მოსამართლემ.

მოსამართლე თუ ტირანი

*Male jure nostreo uti non debemus**

ადამიანის უფლებათა დაცვა – ესაა დემოკრატიისა და პლურალიზმის უპირველესი მონაპოვარი, ესაა ის, რომლისთვის ბრძოლაშიც დაეცა ტოტალიტარული იმპერია, რის შედეგადაც მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა. ვინც მასზე აღმართა ხელი, მან ხელი აღმართა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობაზე, ამიტომ ამ უფლებების დაცვა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კონსტიტუციურ უფლებათა დაცვას. შესაბამისად, ყველაზე დიდი დარღვევა კონსტიტუციური უფლებების დარღვევაა. დღევანდელი, გარდამავალი ეპოქის საქართველოსათვის უცხო არაა ასეთი ქმედებები, მაგრამ სავალალო და სავანაგაშო ისაა, რომ ამას სჩადის ერთადერთი ასე თუ ისე რეფორმირებული ორგანო და

* ბოროტად არ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი უფლებები.

ისიც – უზენაესი სასამართლო!

მოსამართლემ სასამართლო გამოძიების პროცესში თავისი არაკვალიფიციური და ტენდენციური დამოკიდებულებით ადვოკატებს არ მისცა საშუალება, ეწარმოებინათ სრულფასოვანი დაცვა და აიძულა ისინი დაეტოვებინათ პროცესი. ამასაც არ დასჯერდნენ და პროვოკაციის მიზნით სასამართლო პროცესზე შემოყვანილი იქნა „სპეცნაზის“ ვადაცმული და შეიარაღებული პირები, რომელთაც მოახერხეს დარბაზის პროვოცირება, რის შედეგადაც მოსამართლემ სასამართლო დაატოვებინა ჯერ გურამ აბსანძეს, შემდეგ ყველა განსასჯელს. ამდენად, განსასჯელთა დიდი უმრავლესობა, მათ შორის გურამ აბსანძეც დარჩა დაცვის გარეშე. სასამართლო პროცესს კი შემორჩნენ მხოლოდ 1937 წლის დროინდელი „ტრაიკები“ – სამი მოსამართლე, სამი პროკურორი და ოთხი ადვოკატი. აღნიშნული ქმედებით მოსამართლემ დაარღვია დღეს მოქმედი დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილი: „დაცვის უფლება გარანტირებულია“.

დაადგა რა სიცრუის გზას, მოსამართლემ არ ასახა განაჩენში ის რეალობა, რასაც ადგილი ჰქონდა სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში, კერძოდ, მან ბრალდებულებს არ მისცა საშუალება, სასამართლო პროცესზე გამოეძახათ ისეთი მოწმეები, რომლებსაც დანაშაულის პროცესში ეკავათ მაღალი თანამდებობა და, აქედან გამომდინარე, ყველაზე სრულყოფილად უწყობდნენ საქმის გარემოება, მაგალითად, უშიშროების ყოფილი მინისტრი ჯემალ გახოკიძე, კონტრაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი, ანდა ისეთები, რომლებმაც, გამოიყენეს რა თავიანთი თანამდებობა, კანონმდებლობის დარღვევით აწარმოეს საგამოძიებო მოქვლევა, მაგალითად, ყოფილი გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე რევაზ ყიფიანი. სასამართლოში არ იქნა მოწვეული მთავარი დაზარალებული – პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, მით უმეტეს, მას სასამართლოზე არ ჰყოლია თავისი წარმომადგენელი. მოსამართლე ტყველშელაშვილი ამასაც არ დასჯერდა და იერიში მიიტანა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტზე, თავისი განჩინებით განსასჯელებს აუკრძალა მათ მიერ დასახელებულ მოწმეთა დაკითხვა. გურამ აბსანძის მიერ წარმოდგენილი 120-ზე მეტი მოწმიდან დაიკითხა მხოლოდ ერთი და ისიც არასრულყოფილად. ამდენად, დაირღვა 42-ე მუხლის მე-6 ნაწილიც: „ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ

ბრალდების მოწმეებს“. ასეთმა, კომუნისტური დიქტატურისთვისაც კი წარმოუდგენელმა დარღვევებმა, თავისთავად გამოიწვიეს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა: „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის საფუძველზე“.

ჩვენ არ შეგუდებით იმის გარჩევას, იურიდიული ნორმების ამ დარღვევით თუ რა ზიანი მიაღვათ პიროვნებებს, ამაზე საკასაციო საჩივარში ყველაფერია თქმული. ამჯერად ჩვენ გვინდა მკითხველთა ყურადღება გავამახვილოთ იმ ტენდენციებზე, ადამიანთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევებს რომ ამკვიდრებენ ახალფეხადგმულ დამოუკიდებელ სახელმწიფოში. ასეთმა ქმედებებმა ჩიხში შეიყვანა ისედაც სუსტად მიმდინარე რეფორმები და მიგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომელშიც იმყოფება დღევანდელი საქართველო, როცა „მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ სიცრუე გახდა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. სათანადოდ ხალხი მას ლებულობს როგორც ურთიერთობის ზოგადპიროვნულ, ზოგადჯგუფურ, ზოგადეროვნულ ფენომენს, რომელზედაც არ შეიძლება თვალის დახუჭვა, მაგრამ რომელთანაც არც ბრძოლა შეიძლება. ის უნდა მივიღოთ როგორც რეალობა“ (პ. ეკმანი, „სიცრუის ფსიქოლოგია“, გვ. 265). სიყალბის ასეთ დონემდე აყვანა ნიშნავს იმას, რომ ის სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. ასეთი სახელმწიფოს სტრატეგია და პრაქტიკა მტკიცედაა ერთმანეთში გადაჯაჭვული. არსი – სიცრუე! ყველა ყველას ატყუებს. მიზანი – შეინარჩუნოს და გაიუმჯობესოს საკუთარი მდგომარეობა სხვათა გაცურებისა და გაუბედურების ხარჯზე. ასეთია სახე დღევანდელი საქართველოსი, რომელიც ტოტალურ სიცრუეს მოუტაცავს. ტოტალიტარიზმი კი საერთოდ გამორიცხავს პიროვნებას, ამიტომ თითოეული ცდილობს მატყუარათა რომელიმე დიდი სინდიკატის მფარველობის ქვეშ მოექცეს. ასეთ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, არც სანამართლო აღმოჩნდებოდა ზემოქმედების გარეშე და რა გასაკვირია, თუკი ბატონი ტყეშელაშვილი აღმოჩენილიყო ვინმეს მფარველობის ქვეშ. იქნებ ის იმ უპირველესი კლანის მფარველობის ქვეშაც კია და მაშინ პატრონის გულის მოსაგებად რას არ გააკეთებს კაცი! მით უმეტეს, თუ იცი, რაც უფრო დიდ სიცრუეს იტყვი, მით უფრო დაგიჭერებენ.

მივეყვით განაჩენს და ვნახავთ, თუ რა გააკეთა ბატონმა მოსამართლემ ამ სიცრუის სინდიკატის საამებლად.

არაორიგინალური მოსამართლე და

„გაჭიანურებული დრო“

სასამართლო პროცესში დრო, მარადიული ფენომენი, განსაკუთრებული დავის საგანი გახდა. მოსამართლე ყველა იმ მრავალრიცხოვან განცხადებას, შუამდგომლობას, პროტესტებს, რომლებსაც აყენებდა დაცვის მხარე, გურამ აბსანიძისა და სხვა განსასჯელების მიმართ პროცესუალური ნორმების დარღვევის გამო, როგორც წესი, არ აკმაყოფილებდა. სამაგიეროდ, პროკურორების მიერ გამოთქმულ ყველა განცხადებას, შუამდგომლობას თუ პროტესტს უსიტყვოდ და ენის შეუბრაუნებლად იღებდა. ასეთი აშკარა მიკერძოება, რა თქმა უნდა, თვალში საცემი იყო და არ გამოპარვია მასმედიას, რომელიც მუდმივად ესწრებოდა პროცესს, და სათანადო ასახვაც ჰპოვა საქართველოს საინფორმაციო საშუალებებში. აი, აქ გამოიჩინა ნამდვილი მოხერხებულობა მოსამართლემ დამცველთა მიერ დაყენებულ შუამდგომლობებზე გამოქვეყნებულ განჩინებებში. კატონისა არ იყოს, სენატში ყველა თავის გამოსვლას რომ ამთავრებდა სიტყვებით: კართაგენი უნდა დაინგრეს, ასევე ბატონი იური ყველა თავის უსამართლო განჩინებას ამთავრებდა დასკვნით, დაცვის მხარე შუამდგომლობებს დროის გაჭიანურების მიზნით აყენებსო. ის თვალთმაქცურად ამტკიცებდა, თითქოსდა განსასჯელებს და ადვოკატებს სურდათ დროის გაჭიანურებით მიეღწიათ სსსკ-ით განსაზღვრულ დროში – ორნახევარ წელიწადში არ დამთავრებულიყო სასამართლო პროცესი და ამ გზით განსასჯელებს თავიდან აეცილებინათ „დამსახურებული“ სასჯელი. მგონი, ეს უფრო იუმორისკ საგანია, ვიდრე მოსამართლის სერიოზული განსჯის შედეგი. მას ამაში, ალბათ, ანდერსონის მხიარული გმირი კარლსონიც ვერ შეეძრებოდა. შეიძლება „დროზე“ მსჯელობა ამ მხიარულ ნოტზე დაგვემთავრებინა, რომ არა ის გარემოება, რომ ბ-ნი ტყეშელაშვილი სულაც არ იყო იუმორის ხასიათზე, მთელი თავისი გეგმების განხორციელებას მას უკავშირებდა, ამიტომ მის მიერ მოწყობილი ეს კომედია, როგორც ზემოთ ვნახეთ, ტრაგედიათ დასრულდა: სერიოზული სასამართლო პროცესის ნაცვლად მივიღეთ აბსურდის თეატრი, სრულფასოვანი ტრაგიკომედია. აი, რა ფარსს ათამაშებდა ბ-ნი ი. ტყეშელაშვილი.

მოსამართლე სრულიადაც არ ყოფილა ორიგინალური, როცა სასამართლოში დაამკვიდრა ტერმინი „დროის გაჭიანურება“. დროის გაჭიანურება სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების საყვარელი ტა-

ქტიკაა, ეს გახსაკუთრებით ჩანს საარჩევნო ბატალიების დაწყების წინა ეტაპზე, როცა საქმე ეხება კონსტიტუციით დადგენილი ვადების დაცვას – არ ყოფილა არჩევნები, რომელიც ცაიტნოტში არ მოექცია ხელისუფლებას. ისინი სპეციალურად აჭიანურებენ საარჩევნო კანონპროექტების პარლამენტში განსახილველად წარდგენას, მათ ხალხის სამსჯავროზე გატანას, სპეციალურად იგდებენ თავს ცაიტნოტში, შემდეგ კი ვადების დაცვის საბაბით ნაჩქარევად იღებენ მათთვის ხელსაყრელ კანონს. ამ წესს მიჰყვებოდა მოსამართლე, პროცესუალური ნორმების დარღვევით მოხერხებულად იწვევდა კამათს, აჭიანურებდა დროს, რათა შეექმნა ხელოვნური ცაიტნოტი, რითაც, ერთი მხრივ, ქმნიდა საზოგადოებრივ აზრს დაცვის საწინააღმდეგოდ, მეორე მხრივ, არწმუნებდა დამკვეთებს, საკუთარ ხელმძღვანელობას, რომ მას ისეთი შეუვალი მტკიცებულებანი გააჩნია, რომ დაცვას არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ მიმართოს დროის გაყვანის ტაქტიკასო.

სხვა მხრივ, წარმოუდგენელია ამ პროცესის ასე უსაშველოდ გაჭიანურება, ვინაიდან თებერვლის აქციის მონაწილეებს არ უარუყვიათ, რომ მათ მოაწყვეს შეიარაღებული გამოსვლა, ალაღად თქვეს ყველაფერი. აქ ასეთი საძიებელი და გასარკვევი არაფერი იყო. ცნობილი იყო მიზეზი, საბაბი და შედეგიც, მარტივი იყო, შესაბამისად, დასკვნის გამოტანაც. მათი ქმედება უშუალო კავშირში იყო შეიარაღებული გზით კანონიერი ხელისუფლების დამხობის შედეგად შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციასთან, იმ ვითარებასთან, რაც ქვეყანაში სუფევდა და ქართულ სახელმწიფოებრიობას დალუპვით ემუქრებოდა. სირთულე სულ სხვა რამეში იყო: რაღაც არ უნდა დაჯდომოდათ, ამ საქმისათვის უნდა დაეკავშირებინათ დევნილი კანონიერი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წარმომადგენლები, კერძოდ გურამ აბსანძე. ის, რაც სიყალბით, ძალადობით, რამდენიმე პირისათვის ჩვენების გამოძალგით შესძლეს წინასწარი გამოძიებისას, სასამართლო პროცესზე საპნის ბუშტივით გასკდა. წარმოჩინდა რეალობა, რომ გურამ აბსანძეს არავითარი საერთო არა აქვს ამ საქმესთან. აი, მაშინ დაადგა სასამართლო დროის გაჭიანურების ტაქტიკას, რათა ხელოვნური ცაიტნოტის პირობებში გაეკეთებინა ის, რაც გააკეთა, რის შესახებაც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ და რაც სრულიად ასახულია საკასაციო საჩივარში.

არის კიდევ ერთი გარემოება – მოსამართლის პროფესიონალიზმის საკითხი. დავუშვათ, დაცვის მხარე დაადგა დროის გაჭიანურების გზას, თუმცა აქაც არის ერთი ნიუანსი – ყველა პროფესიონალი ვალდებუ-

ლია სრულფასოვნად შეეძლოს თავისი საქმის კეთება და კანონის დაურღვევლად აღწევდეს დასახულ მიზანს. კანონის დარღვევით მიღწეული მიზანი – ეს უკვე ახალი უბედურებაა და უფრო მეტი დანაშაულია, ვიდრე დამნაშავე დარჩეს ბოლომდე დაუსჯელი.

სასამართლო პროცესზე გამოიკვეთა კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც თავისებური ინტერპრეტაცია მისცა მოსამართლემ და რაც შემდეგ აისახა განაჩენში.

გურამ აბსანძის მიმართ წაყენებულ ბრალდება მთლიანად აგებულია ეჭვებზე, რომლებიც ემყარება წინასწარი გამოძიებისას ბრალდებულების: ეჯიბიას, მარანელიას და თოდუას მიერ მიცემულ ჩვენებებს, სადაც ისინი თვითონ ვერაფერს ამტკიცებენ, მხოლოდ გადმოსცემენ თითქოსდა მესამე პირის ნათქვამს, ვითომდა გოჩა ესებუას ეთქვას მათთვის, ისიც ცალ-ცალკე, რომ ამ საქმეს აფინანსებს გურამ აბსანძე და ა. შ. ამაზე საკასაციო განაჩენში ყველაფერია ნათქვამი და დეტალებზე არ შეეჩერდებით. განაჩენში წერია: ზ. ეჯიბია, გ. ესებუასაგან გაიგო... მარანელმა კიდევ ეჯიბიასგან და ა. შ. ყველგან – ვილაცამ რაღაცა თქვა და ვილაცისგან გაიგო.

სასამართლო პროცესზე მათ უარყვეს თავიანთი ჩვენებანი და განაცხადეს, რომ წინასწარი გამოძიებისას მათზე იყო როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ზეწოლა, გამოძიებლებმა ისეთი ჩვენება მიაცემინეს, როგორიც სურდათ.

ბრალმდებლებმა და მოსამართლეებმა დიდი ძალისხმევა შეაღიეს იმას, რომ მათ დაედასტურებინათ წინასწარი გამოძიებისას გამოძალული ჩვენებები, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. სასამართლო პროცესის ყველა ეტაპზე დადასტურდა, რომ გურამ აბსანძეს არავითარი კავშირი არ ჰქონია ამ გამოსლვასთან, მის დაფინანსებასთან. ესებუა და მისი ჯგუფის წევრები პარალელურად ეწეოდნენ ბიზნესს, ჰყავდათ სამარშრუტო ტაქსები, ზოგიერთმა გაყიდა საკუთარი ავტომანქანა, ასე აგროვებდნენ სახსრებს და გაჭირვებით გაჰქონდათ თავი ამის უტყუარობა თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ოპერაციის დამთავრების შემდეგ ყველა მათგანი თითქმის უსახსროდ იყო დარჩენილი, 10-15 ლარზე მეტი არც ერთს არ გააჩნდა.

მოდით, ერთი წუთით ვიწამოთ, რომ გ. აბსანძე აფინანსებდა ამ ოპერაციას, მათ კი არ აღმოაჩნდათ სათანადო თანხა, არაფერი რომ არ

ვთქვათ ქვეყნიდან გასასვლელ საბუთებზე, რათა მიმალულიყვნენ, თბილისიდან მაინც რომ გასულიყვნენ. გამოდის, რომ აბსანძემ ისინი გასწირა ჩასაგარდნად. ამის შემდეგ როგორ დაიცავდნენ ისინი მას და გადათქვამდნენ დავუშვათ და წინასწარი გამოძიებისას თქმულ სიმართლეს? ეს ხომ აბსურდია, მაგრამ ყოველივე ამაზე მოსამართლეს ფიქრით თავი არ შეუწუხებია, მან ბრალდებულთა სასამართლოზე მიცემულ ჩვენებას სიცრუე უწოდა. მარტივად გადაწყვიტა ეს საკითხი, დაუჯერა წინასწარი გამოძიების მიერ „შეკერილ“ ბრალდებებს. ის მთელი პროცესის განმავლობაში გამოდიოდა როგორც მეოთხე ბრალდებელი, ბოლოს კი ყველაფერი ეს გულდასმით, „აკურატულად“ გადაიტანა განაჩენში.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სად გაქრა ადამიანური, პროფესიონალური თავმოყვარეობა?!

ამ შემთხვევისათვის შეიძლება ასეთი მაგალითის მოყვანა; დავუშვათ, მასწავლებელი ვერ ეტყევა გაკვეთილისთვის განკუთვნილ დროში და ვერ ხსნის ახალ მასალას. ვინ უნდა დავადანაშაულოთ ასეთ შემთხვევაში – მოსწავლეები, რომლებმაც უინტერესოდ მიიჩნიეს მასწავლებლის მიერ ყალბი ინტონაციით წაყვანილი გაკვეთილი და ონავრობას მიყვეს ხელი, თუ მასწავლებელი, რომელმაც ვერ შეძლო მოსწავლეთა დაინტერესება? რა უნდა ვქნათ? მოსწავლეები უნდა მოვაშოროთ ასეთ პედაგოგს თუ პედაგოგი მოსწავლეებს?

რაც შეეხება მოსამართლის პროფესიულ დონეს, რაგინდ ზეწოლაც არ უნდა ყოფილიყო პოლიტიკური ხელისუფლებიდან, როგორი ურთულესი სიტუაციაც არ უნდა იყოს ირგვლივ, ბოლოს და ბოლოს, ის პრეზიდენტზე თავდასხმის საკითხს იხილავს, მიუხედავად ყველაფრისა, იმდენი პროფესიონალური ღირსება ხომ უნდა შეინარჩუნოს კაცმა, რომაელების თქმისა არ იყოს, „შეგედლოს თქვა: „ვქმენ, როგორც ძალმიძდა, დე უკეთესად ქმნან ძალმოსილებმა“.

უბედურება ისაა, რომ ძალმოსილთა შემყურეს მიერ განჩინებულ სამართალი ვერ იქნება ქმნა მართლისა სამართლისა. რას იზამ, თუ იმავე რომაელებს დავესესხებით, *Abeunt studia in mores* (მიდრეკილებანი ჩვეულებად იქცევიან).

განაჩენში ვკითხულობთ: განსასაჯელმა გურამ აბსანძემ თავი დამნაშავედ ცნო მხოლოდ ყალბი დოკუმენტის შექმნასა და გამოყენებაში. დანარჩენ ბრალდებაში მან თავი დამნაშავედ არ ცნო როგორც წინასწარი, ისე სასამართლო გამოძიების პროცესში, განმარტა, რომ მას სახელმწიფოს ღალატი არ ჩაუდენია, იყო და არის კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელი, ეწეოდა სამართლიან ბრძოლას ეროვნული ხელისუფლების აღსადგენად და ასეთი ბრძოლა არ შეიძლება ჩაითვალოს სამშობლოს ღალატად. გურამ აბსანძე ასევე განმარტავდა, რომ 1993 წლის 24 სექტემბრის კანონიერი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ჩავიდა ზუგდიდში და შეუდგა თავისი მოვალეობის – საქართველოს მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილის, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შესრულებას, შეიძლება თუ არა ყოველივე ეს ჩაეთვალოს დანაშაულად და სამშობლოს ღალატად გურამ აბსანძეს, როგორც ამას მოსამართლე ი. ტყეშელაშვილი მიიჩნევს თავისი განაჩენით?

ამასთან დაკავშირებით ისევ მივუბრუნდეთ 2000 წლის 20 აპრილის საქართველოს პარლამენტის დადგენილებას 1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ, რომელშიც აღიარებულია, რომ შეიარაღებული გზით მოხდა კანონიერი ხელისუფლების დამხობა და დაიწყო სამოქალაქო კონფლიქტი. ამრიგად, თუ კონფლიქტი არსებობს, მასში მონაწილეობს ორი დაპირისპირებული მხარე, რომლებიც თავისთავად მართებულად თვლიან თავიანთ პოზიციას და პრინციპებს. მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, ეს არის კანონიერი ხელისუფლება, რომელმაც შესძლო ქვეყნის გარკვეულ ნაწილში თავისი იურისდიქციის შენარჩუნება და, მეორე მხრივ, არალეგიტიმური, მაგრამ ფაქტობრივი ძალაუფლების მქონე ხელისუფლება. თუკი ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ ჩატარებული სამეურნეო თუ სამხედრო ღონისძიებები კვალიფიცირებული იქნება, როგორც ბანდიტიზმი და ძარცვა, ე. ი. კანონგარეშე ქმედება, მაშინ რა უნდა ითქვას არალეგიტიმური ხელისუფლების ქმედებაზე? ეს გაითავისა პოლიტიკურმა ხელი-

* ცრუ ბრალდება, ცილისწამება.

სუფლებამ და მიიღო 2000 წლის 20 აპრილის დადგენილება.

ასე რომ, რამდენიც არ უნდა ამტკიცოს პროკურატურამ და სასამართლომ კანონიერი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ოპერაციების უკანონობის შესახებ, ის არავითარ ლოგიკას არ ემორჩილება, შორს დგას რეალობისაგან და კიდევ ერთი მორიგი სიცრუე და სიყალბეა. ეს კარგად უწყობდა როგორც პროკურატურამ, ისე სასამართლომაც და სწორედ ამიტომ წაართვეს ბრალდებულს მტკიცებულებათა წარდგენისა და მოწმეთა დაკითხვის უფლება, რამეთუ ყველა ის 120-ზე მეტი მოწმე მუშაობდა ხელისუფლების რომელიმე სტრუქტურაში და, ამდენად, ასრულებდა იმ ბრძანებებსა და განკარგულებებს, რასაც მისი ხელისუფლება გამოსცემდა. მათი მეშვეობით გაიცემოდა ყველა ის თანხა, ჰუმანიტარული დახმარება და ა. შ. რაც სჭირდებოდა აფხაზეთიდან დევნილებს და ადგილობრივ მოსახლეობას.

თუ გურამ აბსანძე, როგორც აღმასრულებელი შტოს ერთ-ერთი წარმომადგენელი, დამნაშავეა 127 830 აშშ დოლარის ფოთის ბანკიდან ზუგდიდში გადმოტანაში და შემდეგ მის ხალხის საჭიროებისათვის განკარგვაში მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, მაშინ დამნაშავენი ყოფილან ყველა ისინი, ვინაც ეს თანხა აიღო და მოიხმარა. იქნებ ბ-ნი ი. ტყეშელაშვილი ახალ საქმეს დაიწყებს ქრთამის აღების ან სხვა ბრალდებით და დამნაშავეებად ჩათვლის ყველა იმ დევნილს თუ ადგილობრივ გაჭირვებულ პირს, ვინც დახმარება მიიღო ეროვნული ხელისუფლებისაგან?!

სასამართლო კოლეგია აღნიშნავს: ვინაიდან 1992 წლის 11 ოქტომბრიდან არჩევნების გზით ქვეყანაში უკე შექმნილი იყო ლეგიტიმური ხელისუფლება, გ. აბსანძის მოქმედება უნდა შეფასდეს, როგორც შეთქმულება და ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, რაც კანონის შესაბამისად ითვლება სახელმწიფოს დაღატად. მოსამართლე ი. ტყეშელაშვილს, როგორც იურისტს, უნდა ესმოდეს სახელმწიფო სამართლის ნორმები, ხელისუფლების ლეგიტიმურობისა და არალეგიტიმურობის ხარისხი, კონსტიტუციური ნორმების მოქმედებისა და არმოქმედების გარემოებები, არჩევნების ჩატარებისათვის აუცილებელი მოთხოვნები.

დავიწყოთ იმით, რომ 1992 წლის 11 ოქტომბრისათვის საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებას საერთოდ არ გააჩნდა კონსტიტუცია. ის ე. წ. „აღდგენილი“ 1921 წლის კონსტიტუცია 1921 წელსაც კი

არ მოქმედებდა, მისი ერთ-ერთი სავალალო შედეგი ის იყო, რომ მასზე დაყრდნობით აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ავტონომიური რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა, რასაც მოჰყვა კონფლიქტის გაფართოება და მისი აფხაზეთში გადატანა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო გარეშე იმპერიული ძალების ამქარა ინტერვენციას... გაჩაღდა აფხაზეთის ომი. ეს მოხდა 1992 წლის აგვისტოში როგორც ვიცით, ეს ომი 1993 წლის 30 სექტემბერს დასრულდა აფხაზეთის დაკარგვით. მაშასადამე, საქართველო 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლების 30 სექტემბრამდე ჩაბმული იყო ფართომასშტაბიან ომში, ხოლო რამდენადაც ვიცით, ომის პროცესში მსოფლიოს არც ერთი კონსტიტუცია არ უშვებს არჩევნების ჩატარებას, მით უმეტეს, რომ იმ დროს ფაქტობრივ ხელისუფლებას კონსტიტუცია არ გააჩნდა.

გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია, რომელიც მიღებული იყო სრული ლეგიტიმურობის პირობებში საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ, მოქმედებდა, მართალია სხვადასხვა დონით, მთელ ქართულ სივრცეში კონფლიქტის მეორე მხარის მეშვეობით. ამდენად, გურამ აბსანძის ამ პერიოდის მოღვაწეობის შეფასება, როგორც შეთქმულება და ამბოხება, სამართლებრივად უსაფუძვლოა და მორიგი სიცრუეა ამ ნაყალბევ დოკუმენტში.

მეორე მხრივ, 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებით დამკვიდრებული ხელისუფლება იმიტომაც არ შეიძლება იყოს ერთადერთი ლეგიტიმური, რომ კონფლიქტის მეორე მხარეს, ყველას მიერ აღიარებულ ლეგიტიმურ ხელისუფლებას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ბრძოლა კანონიერების აღდგენისათვის, არ გამოუცხადებია თავი დაშლილად, მოქმედებდა უზენაესი საბჭო, მინისტრთა კაბინეტი, თანაც საქართველოს ტერიტორიაზე, ქვეყნის განსაზღვრულ ნაწილში ჰქონდა თავისი იურისდიქცია, მას არასდროს არ უთქვამს უარი ხელისუფლებაზე, უფლებამოსილება არ გადაუცია ფაქტობრივი ხელისუფლებისათვის.

როგორც ზემოთ აღნიშნულ დადგენილებაშია აღიარებული, ამ მოვლენის პოლიტიკური შედეგები დღემდე არ არის აღმოფხვრილი. ამდენად, 11 ოქტომბრის არჩევნები იმიტომაც არ შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად, რომ მის საფუძველს წარმოადგენდა ძალადობრივი სამხედრო საბჭო და მისი მემკვიდრე ე. წ. სახელმწიფო საბჭო. თუ ყოველივე ამას ვერ სწვდებოდა მოსამართლე ი. ტყემელაშვილის გონება, მას ის მაინც უნდა გაეკეთებინა, რომ წაეკითხა ზემოთ ხსენებუ-

ლი დადგენილების პირველი მუხლი, რომლითაც დაგმობილია ლეგიტიმური ხელისუფლების ძალადობით დამხმობის ყოველგვარი მცდელობა.

განაჩენში საბრალდებო დასკვნიდან პირდაპირ არის გადმოღებული და უტყუარ ფაქტადაა აღიარებული, რომ 1992 წელს 6 იანვრიდან 11 ოქტომბრამდე ქვეყანაში იყო სახელისუფლებო ვაკუუმი, რომელიც თურმე შეუვსია ისეთ „უწყინარ“ ორგანოს, როგორც იყო სამხედრო საბჭო, რომელიც სინამდვილეში წარმოადგენდა სამხედრო-კრიმინალურ ხუნტას, რომელსაც არც არავინ ცნობდა და არც არავინ აღიარებდა, ამავე პერიოდში, როგორც ზემოთ ვთქვით, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობდა ლეგიტიმური ხელისუფლების ხელმძღვანელობითა და გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციის ნორმებით, მაგრამ თუ ვაღიარებთ, რომ არსებობდა სახელისუფლებო ვაკუუმი, რომელიც არალეგიტიმურ ხელისუფლებას შეუვსია, მაშინ ამ ხელისუფლების მიერ, მით უმეტეს, ომის პერიოდში ჩატარებული ყოველგვარი ღონისძიება, მით უფრო არჩევნები, როგორ უნდა ჩაითვალოს ლეგიტიმურად? ეს არ თავსდება არც საქართველოს კანონმდებლობაში და არც საერთაშორისო სასამართლის ნორმებში, მაგრამ ყოველივე ეს იმისათვის დასჭირდათ სიცრუის ბარონებს, რომ რაღაცნაირი საფუძველი შეექმნათ კანონიერი ხელისუფლების ასობით და ათასობით წარმომადგენლისა და მათი მხარდამჭერების მიმართ პოლიტიკური „სამართლებრივი“ და ფიზიკური ანგარიშსწორებისათვის, მოცემულ შემთხვევაში გურამ აბსანძესთან მიმართებაში.

შემდეგ განაჩენში ვკითხულობთ: „ქვეყნის გარეთ მყოფმა საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა 1992 წლის ბოლოს მოაწყვეს შეთქმულება და ამბოხება საქართველოს სახელმწიფოს ლეგიტიმური ხელისუფლების დასამხობად და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ლეგიტიმურობის შესახებ უკვე ვილაპარაკეთ. ასევე ლაპარაკი გვქონდა იმაზეც, რომ კანონიერ ხელისუფლებას საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა და მოქმედებდა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ, განსაკუთრებით სამეგრელოსა და აფხაზეთში. საქართველოში გარდა პრეზიდენტისა სისტემატურად იმყოფებოდნენ კანონიერი ხელისუფლების როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, მინისტრები, პრეფექტები. მთელ საქართველოში მოქმედებდა 1991 წელს არჩეული საკრებულოები, უზენაესი სასამართლო, რომლის უფლებამოსილება ამ ბოლო დრომდე სწორედ კანონიერი ხელისუფლების მიერ იყო

განსაზღვრული. სამწუხაროდ, მოსამართლე. ი. ტყეშელაშვილმა თურქე თვითონაც არ იცის, საიდან მოდის. ასე რომ, 1992-93 წლებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არა მარტო ორხელისუფლებიანობა იყო, არამედ მრავალხელისუფლებიანობაც. ამის მიზეზს ის ხელისუფლება წარმოადგენდა, რომელიც შეიარაღებული გზით დაფუძნდა ქვეყნის რაღაც სივრცეში. საგულისხმოა ის, რომ ყველა ამ „ხელისუფლებას“ გააჩნდა საკუთარი სამოქმედო სივრცე. ასეთი სიტუაცია დღემდეა შენარჩუნებული.

ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის ურთიერთობის ნორმალიზების მცდელობის ფაქტია 20 აპრილის დადგენილება. სასამართლო და პროკურატურა კი მისი შეუსრულებლობით ხელოვნურად ამძაფრებს სიტუაციას და თავადაა ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ შეთქმულების მომწყობი.

ჩვენთვის საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი: რატომაა განაჩენში მითითებული 1992 წლის ბოლო „შეთქმულების და ამბოხების დასაწყისად“? არავითარი ღირშესანიშნავი მოვლენა ამ პერიოდში არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ გაჩაღებულ ომში სისხლისაგან იცლებოდა საქართველოს მოსახლეობა. თუ „შეთქმულება“ და „აჯანყება“ დაიწყო 1992 წლის ბოლოს, რატომ იმთავითვე არ იღებს მასში მონაწილეობას აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პირი – გურამ აბსანძე და რატომ შეუერთდა ის მათ რვა თვის დაგვიანებით? ამაზე დამაჯერებელი პასუხი გასცა სასამართლოს მიმდინარეობისას ბ-ნმა გ. აბსანძემ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს პასუხი ან არ აისახა განაჩენში, ანდა იგი საექვოლ ჩათვალეს. სხვა მხრივ ნათელი იყო, რომ გ. აბსანძის არავითარ შეთქმულებაში არასდროს არ მიუღია მონაწილეობა, ის მხოლოდ ასრულებდა იმ ბრძანებებსა და მითითებებს, რასაც მას აძლევდნენ პრეზიდენტი და კანონიერი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი.

რაც შეეხება 1992 წლის ბოლოსათვის ამბოხების დაწყებას, ესაა მცდელობა, რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, დამხობილი კანონიერი ხელისუფლების ბრძოლა ქვეყანაში კონსტიტუციური ძალაუფლებისა და სამართლიანობის დამკვიდრებისათვის ჩათვალონ, როგორც არაკანონიერი ქმედება უკვე „ლეგიტიმირებული“ ხელისუფლების წინააღმდეგ.

მართლაც, რომ ეს შავი საქმე თეთრი ძაფითაა ნაკერი.

*Cessante causa-cessat effectus**

მოსამართლის მხრივ მიკერძოების და არაკეთილსინდისიერი მიდგომის მრავალი მაგალითია მოყვანილი საკასაციო საჩივარში. ჩვენ ამაზე არ შევიჩრდებით, ჩვენ ვცდილობთ წინ წამოვიწიოთ უფრო ის ზნეობრივი და პოლიტიკური მხარე, რომლის გათვალისწინება აუცილებლად ევალეობდა მოსამართლეს, რომელსაც მიჰყავდა არა ყოფითი სისხლის სამართლის საქმე, არამედ პოლიტიკური კონფლიქტის შედეგად დამდგარი პროცესი. განაჩენში თითქმის არაა მსჯელობა და ანალიზი იმ მოტივებზე, რომლებმაც შეიარაღებულ გამოსვლამდე მიიყვანა უბრალო, მშრომელი ადამიანები. განაჩენში მხოლოდ ბრალდებულთა მიერ მოყვანილი მოტივების მცირე ნაწილია აღნუსხული, ისიც ძალზე შეკუმშული ფორმით. არადა, ვინც ესწრებოდა სასამართლოს, იცის, თუ რა დამაჯერებლად ასაბუთებდნენ თავიანთი ნაბიჯის გარდაუვალობას ეს გუშინდელი გლეხები და რიგითი მუშები, დღეს კი ხელისუფლების მიერ ტერორისტებად ქცეულნი.

მოსამართლე არც კი ცდილა ანალიზის გზით მისულიყო იმ მოტივაციამდე, რომელმაც განაპირობა ეს აქტი. ის, სადაც არის ხსენება ამ ზოგად საკითხებზე, გადმოწერილია პროკურატურაში 1992-93 წლებში შემუშავებული ყალბი ანალიზებიდან და დასკვნებიდან. არადა, 1992 წლიდან 1998 წლამდე იმდენი რამ მოხდა, რომ არ შეიძლებოდა ამას არ მოეხდინა ზემოქმედება განსასჯელთა გადაწყვეტილებაზე.

მოსამართლის არაკეთილსინდისიერებაში დარწმუნებულმა 1998 წლის 9 თებერვლის შეიარაღებული გამოსვლის მონაწილე ცხრა განსასჯელმა: ნუგზარ ჩუხუამ – ეროვნული გვარდიის ზუგდიდის ბატალიონის ასმეთაურმა, კაპიტანმა, ზურაბ ეჯიბიამ – ეროვნული გვარდიის ზუგდიდის ბატალიონის რიგითმა, ბონდო თოდუამ – აფხაზეთის პარტიზანული დაჯგუფების წევრმა, ზუგდიდის ბატალიონის ასმეთაურის მოადგილემ, კაპიტანმა, გერონტი ქობალიამ – ეროვნული გვარდიის ზუგდიდის ბატალიონის რიგითმა, პაატა ზარქუამ – ეროვნული გვარდიის ზუგდიდის ბატალიონის ასმეთაურმა, კაპიტანმა, ტარიელ ბუკიამ – ეროვნული გვარდიის ზუგდიდის ბატალიონის

* მიზეზის აღკვეთით შედეგიც აღიკვეთება.

რიგითმა, ზაურ გულუამ – ეროვნული გვარდიის ზუგდიდის ბატალიონის რიგითმა, ზაზა მარანელმა – ეროვნული გვარდიის სენაკის ბატალიონის ასმეთაურმა, კაპიტანმა და საშა ზაქარაიამ მიმართვა გაუგზავნეს საქართველოს მოსახლეობას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, საქართველოში აკრედიტებულ უცხოეთის ქვეყნების საელჩოებს, ადამიანის უფლებათა დაცვის საქართველოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, საქართველოს ფაქტობრივ პარლამენტს, საქართველოს უზენაეს სასამართლოს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, რუსეთის სახელმწიფო დუმას. აღნიშნულ მიმართვაში ისინი ასახელებენ იმ მოტივებს, რომლებმაც უბიძგეს მათ დამოუკიდებლად გადაედგათ ასეთი ნაბიჯი (მიმართვის ტექსტი სრულად იხილეთ დანართში, გვ.193). ისინი წერენ:

„ბატონ შევარდნაძეზე თავდასხმის მოტივი და მიზეზი გახლდათ მისი ხელმძღვანელობით ბოლო პერიოდში საქართველოში გატარებული ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიდემოკრატიული პოლიტიკა, რომელსაც მოჰყვა:

1. 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად კანონიერი ხელისუფლების დამხობა;

2. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა – სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაკარგვა;

3. უკანონო ხელისუფლების ბანდიტური ფორმირებების მიერ დასავლეთ საქართველოს ხუთგზის დარბევა, ამ უძველესი კუთხის შერყვნა, კოლხური მოღმის სულში ჩაფუთხება, აბუჩად აგდება, დაცინვა და დახვრეტა;

4. მკვლელობა, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ფიზიკური განადგურება;

5. კანონიერი ხელისუფლების ხელმძღვანელების და მომხრეების, აგრეთვე კანონიერი გვარდიის მეთაურებისა და გვარდიელების ციხეებში ჩაყრა და ქვეყნიდან განდევნა;

6. ქართველი ერის უკანონო ხელისუფლებისათვის პოლიტიკურად მიუღებელი ერთი ნაწილის გენოციდი;

7. საქართველოს ეროვნული სიმდიდრის უკანონო ხელისუფლების

ხელმძღვანელთა და მათი სანათესაო კლანების მიერ მიტაცება;

8. ქვეყნის ეკონომიკურად გაჩანაგება და ფინანსურად გაკოტრება;

9. სახელმწიფოებრივი, ეროვნული იდეოლოგიის მოსპობა;

10. ერის დიდი ნაწილის სულიერი გახრწნა და დეგრადირება, სხვა უბედურებები.

ყველა ნორმალურად მოაზროვნე მამულიშვილისათვის ნათელი გახდა, რომ ასე ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელი იყო, საქართველო მიექანებოდა უფსკრულისაკენ, საჭირო იყო ამ პროცესის შეჩერება. ამიტომ იძულებული შევიქენით გადაგვედგა ასეთი რადიკალური ნაბიჯი, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, გამოწვეული იყო უკიდურესი აუცილებლობით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლში ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: *„მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი, ვინც სხვას დააზიანებს იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვით დაზიანებლის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს, თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა სხვა საშუალებით და თუ დაზიანებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე“.*

ასე რომ, მიზეზი ამ სამხედრო ოპერაციისა არ ყოფილა მარტო 1991-92 წლების ზამთარში კანონიერი ხელისუფლების დამხობა და მისი აღდგენისათვის ბრძოლა, როგორც პროკურატურაში შეთხზულ ე. წ. საბრალდებო დასკვნაშია ნათქვამი – რევანშიზმი, არამედ ის, რომ ძალადობით დაფუძნებული ხელისუფლება ვერ მართავდა ქვეყანას. ყოველ წელს, ყოველ დღეს, ყოველ წამს სულ უფრო უარესდებოდა ხალხის მდგომარეობა, იკარგებოდა სისხლით მორწყული ქართული მიწა-წყალი, ნიავდებოდა ეროვნული სიმდიდრე, ახლოვდებოდა ეკოლოგიური კატასტროფა და ა. შ. 1998 წლისათვის აშკარად გამოიკვეთა, რომ ქვეყანას დაეუფლნენ სახელმწიფო ორგანოებში მოკალათებული სხვადასხვა ჯურის კლანები, რომელთა ურთიერთქმედობა და დაუოკებელი სწრაფვა, რაც შეიძლება მეტი მიეთვალათ თავიანთთვის, გარდაუვალს ხდიდა ქართული სახელმწიფოებრიობის დაღუპვას. ყოველივე ეს ბრალად ედებოდა ქვეყნის პირველ პირს. რაც ორმაგად ზრდიდა საშიშროებას.

ამდენად, როგორც საკასაციო საჩივარშია ნათქვამი: „1998 წლის 9

თებერვლის შეიარაღებული თავდასხმა წარმოადგენდა უბრალო, მშრომელი ადამიანების გულისწყრომას, რომლებმაც ყველა მომხდარ უბედურებაზე პასუხისმგებლობა დააკისრეს პრეზიდენტ ე. შევარდნაძეს. მათ საკუთარი ნებითა და საკუთარი რისკით გადაწყვიტეს ამ თავგანწირულ ნაბიჯზე წასვლა, რასაც არც გურამ აბსანძისა და არც დევნილი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლის ზედმეტი ღირეპტივები და შეძახილები არ სჭირდებოდა, როგორც ეს ბრალდების მხარეს სურს წარმოაჩინოს“.

კიდევ რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ საკასაციო საჩივრიდან. „ბრალდებული ნუგზარ ჩუხუა: „მე ვარ კანონიერი ხელისუფლების გვარდიის ოფიცერი და მიუხედავად იმისა, რომ ჩავიდინე დადგენილებაში აღწერილი ფაქტები, მე ვმოქმედებდი კანონიერი ხელისუფლების სახელით. მე არ ჩამიდენია სამშობლოს ღალატი, ვმოქმედებდი უკანონო ხელისუფლების დამხობის მიზნით“ (ტ. 72, ს. ფ. 40).

ბრალდებული ბონდო თოდუა: „1997 წლის მაისში ჩემთან მოვიდა გ. ესებუა და მითხრა: ხომ ხედავ აფხაზეთი ჩაბარებულია, ხალხი შიმშილობს, ყველაფერი გაძარცვულია და არც ერთი წარმოება არ მუშაობს და ისიც ხომ იცი სამეგრელოს რა დღეები დაადგაო. ყოველივე ამაში გ. ესებუამ დაადანაშაულა საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე...“ (ტ. 8, ს. ფ. 105)“.

ასეა ყველგან, სასამართლო ძიებაზე არც ერთ განსასჯელს არ დაუსახელებია გურამ აბსანძე ორგანიზატორად. ორგანიზატორად ყველგან ფიგურირებს ეროვნული გვარდიის ზუგდიდის მე-16 ბატალიონის მეთაურის მოადგილე შაიორი გოჩა ესებუა. მით უმეტეს, დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ გ. გალოგრეს რედაქციით გამოცემულ წიგნში „ჯიხაშკარის სევედიანი მზე“, იმდროინდელი უშიშროების მინისტრი ჯემალ გახოკიძე გოჩა ესებუასთან საუბარს ასე გადმოგვცემს: „კითხვაზე – რას გირჩევენ ისინი?“ (იგულისხმება კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები და მათ შორის გ. აბსანძე) გ. ესებუა პასუხობს, ისინი ჩვენ ვერაფერს გვირჩევენ, იმიტომ, რომ მაინც არ მივიღებთ მათ რჩევას“. არსებითად ყველაფერი ნათელია, მაგრამ ეს გონიერი ადამიანისათვის, გონებადბინდულნი, საკუთარი კეთილდღეობისათვის ყველაფრის მკადრებელნი ყოველივე ამას გვერდს უვლიან.

პოლიტიკური ანგარიშსწორება გრძელდება.

ამდენად, 9 თებერვლის აქტის ორგანიზების დაბრალება გურამ აბსანძეზე შორსაა სიმართლისაგან. მისი დაკავება და ამ საქმესთან დაკავშირება მოხდა წინასწარგანზარაზებით. ეს იყო შემადგენელი ნაწილი კანონიერი ხელისუფლებისა და მათ მომხრეთა ფიზიკური და პოლიტიკური განადგურების ერთიანი გეგმისა. დამცველებმა ამის დამადასტურებელი საბუთები წარმოადგინეს სასამართლოზე, მაგრამ მას ყურადღება არავინ მიაქცია... კიდევ ერთხელ ჩავიხედოთ საკასაციო საჩივარში: „საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი სამსახურების მიერ, 1998 წლის 9 თებერვლამდე დიდი ხნით ადრე, გ. აბსანძე მოიპარებოდა როგორც განხორციელებული თუ განუხორციელებელი ტერაქტების ორგანიზატორი და დამფინანსებელი, რაც ნათელს ჰფენს გ. აბსანძისათვის წარდგენილი ბრალდებების პროვოკაციულ ხასიათს. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ „ე. ქობალიას, ზ. ძიძიგურისა და სხვათა მიმართ“ სისხლის სამართლის საქმის 61-ე ტომის 44-45-ე საქმის ფურცლებზე წარმოდგენილი, იმჟამად განსასჯელის, ზ. ძიძიგურის ჩვენება სასამართლო პროცესზე 1996 წელს. აღნიშნული მასალა აღვოკატთა შუამდგომლობით დართული იქნა გ. აბსანძისა და სხვათა მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე. ზ. ძიძიგურის ჩვენებაში აღნიშნულია: „10 დღის განმავლობაში მე ვიმყოფებოდი დილოში... მეუბნებოდნენ, ... რომ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მე დაკავშირებული ვიყავი... მკვლევლებთან. ბალუაშვილმა მინახულა რამდენჯერმე. იგი მუდმივად მაძალავდა მეთქვა, რომ მე ვიყავი ტერორისტული ჯგუფის წევრი და მაფინანსებდა გურამ აბსანძე“.

აქ, ალბათ, კომენტარი ზედმეტია. მაგრამ მაინც, ბინძური ბრალდება გურამ აბსანძის მიმართ, უმაღლესი პოლიტიკური ინსტანციის დაკვეთით, ბალუაშვილის ტენიში იშვა და ფართო გაქანება მიეცა. კაცს ძალაუნებურად გაახსენდება იმ საუკუნის დასაწყისში, სიცრუითა და ორპირობით შეთითხნილი ღრეიფუსის საქმე. 1998 წლის თებერვლის მოვლენების ცხელ კვალზე, ამ მოვლენებისადმი მიძღვნილი წიგნის „ტერორი თუ რეაქცია ტირანიაზე?“ შესავალში ჩვენ ვადარებდით ერთმანეთს ამ ორ საქმეს. იდენტურობა იმაშია, რომ ერის ინტერესების გამყიდველი ხელისუფლება, რომელიც დამნაშავეა ომში მარცხში, ტერიტორიების დაკარგვაში, ქვეყნის ეკონომიკურად გაჩანაგებაში, ერის სულიერად გახრწანაში, განტევების ვაცს ეძებს. მაშინდელ

საფრანგეთში ასეთად გენერალური შტაბის კაპიტანი გამონახეს, უბრალო კაპიტანი, მაგრამ ებრაელი... და აგორდა ანტისემიტიზმის ტალღა; ქართველებს მაიორი ესებუა ეპატარავათ და მთელი გულისწყრომა თავს დაატეხეს კანონიერი ხელისუფლების ვიცე-პრემიერს და ფინანსთა მინისტრს. შეითითხნა სიცრუისა და სიყალბის ტომები. ადამიანს გააოცებს შემდგენელთა თავხედობა. ისინი თავსაც კი არ იწუხებენ იმისათვის, რომ ნაყალბევი რაღაცნაირად დასაშვებ ვარიანტებს მიუსადაგონ, მისცენ მას რეალური სახე. ეს შავი საქმე, მართლაც რომ, თეთრი ძაფითაა ნაკერი. მაღლობა მათ, ვინაც ამ თაღლითებს დიდი ხნით არ მოატყუებინა თავი, არ იქცა ბრბოს ნაწილად და შეეცადა გარკვეულიყო სიმართლეში, გაბედულად შეუტია სიცრუეს.

ბედის ირონიით ამ ბინძურ საქმეებში არის სხვა დამთხვევა: მაშინ, საუკუნის წინ იქ, სტუმართმოყვარე საფრანგეთში ებრაელი გაწირეს და დასაჯეს საფრანგეთის სიყვარულისთვის. „ვფიცავ, რომ დამნაშავე არა ვარ. გაუმარჯოს საფრანგეთს.“ – თქვა დრეიფუსმა სასამართლო პროცესზე. აქ, საუკუნის შემდეგ, თავის მეორე სამშობლოდ ქცეულ საქართველოში, ებრაელმა ბალუაშვილმა, დამკვეთთა გულისგასახარად, ყველაფერი იღონა, რათა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლისათვის ცრუ ბრალდებები შეეთითხნა. ბალუაშვილმა საწადელი აისრულა – გურამ აბსანძე ხელთ იგდეს და დიდი ხნით ციხეში გამოკეტეს. მოსამართლე ტყეშელაშვილის ხელით, უზენაესმა სასამართლომ ეს ნაყალბევი – ბიწიერთა გონის ნააზრევი – რეალობად ჩათვალა და უდანაშაულო ადამიანს 17 წლით პატიმრობა ისე მიუსაჯა, რომ არც კი დაასწრო განსასჯელი განაჩენის გამოტანას. დრეიფუსს ათქმევიანეს საბოლოო სიტყვა. მან შეძლო დაეძახა – „გაუმარჯოს საფრანგეთს“, გურამ აბსანძეს კი ამის უფლებაც ჩამოართვეს, რამეთუ პროცესის მიმდინარეობიდან კარგად უწყობდნენ, რომ მას ძალუძდა ამ სიცრუის მხილება. მისი საბოლოო სიტყვა იქნებოდა განაჩენი ქვეყნისა და ერის ინტერესების გამყიდველთა მიმართ, მათ მიმართ, ვინც ან პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ან სიმზღალით, შიშით, შემგუებლობით ბოლომდე ტაშს უკრავდა და მხარს უჭერდა ამ არნახულ სიბინძურეს. მაღლობა ღმერთს, ქართველებს არ დასჭირდათ ათწლეულები საქმეში გასარკვევად, მათი უმრავლესობა დადგა სამართლიანობის მხარეს და ხმა აღიმალა სიყალბისა და სიცრუის წინააღმდეგ.

*Ubi concordia, ibi victoria**

მე-16 საუკუნეში მოღვაწე რომის პაპი პავლე IV ამბობდა: „მსოფლიოს სურს იყოს მოტყუებული, დაე მოტყუდეს!“ სიცრუის ოკეანეში მოღრეიფე ქართველმა ჩინოვნიკებმა და სამართალდამცავებმა კარგად უწყიან ეს და ყოველგვარი მორალური თუ სამართლებრივი ნორმების უგულვებლყოფით, „სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე“, ანგრევენ სახელმწიფოსაც და სამართლიანობასაც. ამას კი აუცილებლად მოჰყვება სავალალო შედეგი. თუმცა მას, ვინც ძალად თვალს იბრმავებს, რა თქმა უნდა, ამის დანახვა არ უნდა. ხელისუფალნი ჯიუტად აგრძელებენ ავბედით საქმიანობას, სანამ ან ქვეყანას არ მოინელებენ ან პოზიტიურ ძალებთან ბრძოლაში დამარცხებულნი საბოლოოდ უფსკრულში არ გადაიჩეხებიან. ჩვენ მიერ თქმულის დადასტურებაა საქართველოში აშშ-ს ყოფილ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ქენეთ სპენსერ იალოვეცის ვაშინგტონში გაკეთებული მოხსენება საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

მისი თქმით, არსებობს უამრავი ინფორმაცია აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში, რომლებიც უკიდურესად კრიტიკულია და ცდილობენ საქართველო სიცრუისა და სიყალბის ქვეყანად დაგვანახონ. ელჩის აზრით, პრობლემა „სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე“ მოქმედ ჩინოვნიკთა უვიცობასა და ბოროტებაშია. „არსებობს უვიცი ხელმძღვანელობის პრობლემა“, – წუხს იგი.

გურამ აბსანძის საქმემ თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ეს პრობლემა, სამწუხაროდ, დარჩა რეფორმირებულ სასამართლოშიც და თუ საჩქაროდ არ იქნა ზომები მიღებული და არ გასწორდა მსგავსი შეცდომები, თუ სასამართლომ ვერ შესძლო თვითგანწმენდა და არ მოიშორა ის რუდიმენტები, რომლებიც ძველი, საბჭოური სისტემიდან გადმოგვყვა, კატასტროფა გარდაუვალია. როგორც იალოვეცი წერს, შიდა სისუსტეები საშუალებას აძლევს გარე ძალებს ზემოქმედების ქვეშ იყოლიოს საქართველო. ეს კი უშუალოდაა დაკავშირებული ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების საკითხთან.

ასეთი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის პირობებში ქვეყნის გადარჩენის გზა ეროვნული თანხმობის პროცესის სწორად წარმარ-

* სადაც თანხმობაა, იქ გამარჯვებაა.

თვაზება დამოკიდებული, ხოლო, თავის მხრივ, გურამ აბსანძის, როგორც დამზობილი ხელისუფლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირის საქმის სამართლიანობისა და კანონიერების ნორმების დაცვით განხილვა, მის მიმართ პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების აღსრულება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ამ პროცესს. სამწუხაროდ, ჯერ პროკურატურამ, შემდეგ კი სასამართლომ „ზემო-დან“ დაკვეთით გვერდი აუარეს ყოველივე ამას და სიცრუისა და სიყალბის გზას დაადგინეს. მოსამართლემაც უყურადღებოდ დატოვა და განაჩენში ასახვა ვერ ჰპოვა 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებამ.

უფრო ადრე ასევე იგნორირებული იქნა მთელი რიგი შუამდგომლობები გ. აბსანძის თავდებით განთავისუფლების შესახებ. ყველა ძირითადი დოკუმენტი მოცემულია ამ წიგნის დანართში, ამიტომ მათზე მსჯელობას არ ვაეაგრძელებთ. ორიოდ სიტყვით შევეხებით დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ გურამ აბსანძის მიმართ 20 აპრილის დადგენილების გავრცელების აუცილებლობაზე მსჯელობას.

კომისიის თავმჯდომარე ბატონი ვ. მალლაფერიძე ეროვნული თანხმობის კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ 13 თებერვალს პარლამენტის სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში (ამ მოხსენების შემოკლებული ვარიანტი იხ. დანართში, გვ. 179) ამბობს: „...ნებისმიერი ქვეყანა შეძლებს სამოქალაქო კრიზისიდან გამოსვლას, თუ ეროვნული თანხმობის გზას აირჩევს“. მისი შეხედულებით, პირველ ეტაპზე აქტუალური იყო პატიმრების თემა: „შეუძლებელია საუბარი თანხმობის შემდგომ ეტაპზე გადასვლის, პროცესის გაფართოების შესახებ მანამ, სანამ არსებობს პატიმართა, ანუ იმ ადამიანთა პრობლემა, რომელთა მიმართაც არსებობს ეჭვი, რომ ისინი გასამართლებულნი არიან პოლიტიკური ნიშნით, (კერძოდ, იმიტომ, რომ ისინი „ზვიადისტები“ არიან). წინააღმდეგ შემთხვევაში არ განხორციელდება თანხმობის შემდგომი ეტაპი, რადგან პოლიტიკური ნიშნით გასამართლებულთა განთავისუფლების გარეშე არ იარსებებს ურთიერთნდობის ფაქტორი“. ასეთ მნიშვნელობას ანიჭებენ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში პოლიტპატიმართა განთავისუფლების საქმეს. რა თქმა უნდა, ეს უპირველეს ყოვლისა ეხება გურამ აბსანძეს. მოსამართლე კი თავის განაჩენში მას სამშობლოს მოღალატის, ბანდიტის კვალიფიციურებას აძლევს, ერთი სიტყვითაც კი არ ახსენებს იმას, რომ ის, დამზობილი ხელისუფლების ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი— პოლიტიკური პატიმარია და როგორც პოლიტიკურ პატი-

მარზე, მასზეც უნდა გავრცელდეს 2000 წლის 20 აპრილის დადგენილება. თავიანთი ასეთი ქმედებით პროკურატურამ და სასამართლომ მართლაც შეაფერხეს ეროვნული თანხმობის პროცესის მიმდინარეობა, ვერა და ვერ მოხერხდა მეორე ეტაპზე გადასვლა, მისი საერთო სახალხო მოძრაობად გადაქცევა, ესაა სახელმწიფოსა და ერის წინაშე ჩადენილი დანაშაული. აი, რა აზრისაა პარლამენტის დიდი ნაწილი (აბსანძის პოლიტიკური ოპონენტები), ისინი, ვინაც ხმა მისცა ზემოთ აღნიშნულ მოხსენებას, მის „სამშობლოს მოღალატეობასა“ და „ბანდიტობაზე“. „მე მადლობას მოვასწავებ ბატონ გურამ აბსანძეს, – ამბობს ბატონი ვ. მალაფერიძე, – კომისიის წევრები დამეთანხმებიან, რომ მან განსაკუთრებული მძიმე პირადული მდგომარეობის მიუხედავად არაერთგზის მოგვმართა და მუდმივად აყენებდა თანხმობისა და სახელმწიფოს ერთიანობის იდეას პირად განცდებზე მაღლა, რითაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანხმობის პროცესში, უფრო მეტიც, ვიტყვოდი, რომ ის იყო თანხმობის კომისიის ერთ-ერთი აქტიური არაოფიციალური წევრი და ამ მიზნით ბევრ კრიტიკულ სიტუაციაში გამოიყენა თავისი ავტორიტეტი“.

შეამჩნია კი ეს „პირადული განცდები“ მოსამართლე ტყეშელაშვილმა, როცა 1992-93 წლებში შეთითხნილი სტანდარტულ ბრალდებები პირდაპირ განაჩენში გადმოჰქონდა?! ან გრძნობდა კი ბატონი მოსამართლე საკუთარი მდგომარეობის პიკანტურობას, როცა ვიღაცების საამებლად ცარიელ დარბაზში უდანაშაულო ადამიანს 17 წლის პატიმრობა გამოუტანა?! თავისი აზრით, მან ამით დაასრულა აბსანძის მიმართ ანგარიშსწორება ისე, როგორც ამას აკეთებდნენ სამოქალაქო ომის დროს ლენინის მითითებით: „დახვრეტისათვის ჩვენ არ გვჭირდება არც მტკიცებულებანი, არც დაკითხვები, არც ეჭვები. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია და ვხვრეტთ, ეს არის და ეს. ნუ მოძებნი იმის დამადასტურებელ საბუთს, მასალებს, რომ განსასჯელი სიტყვით თუ საქმით მოქმედებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. პირველი კითხვა, რომელიც მას უნდა დაუსვათ, რა წარმოშობისაა... სწორედ ამ საკითხმა უნდა განსაზღვროს განსასჯელის ბედი, ეს არის წითელი ტერორის ბედი“ („მჩა-ს ყოველკვირეული“, 1918 წ.). გურამ აბსანძის ბედი სწორედ მისმა „წარმომავლობამ“ – კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლობამ განსაზღვრა.

იგივე მორალით ხელმძღვანელობდნენ ბალუაშვილი-ხვადაგიანი-ტყეშელაშვილის ღერძის ირგვლივ მოტრიალე „სამართალდამცავები“

თუ „მსაჯულები“. მათ პირნათლად შეასრულეს პოლიტიკური დაკვეთა.

ცდება ტყეშელაშვილი! მან განაჩენი გამოუტანა საკუთარ თავს, ვინაიდან ხალხი, როცა ეჭვი შეაქვს მოსამართლის პატიოსნებასა და ღირსებაში, მაშინ ის საკუთარ თავზე იღებს ინიციატივას და იცავს ამ უდანაშაულო პატიმარს – მას, ვისაც თემიდის უპატიოსნო მსახურის რისხვა დაატყდა თავს.

საინტერესო მაგალითი მოჰყავს ვ. ზნაკოვს პ. ექმანის წიგნის „სიცრუის ფსიქოლოგიის“ ბოლოსიტყვაობაში: სიციოლოგიურ გამოკითხვაში მონაწილე 196 პირს დაესვა კითხვა – მისცემთ თუ არა ტყუილ ჩვენებას, თუ იცით, რომ ბრალდებული უდანაშაულოა და თქვენი ეს ჩვენება მას იხსნის უპატიოსნო მოსამართლის ხელისაგან? უმრავლესობამ – 123-მა კაცმა დადებითი პასუხი გასცა. მათი მოტივაცია იყო: ყოველთვის არ შეიძლება ენდო მოსამართლის ობიექტურობასა და პატიოსნებას, რადგან ასეთია ჩვენი სასამართლო, უნდა დავეხმაროდ დაზარალებულს და აღვადგინოთ სამართლიანობა.

ღიახ, მოსამართლეთა უსამართლობა ძვირად უჯდებათ ადამიანებს, საზოგადოებას, ამიტომ ბევრი რამაა დამოკიდებული ამ უკანასკნელის აზრზე. ეს იციან სიცრუის მსახურებმა და დღემუდამ ზემოქმედებენ ამ საზოგადოებრივ აზრზე, ხოლო უპრინციპო მოსამართლენი პოლიტიკოსთა მიერ ამ გაუკუღმართებულ მოსაზრებებს ამოეფარებიან და არღვევენ არა მარტო მორალსა და ზნეობას, არამედ კანონსა და სამართლიანობასაც. მოსამართლე ტყეშელაშვილს ამ მხრივ თავი ქუდში ჰქონდა – მისთვის ამ საყოველთაო აზრს ქვეყნის პრეზიდენტი და მთავარი დაზარალებული ბატონი ედუარდ შევარდნაძე უშურველად ჰქმნიდა. რას არ მოიმოქმედებდა ასეთ მძლავრ ფიგურას ამოფარებული მოსამართლე, თუ მისი ბედი – შემორჩეს სასამართლოს – ამ დაზარალებულზეა დამოკიდებული?!

რადგან სიტყვა ჩამოვარდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და მასში ე. შევარდნაძის მონაწილეობაზე, ეს აბსტრაქტულ მსჯელობად რომ არ ჩამოგვართვან, ამისათვის მრაველიდან ერთ მაგალითს მოვიყვანთ: თბილისის საოლქო სასამართლოში 2001 წლის 10 მაისს სარჩელი იქნა შეტანილი პრეზიდენტი ე. შევარდნაძის წინააღმდეგ, მოსარჩელე – განსასჯელი გურამ აბსანაძე მას ბრალს სდებს იმაში, რომ პრეზიდენტმა თავისი განცხადებით ხელყო საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დაცული გურამ აბსანაძის უდანაშაულობის პრეზუმფცია, უხეშად შელახა მისი ღირსება და საქმიანი რეპუ-

ტაცია, როცა განაცხადა: „... ძალიან დიდი სულიერი მღელვარებით ვსვამ კითხვას: საიდან მოდის ეს აღმაშფოთებელი უპასუხისმგებლობა საკუთარი ხალხისა და სამშობლოს წინაშე? გაითვალისწინეთ, რომ გაშვებულთაგან (ხაზს ვუსვამ, გაშვებულთაგან და არა გაქცეულთაგან) ოთხი ტერორისტია, არიან მკვლელები და სხვა დამნაშავენი, ტერორისტების რაოდენობას რომ ვასახელებთ, რა თქმა უნდა, გურამ აბსანძესაც ვგულისხმობ. სასამართლო პროცესი თითქმის დამთავრდა, გურამ აბსანძემ და მისმა აღოკატებმა ერთხელ კიდევ სცადეს და განაჩენის გამოტანის წინ ევროსასამართლოში გაგზავნეს თხოვნა თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე. როგორც გუშინ წინ მაცნობეს, ევროსასამართლომ ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა“. ეს განცხადება გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2000 წლის 3 ოქტომბერს.

ესაა სასამართლოზე ზემოქმედების ნამდვილი მაგალითი და არა ის, რომ მოსამართლე ტყეშელაშვილმა 81 პარლამენტარის მიერ სასამართლოში შეტანილ შუამდგომლობას პარლამენტის მხრიდან სასამართლოზე ზეწოლა უწოდა.

20 აპრილის დადგენილებამ გზა გახსნა ურთიერთდიალოგისაკენ, ბევრმა რეალურად შეხედა სიტუაციას, უარი თქვა თავის მოტყუების ძველ გზაზე და დადგა სამართლიანობის მხარეს. მათ ხმა აღიმალღეს გურამ აბსანძის დასაცავად, მით უმეტეს, რომ მათ მიერვე მიღებული დადგენილებით ის დაუყოვნებლივ უნდა გაეთავისუფლებინათ პატიმრობიდან. შუამდგომლობაში ნათქვამია: „ვინაიდან საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების მოქმედების არეალში ექცევიან ის განსახლებებიც, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვა საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობს თქვენი თავმჯდომარეობით, საქართველოს სსს კოდექსის 170-ე მუხლის საფუძველზე მივიღეთ გადაწყვეტილება, რათა ვიკისროთ ვალდებულება გურამ აბსანძისათვის პირად თავდებად დადგომის თაობაზე, რაც გულისხმობს ჩვენს მიერ გ. აბსანძის სათანადო ქცევის უზრუნველყოფას და სასამართლოს გამოძახებით დაუყოვნებლივ გამოცხადებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით გურამ აბსანძის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების, პატიმრობის შეცვლის თაობაზე პირადი თავდებობით.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი შუამდგომლობის დაკმაყოფილება ზელს

შეუწყობს ეროვნული თანხობის პროცესის განმტკიცებას და დადებითად წაადგება ქართველი ერის გამთლიანების საქმეს. "

ამ შუამდგომლობას უწოდა მოსამართლე ტყეშელაშვილმა სასამართლოზე ზეწოლა და უარი უთხრა მათ თავდებით გ. აბსანძის განთავისუფლებას, რითაც ცინიკურად შელახა უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების ავტორიტეტი, ფეხქვეშ გათელა ეროვნული თანხმობის პროცესის ახლად ამოსული ყლორტები და თანხმობის ნაცვლად ახალ დაპირისპირებას, ახლა უკვე თვით ხელისუფლების შიგნით, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის, მისცა ბიძგი, რომელიც სულ უფრო ღრმავდება და კონფრონტაციის სახეს იღებს. ასეთი კატაკლიზმების გამომწვევი მოსამართლე ვის მძლავრ ზურგსაცაა ამოფარებული, საეჭვო არ უნდა იყოს. მოსამართლის ასეთმა არაპუმანურმა, არაზნეობრივმა, რაც მთავარია, კანონსაწინააღმდეგო ქმედებამ მიიყვანა უდანაშაულო პატიმარი – გურამ აბსანძე გახმაურებულ გაქცევამდე ციხის საავადმყოფოდან და რომელ ზედაც მსჯელობს პრეზიდენტი შევარდნაძე. ბატონ გურამისათვის ნათელი გახდა, სასამართლო ფარსია, მისი ბედი სხვა კაბინეტებში წყდება და ეს პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. აკი 17 აგვისტოს განაჩენმა ნათელყო ამ ვარაუდის სიწორე. ჩვიდმეტი წელი მიუსაჯეს უდანაშაულო პიროვნებას, რომლის მთელი „დანაშაული“ ის იყო, რომ მან კაცურად მოიხადა ვალი დამოუკიდებელი საქართველოს გარდამავალი კონსტიტუციისა და პირველი პრეზიდენტის წინაშე, სამართლიანობისა და კანონიერების, ქვეყნად ეროვნული თანხმობის, სიყვარულისა და სიკეთის დამკვიდრებისათვის რომ იბრძოდა.

ბრძოლა ბურამ აბსანძის დასასაპაღ

*Audiat et altera pars**

კანონის ასე აბუჩად აგდებას არ შეიძლებოდა სათანადო რეაქცია არ მოჰყოლოდა.

მოძრაობამ გურამ აბსანძის დასაცავად უკვე საყოველთაო ხასიათი მიიღო. თუკი მის პირველ ეტაპზე იგი მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების მომხრე ძალთა ერთი ნაწილის ზურგზე გადადიოდა

* მოსმენილ იქნეს მეორე მხარეც.

(ხელისუფლებამ მაშინ მოახერხა მისი რალაც ნაწილის გამიჯვნა ამ მოძრაობიდან), 2000 წლის თებერვალში ციხის საავადმყოფოში სასიკვდილო შიმშილობის აქციის დაწყების შემდეგ სულ უფრო ორგანიზებულ ხასიათს იღებს, შეიქმნა პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრი, რომლის მუშობაში აქტიურად ჩაებნენ ციხეში მყოფი პოლიტპატიმრები, ასევე პოლიტდევნილები, იძულებით ემიგრაციაში განხიზნულები, უბრალო, რიგითი ადამიანები. ცენტრის მუშაობა წარმატებული გამოდგა. მან შეძლო დიალოგი გაემართა ხელისუფლებასთან, დაერწმუნებინა საზოგადოება იმაში, რომ ეროვნული თანხმობის პროცესს ალტერნატივა არ გააჩნია, რომ მიმდინარე სასამართლო პროცესი შედეგია ეროვნული დაპირისპირებისა. 9 თებერვლის შეიარაღებული გამოსვლის ორგანიზატორმა გოჩა ესებუამ არაერთხელ დაადასტურა ეს ჭეშმარიტება, განსაკუთრებით ჭიხაშკარის აქციის შემდეგ. მთელი მსოფლიოს თვალწინ დაწყებული დიალოგი სულ მალე დავიწყებას რომ მისცა ხელისუფლებამ, უნდა განახლებულიყო. შეიძლება ითქვას, რომ პროცესი წარმატებით დასრულდა, მიღებული იქნა პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილება, შეიქმნა ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელშიც შევიდა პარლამენტის ყველა ფრაქციის წარმომადგენელი, რითაც გარეთ დაწყებულმა დიალოგის პროცესმა გადაინაცვლა ქვეყნის უმაღლეს ორგანოში.

განუსაზღვრელი იყო ბატონ გურამ აბსანძის როლი ამ საქმეში. ის მუდმივად გამოდიოდა ეროვნული თანხმობის გზით სახელმწიფოს ერთიანობის იდეით, იმ სახელმწიფოსი, რომელიც ორად იყო გაყოფილი – ფაქტობრივად და კანონიერად, რამაც გამოიწვია საზოგადოების გახლეჩა და დაპირისპირება. ეს აისახა კიდევ ეროვნული თანხმობის კომისიის მოხსენებაში და რომელზეც უკვე გვქონდა ლაპარაკი.

ამ ცხოველი დიალოგის პრაქტიკული შედეგი შთამბეჭდავი აღმოჩნდა, ციხებიდან და კოლონიებიდან განთავისუფლებული იქნა ასამდე პოლიტიკური და სამხედრო პატიმარი, უფრო მეტზე შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნის საქმე, ათეულობით პოლიტემიგრანტს მიეცა საშუალება სამშობლოში დაბრუნებისა. გადაწყდა, ვისაც განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულში ედებოდათ ბრალი, მათი საქმე ხელახლა განხილულიყო საკასაციო პალატაში. მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ საპარლამენტო სხდომის პროცესში შეტანილი იქნა ცვლილება დადგენილების პროექტში და ჩაიწერა, რომ ეს აქტი უნდა

შეხებოდა განსასჯელებსაც, სამწუხაროდ, არც პროკურატურამ და, მით უმეტეს, არც სასამართლომ არ მიაქცია ამას ყურადღება. შეიძლება ითქვას, აქედან დაიწყო რეაქციული ძალების შეტევა ეროვნული თანხმობის პროცესზე და არც თუ უშედეგოდ. შს სამინისტრო და პროკურატურა გახდა ამ ძალთა მედროშე. უკვე ივნისში მხეტურად, მთელი ქვეყნის თვალწინ მოკლეს 20 აპრილის დადგენილების საფუძველზე დევნაშეწყვეტილი კანონიერი ხელისუფლების გვარდიის პოლკოვნიკი აკაკი ელიავა და მისი თანამებრძოლი მაიორი გოჩა გვილავა, ციხეში გამოკეტეს მათი თანმხლები გვარდიელები: გ. ზარქუა, ს. სანაია და ზ. გვაზავა.

გაგრძელდა ზოგიერთ პიროვნების დევნა, სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტების მიმართ აწარმოებდნენ შეურაცხმყოფელ დაკითხვებს, თვალთვალს და ა. შ. პროკურატურა ყველა ღონეს ხმარობდა, რათა დევნაშეწყვეტილი პირების მიმართ აღძრული საქმეები ისევ გაეგრძელებინათ. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ახლად არ აგორდა საკოორდინაციო ცენტრის მიერ დაწყებული აქციები გურამ აბსანძის, ზარქუას, გვაზავას და სანაიას განთავისუფლების მოთხოვნით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც 24 მაისის აქციის მონაწილეებმა სენაკში შვიდი საათის განმავლობაში გადაკეტეს ფოთი-თბილისის მაგისტრალი, მოეწყო გენერალურ პროკურორთან ეროვნული თანხმობის კომისიის ხელმძღვანელობისა და საკოორდინაციო ცენტრის წარმომადგენელთა შეხვედრა. ახალმა გენერალურმა პროკურორმა ბატონმა გია მეფარიშვილმა აიღო პასუხისმგებლობა, რომ ყველა საქმე, რომლებსაც შეეხებოდა 20 აპრილის დადგენილება, დაიხურებოდა, დაჩქარდებოდა იმ პირთა საქმის შესწავლა და სასამართლოზე საკასაციო პალატაში წარდგენა, რომლებიც ამ დადგენილების გადახედვას ექვემდებარებოდნენ. იყო შეპირება, რომ აქციის მონაწილეთა მოთხოვნა გ. აბსანძის, ზარქუას, გვაზავას და სანაიას მიმართ საქმის შეწყვეტის შესახებ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელდებოდა. სამწუხაროდ, მან თავის დანაპირების მხოლოდ პირველი ნაწილი შეასრულა, მაგრამ არაფერი გაკეთებულა გ. აბსანძისთან და ელიავას მკვლელობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. როგორც მოსალოდნელი იყო, ამან კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია.

პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის ინიციატივით ზუგდიდში განახლდა მზადება ახალი ფართომასშტაბიანი

გამოსვლისათვის. როგორც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბატონი სოსო ლავგილავა იტყობინებოდა (დოკუმენტი იხ. დანართში, გვ.187), ხელისუფლების (პროკურატურის) და მის კვალდაკვალ სასამართლოს (რომლებიც ურთიერთთანხმობით მოქმედებენ) ცინიკური დამოკიდებულება მიღწეული შეთანხმებისადმი, რაც გამოიხატა გურამ აბსანძესთან მიმართებაში სსსკ-სა და კონსტიტუციური უფლებების ახალ დარღვევებში, გვაიძულებს ქართველი ხალხისა და მსოფლიო საზოგადოების ყურადღების მიქცევის მიზნით უკიდურეს ზომებს მივმართოთ. 27 ივლისს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინ გაიმართა მრავალათასიანი მშვიდობიანი დემონსტრაცია, სამეგრელოს სხვადასხვა რაიონის ოცდათორმეტმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი პროტესტის ნიშნად თავს დაიწვევდნენ, თუკი ხელისუფლება ხელს არ აიღებდა პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე. მეორე დღისთვის სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა, აქციის მონაწილეებმა, რომლებსაც თან ჰქონდათ ბენზინით სავსე ბოთლები, განაცხადეს, რომ დღის 3 საათზე განაზრახს სისრულეში მოიყვანდნენ. დაძაბულობამ აპოგეას მიაღწია. ახალ მსხვერპლს იწირავდა გულბოროტი ძალა. აქციის მონაწილეებს თხოვნით მიმართეს გურამ აბსანძემ (დოკუმენტი იხ. დანართში, გვ.191), ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებმა, მაგრამ მათ არ მიიღეს ეს თხოვნები. ამასობაში საკოორდინაციო ცენტრის მიერ ატეხილმა განგაშმა შედეგი გამოიღო.

უშიშროების საბჭოს ინიციატივით გაიმართა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გენერალურმა პროკურორმა. გადაწყდა, რომ 20 აპრილის დადგენილება ამოქმედდებოდა გურამ აბსანძესთან მიმართებაში. საკოორდინაციო ცენტრისადმი გამოგზავნილ წერილში პროკურატურა იტყობინებოდა: „საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განხილულ იქნა თქვენი წერილი გ. აბსანძის, ზ. გვაზავას, გ. ზარქუას და სხვათა მიმართ საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების გამოყენებასთან დაკავშირებით ამ პირთა მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე.“

საქართველოს გენერალური პროკურატურა მხარს უჭერს ხსენებული დადგენილების სულისკვეთებას ეროვნული თანხმობის პროცესის დაწყების თაობაზე.

გ. აბსანძის მიმართ, ვითარების შეცვლის გამო, სისხლის საქმის

შეწყვეტის საკითხი გადაწყდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქით მოხდა. სასამართლო პროცესზე მოაწყვეს პროვოკაცია, სხდომიდან გააძევეს განსასჯელი გ. აბსანძე, რასაც მოჰყვა სახაზინო ადვოკატთა მიერ დარბაზის დატოვება. ცარიელ დარბაზში, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, საღამოს 6 საათზე პროკურორებმა დაიწყეს საბრალდებო სიტყვის კითხვა და მოითხოვეს გ. აბსანძისათვის 18 წლით თავისუფლების აღკვეთა. რამდენიმე დღეში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოსამართლემ თითქმის უცვლელად გადაიტანა განაჩენში მოცემული ყველა სიცრუე და და უდანაშაულოადამიანს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. აი, ასე, მიუხედავად ყველაფრისა, სიცრუითა და ორპირობით მიაღწია დამკვეთმა ანგარიშსწორებას კანონიერი ხელისუფლების ვიცე-პრემიერთან, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრთან გურამ აბსანძესთან.

ჯერ კიდევ მონათმფლობელურ რომში უწყობდნენ, რომ: „მსაჯულს სამართლიანობა უოველთვის თვალწინ უნდა ედგეს“. „შევიყვაროთ სამართლიანობა, ქვეყნის მსაჯულნი“, – გემოდღერავს ბიბლია. როგორც ჩანს, დღევანდელი ქართული სახელმწიფო შორსაა იმ ცნებისაგან, რასაც სამართლიანობა ჰქვია. ალბათ, ამას გულისხმობდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, როცა თავის ტელეინტერვიუში ამბობდა, სასამართლო არ შეიძლება სახელმწიფოსაგან განსხვავებული იყოსო. ვერც შეედავები. თანაც შეიძლება ეს იმის დადასტურებადაც კი იქნეს გაგებული, რასაც ჩვენ პროცესის მიმდინარეობისას ვამტკიცებდით: სასამართლო პოლიტიკური ხელისუფლების ზემოქმედებას განიცდიდა, მაგრამ ეს ვერ ამართლებს მესამე ხელისუფლების მესვეურთ.

რეფორმა ხანგრძლივი პროცესია. ხელისუფლების სტრუქტურათა რეფორმირება სხვადასხვა ტემპით მიმდინარეობს, ამიტომ პასუხისმგებლობა რეფორმირებული სტრუქტურისა და, მით უმეტეს, სასამართლოსი ერთიორად იზრდება, რათა სხვა სტრუქტურების რეფორმირება წარმატებით ჩატარდეს. აქ მხოლოდ მაგალითის ძალაზე კი არაა აქცენტი გაკეთებული, არამედ კონსტიტუციურ მოვალეობაზეც, იმაზე, რომ სასამართლო პირდაპირაა პასუხისმგებელი რეფორმის პროცესის წარმატებით განვითარებისათვის ხელშეწყობაზე, მაგრამ როცა თავად არღვევს ამ კონსტიტუციურ უფლებებს, მაშინ, რა თქმა უნდა, სხვას ვერაფერს მოსთხოვ. სახელმწიფო ცუდადაა

აწყობილი და მეც ცუდი ვიქნებო, ვერაფერი გახცხადებდა. დაძო-
უკიდებელი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების უმაღლესი მიზანი
მოითხოვს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ვიხელმძღვანელოთ სამარ-
თლიანობის პრინციპით, არ დაუშვათ პოლიტიკური შეხედულებებისა
და პრინციპების გამო პიროვნების უფლებათა ფენქვეშ გათელვა.
ექვების საფუძველზე არ უნდა დაისაჯოს უდანაშაულო ადამიანი. ამ
შეცდომის გასწორება ჯერ კიდევ ძალუძს ახალფეხადგმულ, რეფორ-
მირებულ ქართულ სასამართლოს. სანამ ეს არ მომხდარა, ბრძოლა
გურამ აბსანძის დასაცავად უნდა გაგრძელდეს. ეს არაა ბრძოლა მარ-
ტოოდენ უდანაშაულო ადამიანის დასაცავად. ესაა ბრძოლა დამოუ-
კიდებელი საქართველოსათვის, მისი სახელმწიფოებრიობის შენა-
რჩუნებისათვის, ადამიანთა დემოკრატიული უფლებების დაცვისათ-
ვის, ეროვნული თანხმობისათვის. ექვი არ გვეპარება, რომ სამართლი-
ანობა გვიმარჯვებს აქ, საქართველოში და არა სტრასბურგსა თუ
ჰააგაში. ეს ჩვენი ეროვნული ღირსების საქმეა.

„...თაქვასხმის პრთაქპრთ ორბანიგატორთან პირისპირ“

*Quod principi, placuit, leges habet**

არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ გ. აბსანძის სადმე და
ვინმესთვის ეთქვას: „მოკალით შევარდნაქე“.

არ არსებობს თუნდაც ერთი დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებდეს
გ. აბსანძის რამენაირ კავშირს ამ ოპერაციასთან, მის დაფინანსებასთან,
არაფერი რომ არ ვთქვათ უშუალო ხელმძღვანელობაზე.

განაჩენში კი ნათქვამია: „მიმალვისას გურამ აბსანძემ, საქართველოს
სახელმწიფო ხელისუფლების დასამზობად და ხელში ჩასაგდებად,
გააგრძელა დანაშაულებრივი საქმიანობა. ამ მიზნით 1997-98 წლებში,
მოაწყო შეთქმულება და განიზრახა ხელისუფლების წარმომადგენელი
სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს პრეზიდენტის,
ედუარდ შევარდნაძის მკვლელობა. ამისათვის 1997 წლის
განაფხულზე დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის თანამოაზრეს,

* რაც მბრძანებელს მოსწონს, იმას კანონის ძალა აქვს.

ვანტანგ ქობალიას უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრს, ამ უკანასკნელის მეშვეობით კი – ზურაბ ეჭიბიას, ბონდო თოდუას, ნუგზარ ჩუხუას, გერონტი ქობალიას, ზაზა მარანელს და სხვებს. შემუშავებული გეგმის მიხედვით, შეთქმულების საერთო ხელმძღვანელობა და დაფინანსება ევალებოდა გ. აბსანძეს. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ იგი უნდა მოსულიყო საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში. ზემოაღნიშნული პირების დაყოლიება დანაშაულის ჩადენაში, მათი სპეციალური სამხედრო მომზადების ორგანიზაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ, საბრძოლო იარაღების, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებების შექმნა, ჯგუფის წევრებისათვის კონსპირაციული ბინების დაქირავება ქ. თბილისში, პრეზიდენტზე თავდასხმისათვის ადგილისა და დროის შერჩევა, აგრეთვე ამ თავდასხმის უშუალო ხელმძღვანელობა დაევალა ამ პიროვნებას“.

ვთხოვთ პროკურორებს, მოსამართლეს, ალბათ, ამავეს იზამს საკასაციო პალატაც: ბატონებო, თქვენ რასაც აქ წერთ, ამის დამამტკიცებელი რაიმე საბუთი თუ გაქვთ, ნუ მაღავთ, წარმოადგინეთ. მოსამართლეს ან უნარი არ შესწევს, ან ისეა გათამამებული, რომ არც კადრულობს რაღაც ლოგიკური კავშირებით, თუნდაც სოფიზმით შექმნას ფაქტის არსებობის ილუზია და დახატოს სიმართლის მაგვარი სურათი. საოცრებაა პირდაპირ, საიდან ასეთი თავგასულობა?! განაჩენიდან ზემოთ მოყვანილი ამონარიდის დასამტკიცებლად მოსამართლეს აუცილებლად უნდა მოეყვანა 1997-98 წლებში გურამ აბსანძის მიერ შეთქმულების მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტური მასალები, კერძოდ ის, რომ გურამ აბსანძის ხელმძღვანელობით შემუშავებული იქნა შეიარაღებული აჯანყების გეგმა, ჩუხუასთან, მარანელთან, ეჭიბიასთან, თოდუასთან და ქობალიასთან შეხვედრის ამსახველი ოფიციალური დოკუმენტები, ჩანაწერები, მითითებები, დღიურები და ა. შ. ე. ი. ყოველივე ის, რაც ასეთ ფართომასშტაბიან შეთქმულებასთან ახლავს, როგორადაც მას ხატავს მოსამართლე თავის განაჩენში. რა დოკუმენტის საფუძველზე ასკენის მოსამართლე, რომ „შემუშავებული გეგმის მიხედვით, შეთქმულების საერთო ხელმძღვანელობა და დაფინანსება ევალებოდა გ. აბსანძეს“. რა დოკუმენტს ეყრდნობა მოსამართლე, როცა ამბობს: „განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ იგი უნდა მოსულიყო საქართველოს სახელმწიფოს სათავეში“. აქვს თუ

არა მოსამართლეს იმის დამადასტურებელი რამენაირი დოკუმენტური მასალა, რომლითაც დაამტკიცებდა, რომ გურამ აბსანძემ დააუვალა „ამ პირს“ (ალბათ, გ. ესებუას გულისხმობს) დაეყოლიებინა ზემოთ ჩამოთვლილი პირები, მოეხდინათ მათ სამხედრო მომზადების ორგანიზება, ტექნიკური საშუალებების შექმნა, კონსპირაციული ბინების დაჭირავება და ა. შ.

ჰქონდა კი მოსამართლეს გურამ აბსანძეს მიერ ამ ოპერაციის დაფინანსების რაიმე ამსახველი დოკუმენტი, „შეთქმულთათვის“ ფულის გადაცემის ფაქტის დამადასტურებელი საბუთი? ანდა ფულის გადაცემაზე, ქრთამის აღების, თუ სხვა მსგავს ფაქტზე? მოქალაქეთა „დაწვის“ გამოცდილება შევარდნაძისეულ საბჭოურ ქართულ პროკურატურას არ აკლია, მათი გასამართლების ტექნოლოგიაც სათანადო დონეზე იყო აყვანილი სასამართლოში.

მოსამართლე, ნაცვლად იმისა, რომ დაეყრდნოს ფაქტებს, დოკუმენტურ თუ ნივთიერ მტკიცებულებებს, რომლებიც მრავლადაა სხვა განსასჯელებთან დაკავშირებით, მაგრამ არც ერთი – გურამ აბსანძესთან მიმართებაში, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ყველგან წერს: ესებუამ ეჯიბიას უთხრა, მარანელთან თქვა... არადა, არავითარი საბუთი, „თქვაო“ და გათავდა... მიდი ახლა და უმტკიცე ტყეშელაშვილს, მართლაც ასე თქვა თუ არა ესებუამ. სადაც სინამდვილეში არსებობს ესებუას ნათქვამი, დაფიქსირებული მრავალრიცხოვანი საგაზეთო, სატელევიზიო თუ რადიოინტერვიუების სახით, სანდო არ არის ბატონი მოსამართლისათვის და თავხედურად ასკვნის: „ამავე წიგნიდან ირკვევა, რომ გ. ესებუა ჯ. გახოკიძესთან და ჟურნალისტებთან საუბარში ბოლომდე გულწრფელი არ არის. კერძოდ, ეს იმაში გამოიხატება, რომ ცალკეულ საუბრებში იგი აცხადებს, თითქოს 9 თებერვლის ტერორისტულ აქტში მონაწილეობა არ მიუღია, ამიტომ დაცვის მხრიდან გ. ესებუას საუბრების და ინტერვიუების მოშველიებით გ. აბსანძის უდანაშაულობის მტკიცება მოკლებულია საფუძველს“. სინამდვილეში, გ. ესებუა მრავალგზის ამტკიცებს, რომ შეიარაღებული გამოსვლის ორგანიზატორიც და შემსრულებელიც თვითონაა და სხვები უდანაშაულოები არიან; მხოლოდ ერთხელ, ისიც კორესპონდენტის მიერ სახალხოდ დასმულ პროვოკაციულ შეკითხვაზე, მოკრითიტყვის: „არა!“ ამიტომაც, რომ მოსამართლეს დასჭირდა სიტყვა „ცალკეულის“ ხმარება. ის ამით ალიბს იქმნის: თუკი ვინმე შეედავება

ამ ცრუ დასკვნის გამო და ცხვირწინ აუფრიალებს გ. ესეხუას განცხადებებს იმის შესახებ, რომ მან გაუყეათ ორგანიზება 9 თებერვლისა და 19 თებერვლის გამოსვლებს და ამიტომ მზადაა ჩაბარდეს ხელისუფლებას, მაშინ მოუხმობს ამ ალიბს და იტყვის: მე ხომ ვთქვი, ცალკეულ საუბრებშიო. ასეთი დონისაა მისი ყველა „გენიალური“ დასკვნა. სინამდვილეში გ. ესეხუას ზემოთ მოხმობილმა განცხადებამ გადაწყვიტა მისი ბედი და მოხდა მისი ლიკვიდაცია შ. ს. სამინისტროს „სპეცნაზის“ მიერ. არ ვიცი, რამდენად გულწრფელად, მაგრამ ამის შესახებ აფრთხილებს მას ჯ. ვახოკიძე.

წიგში „ჩიზაშქარის სეველიანი მზე“, რომელიც ძირითადად ყოფილ უშიშროების მინისტრს ჯემალ ვახოკიძესა და გოჩა ესეხუას შორის დიალოგზეა აგებული, ფასდაუდებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს ამ მოვლენების შესასწავლად და შესაფასებლად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გოჩა ესეხუა მოკლეს. ჩვენ არ შევუძლებით ბატონ ჯემალ ვახოკიძის, როგორც უშიშროების მინისტრის, აკვარგინობის შეფასებას, მაგრამ ერთი რამ ნათლად ჩანს – მას ესეხუასთან საუბარი ისე მიჰყავს, როგორც ეს შეეფერება პროფესიონალ გამომძიებელს, მისგანაც დაუფარავად და ყოველგვარი შელამაზების გარეშე იღებს პასუხებს.

ვახოკიძე სთავაზობს ესეხუას ჩაბარდეს ხელისუფლებას: „...მუდმივი პატიმრობა გექნება თუ რაღაც სხვა, შანსი გაქვს იქიდან გამომავლი... თუ კაცს ვეტყვი წამოდიო, უნდა მიხვდეს, ამას მის სასარგებლოდ ვაკეთებ... მიხვდი? ამიტომ შენ ესეც კარგად იფიქრე. შენი გაქცევა კი...“ აქ მართლაც ალაღია მინისტრი – იცის, რომ შეილთამქამელი კრონოსი არ დაინდობს მას, გასწირავენ, ვინაიდან მისი ცოცხლად ყოფნა ჩაუშლით სანუკვარ გეგმას – ტერორიზმის ბრალდებით ციხეში ამოაყოფინონ თავი კანონიერი ხელისუფლების ყველაზე ქმედით პირებს... უშიშროების მინისტრის რჩევა მრავლისმთქმელია და სავალალო აღსასრულის მიმანიშნებელი. მეორე შეხვედრისას უშიშროების მინისტრი ხელახლა უმეორებს გოჩას: „შენი ამბავი დამთავრდა, გესმის? წახვალ თუ არა... იცოდე, მაშინ გარანტიას არავინ მოგცემს“. სამწუხაროდ, ყოველივე ეს, იმის შემდეგ, რაც ბატონმა ვახოკიძემ უარი განაცხადა მოწმედ სასამართლოზე გამოსვლაზე და მის თუ მასზე დაწერილ წიგნში ნათქვამის დადასტურებაზე, პილატესებურად ხელის დაბანვა უფროა, ვიდრე კაცური, სამართლიანი ქმედება.

გოძობდა გოჩა, რომ მის ირგვლივ ავბელითი წრე იკვრებოდა. ის შეუფარავედ მსჯელობს როგორც ფაქტობრივ ხელისუფლებაზე, ასევე ეროვნული ხელისუფლების შეცდომებზე. მისი ზრუნვის საგანი საქართველოა, ეროვნული თანხმობის მიღწევაა. ყველაფერს, რასაც აკეთებს, ამისთვის აკეთებს და არა რევანშის ასაღებად და ძველი ხელისუფლების ახლად დასამკვიდრებლად. ასეთია დედააზრი მისი მსჯელობისა. ესებუას თავისი გზა აქვს. მას ყოველგვარი იმედი გადაუწურა ხელისუფლების მხრიდან საკუთარივე სიტყვის უცერემონიოდ გატეხვამ, ზღვარდაუღებმა სიცრუემ. გოჩა ამბობს: „... მაგრამ წინასწარ ვერ გავუშვებ. იმიტომ, რომ ბევრჯერ იყო მოტყუება. ასე ვფიქრობ და ასე ვლაპარაკობ“. ასეთმა სიტუაციებმა მას გული გაუტეხეს. ის აღიარებს კანონიერ ხელისუფლებას, მაგრამ პოლიტიკური გზით ეროვნული ერთიანობის აღდგენისა არ სჯერა და თავისი გზით მიდის. ეს კარგად ჩანს გახოკიძესთან მისი საუბრის ერთი დეტალიდან: „ძალა, ძალა ჩვენ ვართ“. მხედველობაშია ეროვნული ხელისუფლების მხარდაჭერი გვარდია. ხოლო პოლიტიკურ ხელისუფლებას დაუფარავი ირონიით მოიხსენიებს: „...უმალღესი საბჭოს თავმჯდომარეს თუ რა ქვია ამას, – მოვალეობას რომ ასრულებს, – ნემო ბურჭულაძე, – დროებითი მთავრობის ვიცე-პრემიერი კი გურამ აბსანძე არის“. ალბათ, არ არის საჭირო დიდი ფსიქოლოგი იყო, რათა გაერკვე, თუ როგორი დამაბული ურთიერთობაა გოჩასა და კანონიერი ხელისუფლების ხელმძღვანელობას შორის და თუ მაინც ის უკავშირდება მათ, ეს იმიტომ, რომ კარგად ესმის ეს – მოლაპარაკება მხოლოდ პოლიტიკურ ძალებს შორისაა შესაძლებელი, რათა ეროვნული თანხმობის პროცესი რეალური გახდეს. მას მიაჩნია, ამ „წაყიდებულ პოლიტიკოსებს“ ისინი, სამხედროები. აიძულებენ მიუხსნდნენ მოლაპარაკების მაგიდას და მიაღწიონ თანხმობას.

ჩვენი მსჯელობა რომ სწორია, ამას ადასტურებს კიდევ ერთი ფრაგმენტი. გოჩა ამბობს: „დღეს დაეუკავშირდი ტელეფონით (დაახლოებით სამი-ოთხი დღეა გასული აქციიდან – მ. ზ.), იმათ უკვე გადაუღვამთ რაღაც-რაღაც ნაბიჯები“. აქედანაც ხომ ნათლად ჩანს და აშკარა ფაქტია, რომ პოლიტიკოსებსა და სამხედროებს შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა, მით უმეტეს, გურამ აბსანძესთან. ეს თბილისში გამართული მოლაპარაკების პროცესში კიდევ უფრო წარმოჩინდა. თბილისში ეღუარდ შეგარდნაძესთან შეხვედრისას, მას შემდეგ, რაც

მძევლები გაუშვეს, ხოლო გოჩა მიიძალა, დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს „ძალად ცხონებაზე“ და გაიფანტნენ. ნუთუ ასე ძნელია ამის გაანალიზება და მისგან სწორი დასკვნის გამოტანა?!

ახლა ვნახოთ ფრაგმენტები გახოკიძე – ესებუას მეორე შეხვედრიდან. მინისტრი ეკითხება ესებუას:

„– შენს თავზე რას ფიქრობ?..“

– რა ვიცი... თუ სიმართლეა, – სიმართლე ის არის, რომ კაცის გამტაცებელი ციხეში უნდა იჯდეს... იცით ალბათ, ხალხსაც ვეუბნები ამას...“

ხოლო გახოკიძის მიერ სისხლისღვრის ხსენებაზე ის მკვახედ პასუხობს: „... ეს სისხლისღვრა იმიტომ მოვაწყვეთ, რომ სისხლისღვრა შეგვეჩერებინა“. მინისტრი ისევ ეკითხება: „... შენ ხომ იცი, რომ თავდასხმაში მონაწილეობდი? ხომ აღიარებ ამას?“ „მეც არ ვმალავ, დასამალი რა არის“, – პასუხობს ესებუა და უშიშროების მინისტრს ექვი არ ეპარება, რომ 9 თებერვლის მომწყობი გოჩაა. „ხომ იცი, შენ იმისთანა ტერაქტი მოაწყვე შეაგულ თბილისში, ამისთანა არავის გაუკეთებია. ფაქტიურად შენ ეს ბოღმამ გააკეთებინა“. მოსამართლე ამ ეპიზოდს, რომელიც ნათელს ხდის თავდახმის ორგანიზირების საკითხს, გვერდს უვლის. მისთვის ესებუასაგან 19 თებერვლის აქციის პიროვნულ დღეს ცნობისმოყვარე კორესპონდენტის პასუხად ნასროლი – „არა“ – გახდა ზოგადი დასკვნის გამოტანის საფუძველი და ამ საბაბით უარი თქვა ოქროს წონის მქონე დოკუმენტურ მასალაზე – უშიშროების მინისტრის დიალოგზე აქციის ორგანიზატორთან, იმ ერთადერთ პიროვნებასთან, რომელმაც უწყოდა მთელი სიმართლე. ასეთი რამ სასამართლო პრაქტიკას, ალბათ, არ ახსოვს.

რაც შეეხება წიგნში მოყვანილი ფაქტების თუ დასკვნების სანდოობის საკითხს, გახოკიძესა და ესებუას შორის 9 თებერვლის აქციასთან დაკავშირებული მთელი დიალოგი მიმდინარეობს უშუალოდ, ძალდაუტანებლად. ვინაიდან ესებუას დალუპვის შემდეგ ეს ჩანაწერი მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან თუ განიცდიდა კორექტირებას, შელამაზებას და, ამდენად, მასში ექვის შეტანა დაცვის მხარეს თუ შეეძლო, მაგრამ არამც და არამც პროკურატურასა და სასამართლოს. ამიტომ ეჭვგარეშე უნდა მიეღო ამ უკანასკნელს დიალოგის ის ნაწილი, სადაც მინისტრი ეუბნება ესებუას: „შენ რაც ქალაქის ცენტრში გააკეთე, ეს ჩვენი ყველას დოჟალაპიობა იყო.“

უშიშროების, პოლიციის... და ყველასი... განა ვერ ვგრძნობთ ამას? მაგრამ ამავე დროს შეცდომები თქვენც გქონდათ, ბევრი... უამრავი. ესებუა: „*ფული ცოტა გვქონდა, გვიჭირს და რა ვქნათ*“. ნუთუ ძნელია გაარკვიო პროფესიონალმა იურისტმა ის, რომ ესებუა აქ პირველი პირით იმიტომ საუბრობს, რომ მათ არავითარი სხვა წყარო, გარდა საკუთარი თავისა, არ გააჩნდათ, თორემ ძალაუვნებურად მესამე პირით დაიწყებდა საუბარს. თუმცა რაზეა საუბარი, მოსამართლე ამას კი არა, აშკარად თქმულს უვლის გვერდს და არაფრად აგდებს.

გახოციე უყვება ესებუას: მე ახლა სხვა ამბავს გეტყვი. იცი პატიმრების ბუნება? ყველა ერთდროულად ამბობს: მოვიდეს გოჩა და ჩვენს გვერდით დაჯდესო. იცოდი ეს შენ? ახლა მე გეტყვი ჩვენ რა ვიცით: თავის მოკვლა რომ გინდოდა „ლიმონკით“, ვითომ ჩაბარება-არჩაბარება. ვინ არიან ისინი, ხომ იცი? „ჩემი ძმები არიან. იმიტომ რომ სიკვდილზე წავიდნენ ჩემთან ერთად“, - მიუგო გოჩამ. ჰოდა ახლა მათ სწყინთ, - აგრძელებს მინისტრი, - პასუხისმგებლობის საკითხია. შენ რომ მათთან იყო შეღავათია. „შეღავათია, - თქვა ყრულ, - შეღავათზე მეც გეუბნები“. კაცს ლოგიკურად გებადება კითხვა, თუ „გვერდით ჩაჯდომასზე“ მიდგა საქმე, მაშინ დაპატიმრებულები რატომ ითხოვენ მართო გოჩა ესებუას ჩაჯდომას და არაფერს ამბობენ ოპერაციის ხელმძღვანელ გურამ აბსანძეზე, რომელიც, პროკურატურისა და სასამართლოს ვერსიით, ვალდებული იყო ისინი ფინანსურად მოემარაგებინა და უზრუნველყო მათი უკან დახევა. მაგრამ საქმე ის არის, რომ *არავითარი კავშირი არ ჰქონდა მას ამ საქმესთან*, ამიტომაც არც არავინ ითხოვს მას, მინისტრიც გულწრფელად ეუბნება გოჩას: „ბიჭო, ამისთანა ტერაქტი მოაწყვე, პრეზიდენტის მოკვლა გინდოდა. მე ასეთი არაფერი მინახავს. ეს ნამდვილი საომარი ოპერაცია იყო. რას ლაპარაკობ! მაგრამ აქ სხვა რამე შეიძლება. რა შეიძლება იცი? იმ ბიჭებზე ბევრი შეღავათი შეიძლება. ათასი გზა გამოინახება. მაგრამ შენ, შენ ხომ არ მალავ, რომ ამ საქმის ორგანიზატორი ხარ? ხომ? პრეზიდენტზე თავდასხმა მოაწყვე, გაეროს ხალხი გაიტაცე, ეს ყველაფერი ერთმა კაცმა გააკეთე, მაინცდამაინც ტყვია გინდა? „- მსოფლიოს რომ გაეგო იმიტომ არ გამიკეთებია“. - აბა რა გინდოდა? - საქართველოს თავისუფლება, მეტი არაფერი“. მგონი აქ საკომენტარო არაფერია, ისედაც ყველაფერი გასაგებია. ამ ტერაქტს არავითარ დამკვეთი არ ჰყავდა, ის მომდინარეობდა საერთო სიტუაციიდან და იყ-

1991-93 წლების მოვლენების გაგრძელება, მისი ერთ-ერთი დამოუკიდებელი ფრაგმენტი. ეს რომ ასეა, დასტურდება კიდევ ერთი მაგალითით: „რეზონანსის“ კორესპონდენტი გახოკიძეზე არანაკლებ მოხერხებულად ეძებს კავშირს ესებუასა და ემიგრაციაში მყოფი მთავრობის წევრებს შორის.

„რეზონანსი“ – რას გირჩევენ ისინი: გააგრძელეთ ამ პოზიციაზე ყოფნა, დანებდით, ჩაბარდითო თუ როგორ?

გ. ე. – ისინი ჩვენ ვერაფერს გვირჩევენ, იმიტომ, რომ მაინც არ მივიღებთ მათ რჩევას. ეს ნაბიჯი ჩვენ ჩვენი გადავდგით და ჩვენი მივიყვანთ ბოლომდე“... როგორ შეიძლება სასამართლოს მხრივ მთავარი შემსრულებელი პირის ასეთი განცხადების იგნორირება?

ამის შემდეგ მოსამართლეს მართლაც არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ეს დოკუმენტი არასანდოდ გამოეცხადებინა, ხოლო გახოკიძე სასამართლოსთვის დაემალა.

საინტერესოა წიგნის რედაქტორის გალოგრეს ნათქვამი გახოკიძესთან მიმართებაში: „მაგრამ იგი ახლა აქაა, 9 თებერვლის სისხლიანი თავდასხმის ერთადერთ ორგანიზატორთან, პირისპირ“. მგონი, ამით ყველაფერი თქმულია. რედაქტორი გადმოსცემს საყოველთაოდ აღიარებულ და მიღებულ ფაქტს.

მოსამართლისთვის გ. ესებუას განცხადებები, რომლებმაც მისი მკვლელობის შემდეგ არამართო სასამართლოსათვის, არამედ ისტორიისთვისაც დოკუმენტის ძალა შეიძინა, მისაღები არ აღმოჩნდა და სიტყვებით – „გ. ესებუა... საუბარში ბოლომდე გულწრფელი არ არის“ – სანაგვეში გადაუძახა ყველა ამ „ქალალდს“. მას შემდეგ, რაც, მისი ჭკუით, რაღაც-რაღაცები თავის სასარგებლოდ გამოიყენა, ჯ. გახოკიძის წიგნიც მას მიაყოლა, ხოლო თავად გახოკიძე დაცვის მხარის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად სასამართლოს არ გააკარა.

არც ის იქნება უინტერესო გავიგოთ, გამჭრიახმა მოსამართლემ როგორ გამოიყენა ადვოკატებისა და განსასჯელების მიერ საკუთარი ინტერესების დასაცავად მოხმობილი ეს წიგნი. ის განაჩენში წერს, რომ გ. აბსანძემ სასამართლოში გამოაქვეყნა წიგნის ცალკეული ფრაგმენტები იმის დასამტკიცებლად, რომ პრეზიდენტზე განხორციელებული თავდასხმის დაფინანსება მას არ განუხორციელებია. სინამდვილეში მასში თავმოყრილია ბრალდების დამადასტურებელი *სამხილი*, თუმცა განაჩენში არც ერთი მათგანი არ მოუყვანია. მას პირდაპირ გადმოაქვს

ბრალმდებლების მიერ „შეკერილი“ აბსურდები: თითქოს ესებუა მოსკოვიდან იღებდა დირექტივებს კანონიერი ხელისუფლების ხელმძღვანელობისაგან. მას უბრძანეს არ ჩაბარებოდა ხელისუფლებას და ა. შ. საიდან ასეთი თავგასულობა?! მართლაცდა, დედამიწა (და არა ქვეყანა) ჩალით ხომ არაა დახურული? მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ გ. ესებუა დამოუკიდებლად მოქმედებდა, ის თვითონ აყენებდა მოთხოვნებს, ამ მოთხოვნების საფუძველზე მონდა ე. შევარდნაძესთან შესახვედრად კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა შერჩევა. გ. ესებუას გ. აბსანძესთან კავშირი რომ ჰქონოდა, ის, შეიარაღებული გამოსვლის ხელმძღვანელი, ხელიდან გაუშვებდა ასეთ შემთხვევას და არ ჩამოვიდოდა საქართველოში, თუნდაც იმისათვის, რომ მოლაპარაკება გაეკვიანურებინა, დარჩენილი რაღაც „კულები“ მოესპო, ბოლოს და ბოლოს, გარკვეულიყო იმაში, თუ რატომ ჩავარდა ოპერაცია, ვინ იყო დამნაშავე, მოსამართლის ზღაპრებისა არ იყოს, დასაშინებელი დაეშინებინა, გასასაღებელი გაესაღებინა და ა. შ. მით უმეტეს, როგორც განაჩენიდან ჩანს, 19 თებერვლისათვის გამოძიებას იმის დამამტკიცებელი არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდა, რომ ეჭვი მიეტანათ გ. აბსანძეზე. შემთხვევითი არაა, რომ 19 თებერვლის შემდეგ ნაჩქარევად იწყეს კომპრომატების შეგროვება კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებზე, კერძოდ გ. აბსანძეზე, რომლის ხელში ჩაგდებას ტერორის ბრალდებით, როგორც ზემოთ ვნახეთ, 1996 წლიდან ცდილობდა ბალუაშვილი. მათ ეს შეძლეს. როგორც სასამართლოზე განაცხადა მარანელმა, არნახული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით გამოძალეს მას ეს ჩვენება და ხაზგასმით აღნიშნა: ნამდვილი სიმართლე ისაა, რასაც სასამართლოზე ვლაპარაკობო. წარმოუდგენელია, მოსამართლე სასამართლოს წინაშე მიცემულ ჩვენებას უარყოფდეს და უშიშროების იზოლატორში, ამ კომუნისტური „მართლმსაჯულების ციტადელში“ გამოძალულ ჩვენებებს ეყრდნობოდეს. ეს მაშინ, როცა მთელს ყოფილ საბჭოეთში გმობენ, საფლავიდან თხრიან გამომძიებლებს, პროკურორებს, მოსამართლეებს, რომლებიც ასეთი გამოძალული აღიარებით ანადგურებდნენ ქვეყნის საუკეთესო შვილებს. ნუთუ ან წარსულის, ან მომავლის შიში არა აქვს ამ ხალხს?! სადაა ღვთის სამართალი (jus divinum)?!

წიგნში „ჯიხაშკარის სევდიანი მზე“ თავმოყრილი ამ ფაქტების მიმოხილვა გვინდა დავასრულოთ უშიშროების მინისტრის მიერ გამოთქმ-

ული ერთი მოსაზრებით, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელი იყო სასამართლოსათვის. ოპერატიულ ინფორმაციაში შეიძლება ორმოცდაათი პროცენტი იყოს მართალი, შეიძლება ნულიც, გამოძიება კი რეალურად შეკრებილ მასალებს ემყარება."

ამდენად, საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ძალოვანი სტრუქტურები ფლობენ უამრავ ოპერატიულ მასალას, მაგრამ, რამდენადაც მათი სანდოობის პროცენტი ძალზე დაბალია მთელ რიგ მიზეზთა გამო, მით უმეტეს დამშეულ და ზნეობრივად გარყვნილ ქვეყანაში, სადაც ყოველი მე-5 მაინც რაღაც ღონის დამსმენია, მათი მტკიცებულებად გამოყენება, მის საფუძველზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, მათზე დაყრდნობით მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბება დაუშვებელია, დანაშაულის ტოლფასია.

ჩვენი ღრმა რწმენით, გურამ აბსანძესთან მიმართებაში ამ მომენტმა სავეალალო შედეგამდე მიგვიყვანა. სურვილმა პირნათელი ყოფილიყვნენ დაზარალებულის წინაშე, ამოქმედა ჭორებისა და სიცრუის სისტემა, ვისაც არ ეზარებოდა, რაღაც ფორმებით, რაიმე გამორჩენის მიზნით, რიგითი დამსმენიდან დაწყებული მინისტრით და გენერალური პროკურორით დამთავრებული, სიცრუეს სიცრუეზე ახვავებდა. მათ შესძლეს აეყოლიებინათ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ვინ დაგიდევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას, კანონს, ადამიანთა უფლებების საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვას! მათ ღრობებით შესძლეს საზოგადოებრივი აზრის გ. აბსანძის საწინააღმდეგოდ მომართვა, ამიტომაც შევადარეთ ჩვენ ეს საქმე ღრეიფუისის საქმეს.

საბედნიეროდ, ქვეყანაში აღმოჩნდნენ ძალები, რომლებიც დაეჭვდნენ და წინ აღუდგნენ ამ ტოტალურ სიცრუეს, თანდათანობით საზოგადოებრივი აზრიც დაშოშმინდა, იწყო სიმართლის ძიება და უდანაშაულო გ. აბსანძის დაცვისათვის ბრძოლამ ფართო მასშტაბი მიიღო. ამის დამადასტურებელი მასალების ერთ ნაწილს მკითხველი იხილავს წინამდებარე წიგნში, მაგრამ ძალოვანების მიერ „მუნღირის დაცვის“ ინსტიტუტის დაძლევა ვერ მოხერდა, ვერც სასამართლომ დასძლია პირადული, ვერ გამოვიდა ამ სიცრუის ლაბირინთებიდან, ყველაფერი წარიმართა ტოტალური რეჟიმისათვის დამახასიათებელი წესით: „შექმნილი საზოგადოებრივი აზრი“, გამოძალულები „განთქმითი მტკიცებულება“, „აღიარება“, „შერჩეული „სამეულები“... და „მართლმსაჯუ-

ლებაც“ შედგა! ჩვენს შემთხვევაში განსხვავება გვაქვს უარესობისაკენ: იქ, ტოტალურ სისტემაში, მის ყველაზე უარეს პერიოდში – 1937-ში, როგორც წესი, სახეზე იყო „აღიარება“, აქ, როგორც ზემოთ ვნახეთ, არც აღიარებაა და არც მტკიცებულება, განაჩენი კი უმკაცრესია.

დემოკრატიულ საფუძვლებზე აგებული მართლმსაჯულებისათვის ყოვლად მიუღებელი უნდა იყოს ძველის ასეთი რეციდივი. ახლად ფეხადგმული ქართული, დამოუკიდებელი მართლმსაჯულება ამ ურთულეს საქმით გამოცდას გადის. დამაიმედებელია საკასაციო პალატის მიერ ამ საქმისადმი სერიოზული მიდგომა, მის მიერ დაცვის შუამდგომლობის დაკმაყოფილება და საქმის დიდ პალატაში გადაცემა: „პალატა თვლის, რომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე უნდა გადაეცეს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, რადგან საქმის განხილვას და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის“... თუ რა მნიშვნელობა აქვს მას ეროვნული თანხმობის პროცესის სრულყოფის, საზოგადოებაში არსებული დაპირისპირების აღმოფხვრისათვის ამის თაობაზე უკვე ვიმსჯელებთ სათანადო ადგილას.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ მართლმსაჯულებისათვის აუცილებელია ყველას მიერ აღიარებული ქეშმარიტების – „უმჯობესია დანაშაული დაუსჯელი დარჩეს, ვიდრე უდანაშაულო დასაჯოს“ – პრინციპის განხორციელება, ამისათვის კიდევ დარჩა დრო და საშუალება.


დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული სასამართლოების მიერ ამ პრინციპის ცხოვრებაში განხორციელების მრავალი მაგალითი შეიძლება დაასახელოს ადამიანმა, თუნდაც იტალიური მაფიის წინააღმდეგ მიმართული განმაურებული პროცესები, როცა დოკუმენტური მტკიცებულების უქონლობის, მათი არარსებობის გამო სასამართლო იძულებული ხდებოდა მსოფლიოში ცნობილი მაფიოზური კლანების მამები, განგსტერები, მათი პოლიტიკური მფარველები გაეთავისუფლებინა, რადგან სასამართლო კანონს უფრთხილდება, ურჩევნია დამნაშავე დროებით დაუსჯელი დარჩეს, ვიდრე კანონი დაარღვიოს და სასამართლოს სახელი და ღირსება შელახოს.

მურმან ზაქარაია



მზია სიჭინავა (ზაზა მარანელის ადვოკატი) – არავითარი სურვილი არ მქონდა დამეტოვებინა სასამართლო პროცესი და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი დაცვის გარეშე დარჩენილიყო. მაგრამ, როდესაც სასამართლო დაცვის მხარეს უზღუდავს დაცვის უფლებებს, მე არა მაქვს არც პროფესიული და არც მორალური უფლება დეკორაციად დავრჩე პროცესზე.

თეა კობიაშვილი – ვინაიდან არ მომეცით დაცვის განხორციელების საშუალება, პროტესტის ნიშნად ვტოვებ დარბაზს.



ლადო ნორაპიძე – პროცესში მონაწილეობას აზრი არა აქვს, ვინაიდან სასამართლო მართვადია, არ არის დამოუკიდებელი და ვერ გამოიტანს ობიექტურ გადაწყვეტილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატას

მსჯავრდებულ გურამ აბსანძის
ადვოკატების

იოსებ ბარათაშვილისა და
მალხაზ ჯანგირაშვილის

ს ა კ ა ს ა ც ი ო ს ა ჩ ი ვ ა რ ი

გ. აბსანძის მიმართ უზენაესი სასამართლოს სისხლის
სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის
17 აგვისტოს განაჩენის გაუქმების თაობაზე

2001 წლის 17 აგვისტოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ (თავმჯდომარე ი. ტყეშელაშვილი, მსაჯულები: ნ. პაპავაძე, ო. იასეშვილი, ლ. სააკიანი) გამოიტანა განაჩენი გ. აბსანძისა და სხვა განსასჯელების მიმართ, რომლის თანახმად გ. აბსანძე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 307-ე მუხლით, 315-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 187-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 1961 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 ნაწილით, 67-ე მუხლის IV ნაწილით, მე-17 და 104-ე მუხლების მე-3, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტებით; 214-ე მუხლით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 17 წლის ვადით, სასჯელის მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულებით დაწესებულებაში მოხდით.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული განაჩენი გ. აბსანძის მიმართ არის დაუსაბუთებელი, უკანონო და გამოტანილია მთელი რიგი არსებითი გარემოებების სრული იგნორირებით, წარდგენილი მტკიცებულებების გაყალბებით, მიკერძოებით და საპროცესო ნორმების უხეში, არსებითი დარღვევებით, რის გამოც იგი უნდა

გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. განაჩენში მითითებულია, რომ გ. აბსანძემ 1993 წელს ჩაიდინა სახელმწიფო დაღვაწი – მონაწილეობა მიიღო „შეთქმულელებსა და ამბოხებებს“ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დასამხობად და ხელში ჩასაგდებად, რამაც გამოიწვია ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა და სხვა მძიმე შედეგი. მანვე ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი, ანუ სახელმწიფოს კუთვნილი მოძრავი ნივთის – დიდი ოდენობით აშშ დოლარის აქყარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით (იხ. გვ. 82-83).

განაჩენით საყოველთაოდ ცნობილ ფაქტადაა აღიარებული, რომ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში ხელისუფლებასა და ოპოზიციურ ძალებს შორის კონფლიქტის გამწვავებისა და შეიარაღებული შეტაკების შედეგად 1992 წლის 6 იანვარს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები გაიქცნენ ქვეყნიდან და შექმნილი ხელისუფლების ვაკუუმის გამო ქვეყნის მართავდა ჯერ სამხედრო საბჭო, შემდეგ სახელმწიფო საბჭო. 1992 წლის 11 ოქტომბერს კი, განაჩენის ფორმულირებით, საქართველოს მოსახლეობამ დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების გზით აირჩია საქართველოს პარლამენტი და შეიქმნა ლეგიტიმური ხელისუფლება (იხ. გვ. 46-54).

სასამართლო კოლეგიის მიერ განაჩენში მოყვანილი ზემოთ აღნიშნული ფორმულირება სიტყვა-სიტყვით არის გადმოტანილი საბრალდებო დასკვნიდან, რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნული მოსაზრება პირდაპირ გადმოიტანა ყველა თვალსაზრისით უკანონო სამხედრო საბჭოს მიერ დანიშნული პროკურატურის მიერ 1992 წლის იანვარში შეთხზული ფორმულირებიდან, რომლის ძირითად მიზანსაც წარმოადგენდა ხელისუფლების სათავეში ძალადობის გზით მოსული სამხედრო საბჭოს მოსახლეობის თვალში მეტნაკლებად კანონიერ ხელისუფლებად წარმოჩენა.

ზემოაღნიშნულ „საყოველთაოდ ცნობილ“ საკითხებზე მსჯელობისას სასამართლო კოლეგიას მხედველობიდან გამორჩა ის მართლაც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს საერთო სახალხო არჩევნების გზით, 5 წლის ვადით, ანუ 1995 წლის შემოდგომამდე საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეული იქნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – საქართველოს უზენაესი საბჭო, რომელიც არასოდეს, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგაც კი, არავის გაუუქმებია; უზენაესი საბჭოს მიერ

ნამოქალაქობები იქნა აღმასრულებელი ხელისუფლება – მისი-სტრთა კაბინეტის სახით; 1991 წლის 26 მაისს კი ასევე 5 წლის ვადით საქართველოს პრეზიდენტად არჩეული იქნა ზვიად გამსახურდია. აქედან გამომდინარე, 1992-1993 წლებში საქართველოს უხუნაქის საბჭო, პრეზიდენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება კვლავაც წარმოდგენდნენ ქვეყნის დეგიტომური ხელისუფლებას, მით უმეტეს, რომ საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი მუდმივად კონტროლდებოდა აღნიშნული ხელისუფლების მიერ; ხოლო ის ფაქტი, რომ 1992 წლის 11 ოქტომბერს არადეგიტომური სახელმწიფო საბჭოს მიერ დაინიშნა, ჩატარდა არჩევნები და შეიქმნა პარლამენტი, პირდაპირ მიუთითებს საქართველოში ორხელისუფ-ლებიანობის არსებობაზე, რამაც უმძიმესი ასახვა ჰპოვა ქვეყნის ცხოვრებაში.

აქედან გამომდინარე, განაქენის ფორმულირება იმის შესახებ, რომ „საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა 1992 წლის ბოლოს მოაწვეეს შეთქმულება და ამბოხება დეგიტომური ხელისუფლების დასამხობად“, მთლიანად ტენდენციური და არასწორია და არ ემყარება 1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების ზედაპირულ ანალიზსაც კი. სეენს ამ მოსაზრებას განამტკიცებს საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილება, რომელშიც პირდაპირაა ხაზგასმული, რომ 1991 წელს საქართველოში მოხდა კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფლიქტი: „საქართველოს პარლამენტი 1991-1992 წლებში დაწყებულ სამოქალაქო დაპირისპირებას განიხილავს, როგორც საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ პერიოდს, როცა ერთმანეთს გადაეჯაჭვა ურთულესი და ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკურ-სამართლებრივი პრობლემები. საქართველოს პარლამენტი პატივს მიაგებს ძმათა შორის შეიარაღებული დაპირისპირებისას დაღუპულთა ხსოვნას, რომლებიც სამშობლოსათვის იბრძოდნენ, მიუხედავად პოლიტიკური მრწამსისა, და მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვას სამოქალაქო კონფრონტაციას“ (იხ. საქართველოს პარლამენტის 2000 წ. 20 აპრილის დადგენილება).

საქართველოს პარლამენტმა თავისი დადგენილებით დაგმო დეგიტომური ხელისუფლების დამხობის ყოველგვარი მცდელობა, რაშიც, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების გზით კანონიერი ხელისუფლების განდევნის ფაქტი.

სამწუხაროდ, უსენაესი სასამართლოს კოლეგიისათვის არც პარლამენტის შემოადინიშნული დადგენილება აღმოჩნდა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი; უფრო მეტიც, მას რატომღაც მხედველობიდან გამოორჩა საბრალდებო სიტყვის ის პოზიცია, რომლითაც საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების საფუძველზე ბრალდების მხარემ უარი განაცხადა განსასჯელ გ. აბსანძისათვის 1993 წელს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს სსკ 307-ე მუხლითა და 315-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილებით (სახელმწიფო დაღალტი, შეთქმულება, ამბოხება) წარდგენილ ბრალდებაზე და მოითხოვა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა (იხ. საბრალდებო სიტყვა, გვ. 111).

სასამართლო კოლეგიამ სრული იგნორირება გაუკეთა პროკურორების ამ პოზიციას, როდესაც განაჩენში ჩაწერა, რომ თითქოს ბრალდების მხარე გ. აბსანძეს ბრალს სდებდა 1993 წელს სახელმწიფო დაღალტის ჩადენაში, შეთქმულებასა და ამბოხებაში სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დასამხობად და ხელში ჩასაგდებად, რამაც გამოიწვია ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა და სხვა მძიმე შედეგი (იხ. განაჩენი, გვ.5), ხოლო განაჩენის 82-ე გვერდზე აღინიშნა, რომ გ. აბსანძე სასამართლოს მიერ ცნობილი უნდა იქნეს დამნაშავედ სსკ 307-ე და 315-ე მუხლების 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილებით იმისათვის, რომ 1993 წელს ჩაიდინა სახელმწიფო დაღალტი, მონაწილეობა მიიღო შეთქმულებასა და ამბოხებაში. ამის შემდგომ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო კოლეგიამ, ყოველგვარი მსჯელობის გარეშე, საერთოდ დიად დატოვა აღნიშნული საკითხი, რითაც არა მხოლოდ საკუთარ თავთან შევიდა წინააღმდეგობაში და გამოიჩინა კურიოზული გულმაეიწყობა, არამედ უგულებელყო საპროცესო კოდექსის 24-ე და 28-ე მუხლების მოთხოვნებიც.

2. განაჩენის მიხედვით გ. აბსანძე ცნობილი იქნა დამნაშავედ მოქმედი სსკ 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და შეეფარდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნულ ეპიზოდში, კოლეგიის თვალსაზრისით, გ. აბსანძემ სახელმწიფო ქონების გაძარცვის გზით მიისაკუთრა 127 830 ამერიკული დოლარი.

განაჩენში აღნიშნულია, რომ ბესარიონ გუგუშვილის მიერ 1993 წლის 4 ოქტომბერს გამოტანილი იქნა „უკანონო“ დადგენილება, რომლითაც თურმე ირკვევა, რომ როდესაც ამბოხებულებმა დაიკავეს ქ. ფოთი, 1993 წლის 4 ოქტომბერს გ. აბსანძემ ფოთის

მერიის შენობაში გამოიძახა ბანკის მმართველები კორტავა და თოდუა და მისცა მათ წინადადება, ბანკებში არსებული ვალუტა გადაეკათ ეროვნული ბანკის ზუგდიდის განყოფილებისათვის (იხ. განაჩენი, გვ. 56); რის შემდეგაც ზუგდიდის განყოფილების მმართველმა ბ. კანკავამ, გ. აბსანძის დაეალებით, სათანადო საბანკო დოკუმენტების გაფორმებისთანავე 127 830 აშშ დოლარი ჩაიტანა და შეინახა ეროვნული ბანკის ზუგდიდის განყოფილებაში. გ. აბსანძის 1993 წლის 20 ოქტომბრის „უკანონო“ №230 დადგენილებით აგრომრეწვებანკის ზუგდიდის განყოფილებაში გაიხსნა სავალუტო და მიზნინარე ანგარიში და ეროვნული ბანკის ზუგდიდის განყოფილებას დაევალა ამავე ბანკში არსებული 127 830 აშშ დოლარის აგრომრეწვებანკის ზუგდიდის განყოფილებაში გადატანა, რომელიც 1993 წლის 26 ოქტომბერს გ. აბსანძის დაეალებით ეროვნული ბანკის ზუგდიდის განყოფილებიდან ჩაირიცხა აგრომრეწვებანკში განაჩენის თანახმად, 1993 წლის 26 ოქტომბრის №030043987 გასაელის საკასო ორდერის შესაბამისად გ. აბსანძემ ხელი მოაწერა აგრომრეწვებანკიდან 127 830 აშშ დოლარის მიღებას თანხის ხელზე გადაცემიდან დაახლოებით 5 დღის შემდეგ (იხ. განაჩენი, გვ. 57).

სასამართლოს თვალსაზრისით, გ. აბსანძემ მიიღო 127 830 აშშ დოლარი, მაგრამ მან „ვერავითარი საბუთი ვერ დაასახელა იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ფული იხარჯებოდა სასოგადოებრივი საჭიროებისათვის“ (იხ. განაჩენი, გვ. 58).

სასამართლოს განაჩენი ზემოაღნიშნულ ნაწილში მიგვაჩნია უკანონოდ და დაუსაბუთებლად და იგი გაუქმებული უნდა იქნეს, ვინაიდან:

1993 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის ბესარიონ გუგუშვილის მიერ გაცემული იქნა №20 განკარგულება, რომლის თანახმად ეროვნული ბანკის ზუგდიდის განყოფილებასა და აგრომრეწვებანკის განყოფილებაში მიზანშეწონილად ჩაითვადა სავალუტო ანგარიშების გახსნა და რესპუბლიკის ბიუჯეტის კუთვნილი ვალუტის, ფოთის აგრობანკსა და შემნახველი ბანკის განყოფილებებში არსებული ვალუტის ნაშთის ზუგდიდის ეროვნული ბანკის განყოფილებაში ინკასირება. აღნიშნული განკარგულების შესრულება დაევადა ზუგდიდის ეროვნული ბანკისა და აგრობანკის მმართველებს (იხ. ტ. 42; ს.ფ. 69). 1993 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის გ. აბსანძის მიერ ხელმოწერილი

იქნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №230 დადგენილება „აგრომრეწვებანკის ზუგდიდის განყოფილებაში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სავალუტო და მიმდინარე ანგარიშის გახსნის შესახებ“, რომლის თანახმად აგრომრეწვებანკის ზუგდიდის განყოფილებას დაევალა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სავალუტო და მიმდინარე ანგარიშების გახსნა, ხოლო ეროვნული ბანკის ზუგდიდის განყოფილებაში რიცხული ვალუტის ნაშთი მთლიანად გადატანილი იქნა მინისტრთა კაბინეტის სავალუტო ანგარიშზე (იხ. ტ. 42; ს.ფ. 71).

როგორც ბ. გუგუშვილი, ისე გ. აბსანძე საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ თავიანთ თანამდებობებზე დამტკიცებულნი იქნენ 1990-1991 წლებში მოქმედი საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო ზემოთ აღნიშნული განკარგულება და დადგენილება მათ მიერ ხელმოწერილი იქნა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

სასამართლომ მიზანმიმართულად მიჩქმალა მოწმე კორკელიას მიერ როგორც წინასწარ გამოძიებაში, ისე სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენების ის ნაწილი, სადაც იგი მიუთითებდა, რომ ხსენებული 127 830 დოლარის გარდა ზუგდიდის აგრომრეწვებანკის განკარგულებაში იმყოფებოდა დიდძალი ფულადი თანხა და ფასეულობა (იხ. ტ. 42, ს. ფ. 96).

სასამართლო პროცესზე მიცემულ ჩვენებაში მოწმე კორკელიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გარდა 127 830 დოლარისა ზუგდიდის ეროვნულ ბანკში იმ პერიოდში, როდესაც სამეგრელოს რეგიონს აკონტროლებდა ზ. გამსახურდიას ხელისუფლება, ქუთაისიდან ზუგდიდის ეროვნულ ბანკში მოხდა 500 000 აშშ დოლარის ეკვივალენტის, დაახლოებით 80 მილიარდი კუპონის ინკასირება; ზუგდიდის ეროვნული ბანკის საცავში იყო 120 ლიტრამდე ოქროს წყალი და დაახლოებით 300 000 ამპულა მორფი (იხ. ტ. 81, ს.ფ. 7-8), რომლისთვისაც არავის ხელი არ უხლია, მიუხედავად იმისა, რომ გამსახურდიას ხელისუფლებისათვის აღნიშნულის შესახებ კარგად იყო ცნობილი და ხელისუფლების წარმომადგენლებს თავისუფლად შეეძლოთ მისი მოხმარება. ზემოხსენებული თანხა და სხვა ფასეულობა არავის განუკარგავს, ვინაიდან ამის თაობაზე არ არსებობდა მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილება. ასევე უნდა გაეხვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ქ. ფოთის აღნიშნული ბანკებიდან 127 830 დოლარის ინკასირების შემდეგ ხელუხლებლად

იქნა დატოვებული: აგრომრეწებანკის ფოთის განყოფილებაში – მოსახლეობის პირად ანაბრებზე და იურიდიული პირების ანგარიშზე პირად ანაბრებზე რიცხული 6488 აშშ დოლარი, 153 563 430 კუპონი და 7843 საბჭოთა მანეთი, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის კომერციული შემნახველი ბანკის ქ. ფოთის № 3487 განყოფილებაში – 9711 აშშ დოლარი, 2 792 339 საბჭოთა მანეთი, 3 730 200 რუსეთის რესპუბლიკის მანეთი და 41 843 182 ქართული კუპონი (იხ. ტ. 42, ს. ფ. 35), რის საქმის კურსშიც, რასაკვირველია, იყვნენ ზ. გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენლები. ამიტომ იყო, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის № 20 განკარგულებაში სპეციალურად იქნა შეტანილი მე-2 პუნქტი: „რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი ვალუტის ნაშთი, რომელიც ირიცხება ფოთის აგრობანკსა და შემნახველი ბანკის განყოფილებაში, ინკასირებულ იქნეს ზუგდიდის ეროვნული ბანკის განყოფილებაში“. დადგენილებაში ჩაწერილი იქნა რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი ნაშთი და არა აგრობანკსა და შემნახველი ბანკის განყოფილებაში არსებული ვალუტის ნაშთი. თვით ამ განკარგულების არსებობა იყო გარანტი ფოთის ბანკებში არსებული ვალუტისა და სხვა ფასეულობების დაცულობისა. იმ შემთხვევაში, თუ ისინი თვითნებურად მოინდომებდნენ ბანკებში არსებული ყველა თანხის გატანას, წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევდა, რასაც ადასტურებს სასამართლო პროცესზე მოწმე ვასილ თოდუას (1993 წელს ფოთის აგრობანკის მმართველი) ჩვენება, რომელმაც მიუთითა: „მათ (გ. აბსანძესა და სხვებს) შეეძლოთ მთლიანად გაეტანათ თანხა და მე მათ ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდი“ (იხ. ტ. 80. ს. ფ. 313). რაც შეეხება ფოთის ორი ბანკიდან ზუგდიდის ეროვნული ბანკის ფილიალში 127 830 აშშ დოლარის ინკასირებისას იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვას, არავითარი ეჭვის საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ აღნიშნული თანხის ინკასირებისას არ დარღვეულა არა თუ კანონმდებლობა, უწყებრივი ინსტრუქციების ყველაზე უმნიშვნელო მოთხოვნებიც კი, რაც მთლიანად დასტურდება წინასწარ გამოძიებაში დაკითხული მოწმეების კორტავას, კანკავასა და აფხაზავას ჩვენებებით (იხ. ტ. 42. ს. ფ. 15-35).

ქ. ფოთიდან ინკასირებული 127 830 აშშ დოლარი 1993 წლის 5 ოქტომბერს ჩატანილი იქნა ქ. ზუგდიდში, რის თაობაზეც ეროვნული ბანკის ზუგდიდის განყოფილების იმდროინდელი მმართველი კანკავა, რომლის მიერაც განხორციელდა ფოთის ორი ბანკიდან

თანხის ინკასირება, აღნიშნავდა: „ფოსტის აგრობანკიდან და შექმნახველი ბანკის განყოფილებიდან ინკასირებული 127 830 აშშ დოლარი ჩამოვიტანე ქ. ზუგდიდში, რასეც აბსანძისაგან მივიღე დავალება, რომ იგი შემენახა ბანკის საცავში და სათანადო დოკუმენტების გაფორმებით აღებული იქნა შემოსავალში“ (იხ. ტ. 42. ს.ფ. 76).

აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ 1993 წლის 5 ოქტომბერს გ. აბსანძეს სრული შესაძლებლობა ჰქონდა დაუფლებოდა და განეკარგა ზემოაღნიშნული თანხა, რაც მის მიერ არ გააკეთებულა; პირიქით, გ. აბსანძის მითითებით ფოთიდან ინკასირებული თანხის თაობაზე გაფორმებული იქნა სათანადო დოკუმენტები და თანხა შენახული იქნა ეროვნული ბანკის საცავში. ყოველივე ეს სრულიად გამორიცხავს გ. აბსანძის მიერ 127 830 აშშ დოლარის მისაკუთრების განზრახვას. სამწუხაროდ, სასამართლო კოლეგიის მიერ მრავალი სხვა მტკიცებულების მსგავსად, ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი მტკიცებულებაც მთლიანად იქნა იგნორირებული. ასევე არ მიექცა სასამართლოს ყურადღება მოწმე კორკელიას მიერ სასამართლო გამოძიებისათვის მიცემული ჩვენების იმ ნაწილს, სადაც მან აღნიშნა, რომ თანხის გადაცემა გ. აბსანძისათვის მოხდა მრავალი ადამიანის თანდასწრებით და რომ აღნიშნული თანხის გასაგლის ორდერზე გ. აბსანძემ ხელი მოაწერა თანხის მიღებიდან 5-6 დღის გასვლის შემდეგ. კორკელია მიუთითებს: „თანხით მივედი მერიის შენობაში, სადაც ხელისუფლება იყო განთავსებული. მე მახლდა ბ-ნი გურამის დაცვა, სამი პიროვნება, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ. მე ამ თანხით ავედი მე-3 სართულზე, სადაც მიმდინარეობდა მთავრობის სხდომა. მთავრობის გარდა იქ იყვნენ დეპუტატებიც და იყო უცხო ხალხიც. იქ 30 კაცზე ნაკლები ნამდვილად არ იქნებოდა. ზოგი იდგა ფეხზე. დეპუტატებიდან ესწრებოდა გია მამფორია, ტარიელ გელანტია, გუგუშვილი. უცხო ხალხიც იყო. იყო აწ გარდაცვლილი ჯამბული, რომელსაც ფქვილი და სხვადასხვა პროდუქტი შემოჰქონდა. მე ეს თანხა დავდე გურამის მაგიდაზე, რომელმაც გახსნა. იყო დოლარის კუპიურები, მაგრამ მე არ დამინახავს რა კუპიურები იყო. გურამმა იგი დაითვალა. ეს არის ის პერიოდი, როდესაც აფხაზეთი დაკარგულია. ზუგდიდში გაიხსნა დახმარების ფონდი. ამ შემადგენლობაში იყო მაქაცარია, ასევე ტარიელ გელანტია და სხვები. კოორდინაციას უწევდა ბ-ნი გურამ აბსანძე, ხელმოუწერელი ორდერი იყო 5-6 დღე მაინც. თანხა მე გ. აბსანძეს გადავეცი 26 ოქტომბერს, ხოლო იმ დროს, როდესაც გურამმა ხელი მომიწერა დოკუმენტზე, მაშინ მე ფული მისთვის

არ გადამიცია“ (იხ. ტ. 81, ს.ფ. 7).

კორკელიას ჩვენებიდან გამოძინარეობს, რომ გურამ აბსანძემ გ. კორკელიასაგან თანხა მიიღო ზუგდიდის შერიის შენობაში მრავალი ადამიანის, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლების თანდასწრებით და აღნიშნული თანხის გასაველის ორდერზე გ. აბსანძის მიერ ხელმოწერა მოხდა თანხის მიღებიდან 5-6 დღის შემდეგ.

რაც შეეხება გურამ აბსანძისა და გ. კორკელიას მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებებს შორის გარკვეულ წინააღმდეგობას, იმ ნაწილში, სადაც გ. აბსანძე ამტკიცებდა, რომ 127 830 აშშ დოლარის მის მიერ მიღება მოხდა ნაწილ-ნაწილ, ხოლო თანხის გასაველის ორდერზე მან ხელი მოაწერა თანხის ბოლო ნაწილის მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, სასამართლოს არც ამ შემთხვევაში გააჩნდა საფუძველი რაიმე ეჭვი შეეატანა გ. აბსანძის ჩვენების სისწორეში, მით უმეტეს, რომ მისი აღნიშნული ჩვენების სინამდვილე დასტურდება როგორც ზუგდიდის აგრომრეწვბანკის მთავარი ბუღალტრის მოადგილის დ. ტურავას ჩვენებით, ისე თავად მოწმე გ. კორკელიას სასამართლოსადმი მიცემული ჩვენებით, როდესაც მან აღიარა, რომ 1993 წლის 26 ოქტომბერს ის თანხა, რომელიც მან აღიარა, რომ 1993 წლის 26 ოქტომბერს ის თანხა, რომელიც მან გ. აბსანძეს გადასცა, გ. კორკელიას არ დაუთვლია. მოწმე დ. ტურავამ წინასწარ გამოძიებას უჩვენა შემდეგი: „ფაქტიურად, მე ფული, მხედველობაში მაქვს 127 830 დოლარი, არ დამითვლია, არც მინახავს... ერთი და იმავე დღეს გამოეწერე როგორც შემოსავლის, ისე გასაველის საკასო ორდერი, შემომტანად აღვნიშნე ეროვნული ბანკის ზუგდიდის განყოფილება, ხოლო თანხის გამტანად – პრეზიდენტყოფილის მთავრობის ფინანსთა მინისტრი გ. აბსანძე... 1993 წლის 26 ოქტომბრით დათარიღებული ორდერი მე მეკუთვნის“ (იხ. ტ. 42, ს.ფ. 105-106); ხოლო მოწმე გ. კორკელიამ სასამართლოს უჩვენა, რომ მას გ. აბსანძისათვის 1993 წლის 26 ოქტომბერს გადაცემული თანხა არ დაუთვლია (იხ. ტ. 81, ს.ფ. 7;11;13), ხოლო მოსამართლის შეკითხვაზე, თუ რატომ მისცა წინასწარ გამოძიებას გ. კორკელიამ ჩვენება იმის შესახებ, რომ გ. აბსანძემ მან გადასცა 127 830 დოლარი, მოწმე გ. კორკელიამ უპასუხა: „იმ ბანკში ასოცდაშვიდი ათასი არ იყო, იქ იყო სხვა თანხა. მე რასაც გამოძიებული მეტყოდა, ისე ვწერდი ყველაფერს“ (იხ. ტ. 81, ს.ფ. 15). კოლეგიის თავმჯდომარის განმეორებით შეკითხვაზე – „ეს ჩვენება, რომელიც თქვენი ხელით არის დაწერილი (იგულისხმება გ. კორკელიას მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული

ჩვენება) ვისი ნააზრევია?“ გ. კორკელიამ კვლავ უპასუხა: „მე როგორც გამოძიებელი მეტყობა, ისე ეწერდი“ (იხ. ტ. 81, ს.ფ. 15).

მოწმეების ტურავასა და კორკელიას ზემოაღნიშნული ჩვენებები მთლიანად ადასტურებენ გ. აბსანძის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას იმის შესახებ, რომ ზუგდიდის აგრომრეწვბანკიდან 127 830 აშშ დოლარის გატანა ხდებოდა ნაწილ-ნაწილ, ხოლო დოკუმენტი თანხის გატანის თაობაზე შედგა ერთჯერადად, რომელსაც გ. აბსანძის მიერ ხელი მოეწერა თანხის ბოლო ნაწილის გადაცემიდან 5-6 დღის შემდეგ (იხ. გ. აბსანძისა და გ. კორკელიას ჩვენებები ტ. 7, ს.ფ. 170; ტ. 81, ს.ფ. 15). თუმცა მოწმე კორკელიას მიერ წინასწარ ძიებაში და სასამართლოსათვის მიცემული ჩვენებების წინააღმდეგობრიობას აღნიშნულ ნაწილში არსებითი მნიშვნელობა არ შეიძლება მიენიჭოს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა ის გარემოება, ერთხელ მიიღო გ. აბსანძემ ეს თანხა თუ რამდენჯერმე, არამედ ის, თუ რომელ საკანონმდებლო აქტებს ეფუძნებოდა აღნიშნული თანხის ინკასირება და, რაც მთავარია, რა მიზნით და როგორ მოხდა მისი განკარგვა. სამწუხაროდ, სასამართლო კოლეგიამ ამ შემთხვევაშიც ტენდენციურად დახუჭა თვალი მოწმე კორკელიას ჩვენების იმ ნაწილზე, რომელმაც მთლიანად დაადასტურა გ. აბსანძის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენების სისწორე.

სასამართლოს მიერ ასევე იგნორირებული იქნა ის გარემოება, რომ 1993 წლის ოქტომბრის დასაწყისიდან ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში იმყოფებოდა 190 000-ზე მეტი აფხაზეთიდან დევნილი, რომელთა უფასო კვების, პროდუქტებით მომარაგების, ტრანსპორტირებისა და განთავსების საკითხების მოგვარება მთლიანად საკუთარ თავზე აიღო ზ. გამსახურდიას ხელისუფლებამ. იმავე მოწმე კორკელიას სასამართლოსადმი მიცემული ჩვენებით, „ზუგდიდში გახსნილი იყო სასადილოები, სადაც ლტოლვილები საჭმელს ჭამდნენ, გამოყოფილი იყო ერთი პიროვნება, რომელიც ამას არეგულირებდა. კვება ამ სასადილოებში იყო უფასო, ფუნქციონირებდა დაახლოებით ხუთი სასადილო“ (იხ. ტ. 81, ს.ფ. 8-9). ყოველივე ეს სრულ შესაბამისობაშია გ. აბსანძის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებასთან (იხ. ტ. 7, ს.ფ. 170), სადაც აღნიშნულია, რომ 127 830 აშშ დოლარი მთავრობის მიერ დახარჯული იყო აფხაზეთიდან დევნილებისათვის და ეროვნული გვარდიისათვის საწვავ-საცხები მასალის შესაძენად.

სასამართლო კოლეგიის მიერ მიზანმიმართულად იქნა

გაყალბებული გ. აბსანძის მიერ 127 830 ამერიკული დოლარის მიღებასთან დაკავშირებით წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება, როდესაც განაჩენში აღინიშნა, რომ თითქოს გ. აბსანძე წინასწარი გამოძიების პროცესში უარყოფდა 127 830 აშშ დოლარის მიღებას.

გურამ აბსანძე წინასწარ გამოძიებაში არა თუ უარყოფდა თანხის მიღებას, არამედ, პირიქით, იგი ამტკიცებდა, რომ თანხა მიღებულ იქნა უფრო ადრე და იგი დაიხარჯა დევნილების პრობლემების მოსაგვარებლად და ეროვნული გეარდიისათვის საწვავ-საცხები მასალების შესაძენად (იხ. ტომი 7, ს.ფ. 71; ს.ფ. 237-239).

არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს იმის დანახვა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ გავიზიარებთ გ. აბსანძის ჩვენებებს, ნათელია, რომ იგი მოქმედებდა პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტის მიერ გამოცემული კანონიერი აქტების საფუძველზე და ზუგდიდის აგრომრეწვებანიდან 127 830 აშშ დოლარი მრავალი პიროვნების თანდასწრებით მიიღო არა როგორც კერძო პირმა, არამედ როგორც პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა, რასაც ადასტურებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 26 ოქტომბრის №254 დადგენილება, რომლის მიხედვითაც „აგრომრეწვებანი“ ზუგდიდის განყოფილებას დაევალა მინისტრთა კაბინეტის საეკონომიკური ანგარიშზე არსებული ვალუტის ნაშთის ამოღება და მინისტრთა კაბინეტისათვის გადაცემა აფხაზეთიდან ლტოლვილთა პრობლემების, ეროვნული გეარდიისათვის საწვავ-საცხების შექმნის და სხვა საგანგებო ღონისძიებების დასაფინანსებლად. მხოლოდ გურამ აბსანძეს შეეძლო მინისტრთა კაბინეტის ანგარიშზე რიცხული ვალუტის მიღებაზე ხელის მოწერა, სხვა თანამდებობის პირს ამის უფლებამოსილება არ გააჩნდა. ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ რეგიონში ახორციელებდა ისეთ საფინანსო, საბანკო და ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც მოქმედი კონსტიტუციით კონდა მინიჭებული. ამავე კონსტიტუციის საფუძველზე მოქმედებდა გურამ აბსანძეც, საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე – ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი. ის ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, ამასთან აღნიშნული თანხის განკარგვა მოხდა ხელისუფლების ნების შესაბამისად აფხაზეთიდან დევნილთა საჭიროებისათვის და საწვავ-საცხები მასალის შესაძენად სასამართლო განაჩენში ჩაიწერა, რომ „გ. აბსანძემ ვერა

ვითარი საბუთი ვერ დაასახელა იმის დასადასტურებლად, რომ ეს ფული იხარჯებოდა საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“.

აღნიშნულ ფორმულირებასთან მიმართებაში ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ სასამართლო კოლეგიამ თავისი უკანონო ქმედებით, რაც გამოიხატა მის მიერ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გ. აბსანძისათვის მტკიცებულებების წარდგენის აკრძალვაში, უხეშად დაარღვია სსსკ მე-15, მე-18, 49-ე და 439-ე მუხლები, რითაც დაცვის მხარეს მოუსპო საშუალება 127830 აშშ დოლარის ეპიზოდში მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებების წარდგენისა, მათ შორის 1993 წელს ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრების, დევნილი ხელი-სუფლების უხეშავესი საბჭოს წევრების, მთაერობისა და ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლების მოწმეებად დაკითხვისა (სულ 100-ზე მეტი მოწმე) და დოკუმენტური მასალის, მათ შორის თვით საქმეში არსებული მტკიცებულებების წარდგენისა (მაგალითისათვის იხილეთ 59-ე ტომის 116-ე-154-ე საქმის ფურცლები, რომლებიც მთლიანად ეთმობა ზ. გამსახურდიას ხელისუფლებისა და წალენჯიხის ადგილობრივი მმართველობის ურთიერთმიმოწერას, ფულადი სახსრების, პროდუქტებისა და საწვავ-საცხები მასალების გამოყოფის თაობაზე, იმ დროს წალენჯიხაში მყოფი 40 000-ზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირის შენახვის აუცილებლობისათვის), რაც ნათელს მოჰფენდა გ. აბსანძის სრულ უდანაშაულობას აღნიშნულ ეპიზოდში და 127 830 აშშ დოლარის ლტოლვილთა საჭიროებისათვის მიზნობრივად განკარგვის ფაქტს.

ამასთან ერთად სასამართლო კოლეგიის მიერ მთელი რიგი საპროცესო ეტაპების თვითნებურად გამოტოვების გამო გ. აბსანძეს არ მიეცა აღნიშნულ ეპიზოდთან დაკავშირებით ჩვენების მიცემის შესაძლებლობა. აღნიშნული არსებითი ხასიათის პროცესუალური დარღვევების შესახებ ქვემოთ უფრო დეტალურად გვექნება საუბარი.

ყველა ზემოხსენებული საკითხის მიზანმიმართული იგნორირება გახდა საფუძველი სასამართლოს მიერ აღნიშნულ ეპიზოდში აშკარად დაუსაბუთებელი, არაობიექტური და კანონსაწინააღმდეგო განაჩენის გამოტანისა. სასამართლო საერთოდ არ დაინტერესებულა იმ უპრეცედენტო მოვლენით, თუ როგორ შეიძლება მძარცველი მოქმედებდეს მთაერობის დადგენილებების შესაბამისად, გასაძარცვი თანხის ინკასირებას

ახდენდეს ერთი ბანკიდან მეორეში, მთელი თვის განმავლობაში არ იტაცებდეს იმ თანხას, რომელზეც ხელი თავისუფლად მიუწვდება. ამორჩევით ეუფლებოდეს იმ ქონების მცირეოდენ ნაწილს, რომლის მისაკუთრებაც მისთვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს და ხელს აწერდეს ძარცვის გზით მოპოვებული თანხის გასაელის ორდერზე. ამგვარი ელემენტარული საკითხების გაუთვალისწინებლობის გამო სასამართლო კოლეგია იქამდე მივიდა, რომ თავისი გადაწყვეტილებით პასუხი ვერ გასცა აღნიშნულ ეპიზოდთან დაკავშირებულ ყველაზე მარტივ კითხვებსაც კი.

სემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განაჩენის ის ნაწილი, რომლითაც გ. აბსანძის ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, უნდა გაუქმდეს სსსკ 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და საქმე დაბრუნებულ უნდა იქნეს ხელახალი სასამართლო განხილვისათვის.

ასევე არ შეძლება არ აღინიშნოს, რომ განაჩენის აღნიშნული ნაწილი მთლიანად ეწინააღმდეგება პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების სულისკვეთებას.

3. არც განაჩენში და არც საბრალდებო სიტყვაში საერთოდ არ არის ნახსენები სახელმწიფო ბრალდების მიერ სასამართლოსათვის 2001 წლის 5 აპრილს გ. აბსანძის მიმართ წარდგენილი ბრალდების ახალი ფორმულირების ის ეპიზოდი, რომელიც ეხებოდა „გ. აბსანძისა და სხვა შეთქმულთა ორგანიზებული ბანდების მიერ ფოთის ნავსადგურიდან 7824 ტ. შაეი ლითონის ჯართის გატაცებას“, რითაც, სახელმწიფო ბრალდების აზრით, გ. აბსანძემ ჩაიდინა 1961 წლის რედაქციის სსკ 78-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, ანუ ბანდიტიზმი (იხ. გ. აბსანძის მიმართ ბრალდების 2001 წლის 5 აპრილის ფორმულირება გვ. 5). აქედან გამომდინარე, ვინაიდან ბრალდების მხარეს არ დაუყენებია საკითხი აღნიშნულ ეპიზოდში სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ და არც კვალიფიკაცია შეუცვლია, ხოლო სასამართლომ საერთოდ უყურადღებოდ დატოვა აღნიშნული საკითხი, რომელშიც გ. აბსანძეს ბრალი ედებოდა 1993 წლიდან, დაახლოებით 8 წლის განმავლობაში, მართებული იქნება დავასკვნათ, რომ კოლეგია როგორც სასამართლო გამოძიების, ისე განაჩენის გამოტანის დროს, ყოველგვარი ობიექტურობის უგულვებელყოფით, ბრმად მიჰყვებოდა სახელმწიფო ბრალდების პოზიციას და როდესაც

ბრალდების მხარეს თავისი გულმაეიწყოებისა თუ სხვა ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო გამორჩა აღნიშნული ეპიზოდი, სასამართლო კოლეგიამ შექანიკურად გაიმეორა იგივე შეცდომა, რითაც კიდევ ერთხელ ცხადყო თავისი არაობიექტურობა და დაუღვერობა.

4. სასამართლო კოლეგიის განაჩენით გ. აბსანძე ცნობილი იქნა დამნაშავედ 1998 წლის თებერვალში საქართველოს პრეზიდენტ ე. შევარდნაძესე განხორციელებული ტერაქტის მცდელობის ორგანიზებასა და დაფინანსებაში, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე მუხლით, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით, 187-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 1961 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17, 67-ე მუხლების მე-4 ნაწილით, მე-17, 104-ე მუხლების მე-3, მე-4 მე-6 და მე-7 პუნქტებით და მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხლით.

განაჩენის თანახმად, გ. აბსანძემ 1997-1998 წლებში ჩაიღინა სახელმწიფოს ღალატი – შეთქმულება სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით დასამხობად და ხელში ჩასაგდებად, რომლის განსახორციელებლად ორგანიზება გაუწია პირთა ჯგუფს და 1998 წლის 9 თებერვალს ჩაიღინა ტერაქტის მცდელობა საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის მოკვლისა და ხელისუფლების შესუსტების მიზნით; მანვე ტერაქტის მცდელობის დროს განზრახ ჩაიღინა რამდენიმე პირის მკვლელობის მცდელობა და სახელმწიფო ქონების დაზიანება და განადგურება, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი.

სრულად გაიზიარა რა ბრალდების მხარის პოზიცია, კოლეგიამ განაჩენით დადასტურებულად მიიჩნია, რომ გ. აბსანძემ 1997-1998 წლებში მოაწყო შეთქმულება და განიზრახა საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის მკვლელობა, რისთვისაც იგი 1997 წლის გაზაფხულსე დანაშაულებრივად დაუკავშირდა გ. ესებუას, ხოლო მისი მეშვეობით – ზ. ეჯიბიას, ბ. თოდუას, ნ. ჩუხუას, ზ. მარანელსა და სხვებს. შეთქმულებული გეგმის მიხედვით შეთქმულების საერთო ხელმძღვანელობა და დაფინანსება ევალებოდა გ. აბსანძეს, რომელიც დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ ხელისუფლების სათავეში უნდა მოსულიყო. თავდასხმის უშუალო მომზადება და განხორციელება დავალებული ჰქონდა გ. ესებუას, რომელმაც ჯგუფი 1997 წლის ივლისში მოსამზადებლად ჩაიყვანა ჩენეთში. 1997 წლის ოქტომბერში, ჩენეთის სამხედრო ბანაკში ჩავიდა გ. აბსანძე,

რომელმაც, განაჩენის ფორმულირების თანახმად, შეამოწმა ჯგუფის წევრთა მომზადების მიმდინარეობა, შეხვდა სამხედრო ბანაკის ხელმძღვანელებს, რა დროსაც გადაწყდა, რომ ე. შევარდნაძეზე თაყდასხმაში ქართველებთან ერთად მონაწილეობას მიიღებდა 6 ჩეჩენი (იხ. განაჩენი, გვ. 48-49). სამხედრო ბანაკში შეხვედრის დროს გ. აბსანძემ მოუწოდა გ. ესებუას ჯგუფის წევრებს პრეზიდენტ შევარდნაძის მოკელისაკენ და დაჰპირდა მათ ფინანსურ დახმარებას, ხოლო დაახლოებით 10 დღის შემდეგ გ. აბსანძემ შეასრულა დანაპირები და გ. ესებუას გაუგზავნა საჭირო თანხა (იხ. განაჩენი, გვ. 60-61). გარდა ამისა, როგორც განაჩენში აღინიშნა, გ. აბსანძე რამდენჯერმე ჩავიდა ჩეჩნეთის საწყრთხელ ბანაკში და ინახულა ტერაქტში მონაწილე პირები. ტერაქტი უნდა გადაეღოთ ვიდუოფირზე, რომელსაც შემდგომში აჩვენებდნენ გ. აბსანძეს (იხ. განაჩენი, გვ. 61).

სასამართლო კოლეგიის თვალსაზრისით, განაჩენის აღნიშნული ფორმულირება დადასტურებულია განსასჯელების ეჯიბიას, თოდუასა და მარანელის ჩეენებებით, აგრეთვე დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების სახით წარდგენილი წიგნით „ჯიხაშკარის სეედიანი მზე“, სადაც აღწერილია საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის ჯ. გახოკიძის საუბრები გ. ესებუასთან.

ზემთ თქმულიდან გამომდინარე, გ. აბსანძის მიმართ განაჩენით დადასტურებულად მინიუელი ბრალდების არსი 1998 წლის 9 თებერვლის ბრალდების ეპიზოდში შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. 1997 წლის გაზაფხულზე გ. აბსანძე დაუკავშირდა გ. ესებუას და შეიმუშავა დანაშაულებრივი გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა პრეზიდენტ ე. შევარდნაძის ლიკვიდაციას და არსებული ხელისუფლების დამხობას.

2. გ. აბსანძის როლი აღნიშნულ გეგმაში განისაზღვრა ტერორისტული აქტის ორგანიზებასა და დაფინანსებაში.

3. დანაშაულებრივი ჯგუფი მიზნად ისახავდა სახელმწიფო ხელისუფლების დამხობით ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და გ. აბსანძის ხელისუფლების სათავეში მოსვლას.

4. გ. აბსანძე, როგორც დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზატორი და დამფინანსებელი, ჩავიდა ჩეჩნეთში, სოფ. ავტურის სამხედრო ბანაკში, სადაც:

- შეამოწმა ჯგუფის წევრების საბრძოლო მომზადების მიმდინარეობა;

- მოუწოდა ჯგუფის წევრებს ე. შვეარდნაძის მოკვლისაკენ;
- გაერკვა ჯგუფის წინაშე წამოჭრილ ფინანსურ პრობლემებში და დაჰპირდა ჯგუფს ფინანსურ დახმარებას, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ დაეხმარა კიდევ.

- სამხედრო ბანაკის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების გზით გადაწყვიტა საკითხი ტერაქტის განხორციელებაში ექვსი ჩეჩენი მებრძოლის მონაწილეობის შესახებ გ. ესებუას ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად;

- გ. აბსანძე რამდენჯერმე ჩავიდა ჩეჩნეთის საწერთსკლ ბანაკში და ინახულა ტერაქტში მონაწილე პირები.

მიგვაჩნია, რომ გ. აბსანძის მიმართ გამოტანილი განაჩენის აღნიშნული ნაწილი აგებულია მტკიცებულებებისა და ფაქტების არაობიექტურ და გაყალბებულ ანალიზზე, შედგენილია მთელი რიგი არსებითი ფაქტებისა და მტკიცებულებების სრული იგნორირებით, ნებისმიერ ფასად გ. აბსანძის დადანიშნულების აკეიატებული სურვილით, რის გამოც განაჩენი გ. აბსანძის მიმართ 1998 წლის 9 თებერვლის თავდასხმის ეპიზოდში გაუქმებული უნდა იქნეს და საქმე უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1) განაჩენში აღნიშნულია, რომ გურამ აბსანძემ 1997 წლის გაზაფხულზე განიზრახა პრეზიდენტ ე. შვეარდნაძის მოკვლა, ძალაუფლების ხელში ჩაგდება და იგი ამ მიზნით იმავე 1997 წლის გაზაფხულზე დაუკავშირდა გ. ესებუას და მასთან ერთად შეიმუშავა დანაშაულებრივი გეგმა, რომლის თანახმად, გ. აბსანძის საერთო ხელმძღვანელობით და დაფინანსებით გ. ესებუას უნდა შეექმნა შეიარაღებული ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც განახორციელებდა ტერაქტს საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ და დანაშაულის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა გ. აბსანძე.

აღნიშნულ ბრალდებებთან დაკავშირებით გვინდა განვაცხადოთ შემდეგი: საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულებით, არც ვინმეს ჩვენებით და არც რომელიმე დოკუმენტით არ დასტურდება, რომ გურამ აბსანძემ 1997 წლის გაზაფხულზე განიზრახა პრეზიდენტ ე. შვეარდნაძის მოკვლა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება. არავითარი მტკიცებულება არ არსებობს იმის შესახებაც, რომ 1997 წლის გაზაფხულზე გ. აბსანძე დაუკავშირდა გ. ესებუას და მასთან ერთად შეიმუშავა დანაშაულებრივი გეგმა. აქედან გამომდინარე, განაჩენის პოზიცია იმის თაობაზე, რომ 1997 წლის

გაზაფხულზე გ. აბსანძეს აზრად მოუვიდა პრეზიდენტ შევარდნაძის მოკვლა და ამ მიზნის განსახორციელებლად იმავე წლის გაზაფხულზე შეიმუშავა გ. ესებუასთან ერთად დანაშაულებრივი გეგმა, წარმოადგენს კოლეგიის სუბიექტურ მოსაზრებას, რომელიც არავითარი ობიექტური არგუმენტით განმტკიცებული არ არის.

რაც შეეხება განაჩენის იმ ნაწილს, სადაც საუბარია საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების დამხობასა და ხელისუფლების ხელში ჩაგდებაზე, ამ საკითხში სასამართლო კოლეგიის განაჩენი ეფუძნება ბრალდებულების ზ. ეჯიბიასა და ზ. მარანელის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებებს.

სურავთ ეჯიბიას 1998 წლის 4-11 მარტს ბრალდებულის სახით დაკითხვის დროს მიცემულ ჩვენებებში ჩაწერილია: „გ. ესებუას ბანაკში ვარჯიშის დროს ჩემთან არაერთხელ ნათქვამი ჰქონდა, თუ ჩვენ წარმატებით განვახორციელებდით საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმას, მოვახდენდით მის ლიკვიდაციას და განადგურებას, მაშინ ორმოცი დღის შემდეგ დაინიშნებოდა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, დასავლეთ საქართველოს 70 პროცენტამდე მხარს დაგვიჭერს და საქართველოს პრეზიდენტი გახდება გ. აბსანძეო. მას ჩემთვის არ უთქვია დასავლეთ საქართველოს რაიონების ადმინისტრაციული ხელმძღვანელები დაუჭერდნენ თუ არა მხარს“ (ტ. 9, სფ. 205).

ბრალდებულ მარანელის ჩვენებებში ვკითხულობთ:

„მან (გ. ესებუამ) მითხრა, რომ შეიცვლებოდა მთავრობა და საქართველოს სათავეში მოვიდოდა ჩემი კაცი. როგორც გ. ესებუამ მითხრა, ეს მათი კაცი იყო გურამ აბსანძე. ესებუამ აგრეთვე მითხრა, რომ პრეზიდენტის მოკვლის შემთხვევაში ზუგდიდიდან წამოვიდოდნენ სოსო ჯომიდავას შეიარაღებული ჯგუფები, ასევე მხარს დაუჭერდა ა. ელიავა შეიარაღებული ჯგუფით და კიდევ ვიღაც გაელენიანი პიროვნება, მეტსახელად „პუშკინა“.

... გეგმით, მიუხედავად იმისა, წარმატებით დამთავრდებოდა თუ წარუმატებლად ოპერაცია, სამი დღის განმავლობაში თავი უნდა შეგვენახა. ამ დროის განმავლობაში ზუგდიდიდან შემოვიდოდნენ ს. ჯომიდავა, ა. ელიავა, „პუშკინა“. ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჩიჩნუთიდან შემოვიდოდა 1000-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი“ (იხ. ტ. 10, სფ. 86).

ზ. მარანელის ჩვენებაში ბრალდებულის სახით დამატებით დაკითხვისას, 1998 წ. 10 აპრილს დაფიქსირებულია: „როგორც მან (გ. ესებუამ) მითხრა, მკვლელობის შემთხვევაში საქართველოს

პრეზიდენტი გახდებოდა გურამ აბსანძე. მისგან (ესებუასგან) ვიცოდით, რომ მას მხარს უჭერდნენ ეროვნული ძალები და შევარდნაძის მოკვლის შემდეგ ეს ძალები შემოვიდოდნენ თბილისში“ (ტ. 10, ს.ფ. 126), ხოლო ზ. მარანელის ბრალდებულად დამატებით დაკითხვის 1998 წლის 27 მაისის ოქმში მითითებულია: „ვიცი ის, რომ ტერაქტის წარმატებით განხორციელების შემდეგ საქართველოს სათავეში უნდა მოსულიყვნენ გურამ აბსანძე და ის პირები, რომლებიც შედიოდნენ ზ. გამსახურდიას მთავრობაში. ჩემთვის არ არის ცნობილი გურამ აბსანძისა და გურამ ლაკიას გარდა თუ ვინ უნდა მოსულიყო საქართველოს მთავრობაში და რა თანამდებობაზე. მე არც ის ვიცი, თუ რა თანამდებობები უნდა დაეკავებინათ გ. აბსანძეს და გ. ლაკიას ტერაქტის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში“ (ტ. 10, ს.ფ. 134).

ზ. ეჯიბიასა და ზ. მარანელის ზემოაღნიშნულ ჩვენებებზე დაყრდნობით, გამოძიებამ დაასკვნა, რომ გ. აბსანძეს განზრახული ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება. განაჩენში საბრალდებო დასკვნის ფორმულირება გურამ აბსანძის მიერ საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის შესახებ, მართალია, აღარ იქნა ასახული, ვინაიდან სრული უსაფუძვლოდ გამო ჯერ კიდევ სასამართლო გამოძიების პროცესში თქვა მასზე უარი ბრალდების მხარემ, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია ამ ეპიზოდში საბრალდებო დასკვნის ვერსიის დეტალური გაანალიზება, რათა სრულად წარმოჩნდეს გ. აბსანძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შესახებ განაჩენით გაზიარებული პოზიციის არარეალურობა და მიკერძოებულობა.

ზ. ეჯიბიასა და ზ. მარანელის აღნიშნულ ჩვენებებში გამოთქმული მოსაზრება კატეგორიულად იქნა უარყოფილი გ. აბსანძის მიერ როგორც წინასწარ, ისე სასამართლო გამოძიების სტადიებზე. იგი არ დაადასტურა ზ. ეჯიბიამაც გ. აბსანძესთან დაპირისპირების დროს, ხოლო სასამართლო გამოძიების სტადიაზე ზემოაღნიშნულ ჩვენებათა სისწორე უარყოფილ იქნა როგორც ზ. ეჯიბიასა და ზ. მარანელის, ისე განსასჯელების – ნ. ჩუხუას, გ. ქობალიას და ბ. თოდუას მიერ. ამჯერად ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია გავაანალიზოთ ის ხერხები და საშუალებები, რომლითაც ბრალდებულებისგან მოპოვებულ იქნა აღნიშნული ჩვენებები და სასამართლოს ყურადღებას მივაპყრობთ იმ აშკარა წინააღმდეგობებზე, რომლებიც შეიმჩნევა ზ. ეჯიბიასა და ზ. მარანელის ჩვენებებში ასევე წინასწარი

გამოძიების არაობიექტურობასა და ზერელობაზე, რის გამოც სასამართლოს მიერ, ჩვენნი აზრით, ვერ იქნება გაზიარებული ეჯიბიასა და მარანელის მიერ წინასწარ გამოძიებაში მოცემული აღნიშნული ჩვენებები, რაც საფუძველს აცლის გამოძიების ვარაუდს გ. აბსანძის მიერ საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესახებ. წინასწარმა გამოძიებამ ყოველგვარი დაექვების გარეშე სარწმუნოდ სცნო ზ. ეჯიბიას ჩვენების ის ნაწილი, სადაც იგი მიუთითებს, რომ, გ. ესებუას გადმოცემით, თავდასხმის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში 40 დღის შემდეგ უნდა დანიშნულიყო საპრეზიდენტო არჩევნები. გამოძიებას საჭიროდ არ ჩაუთვლია გაენაღიზებინა ის გარემოება, თუ რატომ იყო დასახელებული მაინცდაპაინც ორმოცი დღე და რეალურად რომელ საკანონმდებლო აქტზე უნდა ყოფილიყვნენ დაყრდნობილი გ. აბსანძე და სხვები, თუ მართლაც თავდასხმიდან 40 დღის შემდეგ იყო განზრახული საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა.

სინამდვილეში, ვფიქრობთ, საქმე გაცილებით უფრო მარტივადაა და მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა წინასწარი გამოძიების არა მხოლოდ აკვიატებულ, არამედ სრულიად არაკომპეტენტურ მოქმედებას, მათთვის სასურველი აბსოლუტურად უსაფუძვლო ვერსიის საქმეში შეტანას, გურამ აბსანძის მიმართ გამოგონილი ბრალდების დამძიმებისა და დამაჯერებლობის მინიჭების მიზნით, რასაც, თუ სრულ კონტექსტში გავიაზრებთ ზ. ეჯიბიასა და ზ. მარანელის მიერ სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებებთან წინასწარ გამოძიებაში მათზე განხორციელებული უმძიმესი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შესახებ, ნათლად დაინახავთ, რომ წინასწარი გამოძიება ასრულებს ა პირდაპირ დაკვეთას, რაც აშკარად უნიჭოდ და არაკვალიფიციურად განახორციელა.

რაც შეეხება ბრალდებულ ზაზა მარანელის მიერ აღნიშნულ საკითხში გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებებს, ამ შემთხვევაშიც მიგვაჩნია, რომ გამოძიება მოქმედებდა მის მიერ წინასწარ შემუშავებული სუბიექტური გეგმის შესაბამისად, რაც ვერ იქნა განმტკიცებული მიუკერძოებელი, ობიექტური არგუმენტებით. საბოლოო ჯამში ზ. მარანელის ჩვენებები პრაქტიკულად წარმოადგენს ურთიერთგამომრიცხავ, ალოგიკურ მოსაზრებათა ჯაჭვს. კერძოდ, მე-10 ტომის ს.ფ. 86-ზე ზ. მარანელის ჩვენებაში მითითებულია, რომ იმის მიუხედავად, წარმატებით დამთავრდებოდა თუ

წარუმატებლად ოპერაცია, სამი დღის განმავლობაში თბილისში უნდა შემოსულიყვნენ ა. ელიაევს, ს. ჯომიდაევასა და „პუშკინას“ შეიარაღებული დაჯგუფებები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - ჩეჩენთა ათასკაციანი შეიარაღებული ჯგუფი; თუ საზა მარანელის აღნიშნულ ჩვენებას დაეყრდნობით, შეიარაღებული დაჯგუფებები დასაყდეთ საქართველოდან თბილისში უნდა შემოსულიყვნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამხედრო ოპერაცია წარუმატებლად დამთავრდებოდა. როგორც ცნობილია, არც ერთი შეიარაღებული დაჯგუფება 1998 წლის 9 თებერვლის შემდეგ თბილისში არ შემოსულა.

არც წინასწარ გამოძიებას და არც სასამართლო კოლეგიას საერთოდ არ უცდია გაერკვია, თუ რა მიზეზით არ შემოვიდნენ შემოხსენებულ პირთა შეიარაღებული დაჯგუფებები თბილისში თავდასხმის შემდეგ, ასევე არაეინ დაინტერესებულა, თუ რა სახის შეიარაღებულ დაჯგუფებებზე იყო ლაპარაკი, ფლობდნენ თუ არა ს. ჯომიდაეა და „პუშკინა“ შეიარაღებულ დაჯგუფებებს და არსებობდა თუ არა ბუნებაში ის 1000-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც თითქოს თბილისში უნდა შემოსულიყო თავდასხმის შემდეგ. გამოძიებას არც ელიაევს, ჯომიდაევას და „პუშკინას“ ჩვენებების მიღებით შეუწყუხებია თავი მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი გამოძიებისათვის ამგვარი ჩვენებების მიღება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა, ვინაიდან 1998 წლის მარტში, ანუ მას შემდეგ, რაც ზ. მარანელის ჩვენება წინასწარი გამოძიებისათვის უკვე ცნობილი იყო, „პუშკინა“, იგივე აწ გარდაცვლილი ზურაბ შონია ოფიციალურად იმყოფებოდა დღევანდელი ხელისუფლების სამსახურში, ხოლო აწ გარდაცვლილ აკაკი ელიაევს ასევე ხშირი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სამართალდამცავ სტრუქტურებთან. საკითხავია, თუ წინასწარ გამოძიებას სარწმუნოდ მიაჩნდა ზ. მარანელის აღნიშნული ჩვენება, უნდა აღძრულიყო თუ არა სისხლის სამართლის საქმეები ზემოთ დასახელებულ პირთა მიმართ?

1998 წლის 10 აპრილს მიცემულ ჩვენებაში ზ. მარანელის მიერ მითითებულია, რომ, გ. ესებუას გადმოცემით, პრეზიდენტ ე. შვეარდნაძის მოკვლის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი გახდებოდა გურამ აბსანძე, ხოლო 1998 წლის 27 მაისს მიცემულ ჩვენებაში ზ. მარანელი აღნიშნავს, რომ ხელისუფლების სათავეში უნდა მოსულიყვნენ გურამ აბსანძე და გურამ ლაკია, მაგრამ თუ რა თანამდებობები უნდა დაეკავებინათ გ. აბსანძეს და გ. ლაკიას

ტერაქტის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, ზ. მარანელი-სათვის ცნობილი არ არის (იხ. ტ. 10, ს.ფ. 134).

რატომღაც არც ამჯერად დაინტერესებულა ვინმე, თუ რატომ მიუთითა ზაზა მარანელმა 1998 წ. 10 აპრილის ჩვენებაში ის, რომ სამხედრო ოპერაციის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში პრეზიდენტი გახდებოდა გურამ აბსანძე, ხოლო იმავე წლის 27 მაისს მიცემულ ჩვენებაში ზაზა მარანელმა განაცხადა, რომ მისთვის საერთოდ უცნობი იყო, თუ რა თანამდებობა უნდა დაეკავებინა გურამ აბსანძეს ოპერაციის წარმატებით დამთავრების შემდეგ. რაც შეეხება ზ. მარანელის მიერ ამავე ჩვენებაში მითითებულ გურამ ლაკიას, რომელიც თურმე გურამ აბსანძესთან ერთად უნდა მოსულიყო ხელისუფლების სათავეში, ამ შემთხვევაში სასამართლოს ყურადღება გვინდა მივაპყროთ ბრალდებულ ზ. ეჯიბიას მიერ წინასწარი გამოძიებისათვის 1998 წლის 4-11 მარტს მიცემული ჩვენების იმ ადგილზე, სადაც აღნიშნულია: „...მე მახსენდება, 1997 წლის აგვისტოში, რიცხვი არ მახსოვს, ბანაკში დაბრუნდა გ. ესებუა და მოგვიყვა, რომ მოსკოვიდან ჩამოსულან ქართველები სათხოვნელად, რომ გამოეყოთ რაღაც რაოდენობის, ჩენეთის ტერიტორიაზე მყოფი ბოევიკები საქართველოში შემოსაყვანად. როდესაც გ. ესებუას გაუგია ეს ამბავი, თვითონ უნახია მოსკოვიდან ჩამოსული ქართველები, უფრო სწორად, ორი კაცი და მათთან მოსელთა ჩხუბი. ამ ჩხუბის შემდეგ ქართველებს თავისი საქმე ვერ გაუკეთებიათ და უკან გაბრუნებულან. ესებუამ გვითხრა, რომ მოსკოვიდან ჩამოსული იყო გ. ლაკია და მეორეც, მისი სახელი და გვარი დამისახელა, მაგრამ ვერ ვიხსენებ.“ (ტ. 9, ს.ფ. 204).

თუ ბრალდების მხარე და სასამართლო კოლეგია გაიზიარებდნენ ზ. ეჯიბიას აღნიშნულ ჩვენებას, ამ შემთხვევაში მათ უნდა გაეზიარებინათ ის ფაქტიც, რომ გ. ესებუასა და გ. ლაკიას შორის ადგილი ჰქონდა სერიოზულ წინააღმდეგობას; თუ ეჯიბიას ჩვენებას ვენდობით, მათ მოსვლიათ ჩხუბი იმის გამო, უნდა გამოეყოთ თუ არა ჩეჩენი მებრძოლები „საქართველოში შემოსაყვანად“, რისთვისაც წინააღმდეგობა გაუწევია გოჩა ესებუას, რის შემდეგაც ლაკია და მისი ხალხი გაბრუნებულა მოსკოვში. აქედან გამომდინარე, თუ ესებუა და ლაკია იყვნენ ერთ საქმეში ჩაბმული, როგორც თანამზრახველები, ამავე დროს კი გ. ლაკია ხელისუფლების სათავეში უნდა მოსულიყო, როგორც ზ. მარანელი ამას აღნიშნავს, მაშინ სრულიად ალოგიკურია, თუ რატომ უნდა მოსვლოდათ ჩხუბი ლაკიასა და ესებუას იმის შესახებ, წასულიყვნენ თუ არა ჩეჩენი

მებრძოლები საქართველოში საბრძოლველად. ასევე გაურკვეველია საკითხი იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა საერთოდ რაიმე ურთიერთობა გ. ესებუასა და გ. ლაკიას 1997 წლის 'საფხულში' (ზ. ეჯიბიას ჩვენებიდან გამომდინარე) მათ შორის მომხდარი ინციდენტის შემდეგ. ამ შემთხვევაში გვინდა გავიხსენოთ გ. აბსანძის მიერ სასამართლოსათვის მიცემული ჩვენების ის ადგილი, სადაც მან მიუთითა, რომ გ. ლაკიასაგან მისთვის ცნობილი იყო ლაკიასა და ესებუას შორის წარმოქმნილი არასასიამოვნო ურთიერთობის შესახებ, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ გ. ესებუას არ მოსწონდა გ. ლაკიასა და დევნილი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების პასიურობა და წარმოქმნილი სირთულეების მხოლოდ პოლიტიკური გზებით გადაჭრის მცდელობა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, აშკარაა ის წინააღმდეგობა, რომელიც დაფიქსირებულია ზ. ეჯიბიასა და ზ. მარანელის ჩვენებებში. კოლეგიამ ამჯერადაც გვერდი აუარა საკითხის გარკვევას და ფაქტობრივად გაიზიარა ორი ურთიერთგამომრიცხავი ჩვენება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ზ. ეჯიბიასა და ზ. მარანელის 'ზემოაღნიშნული ჩვენებები დაედო საფუძველად გურამ აბსანძისათვის სისხლის სამართლის კოდექსის (1961 წლის რედაქციით) 65-ე მუხლით (სამშობლოს ღალატი) გათვალისწინებულ დანაშაულში ბრალის წარდგენას, რომლის თანახმად თითქოს გ. აბსანძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ისეთ შეიარაღებულ ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში, რომლის მიზანი იყო საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

ზ. ეჯიბიასა და ზ. მარანელის წინააღმდეგობრივ, ურთიერთგამომრიცხავ და ჭეშმარიტებისაგან სრულიად მოწყვეტილ ჩვენებათა ანალიზის შემდეგ, ვფიქრობთ, ნათელია, რომ არა მხოლოდ უსაფუძვლოა გ. აბსანძისათვის აღნიშნულ ნაწილში წარდგენილი ბრალდება, არამედ საერთოდ არარეალური, ვინაიდან როგორც ჩვენს მიერ გაკეთებულმა ანალიზმა ცხადყო, გ. აბსანძეს არ გააჩნდა არავითარი შესაძლებლობა და უფლებამოსილება საქართველოში არსებული ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ გაზიარებული არ ყოფილიყო გ. აბსანძის როგორც წინასწარი, ისე სასამართლო გამოძიების დროს მიცემული ჩვენებები, ასევე ზ. ეჯიბიას, ზ. მარანელისა და სხვების სასამართლო გამოძი-

ებისათვის მიცემული ჩვენებები, საიდანაც მთლიანად დასტურდება აღნიშნულ ეპიზოდში გ. აბსანძის სრული უდანაშაულობა.

2. განაჩენის ვარაუდი გ. აბსანძის მიერ შეიარაღებული თავდასხმის ორგანიზებისა და დაფინანსების თაობაზე, ისევე, როგორც 1998 წლის 9 თებერვალს განხორციელებული ტერაქტის მცდელობის ნაწილში სახელმწიფო ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ძირითადად აგებულია იმ ფაქტზე, რომ 1997 წლის ოქტომბერში გ. აბსანძე ჩასული იყო ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, სადაც ქ. გროზნოს მახლობლად, სოფ. ავტურთან მდებარე სამხედრო ბანაკში მოინახულა გოჩა ესებუა და მისი ჯგუფის წევრები. განაჩენის თანახმად, გ. აბსანძემ, როგორც დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზატორმა და დამფინანსებელმა, სოფ. ავტურის სამხედრო ბანაკში შეამოწმა ჯგუფის წევრების სამხედრო მომზადება, მოუწოდა ჯგუფის წევრებს ე. შევარდნაძის მოკვლისაკენ, სამხედრო ბანაკის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების გზით გადაწყვიტა ტერაქტის განხორციელებაში ექვსი ჩეჩენი მებრძოლის მონაწილეობის საკითხი, გაერკვა ჯგუფის წინაშე წამოჭრილ პრობლემებში და დაპირდა მათ ფინანსურ დახმარებას.

აუცილებლად მიგვაჩნია ყველა იმ ე.წ. მტკიცებულების დეტალური ანალიზი, რომელსაც სასამართლო კოლეგია ეყრდნობოდა გ. აბსანძის მიმართ განაჩენის გამოტანის დროს.

გურამ აბსანძემ როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლო პროცესის დროს უჩვენა, რომ 1997 წლის შემოდგომაზე იგი ჩავიდა ჩეჩნეთში რუსეთის ფედერაციის სმოლენსკის ოლქის ქ. რუდნიადან. მან განმარტა, რომ 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელისუფლებამ სოლიდარობა გამოუცხადა საქართველოდან დევნილ კანონიერ ხელისუფლებას, თაყშესაფარი მისცა საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, საქართველოს უზენაეს საბჭოსა და მთავრობის არაერთ წევრს. ამ პერიოდიდან საქართველოს დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ შორის გ. აბსანძეს ჩამოუყალიბდათ თბილი, მეგობრული ურთიერთობა ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ხელმძღვანელობასთან. 1997 წლის იანვარში ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების დროს საქართველოს დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლები ოფიციალურად იყვნენ მიწვეულნი დამკვირვებლის სტატუსით, ხოლო პრეზიდენტ მასხადოვის ინაუგურაციაზე 1997 წლის თებერვალში, გ. აბსანძე ინაუგურაციის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მიწვე-

ული იყო ოფიციალური სტუმრის სტატუსით, როგორც საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი. იგი ათკაციან დელეგაციასთან ერთად ჩასული იყო ქ. გროზნოში, როგორც დელეგაციის ხელმძღვანელი, სადაც მონაწილეობა მიიღო პრეზიდენტ მასხადოვის ინაუგურაციის ღონისძიებაში, სადაც პრეზიდენტ მასხადოვისა და საქართველოს დელეგაციის წარმომადგენელთა საუბარში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ ომისაგან დანგრეულ ჩეჩნეთში აუცილებლად იყო ჩასატარებელი აღდგენითი სამშენებლო სამუშაოები, რისთვისაც დაგეგმილი იყო ახლო აღმოსავლეთის რიგი ქვეყნებიდან ინვესტიციების მოზიდვა. აღდგენითი სამუშაოები მოითხოვდა ორგანიზაციული მუშაობის ჩატარებასა და სათანადო მუშახელს, რის გამოც პრეზიდენტი მასხადოვი და საქართველოს დევნილი ხელისუფლების დელეგაციის ხელმძღვანელი გ. აბსანძე შეთანხმდნენ, რომ დევნილი ხელისუფლების მონაწილეობით შეიქმნებოდა სამშენებლო ტრესტი, რომელშიც ძირითადად დასაქმებული იქნებოდა საქართველოდან ლტოლვილი მოსახლეობა. გ. აბსანძემ ასევე განმარტა, რომ 1993 წელს, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და ჩეჩნეთის პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევის ინიციატივით შეიქმნა „კავკასიური სახლი“, რომლის ძირითადი იდეა იყო კავკასიაში მცხოვრები ხალხების დაახლოება, პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაცია მშვიდობიანი პოლიტიკური გზით. ზ. გამსახურდიასა და ჯ. დუდაევის გარდაცვალების შემდეგ ჩეჩნეთის ექსპრეზიდენტმა ზელიმხან იანდარბიევმა გამოიჩინა ძალისხმევა „კავკასიური სახლის“ საქმიანობის გასაგრძელებლად, რაშიც მან 1997 წელს თანამშრომლობა შესთავაზა გ. აბსანძეს, როგორც „კავკასიური სახლის“ ერთ-ერთ მომავალ თანათავმჯდომარეს. ამ მიზნით 1997 წლის შემოდგომაზე ზ. იანდარბიევმა საქართველოს დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლის ს. თორიას მეშვეობით გ. აბსანძე მიიწვია ჩეჩნეთში. 1997 წლის შემოდგომაზე გ. აბსანძე სმოლენსკის ოლქის ქ. რუდნიადან მოსკოვის გაყვით გაემგზავრა ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში. მისი გამგზავრების ძირითადი მიზნები, როგორც მან მიუთითა, გახლდათ „კავკასიური სახლის“ მუშაობაში მონაწილეობის მიღება და სამშენებლო ტრესტთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა, კერძოდ ის, იქნა თუ არა მოზიდული სათანადო ინვესტიციები, რაც შესაძლებელს გახდიდა საქართველოდან ლტოლვილი მოსახლეობის აღნიშნულ ტრესტში დასაქმებას. გ. აბსანძემ უჩვენა, რომ ქ. გროზნოში მას შეხვდა და

საუბარი ჰქონდა ჩენნეთის ექსპრეზიდენტ ზეკლიმხან იანდარბიევთან, რომელმაც მას აუხსნა, რომ „კავკასიური სახლის“ მუშაობასთან დაკავშირებით შექმნილი იყო გარკვეული სირთულეები, კერძოდ ის, რომ „კავკასიური სახლის“ იდეა ხელში ჩაიგდეს სამხედროებმა საღმან რადუევის მეთაურობით, რომლებიც კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური პრობლემების გადასაწყვეტად მიზანშეწონილად მიიჩნევენ იარაღის გამოყენებას, რაც მიუღებელი იყო როგორც ზ. იანდარბიევისათვის, ისე გ. აბსანძისათვის; ამიტომ მათ საუბარში გადაწყდა, რომ გარკვეული ხნით დაეცადათ და დალოდებოდნენ მოვლენების შემდგომ განვითარებას. ამის შემდეგ გ. აბსანძეს უნდოდა ენახა ჩენნეთის პრეზიდენტი ა. მასხადოვი, რისთვისაც იგი მისული იყო მასხადოვის რეზიდენციაში, სადაც აღმოჩნდა, რომ მასხადოვი გროზნოში არ იმყოფებოდა, ხოლო აღდგენითი სამუშაოებისათვის საჭირო ინვესტიციებთან დაკავშირებით გ. აბსანძეს განუმარტეს, რომ იშვამად ჯერ კიდევ არ იყო მოზიდული ინვესტიციები და საჭირო იყო მოცდა. აქედან გამომდინარე, გ. აბსანძის ჩენნეთში ჩასვლის მიზანი უკვე ამოწურული იყო, რის გამოც მან მეორე დღეს გადაწყვიტა ქ. ნაზრანიდან მოსკოვში გადაფრენა, საიდანაც უნდა დაბრუნებულიყო ქ. რუდნიაში.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ წინასწარი გამოძიების დროს, არაინ დაინტერესებულა გ. აბსანძის ჩვენების სისწორის გადამოწმებით ა. მასხადოვისა და ზ. იანდარბიევის მეშვეობით, რომლებსაც, როგორც ჩენნეთის ოფიციალურ პირებს, ცივილიზებული ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან. წინასწარი გამოძიებისათვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა ამ საკითხზე ზუსტი ინფორმაციის მიღება, ადგილზე ჩასვლით იქნებოდა ეს, მიმოწერის საშუალებით თუ უშიშროების აგენტ „პროფესორის“ მეშვეობით, რომლის სატელეფონო საუბრების ჩანაწერი 9 თებერვლის ტერაქტის შესახებ ჩენნეთის იმდროინდელ ინფორმაციის მინისტრ მ. უდუგოვთან და სხვა პირებთან ფიგურირებს საქმის მე-15 ტომის 140-148-ე ფურცლებზე. წინასწარ გამოძიებას არც გ. აბსანძის მგზავრობის ბილეთების მოპოვება უცდია სმოლენსკის ოლქის ქ. რუდნიადან, მოსკოვიდან და ნაზრანიდან, რითაც ზუსტად იქნებოდა დადგენილი გ. აბსანძის ჩენნეთში ჩასვლისა და ჩენნეთიდან წამოსვლის დრო და იგი აღარ დაეყრდნობოდა ზ. ეჯიბიას მეტად საეჭვო ასოციაციას იმის თაობაზე, რომ გ. აბსანძე ჩენნეთში ჩავიდა რუსეთ-იტალიის საფეხბურთო მატჩის წინა დღეს.

მიუხედავად საქმეში არსებული გარკვეული მასალებისა, არც წინასწარ გამოძიებას და არც სასამართლო კოლეგიას არ უცდია გაერკვია, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში ე.წ. „კავკასიური სახლი“, ვინ იყვნენ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები, რა იყო მისი ძირითადი იდეა და რა როლს ასრულებდა ამ ორგანიზაციის საქმიანობაში გ. აბსანძე მიუხედავად იმისა, რომ საქმის მე-15 ტომის 171-172-ე ფურცლებზე მოთავსებულია საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ცნობა „1998 წ. 9 თებერვალს განხორციელებულ ტერაქტში ექსპრეზიდენტის მომხრეთა შესაძლო მონაწილეობის შესახებ“, რომლითაც დასტურდება, რომ „კავკასიური სახლის“ მე-2 კონფერენცია ჩეჩნეთში გაიმართა 1997 წლის 13-15 ნოემბერს და რომ კონფერენციაზე დაისვა საკითხი, კავკასიის საერთო არმიის შექმნის შესახებ, რომლის მთავარი ბირთვი სალმან რადუევის კარგად შეიარაღებული რაზმები იქნებოდა (იხ. ტ. 15, ს.ფ. 172). საქმეში მოთავსებული აღნიშნული მტკიცებულება მთლიანად შეესაბამება გ. აბსანძის მიერ წინასწარ ძიებაში მიცემულ ზემოთ აღნიშნულ ჩვენებას. ასევე ყურადღების გარეშე დატოვა სასამართლომ დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებად წარდგენილი ოფიციალური მიწვევა პრეზიდენტ ა. მასხადოვის ინაუგურაციის ცერემონიაზე.

ჩეჩნეთში ჩასვლისას დევნილი ხელისუფლების წარმომადგენელთან ს. თორიასთან საუბრის დროს გ. აბსანძე დაინტერესდა ჩეჩნეთში შექმნილი ვითარებით, რაზეც ს. თორიამ მიუგო, რომ ახლომდებარე სოფელში გოჩა ესებუა და რამდენიმე პიროვნება კანონიერი ხელისუფლების სახელით გადიოდნენ სამხედრო წვრთნას, რამაც გ. აბსანძის, როგორც კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლის, გაკვირება გამოიწვია და გადაწყვიტა ენახა გ. ესებუა, რომელიც მას ერთხელ უკვე ჰყავდა ნანახი პრეზიდენტ მასხადოვის ინაუგურაციის დროს.

გ. ესებუას ნახვა გადაწყვიტეს გროზნოში, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა მისი გროზნოში არყოფნის გამო, ამიტომ მეორე დილით ავტომანქანა „ვილისით“, რომელსაც მართავდა ჩეჩენი ეროვნების მძღოლი, გაემართნენ სოფ. ავტურთან მდებარე სამხედრო ბანაკში.

თავდაპირველად მათ გ. ესებუა ადგილზე არ დაუხვდათ და ს. თორია გამოელაპარაკა იქვე მდებარე შენობიდან გამოსულ ჩეჩენ მამაკაცს, რომელიც მიესალმა ჩამოსულებს და ამის შემდეგ ს. თორიამ და ჩეჩენი ეროვნების პიროვნებამ ერთმანეთთან საუბარი დაიწყეს გ. აბსანძისათვის გაუგებრად, ჩეჩნურ ენაზე (იხ. ტ. 7, ს.ფ.

159; ტ.9. ს.ფ. 245-246; აგრეთვე გ. აბსანძის მიერ სასამართლოსათვის მიცემული ჩვენება). რამდენიმე წუთში გამოჩნდა გ. ესებუაც, რომელიც გ. აბსანძემ ცალკე გაიყვანა და ჰკითხა მას, თუ რატომ მოქმედებდა კანონიერი ხელისუფლების სახელით, რაზეც გ. ესებუამ უპასუხა, რომ იგი იყო კანონიერი ხელისუფლების გვარდიის წარმომადგენელი და აპირებდა პარტიზანული მოძრაობის განადგობას აფხაზეთში (იხ. ტ. 7, ს.ფ. 160). გ. აბსანძემ გააფრთხილა გ. ესებუა, რომ მას არ ჰქონდა კანონიერი ხელისუფლების სახელით მოქმედების უფლება, რამაც გამოიწვია შეკამათება მასა და ესებუას შორის. კამათი - გ. აბსანძის გადმოცემით მიმდინარეობდა საკმაოდ ხმაამაღლა და გაგრძელდა რამდენიმე წუთის განმავლობაში. გურამ აბსანძის ჩვენებით, ამ კამათში ჩეჩენიც კი ჩაურია (იხ. ტ. 8, ს.ფ. 125). ამის შემდეგ გ. ესებუას თხოვნით, გ. აბსანძე გაესაუბრა იქვე მყოფ რამდენიმე ქართველ პიროვნებას, რომლებიც მას გ. ესებუამ წარუდგინა, როგორც აფხაზეთიდან ლტოლვილები (იხ. ტ. 8, ს.ფ. 71). საუბარი, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით 10-15 წუთს (იხ. ბ. თოდუას ჩვენება ტ. 8, ს.ფ. 124, აგრეთვე გ. აბსანძის მიერ სასამართლოსათვის მიცემული ჩვენებები), შეეხებოდა აფხაზეთში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, რის შემდეგაც გ. აბსანძე დაემშვიდობა იქ მყოფებს და იმავე მანქანით ის და ს. თორია გაემგზავრენ ქ. ნაზრანში. გ. აბსანძის ჩვენებით, უკანა გზაზე მათი მანქანა გააჩერეს ჩეჩნებმა, რომლებსაც გაესაუბრა მანქანიდან გადასული ს. თორია. მანქანაში დაბრუნებულმა თორიამ გ. აბსანძეს უთხრა, რომ ჩეჩნებს არ მოსწონებიათ გ. აბსანძის ჩასვლა ავტურის ბანაკში და რომ ს. თორიას გ. აბსანძე ბანაკში მეორედ აღარ მოეყვანა. აქედან გამომდინარე, გ. აბსანძის ჩვენებით, ასევე წინასწარ გამოძიებაში ზ. ეჯიბიასთან და ბ. თოდუასთან მისი დაპირისპირებებით, კატეგორიულად არის უარყოფილი საბრალდებო დასკვნის ვარაუდი სამხედრო ბანაკში ყოფნისას გ. აბსანძის მიერ ჯგუფის წევრების საბრძოლო მომზადების შემოწმების, პრეზიდენტ შევარდნაძის მოკვლისაკენ მოწოდების, ბანაკის ჩეჩენ ხელმძღვანელებთან რაიმე მოლაპარაკების და ჯგუფისათვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ.

განაჩენი ზემოაღნიშნულ ბრალდებებში გ. აბსანძის დადანაშაულებისას უმთავრესად ეყრდნობა ბრალდებულების ზ. ეჯიბიასა და ბ. თოდუას მიერ გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებებს.

გვინდა განვიხილოთ საკითხი, ნამდვილად შეამოწმა თუ არა გ. აბსანძემ ჯგუფის წევრების სამხედრო მომზადება ს. ავტურის

სამხედრო ბანაკში, ზ. ეჯიბიასა და ბ. თოდუას ჩეჩნელების შესაბამისად.

ზ. ეჯიბიას მიერ 1998 წლის 4-11 მარტს წინასწარი გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში ჩაწერილია: „... მან (გ. აბსანძემ) ყველას თანდასწრებით გვითხრა, ბიჭებო ცოტაც მოიცადეთ, წახვალთ საქართველოში და ყველაფერი კარგად იქნებაო. იქვე დაამატა სიტყვები, ახლა დავრწმუნდი, როგორი მონდომებული ბიჭები ხართო... მინდა განვმარტო, რომ აბსანძის ჩვენს ბანაკში ჩამოსვლის მიზანი, როგორც ჩემი, ასევე ჩვენი ჯგუფის ყველა წევრის ახრით, იყო შემდეგი – როგორც ზემოთ აღვნიშნე, გ. ესებუას გადმოცემით, ჩვენს მომსადებას ჩენეთში აფინანსებდა გ. აბსანძე, მან იცოდა ჩვენი ჯგუფის მომსადების მიზანი და ამიტომ იყო ჩამოსული ბანაკში, რათა თავისი თვალთ ენახა, რა პიროვნებებით იყო დაკომპლექტებული ჯგუფი, როგორ გაედირდით მომსადებას, რა დონეზე ვიყავით მომსადებული, თავისი თვალთ დარწმუნდა, რომ ჯგუფი ნამდვილად გადიოდა მომსადებას და მისი ფული წყალში არ იყრებოდა.“ (იხ. ტ. 9, ს.ფ. 208).

აღნიშნა თუ არა „ზემოთ“ ზ. ეჯიბიამ სამხედრო ოპერაციის დაფინანსების შესახებ, ამაზე ჩვენ ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი, ამჯერად კი სასამართლოს ყურადღებას მივუქცევთ იმ გარემოებას, რომ წინასწარ გამოძიებაში გ. აბსანძესთან დაპირისპირების დროს ზ. ეჯიბიამ უარყო მისი ზემოხსენებული ჩვენება და კითხვაზე: „გითხრათ თუ არა თქვენ და თქვენი ჯგუფის წევრებს გ. აბსანძემ, რომ ახლა დავრწმუნდი, რომ კარგად ემსადებით თავდასხმისათვისო“, ზ. ეჯიბიამ უპასუხა: „მინდა დავაზუსტო, რომ გ. აბსანძეს ჩვენი მომსადების დონე არ უნახავს; სიტყვა თავდასხმა არ უხსენებია“ (იხ. ტ. 9 ს.ფ. 245-246).

ბრალდებულ ბ. თოდუას 1998 წლის 30-31 მარტს მიცემული ჩვენებაში მითითებულია: „გ. აბსანძემ გვითხრა, რომ იგი დარწმუნდა ჩვენს მოწადინებაში და კარგ ვარჯიშში, რომ მალე ჩამოვიდოდით თბილისში, სადაც მოვაწყობდით ტერაქტს ე. შვედრენაძის წინააღმდეგ და მოეკლავდით მას, მან თქვა დავრწმუნდი, რომ ჩემი ფული ტყუილუბრალოდ არ იკარგებაო“ (იხ. ტ. 8, ს.ფ. 109).

ისევე, როგორც ზ. ეჯიბიამ, ბ. თოდუამაც წინასწარ ძიებაში გ. აბსანძესთან დაპირისპირების დროს მთლიანად უარყო თავისი ზემოაღნიშნული ჩვენება როგორც გ. აბსანძის მიერ მათი სამხედრო მომსადების შემოწმების, ისე პრეზიდენტ ე. შვედრენაძის მოკვლისაკენ მოწოდების ნაწილში (იხ. ტ. 8 ს.ფ. 129).

ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორივე ბრალდებულმა გ. აბსანძის მიერ ჯგუფის მომზადების შემოწმების ფაქტი კატეგორიულად უარყო სასამართლო გამოძიების სტადიაზე და წინასწარ გამოძიებაში მათ მიერ მიცემული ჩვენებები ახსნა მათზე განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით.

ჩუენი მხრივ, სასამართლოს ყურადღება გეინდა მივაპყროთ იმ გარემოებაზე, რომ გ. აბსანძე ვერაერთარ შემთხვევაში ვერ შეამოწმებდა და ვერ შეაფასებდა გ. ესებუას ჯგუფის მომზადების დონეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას საერთოდ არ უნახავს ის სამხედრო პოლიგონი, რომელიც განსასჯელთა მიერ მიცემული ჩვენებების მიხედვით დაახლოებით ორი კილომეტრით იყო დაშორებული იმ სამხედრო ბანაკიდან, სადაც ჩაეიდა გ. აბსანძე და სადაც ცხოვრობდნენ ჯგუფის წევრები. გამოძიებას მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ ჯგუფის მიერ სამხედრო მომზადების გავლა ხდებოდა საწვრთნელ პოლიგონზე და არა სამხედრო ბანაკში; ხოლო ის, რომ გ. აბსანძე პოლიგონზე საერთოდ არ ყოფილა და არც დაინტერესებულა იქ მისვლით, ამ ფაქტს ვერაეინ უარყოფს და იგი არც არაეისთეისაა სადავო.

აქედან გამომდინარე, ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული ბრალდებულების ზ. ეჯიბიასა და ბ. თოდუას ჩვენებებში გამოთქმული აზრი იმის შესახებ, თითქოს გ. აბსანძემ მოიწონა ჯგუფის მომზადება, ვარჯიშის დონე და უთხრა მათ: „ბიჭებო, ახლა მე დავრწმუნდი როგორი მოწადინებულები ხართო“, ვინაიდან გაუგებარია, თუ როგორ უნდა დარწმუნებულიყო გ. აბსანძე თითქოს მის მიერ გამოთქმული აზრის სისწორეში მაშინ, როდესაც იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში, რომელიც მან ბანაკში გაატარა, არც მოწადინება უნახავს ვინმესი და არც მომზადება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც სასამართლოს მიერ გაზიარებული უნდა ყოფილიყო გ. აბსანძის მიერ წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოზე მოცემული ჩვენებები, ზ. ეჯიბიასა და ბ. თოდუას გ. აბსანძესთან დაპირისპირებების ის ნაწილი, რომელიც ეხება გ. აბსანძის მიერ ჯგუფის მომზადების შესახებ აზრის გამოთქმას, ხოლო ზ. ეჯიბიას 1998 წლის 4-11 მარტისა და ბ. თოდუას 1998 წლის 30-31 მარტის ჩვენებების ის ნაწილი, რომელიც ეხება აღნიშნულ საკითხს, სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა მათი უსაფუძვლობის გამო.

განაჩენში დადასტურებულად არის მიჩნეული, რომ სოფელ ავტურის სამხედრო ბანაკში შეხვედრის დროს გ. აბსანძემ გ.

ესებუას ჯგუფის წევრებს მოუწოდა პრეზიდენტ ე. შევარდნაძის მოკვლისაკენ.

ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბრალდების მიერ 2001 წლის 5 აპრილს სასამართლოსათვის წარდგენილ გ. აბსანძის მიმართ ბრალდების ახალ ფორმულირებაში, ზემოაღნიშნული ფაქტი, ანუ ის, რომ თითქოს გ. აბსანძემ ვინმეს მოუწოდა შევარდნაძის მოკვლისაკენ, საერთოდ აღარ ფიგურირებდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბრალდების მხარემ ამ შემთხვევაში თავადვე სცნო უსაფუძვლოდ ს. ეჯიბიასა და ბ. თოდუას მიერ მიცემული ჩვენებები აღნიშნულ ნაწილში და დასაბუთებულად მიიჩნია გ. აბსანძის მიერ მიცემული ჩვენებების სისწორე, როგორც წინასწარი, ისე სასამართლო გამოძიების დროს, აგრეთვე ს. ეჯიბიასა და ბ. თოდუას გ. აბსანძესთან დაპირისპირების დროს მიცემული ჩვენებები, სადაც მათ მთლიანად უარყვეს გ. აბსანძის მიერ პრეზიდენტ შევარდნაძის ლიკვიდაციისაკენ მოწოდების ფაქტი (იხ. ტ. 8, ს.ფ. 123-124, ტ. 9, ს.ფ. 245-246) და მათივე სასამართლოსათვის მიცემული ჩვენებები.

საბრალდებო სიტყვაში ბრალდების მხარე გასცდა თავისივე 2000 წლის 5 აპრილის გ. აბსანძის ბრალდების ფორმულირებას და კვლავ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, განაცხადა, რომ თურმე გ. აბსანძემ გ. ესებუას ჯგუფის წევრებს მოუწოდა პრეზიდენტ შევარდნაძის მოკვლისაკენ. არც ბრალდების მხარემ და არც სასამართლო კოლეგიამ საჭიროდ არ მიიჩნიეს იმის დაზუსტება, თუ რატომ განიცადა ცვლილება გ. აბსანძის ბრალდების 2000 წლის 5 აპრილის ფორმულირებამ დამძიმების თვალსაზრისით.

როგორც საბრალდებო დასკვნაში, ისე ბრალდების ახალ ფორმულირებაში მითითებულია, რომ ავტურის სამხედრო ბანაკში ჩასვლის დროს, 1997 წლის ოქტომბერში გ. აბსანძე შეხვდა ბანაკის ხელმძღვანელებს, რა დროსაც გადაწყდა, რომ პრეზიდენტ ე. შევარდნაძის მოკვლისაკენ მიმართულ ტერორისტულ აქტში ქართველებთან ერთად მონაწილეობას მიიღებდა 6 ჩეჩენი.

განაჩენი ამ საკითხში ეყრდნობა ბრალდებულების ეჯიბიასა და თოდუას წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებებს; კერძოდ, ს. ეჯიბიას 4-11 მარტის ჩვენებაში ნათქვამია: „მან (გ. აბსანძემ) გვითხრა, რომ იგი მოელაპარაკა ბანაკის ხელმძღვანელს, მათსა და ჩვენს, ქრისტიანებს შორის განსხვავება არის (?), მათთან გადაწყდა, რომ თქვენთან ერთად თბილისში ექვსი ჩეჩენი წამოვალ... ჩემს ჩვენებაში მინდა აღვნიშნო შემდეგი, როდესაც გ. აბსანძე

წავიდა ჩვენი ბანაკიდან, ბანაკის ხელმძღვანელმა აბდულ აზიზმა შეარჩია კიდევ 5 ჩვენნი ეროვნების ბიჭი, რომლებიც ჩვენთან ერთად და აბდულ აზიზთან ერთად უნდა წამოსულიყვნენ თბილისში... როდესაც გადაწყდა, რომ ზემოაღნიშნული ჩვენნი ეროვნების ბიჭები ჩვენთან ერთად წამოვიდოდნენ თბილისში და ჩვენთან ერთად მოუწყვათ ვარჯიში, მხოლოდ მაშინ გავანდეთ მათ, რომ უნდა მოგვეხდინა შეიარაღებული თავდასხმა საქართველოს პრეზიდენტზე მისი ლიკვიდაციის მიზნით, ჩვენები ჩვენთან ერთად ვარჯიშობდნენ დაახლოებით 15 დღე“ (იხ. ტ. 9, ს.ფ. 205, 206).

ბრალდებულმა ბონდო თოდუამ წინასწარ გამოძიებაში 1998 წლის 30-31 მარტს უჩვენა: „გურამ აბსანძე ბანაკიდან წაიყვანეს გონა ესებუამ და სოსო თორიამ. როცა უკან დაბრუნდა გონა ესებუამ გვითხრა, რომ გურამ აბსანძის საუბარში გადაწყდა, რომ ჩვენთან ერთად თბილისში ტერაქტის განსახორციელებლად წამოვიდოდა 6 ჩვენნი. აბსანძის წასვლის შემდეგ ჩვენთან ერთად ვარჯიში დაიწყო ექვსმა ჩვენმა“ (იხ. ტ. 8, ს.ფ. 109).

ეჯიბიას და თოდუას ჩვენებები წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან. ეჯიბია აცხადებს, რომ გ. აბსანძემ გვითხრა ექვსი ჩვენის თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, თოდუა კი ამტკიცებს, რომ ამის შესახებ გურამ აბსანძის გაცილების შემდეგ, მეორე დღეს მობრუნებულმა გონა ესებუამ გვამცნო.

შემდგომში 1998 წლის 13 მაისს ბრალდებულ ბ. თოდუას მიერ მითითებულია, რომ 1997 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში მათთან ბანაკში ჩავიდა გ. აბსანძე, რომელსაც შეხვედრა ჰქონდა ბანაკის ჩვენნი ეროვნების ხელმძღვანელებთან. საუბრის თემა ბ. თოდუას არ გაუგია, მაგრამ გ. აბსანძის წასვლის შემდეგ მათთან ერთად ვარჯიში დაიწყო ჩვენებმა“ (იხ. ტ. 8 ს.ფ. 167).

გურამ აბსანძესთან დაპირისპირების დროს ზ. ეჯიბიამ ფაქტობრივად უარყო მის მიერ მიცემული ზემოაღნიშნული ჩვენება და განაცხადა: „მინდა განვმარტო, რომ ის პიროვნებები, რომლებიც ჩვენეთში ჩვენთან ერთად ემზადებოდნენ პრეზიდენტზე თავდასხმისათვის, ყველანი რომ ჩამოსულიყვნენ, დღეს პრეზიდენტის ორმოცი მორჩენილი იქნებოდა. ქართველებს უნდა მოგვეკლა პრეზიდენტი, ამიტომ მარტო ჩვენ, ქართველები, რომ ვყოფილიყავით და ჩვენებიც რომ არ ჩამოგვეყვანა, პრეზიდენტი მოკლული იქნებოდა. ჩვენი პრეზიდენტზე თავდასხმის მომზადების პერიოდში ბანაკში ბლომად იყვნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც, მაგრამ ბ-ნი

გურამის ჩამოსვლის შემდეგ მხოლოდ ექვსი კაცი ჩამოგყვავა საქართველოში, ჩემის აზრით, ამაში გ. აბსანძის დამსახურება უდავოდ დიდია“ (ტ. 9, ს.ფ.246).

აქედან გამომდინარე, სრულიად აშკარაა წინააღმდეგობა ზ. ეჯიბიას ორ ზემოაღნიშნულ ჩვენებას შორის, ვინაიდან ერთი მათგანით გ. აბსანძის როლი განსაზღვრულია ჩვენნი მებრძოლების ჩართვით სამხედრო ოპერაციაში, ხოლო მეორე ჩვენებით აბსანძის უნებლიე „დამსახურებად“ მინნეულია ის, რომ ჩვენ მებრძოლთა დიდმა უმრავლესობამ საბრძოლო ოპერაციაში მონაწილეობა აღარ მიიღო.

სასამართლო გამოძიების დროს ზ. ეჯიბიამ განმარტა, რომ გ. ესებუას ჯგუფის წევრებთან ერთად ჩენების საქართველოში წამოსვლა განსაზღვრული იყო გ. აბსანძის სამხედრო ბანაკში ჩასვლამდე. გ. აბსანძის ჩასვლის შემდეგ კი, იმის გამო, რომ გ. აბსანძეს გარკვეული უთანხმოება მოუვიდა გ. ესებუასთან, რაც ცნობილი გახდა ჩენებისათვის, ზ. ეჯიბიას აზრით, შესაძლებელია ამ მიზეზით იყო განპირობებული ის, რომ ჯგუფთან ერთად საქართველოში წამოსასვლელი ჩენების რაოდენობა ბევრად შემცირდა და არავითარი დამსახურება თუ წვლილი გ. აბსანძეს ჩენების გ. ესებუას ჯგუფთან ერთად საქართველოში ჩამოყვანაში არ მიუძღვის.

განაჩენში მიზანმიმართულად არის გაყალბებული გ. აბსანძისა და ბ. თოდუას დაპირისპირების შინაარსი და ჩაწერილია, რომ თითქოს გ. აბსანძის გ. ესებუას ჯგუფის წევრებთან შეხვედრა წარმოადგენდა თანამზრახველთა შეხვედრას და რომ „გ. აბსანძის წასვლის შემდეგ ექვსმა ჩენებმა დაიწყო მათთან ერთად ვარჯიში. შემდეგ მათ მონაწილეობა მიიღეს პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერაქტში“ (იხ. განაჩენი, გვ. 61).

განაჩენში მოყვანილი ზემოაღნიშნული მოსაზრებების განსამტკიცებლად კოლეგია საქმის ფურცლის ნომერსაც კი ეერ უთითებს და კმაყოფილდება მხოლოდ ტომის მითითებით. სასამართლო კოლეგიის მიერ ჩადენილი სიყალბის ცხადყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიგვანჩნია სრულად მოვიყვანოთ გ. აბსანძისა და ბ. თოდუას დაპირისპირების ოქმის ის ნაწილი, რაზეც საუბარია განაჩენში.

ამონაწერი ბრალდებულების – გ. აბსანძისა და ბ. თოდუას დაპირისპირების ოქმიდან (9 აპრილი, 1998 წელი; ტ. 8, ს.ფ. 124-132):

„კითხვა ბრალდებულ თოდუას – ... ხელისჩამორთმევით

ამოიწურა თქვენი შეხვედრა, თუ კიდევ იყო რაიმე, ვთქვათ, რამდენი ხანი გაგრძელდა, ვისთან იყო ეს შეხვედრა?

ბ. თოდუას პასუხი – ჩვენ წინ იდგა გურამ აბსანძე და თქვა აფხაზეთის ამბავი. მოყვა, დაკარგულია გაგრა, დაკარგულია სოხუმიო, დაეიბრუნოთ, დაუდგეთ ერთმანეთს გვერდშიო, დაეიბრუნოთ ჩვენი დაკარგული მიწა-წყალიო. საქართველოში ხომ ხედავთ, როგორ იტანჯება ხალხიო, გამწარებული არის ჩვენი ხალხიო, გაჩანაგებული და განადგურებულია საქართველოო, ხოდა ქართველ ხალხს დაუდგეთ გვერდშიო.

კითხვა: – იცოდით თუ არა, რომ უნდა ჩამოსულიყო, ეს, თქვენს მიერ დასახელებული გურამ აბსანძე, თუ იცოდით, რა კავშირი ჰქონდა თქვენს იქ ყოფნასთან, საქმიანობასთან. ეს კითხვები ბუნებრივია გამოძიების მასალებიდან გამოვლივართ, ჩვენ უნდა დავსვათ.

პასუხი: – გურამმა არ იცოდა ჩვენი იქ ყოფნა, არ ვიცი რა ვთქვა, გონა ესებუა მოვიდა, წამოგვიყვანა ჯერ თბილისში, ხოლო მერე ჩეჩნეთში.

კითხვა: – მანამ, სანამ ნოემბერში, სადაც თქვენ იმყოფებოდით, ჩამოვიდა გურამ აბსანძე, მანამდე თუ გაგეგოთ რაიმე, გურამ აბსანძისა და თქვენს საქმიანობას შორის რა კავშირი იყო?

პასუხი: – არა, მანამდე არაფერი არ ვიცოდი.

კითხვა: – როცა ჩამოვიდა გურამ აბსანძე, ამის შესახებ იცოდით სანამ ჩამოვიდოდა? რომ არ უნდა ჩამოვიდეს გურამ აბსანძე?

პასუხი: – არ ვიცოდით.

კითხვა: – თქვენ გაიგეთ პირველად, როცა შეგხვდათ, დაინახეთ?

პასუხი: – დიახ.

კითხვა: – მხოლოდ თქვენ შეხვდით გურამ აბსანძეს?

პასუხი: – არა, საერთოდ ყველა.

კითხვა: – ე.ი. თქვენ შეგხვდათ ამ თორმეტ კაცს მარტო გურამ აბსანძე, სხვას არავის შეხვედრია?

პასუხი: – არ შეხვედრია.

კითხვა: – როდესაც თქვენ გესაუბრებოდათ გ. აბსანძე და თქვენთან ჰქონდა კონტაქტი, მაშინ ჩეჩენი ეროვნების პიროვნებები არ დაგინახავთ?

პასუხი: – არა.

კითხვა: – ვინ იყო თქვენს გარდა?

პასუხი: – ჩვენს გარდა არავინ, სხვა ხალხი არ იყო.

კითხვა: – ფინანსურ საკითხს ვინ აგვარებდა?

პასუხი: – გონა ესებუა.

კითხვა: – ვისი დახმარებით?

პასუხი: – მე არ ვიცი ვისი დახმარებით, გონა იყო.

კითხვა: – ჩვენეთში ვარჯიში როდის დაამთავრეთ თქვენ, უკვე როდის ჩათვალეთ რომ სრულყოფილად მსად ხართ?

პასუხი: – ნოემბრის თვეშიც ვვარჯიშობდით.

კითხვა: – რა გიშლიდათ ხელს წამოსულიყავით აქვთ, საქართველოში?

პასუხი: – არ ვიცი, ფინანსები არ გვაქვსო და გავიწვინდით.

კითხვა: – ვინ დაგვეხმარება ამაშიო, გონასგან რა გაიგეთ?

პასუხი: – გონას არ უთქვამს.

კითხვა: – სად იშოვეთ ფული წამოსასვლელად და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, რასეც სჭირდებოდათ?

პასუხი: – არ გვეტყოდა, გონა ამას.

კითხვა: – თქვენ ამაზე ინფორმაცია არ გაქვთ, არ იცით არაფერი?

პასუხი: – არა.

კითხვა: – თქვენ დაკითხვაში ესე გვიჩვენეთ, რომ ბატონი გურამის სიტყვები არის ესო, ხოდა შეესაბამება ეს სინამდვილეს?

პასუხი: – კი.

კითხვა ბრალდებულ აბსანძისა ბრალდებულ ბონდო თოდუას – რა, დააკონკრეტეთ?

გამომძიებლის კითხვა ბრალდებულ თოდუას – კონკრეტულად აგერ ბატონი გურამიც ითხოვს, ხმამაღლა თქვით ვი. წინასწარ გამოძიებაში რა ჩვენებაც მიეცით. ჩვენებასაც თავი რომ დაეანებოთ, ის რაც იყო მართალი, სიმართლე გვითხარით.

პასუხი: – ამან კი არ გვითხრა, რომ მოკალითო, გონამ გვითხრა ასე ყველაფერი.

კითხვა: – ბატონი გურამი რამდენი დღე დარჩა თქვენთან?

პასუხი: – მოვიდა და ერთი 10-15 წუთი იყო ჩვენთან და წავიდა.

კითხვა: – ბატონი გურამი რომ ჩამოვიდა თქვენთან, ბატონი გურამის ჩამოსვლის მიზანი რა იყო, როგორ გაიგეთ თქვენ ეს?

პასუხი: – მე არაფერი არ ვიცოდი, რომ ჩამოვიდა მაშინ დავიინახე.

კითხვა: – ხოდა რა იყო ჩამოსვლის მიზანი, თქვენი დასკვნა?

პასუხი: – მე არ ვიცი თუ რა იყო მისი ჩამოსვლის მიზეზი
კითხვა: – სანამ თქვენი შეხვედრა მოხდებოდა, ხომ არ
შეხვედრია აბსანძე კიდევ სხვა ვინმეს?

პასუხი: – მე არაფერი არ ვიცი ამაზე.

კითხვა: – თქვენს შეხვედრას ესწრებოდნენ თუ არა ჩენნი
ეროვნების პიროვნებები?

პასუხი: – არა, მის გვერდით არ დამინახია.

კითხვა: – რა მომენტიდან დაიწყეს ჩენებმა თქვენთან
ვარჯიში, რის შემდეგ?

პასუხი: – ბოლო პერიოდში.

კითხვა: – ბატონი გურამი სანამ ჩამოვიდოდა თქვენთან და
შეგხვდებოდათ მანამდე, თუ ბატონი გურამის წასვლის შემდეგ?

პასუხი: – მანამდე იყო, ვარჯიშობდა ექვსი ჩენი.

კითხვა: – ბატონი გურამის წასვლის შემდეგ ჩაერთვნენ
ჩენები, ექვსი ჩენი თუ მანამდე ვარჯიშობდნენ?

პასუხი: – მანამდე.

კითხვა: – ექვსი ჩენი ბატონი გურამის ყოფნის შემდეგ
მოვიდა?

პასუხი: – არა, მანამდე.

კითხვა: – რამდენი დღით ადრე?

პასუხი: – რამდენი დღე იქნებოდა მე არ მახსოვს.

ბრალდებულ გურამ აბსანძის ადვოკატ ოთარ ბერიშვილის
კითხვა ბრალდებულ ბონდო თოდუასადმი: – კი, თქვენ
რამდენიმეწუთიანი გასაუბრება გქონდათ, მაგრამ თქვენ აქ რაღაც
ფინანსებზე ლაპარაკობდით და ეს გურამიდან მოდიოდა თქვენი
აზრით?

პასუხი: – გოჩასაგან მოდიოდა და არა გურამისაგან.

გამომძიებლის კითხვა თოდუას: – გოჩას რა აქვს ნათქვამი,
ვინ გვიხდის ფულსო, ვინ გეაფინანსებსო? თქვენ ჩვენებაში გაქვთ
ეს მითითებული და გაიხსენეთ რა გითხრათ გოჩამ?

პასუხი: – გოჩას არ უთქვამს.

გამომძიებლის კითხვა ბრალდებულ აბსანძეს: – ბატონო
გურამ, ხომ არ გაქვთ რაიმე კითხვა ბატონ ბონდოსთან?

გ. აბსანძის პასუხი: – მაქვს.

ბრალდებულ გ. აბსანძის კითხვა ბრალდებულ თოდუას: –
კონკრეტულად თქვით, მე მქონდა თუ არა თქვენთან ლაპარაკი,
შევარდნაძე მოვკლათ, ან მე ფულს გიხდით, კონკრეტულად
მითხარით ლაპარაკი მქონდა თუ არა ამაზე?

პასუხი: – გონა გეუბნებოდა, ამა'სე ლაპარაკი არ ყოფილა.

კითხვა: – ფულს ეინ გვაძლევსო?

პასუხი: – შაგი არ უთქვამს.“

გ. აბსანძისა და ბ. თოდუას დაპირისპირების ოქმის ჩვენს მიერ წარმოდგენილი ციტატა მთლიანად ნათელყოფს, რომ გ. აბსანძის შეხვედრა გ. ესებუას ჯგუფის წევრებთან არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც დანაშაულის ჩადენაში თანამზრახველთა შეხვედრა და განაჩენში ჩაწერილი ფრა'სა იმის შესახებ, რომ ექვსმა ჩეჩენმა ეარჯი'ში დაიწყო გ. აბსანძის წასვლის შემდეგ, წარმოდგენს სასამართლო კოლეგიის მიერ მიზანმიმართულად შეთხ'სულ სიცრუეს, რაც ნიშანდობლივია მთელი განაჩენისათვის.

როდესაც საქმე შეეხება გ. ესებუას ჯგუფთან ერთად საქართველოში ექვსი ჩეჩენი მებრძოლის წამოსვლის ფაქტს, სასამართლოს ყურადღება გეინდა მივაპყროთ ერთ გარემოებას, კერძოდ: აუცილებლობას წარმოდგენდა თუ არა აღნიშნული საკითხის გ. აბსანძის მიერ გადაწყვეტა და შეეძლო თუ არა გონა ესებუას დამოუკიდებლად გადაეწყვიტა ჩეჩენების საქართველოში წამოსვლის საკითხი.

თუ გავიხსენებთ ზ. ეჯიბიას მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული, ჩვენს მიერ უკვე ციტირებული ჩვენების იმ ადგილს, სადაც საუბარია გონა ესებუას მიერ ეჯიბიასათვის მონათხრობ გ. ლაკიასთან დაკავშირებულ ფაქტ'სე, როდესაც გონა ესებუას მიერ უარყოფითად იქნა გადაწყვეტილი 1997 წლის აგვისტოში ჩეჩენების საქართველოში გაგზავნის საკითხი (იხ. ტ. 9, ს.ფ. 204) და ზ. ეჯიბიას აღნიშნულ ჩვენებას განვიხილავთ სრულ კონტექსტში მის სხვა ჩვენებებთან ერთად, წარმონდგება სურათი, რომ გონა ესებუა ჩეჩენეთის სამხედრო წრეებში სარგებლობდა საკმაოდ მაღალი ავტორიტეტით და მას დამოუკიდებლად შეეძლო სამხედროებთან კონკრეტული საკითხების შეთანხმება. ეს გარემოება არც უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან როგორც ეს დადასტურებულია ზ. ეჯიბიასა და სხვა განსასჯელების ჩვენებებით, გ. ესებუა საკმაო ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ჩეჩენეთში და მონაწილეობას ღებულობდა რუსეთ-ჩეჩენეთის ომში, ჩეჩენეთის დამოუკიდებლობის დასაცავად. ამავე დროს გეინდა მივუთითოთ განსასჯელების გ. კაკაჩიას, ზ. თორდიასა და რ. კუდავას მიერ მიცემულ ჩვენებებზე, სადაც მოყვანილია გ. ესებუას მიერ 1998 წლის მარტის ბოლოს ნათქვამი სიტყვები იმის შესახებ, რომ საჭიროების შემთხვევაში

რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალებზე თავდასასხმელად ესებუას შეეძლო გარკვეული მიზნით ჩეჩენი მებრძოლეების საქართველოში ჩამოყვანა.

ამავე დროს სრულიად გაუგებარია ზ. ეჯიბიას ზემოთ აღნიშნული ჩვენების ის ნაწილი, სადაც იგი აღნიშნავს, რომ თითქოს გ. აბსანძე მოელაპარაკა ბანაკის ხელმძღვანელობას, რის შემდეგაც ჯგუფის წევრებს რატომღაც ამცნო, რომ ქრისტიანებსა და ჩეჩნებს შორის არსებობდა გარკვეული განსხვავება. საკითხავია, რა საჭირო იყო გ. აბსანძის ჩეჩნებთან მოლაპარაკება იმის დასადგენად, რომ მუსულმანებსა და ქრისტიანებს შორის არსებობს განსხვავება. სამწუხაროდ, არც ამ შემთხვევაში გაუმახვილებია წინასწარ გამოძიებას რაიმე ყურადღება მოცემული ჩვენების უაზრობაზე.

განაჩენის მე-60 გვერდზე მითითებულია: „თავის მხრივ, გ. ესებუამ გ. აბსანძეს ამცნო, რომ ჯგუფმა უკვე გაიარა სამხედრო მომზადება, მაგრამ ფინანსების უქონლობის გამო ვერ ახერხებდა თბილისში დაბრუნებას. გ. აბსანძე გ. ესებუას შეჰპირდა, რომ ფულს მალე გამოუზზავნიდა“. აღნიშნული მოსაზრება წინააღმდეგობაშია განაჩენის იმავე გვერდზე განვითარებულ მოსაზრებასთან, რომლის მიხედვითაც „ბანაკიდან აბსანძის წასვლის შემდეგ გ. ესებუამ ჯგუფის წევრებს, მათ შორის ბ. თოდუას, აცნობა, რომ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად ე. შევარდნაძის მიმართ ტერაქტის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებდა ჩეჩენი ეროვნების ექვსი მებრძოლი და ამის შემდეგ მათთან ერთად საბრძოლო მომზადებაში ვარჯიში დაიწყო ექვსმა ჩეჩენმა მებრძოლმა, რომლებმაც შემდგომში მონაწილეობა მიიღეს ტერორისტულ აქტში, ხოლო გ. აბსანძემ შეასრულა დანაპირები და 10 დღის შემდეგ გაუზზავნა გ. ესებუას დაპირებული თანხა.

განაჩენში გამოთქმული ზემოაღნიშნული მოსაზრებების ზედაპირული ანალიზიდანაც კი ნათელია მათ შორის არსებული წინააღმდეგობა, ვინაიდან გაუგებარია, თუ რატომ იყო გ. აბსანძისათვის უცნობი ჯგუფის წევრების მატერიალური გაჭირვების ფაქტი, რომლებიც უსახსრობის გამო დაახლოებით ხუთი თვის მანძილზე ვერ ბრუნდებოდნენ საქართველოში, თუ განაჩენის ლოგიკით მას ინტენსიური კავშირი ჰქონდა გ. ესებუასთან, რომელიც განაჩენის მიხედვით გ. აბსანძის ჩეჩენეთში ჩასვლამდე, დაახლოებით ერთი თვით ადრე იმყოფებოდა მოსკოვში. ასევე გაუგებარია, თუ რატომ არ ჩაიტანა პირადად გურამ აბსანძემ ესებუას ჯგუფისათვის

საჭირო თანხა ჩეჩნეთში და რატომ გახდა საჭირო თანხის თითქოს დამატებით გაგზავნა.

სემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არავითარი საჭიროება ჩეჩნების საქართველოში წამოსვლის საკითხის გ. აბსანძის მიერ უშუალოდ გადაწყვეტისა არ არსებობდა, რადგანაც იგი, როგორც უკვე ითქვა, თავისუფლად შეეძლო მოეგეარებინა გ. ესებუას. ამავე დროს იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში, რომლის დროსაც გ. აბსანძე სამხედრო ბანაკში იმყოფებოდა, ფიზიკურად შეუძლებელი იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა, როგორცაა ჩეჩენი მებრძოლების გ. ესებუას ჯგუფთან შეერთებისა და მათი საქართველოში წამოსვლის საკითხი.

აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სასამართლოს მიერ გაზიარებული უნდა ყოფილიყო გ. აბსანძის ყველა ჩვენება, ზ. ეჯიბიასა და ბ. თოდუას მიერ წინასწარ გამოძიებაში გ. აბსანძესთან დაპირისპირების დროს და სასამართლო გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებები, ხოლო ზ. ეჯიბიასა და ბ. თოდუას მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენების ის ნაწილი, რომელიც შეეხება ჩეჩენი მებრძოლების საქართველოში ჩამოსვლის საკითხს, სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა მათი დაუსაბუთებლობის, წინააღმდეგობრიობისა და უსაფუძვლოობის გამო.

3) გ. აბსანძისათვის წარდგენილი ერთ-ერთი ძირითადი ბრალდება ტერაქტის ეპიზოდებში შეეხება გ. ესებუას ჯგუფის დაფინანსებას გ. აბსანძის მიერ.

განაჩენის თანახმად, გ. აბსანძის საერთო ხელმძღვანელობითა და დაფინანსებით გ. ესებუას უნდა შეექმნა შეიარაღებული ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, უზრუნველყო ამ ორგანიზაციის წევრთა სპეციალური სამხედრო მომზადება. როგორც განაჩენშია მითითებული, გ. ესებუას ჯგუფმა 1997 წლის დეკემბრამდე გაიარა სამხედრო მომზადება, რასაც აფინანსებდა გ. აბსანძე, ხოლო შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი გ. ესებუა, ბრალდების თანახმად, პერიოდულად უკავშირდებოდა გ. აბსანძეს და ჰქონდა შეხვედრები მასთან.

აღნიშნულ ბრალდებაში წინასწარი გამოძიება ეყრდნობა ბრალდებულების ზ. ეჯიბიასა და ბ. თოდუას ჩვენებებს. რაც შეეხება ბრალდებულ ზ. მარანელის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას, რომლის მიხედვითაც გ. აბსანძის მიერ ტერაქტის დაფინანსება და მომზადება თურმე დაწყებული ყოფილა 1994-95

წლებიდან (იხ. ტ. 10, ს.ფ. 131-132). ეს ვერსია თეით გამოძიებამაც არ გაიზიარა და ბრალდების მხარემ მიიჩნია, რომ გ. აბსანძის მიერ ტერაქტის დაფინანსება და ორგანიზება დაიწყო 1997 წლის გაზაფხულზე.

ბრალდებული ზ. ეჯიბია თავის წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებებში მიუთითებდა, რომ მისთვის გ. ესებუასაგან ჯერ კიდევ ჩენეთში წასვლამდე იყო ცნობილი გ. აბსანძის მიერ სამხედრო ოპერაციის დაფინანსების შესახებ (ტ. 9, ს.ფ. 245-246), თუმცა არც ესებუას და არც სხვებს მისთვის არასდროს უთქვამთ, თუ რა როდენობის თანხით, რა კონკრეტული საჭიროებისათვის და რა ინტენსიურობით ფინანსდებოდა ჯგუფის მომზადება. ეჯიბია მიუთითებს, რომ ჩენეთში ჩასვლის შემდეგ გ. ესებუა წავიდა მოსკოვში, მაგრამ მისთვის ესებუას წასვლის მიზანი ცნობილი არ იყო (ტ. 9, ს.ფ. 204) ეჯიბიას ვარაუდით, გ. ესებუამ მოსკოვიდან ჩამოიტანა ფული, მაგრამ ვისგან და რა როდენობით, მისთვის უცნობია. ფულის ჩამოტანის ფაქტის შესახებ ეჯიბიამ დაასკვნა იქიდან, რომ გაუმჯობესდა მათი კვება (ტ. 9, ს.ფ. 204). ზ. ეჯიბია მიუთითებს, რომ გ. ესებუას ჩენეთში ჰქონდა მობილური ტელეფონი, რომლითაც იგი უკავშირდებოდა მოსკოვს. ერთ-ერთი დარეკვის შემდეგ თითქოს გ. ეჯიბიას ესებუამ უთხრა, რომ ორი-სამი დღის შემდეგ ბანაკში ჩამოვიდოდა გ. აბსანძე, მაგრამ მისი ჩამოსვლის მიზანი ეჯიბიასათვის უცნობი იყო. გ. აბსანძის სამხედრო ბანაკში ჩამოსვლასთან დაკავშირებით გ. ეჯიბია აღნიშნავდა, რომ გ. აბსანძემ შეამოწმა ჯგუფის მომზადების დონე და აღნიშნა, რომ მისი ფული წყალში არ იყრებოდა (ტ. 9, ს.ფ. 208), თუმცა შემდგომში, როგორც ზემოთ ითქვა, ეჯიბიამ წინასწარ გამოძიებაშივე უარყო გ. აბსანძის მიერ ჯგუფის მომზადების ნახვისა და შემოწმების ფაქტი.

ბრალდებულ ბ. თოდუას წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში ეჯიბიას მსგავსად აღნიშნულია, რომ მისთვისაც იყო ცნობილი გ. ესებუას მოსკოვში წასვლის შესახებ; 1997 წლის სექტემბერში, ჯგუფის ჩენეთში ჩასვლის შემდეგ გ. ესებუა წავიდა ბანაკიდან სავარაუდოდ მოსკოვში (იხ. ტ. 8, ს.ფ. 107).

ბ. თოდუას ჩვენებაში მითითებულია, რომ გ. აბსანძე სამხედრო ბანაკში ყოფნის დროს გ. ესებუას დაპირდა, რომ გამოუგზავნიდა ფულს გია მამფორიას მეშვეობით, რათა ჯგუფს შეძლებოდა თბილისში გამგზავრება ტერაქტის განსახორციელებლად (იხ. ტ. 8, ს.ფ. 109). გ. აბსანძის წასვლიდან დაახლოებით ათი დღის შემდეგ

როგორც ბ. თოდუას ჩვენებაშია მითითებული, ბანაკში ჩამოვიდა მისთვის უცნობი კაცი, რომელმაც იქ დაჯყო დაახლოებით 10 წუთი, შემდეგ კი გაეშვა ვერა მანქანით გ. ესებუასთან ერთად. მეორე დღეს ბ. თოდუამ გ. ესებუასგან შეიტყო, რომ მისთვის უცნობი პიროვნება იყო გია მამფორია, რომელმაც ჩამოიტანა გ. აბსანძისგან გამოგზავნილი ფული (იხ. ტ. 8, ს.ფ. 109). შემდგომში გ. აბსანძისთან დაპირისპირების დროს ბ. თოდუამ მთლიანად უარყო თავისი ჩვენების ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა გ. აბსანძის მიერ ჯგუფის დაფინანსებას და რამდენჯერმე გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ფინანსურ საკითხებს არკვევდა მხოლოდ და მხოლოდ გ. ესებუა და მას არ უთქვამს და არც იტყობდა, სად შოულობდა ფულს (იხ. ტ. 8, ს.ფ. 124). ორივე ბრალდებულმა სასამართლო გამოძიების დროს კატეგორიულად უარყო გ. აბსანძის მიერ სამხედრო ოპერაციის დაფინანსების რაიმე ფაქტი. თვით გ. აბსანძემ როგორც წინასწარი, ისე სასამართლო გამოძიების დროს კატეგორიულად უარყო მის მიერ სამხედრო ოპერაციის დაფინანსება და ხაზი გაუსვა, რომ არასოდეს, არავითარი თანხით, არავის მეშვეობით, არც ჩენეთში და არც სხვაგან არ დაუფინანსებია გ. ესებუას ჯგუფი და მის მიერ განხორციელებული საბრძოლო ოპერაცია. ყველა ზემოაღნიშნული ჩვენების ანალიზის შემდეგ მივედით დასკვნამდე, რომ უსაფუძვლოა განაჩენის პოსიცია გ. აბსანძის მიერ ტერაქტის დაფინანსების ნაწილში და იგი არ უნდა იქნეს გაზიარებული შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებით არ არის დასაბუთებული, თუ როდის, რა რაოდენობის თანხით და უშუალოდ რა საჭიროებისათვის მიიღო გ. ესებუამ ვინმესგან, მათ შორის გ. აბსანძისგან, რაიმე დაფინანსება.

ბ) გ. ესებუას მოსკოვში ან დაღესტანში (როგორც ეს სასამართლო პროცესზე დაახუსტა ეჯიბიამ) წასვლა 1997 წლის სექტემბერში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაუკავშირდეს გ. აბსანძეს, ვინაიდან, ჯერ ერთი, ამ ფაქტს არც ერთი სხვა ჩვენება და რაიმე მტკიცებულება არ ადასტურებს და, მეორეც - რომ გ. აბსანძე საერთოდ არ ცხოვრობდა მოსკოვში, იმ დროს მისი საცხოვრებელი ადგილი მდებარეობდა მოსკოვიდან 470 კილომეტრის დაშორებით, სმოლენსკის ოლქის ქ. რუდნიაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარი ძიების დროს, გ. აბსანძის დაპატიმრებამდე, პროკურატურა ხელმძღვანელობდა მცდარი ინფორმაციით, რომლის თანახმად გ. აბსანძე თითქოს ცხოვრობდა

და საქმიანობდა მოსკოვში. ჩვენს ამ მოსაზრებას ადასტურებს სასამართლოსადმი მტკიცებულების სახით წარდგენილი გაზეთ „რეზონანსის“ 1998 წლის 26 მარტის ნომერში გამოქვეყნებული ინტერვიუ საქართველოს გენერალური პროკურორის იმდროინდელ პირველ მოადგილესთან რ. ყიფიანთან, რომელიც კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ როგორ მოხდა გ. აბსანძის დაკავება სმოლენსკში, პასუხობს: „გამიკვირდა, რა უნდოდა სმოლენსკში-მეთქი“.

გ) წინასწარი გამოძიების მიერ საერთოდ არ ყოფილა დადგენილი, უკავშირდებოდა თუ არა გ. ესებუა ჩენნეთიდან მოსკოვში ან რუსეთის სხვა რომელიმე ქალაქში ვინმეს და, საერთოდ, შესაძლებელი იყო თუ არა მობილური სატელეფონო კავშირი ომისაგან მიწასთან გასწორებული ჩენნეთის სოფელ ავტურსა და რუსეთის ფედერაციას შორის. ამგვარი სატელეფონო კავშირების შესაძლებლობა სასამართლო პროცესზე საერთოდ იქნა უარყოფილი განსასჯელების ნ. ჩუხუას, გ. ქობალიას, ბ. თოდუასა და ზ. ეჯიბიას მიერ.

სასამართლო გამოძიების დროს გ. აბსანძის ადვოკატებმა კოლეგიას წარუდგინეს რუსეთის კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ გაცემული ოფიციალური ცნობა, რომლითაც მთლიანად იქნა გამორიცხული ჩენნეთიდან რუსეთის ქალაქებში საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის შესაძლებლობა 1997-1998 წლებში. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხების შესახებ განაჩენში საერთოდ აღარაფერია ნათქვამი, რითაც სასამართლომ ფაქტობრივად გაიზიარა ჩვენი 2001 წლის 17 აპრილის შუამდგომლობაში მოყვანილი ანალიზი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და უარყო ეჯიბიას განთქმითი ჩვენების იმ ნაწილის სისწორე, სადაც იგი მიუთითებდა, რომ გ. ესებუა გ. აბსანძეს მოსკოვში უკავშირდებოდა მობილური ტელეფონის საშუალებით.

ზ. ეჯიბიას აღნიშნული ჩვენება წინააღმდეგობაშია ბ. თოდუას ჩვენების იმ ნაწილთან, რომლის თანახმად, გ. ესებუამ გ. აბსანძეს ავტურის სამხედრო ბანაკში შეატყობინა ვ. დურგლიშვილის დაჭრის ამბავი, რადგან ჯგუფის საერთო ხელმძღვანელი და დამფინანსებელი გ. აბსანძე რომ ყოფილიყო, ნუთუ მას თვენახევრის შემდეგ, ისიც შემთხვევით უნდა გაეგო ჯგუფის ერთ-ერთი წევრის დაჭრის ფაქტი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ჯგუფის საქართველოში წამოსვლა? ასევე გაუგებარია ინტენსიური კავშირის შემთხვევაში რატომ არ უნდა სცოდნოდა წინასწარ გ. აბსანძეს იმ ფინანსური გაჭირვების შესახებ, რომელსაც ჯგუფი განიცდიდა? ასეთ

შემთხვევაში ხომ აღარ იქნებოდა საჭირო დამატებითი ხარჯების გაღება და დამატებითი დროის დაკარგვა ფულის გამოგზავნასზე და მას უშუალოდ გ. აბსანძე ჩაიტანდა ბანაკში.

ყველა ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა ფაქტობრივად აბსურდულს ხდის განაჩენის იმ ნაწილს, სადაც საუბარია გ. ესებუას პერიოდულ კავშირზე გ. აბსანძესთან და მასთან გამართულ შეხვედრებთან.

დ) განაჩენის 61-ე გვერდზე კიდევ ერთი აშკარა სიცრუეა დაფიქსირებული, როდესაც აღნიშნულია, რომ „გ. აბსანძე რამდენჯერმე ჩავიდა ჩეჩნეთის საწვრთნელ ბანაკში და ინახულა ტერაქტში მონაწილე პირები. ტერორისტული აქტი უნდა გადაეღოთ ვიდეოფირზე, რომელსაც შემდგომში აჩვენებდნენ გ. აბსანძეს“. სასამართლო კოლეგია არც ამჯერად უთითებს, თუ რომელ კონკრეტულ მტკიცებულებას ეყრდნობა მისი აღნიშნული მოსაზრება და ზოგადად მიაჩნია საქმის მე-10 ტომზე, რომელშიც თავმოყრილია ზ. მარანელის წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები. აღნიშნული ტომის 132-133-ე საქმის ფურცლებზე ზ. მარანელის მიერ ნაჩვენებია, რომ თითქოს - გ. ესებუას ინფორმაციით, 1992 წელს ესებუას გადაუღია შევარდნაძისა და მისი ესკორტის მოძრაობის დეტალები და ჰქონია ურთიერთობა გ. აბსანძესთან. მარანელის ზემოაღნიშნული ჩვენება 1995 წლის მოვლენებთან დაკავშირებით იმდენად იყო მოწვევითი ყოველგვარ რეალობას, რომ ბრალდების მხარემ საერთოდ არ ჩათვალა საჭიროდ მისი მოხსენიება საბრალდებო სიტყვაში. ამასვე ადასტურებს ის გარემოებაც, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნის თარიღად როგორც საბრალდებო სიტყვის, ისე განაჩენის მიხედვით დაფიქსირებულია 1997 წლის გაზაფხული. სასამართლო კოლეგია მოცემულ შემთხვევაშიც ფაქტების სრული გაყალბებისა და მანიპულირების გზას დაადგა, როდესაც მარანელის მიერ მითითებული 1995 წელი გადააქცია 1997 წლად, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ განაჩენის ავტორებმა უხეშად შელახეს არა მხოლოდ სამართლის, არამედ ზნეობის ნორმებიც.

ე) სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ყურადღება ასევე გინდა მივაპყროთ ზ. ეჯიბიას წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენების იმ ნაწილს, სადაც აღნიშნულია, რომ თითქოს გ. ესებუას მისთვის ნათქვამი ჰქონდა ჯერ კიდევ ჩეჩნეთში წასვლამდე გ. აბსანძის მიერ ჯგუფის დაფინანსების შესახებ. მართალია, ზ. ეჯიბიამ სასამართლო გამოძიების დროს მთლიანად

უარყო მის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება, რაც განაჩენით უსაფუძვლოდ არ იქნა გაზიარებული და სწორედ ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია თქვენი ქურადღების მიპყრობა რამდენიმე გარემოებაზე, რომლებიც კიდევ უფრო ცხადყოფენ ზ. ეჯიბიას წინასწარ ძიებაში მიცემული ჩვენების უსაფუძვლობას. ამ საკითხთან მიმართებაში ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გახსენება, თუ როგორ ახასიათებენ საქმის მასალების მიხედვით ბრალდებულები და განსასჯელები გ. ესებუას.

კერძოდ, პროცესის მონაწილეების მიერ გ. ესებუა დახასიათებულია როგორც პატრიოტი, განათლებული, საკმაოდ მკაცრი და უაღრესად გულჩათხრობილი პიროვნება, რომელიც თავის გეგმებზე არასოდეს საუბრობდა, თუ ეს არ იყო საქმის აუცილებლობიდან გამომდინარე. სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენებებიდან ნათელი ხდება, რომ გ. ესებუას ჯგუფში დაცული იყო სუბორდინაციის გარკვეული პრინციპი, კერძოდ, გ. ესებუას მოადგილედ ჯგუფში დანიშნული იყო ნუგზარ ჩუხუა, რომელსაც ჯგუფის მეთაურის გ. ესებუას ადგილზე არყოფნის დროს უნდა შეესრულებინა მისი მოვალეობა. აქედან გამომდინარე, ოპერაციის დაფინანსების შესახებ, უპირველეს ყოვლისა, უნდა სცოდნოდა ნუგზარ ჩუხუას, რომლის ჩვენებებიდანაც ირკვევა, რომ მან მსგავსი არაფერი იცოდა და იგი სოფ. აეტურის ბაზაზე საერთოდ არ შეხვედრია გ. აბსანძეს, რაც უშუალოდ მეტყველებს იმაზე, რომ, ჯერ ერთი, გ. აბსანძის ჩენეთში ჩასვლის ფაქტი არ წარმოადგენდა წინასწარ დაგეგმილ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენას და, მეორეც, ზ. ეჯიბიას წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება პრაქტიკულად წარმოადგენს მისივე გამონაგონს, რადგან შეუძლებელია გ. ესებუას, მისი ხასიათიდან გამომდინარე, ოპერაციის დაფინანსების ფაქტი გაემხილა ზ. ეჯიბიასათვის, რომელიც წლების მანძილზე ქრონიკული ალკოჰოლიზმით იყო დაავადებული და მკურნალობდა, და ამის შესახებ არაფერი ეთქვა ჯგუფის არც ერთი წევრისათვის. ჩვენს ამ მოსაზრებას კიდევ უფრო განამტკიცებს ზ. ეჯიბიას მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენების ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „გ. ესებუას არ დაუკონკრეტებია, თუ რომელ ქვეყანაში გვიპირებდა წაყვანას და არც ამის შესახებ შევეკითხე მე, რადგან მისი ხასიათიდან გამომდინარე, მაინც არ მეტყოდა თუ სად გვიპირებდა წაყვანას“ (ტ. 9, ს.ფ. 197). ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ გ. ესებუა იმასაც კი არ ეუბნებოდა ზ. ეჯიბიას, თუ საერთოდ რომელი მიმართულებით

და რომელ ქვეყანაში მიდიოდნენ საქმესე, მაშინ როგორ შეიძლებოდა და რამდენად რეალურია გოჩა ესებუას ზ. ეჯიბიასათვის გაემხილა ოპერაციის დაფინანსების დეტალები, რაც გაცილებით უფრო დიდ კონსპირაციულ საიდუმლოებას წარმოადგენდა?

1997 წლის 4-11 მარტს ზ. ეჯიბიას მიერ მიცემულ ჩვენებაში ჩაწერილია: „როგორც ზემოთ აღენიშნე, გ. ესებუას გადმოცემით ჩვენს მომზადებას ჩვენთვის აფინანსებდა გ. აბსანძე“ (ტ. 9, ს.ფ. 208).

ჩვენს მიერ შემოწმებული იქნა ზ. ეჯიბიას ყველა ჩვენება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მსგავსი ჩვენება, ანუ ის, რომ, გ. ესებუას გადმოცემით, ჯგუფის მომზადებას აფინანსებდა გ. აბსანძე, მანამდე ზ. ეჯიბიას არსად აქვს მიცემული, რაც გეიქმნის შთაბეჭდილებას, რომ წინასწარი გამოძიების მიერ ზ. ეჯიბიასთან მიმდინარეობდა მუშაობა არასაპროცესო მეთოდებით და მისი გარკვეული ჩვენებები დაკითხვის ოქმებში არ აისახებოდა, რასაც სასამართლოს გამოძიების დროს ამტკიცებდნენ არა მხოლოდ ზ. ეჯიბია, არამედ ბ. თოდუაც და ზ. მარანელიც.

ჩვენს ამ მოსაზრებას განამტკიცებს 1998 წლის 27 და 28 მაისს ზ. მარანელისა და ზ. ეჯიბიას მიერ მიცემული ჩვენებები (ტ. 10, ს.ფ. 131-141; ტ. 9, ს.ფ. 259-279), სადაც ორივე ბრალდებულს თითქმის ერთდროულად, გამოძიების დაწყებიდან ოთხი თვის შემდეგ „გაახსენდა“ ფაქტი, რომელიც, როგორც სასამართლო გამოძიების დროს სამართალდამცველი სტრუქტურების მიერ ოფიციალურად იქნა განმარტებული, არასოდეს მომხდარა. კერძოდ, როგორც მარანელის, ისე ეჯიბიას ჩვენებებში აღინიშნა, რომ ორივე მათგანმა თითქოს იცოდა 1993 წელს მრავალი ადამიანის თვალწინ გოჩა ესებუას მიერ განხორციელებული სამი არაქართული მოწინააღმდეგის მკვლელობის შესახებ. როგორც ზ. მარანელმა, ისე ზ. ეჯიბიამ სასამართლო გამოძიების დროს უარყვეს ზემოაღნიშნული ჩვენებები და მიუთითეს, რომ ისინი წინასწარ გამოძიებაში მიღებული იქნა მათზე უკანონო ზემოქმედების შედეგად; სასამართლოსადმი დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების სახით წარდგენილი იქნა ზუგდიდის შს სამმართველოს უფროსის ოფიციალური ცნობა, რომელშიც ხაზგასმულია, რომ აწ გარდაცვლილი გოჩა ესებუა 1993-1998 წლებში მკვლელობის ფაქტზე არ იძებნებოდა (იხ. ტ. 77, ს.ფ. 392; 307-311). აქედან გამომდინარე, ვინაიდან გ. ესებუას 1993 წელს მკვლელობა არ ჩაუდენია, ორ ადამიანს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, თითქმის ერთდროულად არაერთარ შემთხვევაში

არ შეიძლებოდა ახრად მოსეკლოდა არარსებული ფაქტის აღიარება, რაც გეიქმის საფუძველს იმისა, რომ სარწმუნოდ მივიჩნით განსახადელთა მიერ სახამართლოსათვის მიცემული ჩვენებები წინასწარ ძიებაში მათზე განხორციელებული უკანონო შემოქმედების შესახებ. სახამართლო კოლეჯიამ¹ საერთოდ არ ჩათვალა საჭიროდ უკომპლემენტოდ ფაქტზე ყურადღების გამახვილება, რაც, ვფიქრობთ, აღარ უნდა იყოს გასაკვირი სხვა მრავალრიცხოვანი დარღვევების ფონზე.

ე) როდესაც საუბარია გ. ესებუას ჯგუფის დაფინანსებაზე, საქმის მასალების გაცნობის შემდეგ შეუძლებელია იმის არშემჩნევა, თუ როგორ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდნენ ჯგუფის წევრები, რაც ქმნის უაღრესად კონტრასტულ ვითარებას განაჩენსა და საბრალდებო სიტუაციაში მოყვანილ ვერსიებზე რაღაც ორგანიზებულ დაფინანსებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ, საქმის მასალებიდან გამომდინარე, გ. ესებუა და მისი ჯგუფის წევრები განიცდიდნენ მწვავე მატერიალურ გაჭირვებას, რაც აიძულებდა მათ ეწარმოებინათ კომერციული საქმიანობა, სხვადასხვა საკვები პროდუქტების (ჩაისი, სიმინდის) გზად გაყიდვა და ამგვარი გზით თავის რჩენა, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს ჯგუფის რაიმე ორგანიზებულ დაფინანსებას.

იმ მრავალი მასალიდან, რაც ადასტურებს ჩვენს აღნიშნულ პოზიციას, გვინდა მოვიტანოთ მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებებიდან, რომლებიც მთლიანად ცხადყოფენ გოჩა ესებუას ჯგუფის უაღრეს მატერიალურ გაჭირვებას და გამორიცხავენ მათთვის გარედან გაწეული რაიმე დაფინანსების არსებობას;

ბრალდებული ზ. ზარანდია: „გოჩასთან ერთად ნაზრანში ჩაეიტანეთ ჩაი სუგდიდიდან. გ. ესებუამ გვითხრა, რომ ჩვენთვის იშოვა კლიენტი, რომელიც აიღებდა ჩაის და მოგვცემდა სიმინდს ტომრებით... ჩვენს მიერ წამოღებული ჩაი ჩვენთვის ჩასვლიდან ორი დღის შემდეგ დავტოვეთ ერთ-ერთ ეზოში, ხოლო ჩაის ადგილზე, ე.ი. საბარგულში და სალონში დავტვირთეთ 4,5 ტონა სიმინდი, 1997 წლის ივლისის ბოლოს, საბუთების გაფორმების შემდეგ, გამოგვაცილეს და წამოვედით ზუგდიდში“ (ტ. 69, ს.ფ. 61).

მოწმე ლ. ზარქუა: „1997 წლის დაახლოებით ივლისის თვეში ჩვენთან სახლში მოვიდა გოჩა ესებუა. როგორც შევიტყვე, მას საქმე ჰქონდა ჩემს მეუღლესთან. მათი საუბარი შეეხებოდა ჩაის და სადღაც გამგზავრებას... ჩემმა მეუღლემ ამ პერიოდში სახლში

მოიტანა ჩაის სინჯები, რომელიც მას, თავის განმარტებით, გონა ესებუასთან ერთად უნდა წაეღო ინგუშეთში, რათა ენახებინათ ენმესთვის და შემდეგ აპირებდნენ ჩაის გატანას. გასული წლის ივნისში, რიცხვი არ მახსოვს, შეუღლემ წაიღო ჩაის სინჯები და გონასთან ერთად გაემგზავრა ინგუშეთში“ (ტ. 21, ს.ფ. 68).

მოწმე ლია ესებუა: „მე გონა ესებუას ვთხოვე ესესხებინა ჩვენთვის 100 ლარი, რადგან გვინდოდა ფანჯრებზე დაგვეკონებინა გისოსები. მან გვითხრა, სუგდიდში შეიძინა ჩაი რუსეთში წასაღებად და ფული არ ჰქონდა“ (ტ. 21, ს. ფ. 190).

ბრალდებული ბ. კაკაია: „ბოლო დროს ესებუას ფული ძალიან უჭირდა. არ ჰქონდა საჭმლის შესაძენადაც. 1998 წლის 28 მარტს ჩემი პირადი ფული – 20 ლარი დავუტოვე გონა ესებუას“ (ტ. 11, ს.ფ. 285).

ბრალდებული რ. კულავა: „1998 წლის 30 მარტს ვ. ზარანდიას გონა ესებუამ შეუთვალა, რომ გადმოეცა ჩემთვის საკვები პროდუქტების შესაძენად გარკვეული თანხა. მე წამოსვლისას ვ. ზარანდიამ გონა ესებუას და მისი თანამზრახველების გამოსაკვებად გადმომცა 90 ლარი.“ (ტ. 13, ს.ფ. 59).

ბრალდებული გ. ქობალია: „შეიარაღებული თავდასხმის შემდეგ, მე ვცდილობდი მიმალვას, მაგრამ ფული არ მქონდა და ვერსად ვერ წავედი...“ (ტ. 10, ს.ფ. 150).

სასამართლო გამოძიების დროს განსასჯელების ს. ეჯიბიას, ბ. თოდუას, გ. ქობალიას, ნ. ჩუხუას, პ. ზარქუას, გ. კაკაიას, რ. კულავასა და ზ. თორდიას ჩვენებებმა კიდევ უფრო ნათელყვეს იმ მატერიალური გაჭირვების სურათი, რომელსაც განიცდიდა გონა ესებუა და მისი ჯგუფის თითოეული წევრი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია განაჩენში ასახული პოზიცია შეიარაღებული თავდასხმის გ. აბსანძის მიერ დაფინანსების და საერთო ხელმძღვანელობის, ორგანიზაციის წევრთა სამხედრო მომხადების უზრუნველყოფის თაობაზე; ასევე სრულიად დაუდასტურებელია განაჩენის ფორმულირება გ. ესებუასა და გ. აბსანძის პერიოდული კავშირისა და შეხვედრების შესახებ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია თქვენი ყურადღების გამახვილება 1998 წლის 9 თებერვალს პრეზიდენტ ე. შევარდნაძეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის არსზე, მოტივსა და მიზანზე, რათა ცხადი გახდეს ის გარემოება, რომ თავდასხმა პრეზიდენტ ე. შევარდნაძეზე წარმოადგენდა პირდაპირ შედეგს 1991-92 წლების

შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალებისა, რასაც შედეგად მოჰყვა ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლების იარაღით დამსობა, ათასობით ადამიანის დაღუპვა, საქართველოს კუთხეების, უპირველეს ყოვლისა აფხაზეთისა და სამეგრელოს აოხრება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა, ასეულ ათასობით ადამიანის საკუთარი სახლიდან მოწყვეტა.

1998 წლის 9 თებერვლის შეიარაღებული თავდასხმა გამოხატავდა უბრალო, მშრომელი ადამიანების გულისწყრომას, რომლებმაც ყველა მომხდარ უბედურებაზე პასუხისმგებლობა დააკისრეს პრეზიდენტ ე. შევარდნაძეს. მათ საკუთარი ნებითა და საკუთარი რისკით გადაწყვიტეს ამ თავგანწირულ ნაბიჯზე წასვლა, რასაც არც გურამ აბსანაძისა და არც დევნილი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლის ზედმეტი ღირქტივები და შეძახილები არ სჭირდებოდა, როგორც ეს ბრალდების მხარეს სურს წარმოაჩინოს.

ამასთან დაკავშირებით გვინდა მოვიყვანოთ ბრალდებულთა მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები, რომლებიც მთლიანად იქნა დადასტურებული სასამართლო პროცესზე;

ბრალდებული ზურაბ იჯიბია: „ე. შევარდნაძის წინააღმდეგ ტერაქტი განვახორციელეთ, როგორც სახელმწიფო მოღვაწის წინააღმდეგ, ვინაიდან მე ვფიქრობ, რომ ე. შევარდნაძის ბრძანებით „მხედრონის“ წევრებმა და ფორმირებებმა დაარბიეს და ააწიოკეს ზუგდიდი... პოლიციის თანამშრომლები დევნიდნენ ყველას, ვისაც „ზვიადისტი“ ერქვა... მე მამოძრავებდა პოლიტიკური მოტივი, რადგან ვთვლი, რომ შევარდნაძემ თავისი მმართველობით საქართველო მიიყვანა სრულ კრახამდე... ჩვენ საქართველოს პრეზიდენტის, შევარდნაძის წინააღმდეგ კი არ განვახორციელეთ ტერორისტული აქტი, არამედ მოვახდინეთ შეიარაღებული თავდასხმა, რადგან მან, როგორც პრეზიდენტმა დაღუპა საქართველო და გაანადგურა ქართველი ერი“ (ტ. 9, ს. ფ. 207; 267; 53).

ბრალდებული გერონტი ქობალია: „1991 წლიდან მონაწილეობას ვღებულობ ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობაში. 1991 წლის დეკემბერში, კანონიერი მთავრობის დაცვაში მყოფი ჩემი დის შვილის მოკვლის შემდეგ, ქ. ზუგდიდში შემთხვევით შევესწარი გოჩა ჯიქიას დახვერტის ფაქტს. მკვლელმა დახვერტის შემდეგ იქვე სახალხოდ, ცინიკურად განაცხადა: 17 მეგრელი ჩავაძაღლე სიმონ, ჩამეთვალა... ყოველივე ეს არის მიზეზი და მოტივი იმისა, რომ მონაწილეობა მივიღე ტერორისტულ აქტში“ (ტ. 10, ს.ფ. 178).

ბრალდებული ნუგზარ სუხუა: „მე ვარ კანონიერი ხელისუფლების გეარდიის ოფიცერი და მოუხედავად იმისა, რომ ჩაყვინძვებაში აღწერილი ფაქტები, მე ვმოქმედებდი კანონიერი ხელისუფლების სახელდასახურად. მე არ ჩამიდგენია სამშობლოს ღალატი, ვმოქმედებდი უკანონო ხელისუფლების დამხობის მიზნით“ (ტ. 72, ს.ფ. 40).

ბრალდებული ბონდო თოდუა: „1997 წლის მაისში ჩემთან მოვიდა გ. ესებუა და მითხრა: ხომ ხედავ აუხასუთი ნაბარებულთა, ხალხი შიმშილობს, ყველაფერი გაძარცვულია და არც ერთი წარმოება არ მიუშობს და ისიც ხომ იცი სამეგრელოს რა დღეები დაადგაო. ყოველივე ამაში გ. ესებუამ დაადანაშაულა საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე...“ (ტ. 8, ს.ფ. 105).

ფიქრობთ, მოტანილი ციტატების შემდეგ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

ყოველივე სემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვიტანოთ მხოლოდ ის დასკვნა, რომ 1997 წელს გურამ აბსანძე არ დაკავშირებია გონა ესებუას და არ შეუმუშავებია არავითარი გეგმა პრეზიდენტ შევარდნაძის ლიკვიდაციისა და არსებული ხელისუფლების დამხობის მიზნით.

გურამ აბსანძეს არასოდეს გაუწევია ორგანიზაცია და არასოდეს დაუფინანსებია შეიარაღებული თავდასხმა პრეზიდენტ შევარდნაძეზე.

მას არასოდეს დაუსახაგს მიზნად იარაღის ძალით სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა, ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ხელისუფლების სათავეში მოსვლა. საქმის არც ერთი მასალიდან არ დგინდება, რომ გონა ესებუა პერიოდულად უკავშირდებოდა გურამ აბსანძეს და კქონდა შეხვედრები მასთან.

ჩვენთვის ჩასვლის დროს გურამ აბსანძეს არ შეუმოწმებია გონა ესებუას ჯგუფის მომზადების დონე, არავისთვის მოუწოდებია პრეზიდენტ შევარდნაძის მოკვლისაკენ, არ გადაუწყვეტია ჩვენნი მებრძოლების საქართველოში წამოსვლის საკითხი, არავის დაჰპირებია ფინანსურ დახმარებას.

მიგვაჩნია, რომ დაცვის მხარის მიერ სასამართლოსათვის მტკიცებულებების წარდგენის გარეშეც სრულიად ცხადია, რომ გურამ აბსანძეს არ ჩაუდენია არავითარი მართლსაწინააღმდეგო ქმედება და 1998 წლის თებერვლის ტერაქტის მცდელობის ეპიზოდებში მის მიმართ წარდგენილი ბრალდება დაუსაბუთებელი და უსაფუძველოა.

4) განაჩენში აღნიშნულია, თითქოს დამაჯერებლად შეიძლება იქნეს მინსეული, რომ ზ. ეჯიბია და მ. თოდუა განგებ ჩაბარდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებს, რათა თავიდან აეცილებინათ შურისძიება გ. აბსანძის მხრიდან იმის გამო, რომ მათ წარმატებით ვერ განახორციელეს ტერორისტული აქტი (იხ. განაჩენი, გვ. 63). იქვე მითითებულია, რომ გ. აბსანძის მხრიდან დანაშაულის ამსრულებლისათვის საფრთხის შექმნის შესაძლებლობას არ გამორიცხავდა ზ. მარანელიც. ამ შემთხვევაში სასამართლომ შეგნებულად არ მიუთითა ზ. მარანელის ჩვენების საქმის ფურცელი, ვინაიდან მის მიერ შეგნებულად იქნა გაყალბებული ზ. მარანელის ჩვენების ის ნაწილი, სადაც იგი გამოთქვამდა შიშს იმ შემთხვევაში, თუ ტერაქტი განხორციელდებოდა წარმატებით და არა წარუმატებლად, როგორც ეს განაჩენშია წარმოდგენილი. იმავე ჩვენებაში ზ. მარანელი მიუთითებს, რომ მის შიშს უარყოფდა გ. ესებუა და აიმედებდა მას, რომ შევარდნაძის შემდეგ უკეთესი ხელისუფლება მოვიდოდა. მარანელის მიერ გ. აბსანძის აღნიშნულ კონტექსტში მოხსენიება თავად მარანელმა უარყო სასამართლო გამოძიების დროს მიცემული ჩვენებით და გ. აბსანძის ხსენება მარანელის მიერ ახსნილი იქნა მასზე განხორციელებული ზემოქმედებით. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ეს გახლავთ სწორედ 1998 წლის 27 მაისის ჩვენება, რომლის უსაფუძვლობაზეც ზემოთ გეკონდა დეტალური საუბარი, მივიღებთ პარადოქსულ ფაქტს, როდესაც ზ. მარანელის ცრუ ჩვენება კიდევ ერთხელ იქნა გაყალბებული სასამართლო კოლეგიის მიერ.

რაც შეეხება განაჩენში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ზ. ეჯიბიასათვის ცნობილი იყო რაღაც დაუწერელი კანონების შესახებ და აქედან გამომდინარე გაკეთებულ დასკვნას ეჯიბიასა და თოდუას ნებაყოფლობით ჩაბარების თაობაზე, მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ბრალდების მხარის მიერ აკვიატებულ და სასამართლო კოლეგიის მიერ ატაცებულ ყოვლად აბსურდულ ვარაუდთან, რასაც არ გააჩნია არავითარი საფუძველი და არ არის დამტკიცებული არავითარი ჩვენებით. სასამართლოზე ეჯიბიამ პროკურორ ბადრიაშვილის შეკითხვაზე: „თქვენი პოლიციისათვის ჩაბარება და თქვენს მიერ პოლიციაში გამოცხადება იარაღთან დაკავშირებით, ხომ არ ნიშნავდა იმას, რომ თქვენ თავიდან აიცილეთ ფიზიკური განადგურების საფრთხე?“ – ეჯიბიამ უპასუხა: – „არა, ეს გამორიცხულია. ვის უნდა მოვეკალი მე, გოჩა ესებუას? ის იყო ჩემი მეთაური, მე მის ბრძანებებს ვასრულებდი და ჩვენ ერთად

ვიბრძოდით, ერთ სანგარში თავიდან ბოლომდე“. განაჩენში, რასაკვირველია, ამჯერადაც გამოჩენილია ეს მნიშვნელოვანი მტკიცებულება. საკითხავია, თუ ეჯიბიას და თოდუას ნებაყოფლობით ჰქონდათ განზრახული, ჩაბარებოდნენ სამართალდამცველ ორგანოებს, მაშინ რატომღა მიდიოდნენ ისინი ღამის საათებში, ფეხით, რკინიგზის ლიანდაგებით, ქალაქბარეთ, სადაც სრულიად შემთხვევით იქნენ დაკავებულნი? ანდა დაკავების შემდეგ რატომ ისარგებლა თოდუამ პოლიციელთა უყურადღებობით და რატომ მიიმალა? ან რატომ არ ჩაბარდნენ ესეუას ჯგუფის სხვა წევრები, თუნდაც იგივე მარანელი, ნებაყოფლობით სამართალდამცველ ორგანოებს? ეს უმარტივესი კითხვებიც კი კარგად წარმოაჩენს განაჩენის აღნიშნული მოსაზრებების სრულ უსუსურობას.

5) უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ყურადღება გვინდა მივაპყროთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც გარკვეულწილად ნათელს ჰყენს იმ გარემოებას, რომ ოფიციალური ძალოვანი სტრუქტურები მიზანმიმართულად უშლიდნენ ხელს 1998 წლის 9 თებერვლის ტერორისტული აქტის შესახებ ჭეშმარიტების დადგენას.

საქმე ეხება ჯგუფის ხელმძღვანელის გონა ესეუას მკვლელობის ფაქტს, რომელიც განხორციელდა საქართველოს შსს სპეცდანიშნულების სამსახურისა და სადესანტო-მოიერიშე ბრიგადის ერთობლივი ოპერაციის შედეგად 1998 წლის 31 მარტს (იხ. ტ. 14, ს.ფ. 148-206). საქმეში არსებული გ. ესეუას მიმართ ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისა და გ. ესეუას ტანსაცმლის ექსპერტიზის დასკვნებიდან (იხ. ტ. 14, ს.ფ. 34; 66-75) დადგენილია, რომ გ. ესეუას ყველა ტყვია ზურგში აქვს ნასროლი და, აქედან გამომდინარე, იგი არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა შსს თანამშრომლებს. უაღრესად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ, საქმის მასალებიდან გამომდინარე, გონა ესეუას იმ დროს კონტაქტი ჰქონდა სამეგრელო-ზემო სვანეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებთან, განზრახული ჰქონდა მათთან შეხვედრა და ფიქრობდა, რომ ჩაბარებოდა სამართალდამცველ სტრუქტურებს (იხ. საქმის მე-13 და მე-14 ტომებში – თ. გაბუნიას, ვ. ზარანდიას, ა. და ი. ჩხეიძეების, შ. სურმავას, თ. თოდუას დაკითხვის ოქმები; თ. გაბუნიასა და ვ. ზარანდიას დაპირისპირების ოქმი; ვ. ზარანდიას ადვოკატის შუამდგომლობა; სასამართლო პროცესზე განსასჯელების გ. კაკაჩიას, გ. კუდავას და ხ. თორდიას ჩვენებები).

თუ გავითვალისწინებთ, რომ გ. აბსანაძე 1998 წლის 19 მარტს

უკვე ექსტრადირებული იყო თბილისში და წინასწარ გამოძიებას მის წინააღმდეგ ერთადერთ ევროსიად გააჩნდა თითქოსდა გ. ესებუას მიერ სამი განსასჯელისათვის გ. აბსანძის შესახებ ნათქვამი ინფორმაცია, მაშინ სამართალდამცველი სტრუქტურები დაინტერესებულნი უნდა ყოფილიყვნენ არა გ. ესებუას ლიკვიდაციით, არამედ მისი დაკავებით, რათა ნათელი მოჰყენოდა სიმართლეს. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს მეტად საეჭვო ვითარებასთან, საიდანაც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სამართალდამცველი სტრუქტურების გავლენიანი პირები არ იყვნენ დაინტერესებულნი საქმის სწორი გამოძიებითა და გახსნით, რაც მიანიშნებს, რომ აღნიშნული ძალებისათვის ხელსაყრელი იყო ყოველგვარი სერიოზული გამოძიების გარეშე, გ. აბსანძის ტერაქტის ორგანიზატორად და დამუინანსებლად მიჩნევა. სასამართლო კოლეგიამ არც აღნიშნული საკითხის გამოკვლევა მიიჩნია საჭიროდ და დაცვის მხარეს უარით უპასუხა შუამდგომლობაზე დაკითხულიყვნენ ამ საკითხთან დაკავშირებული მოწმეები, მათ შორის თ. გაბუნია, ვ. ზარანდია, გ. ჭანტურიძე, შ. სურმავა, თ. მურღულია, ბ. ფონია და სხვები, რითაც სასამართლო კოლეგიამ გამოავლინა სრული დაუინტერესებლობა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევისადმი.

6) განაჩენში აღნიშნულია, რომ დაცვის მხარემ მტკიცებულების სახით სასამართლოზე წარადგინა გ. გალოგრეს რედაქტირებით გამოსული წიგნი „ჯიხაშკარის სევედიანი მზე – ერთი ტერაქტის ანატომია“, სადაც აღწერილია უშიშროების ყოფილი მინისტრის ჯ. გახოკიძის საუბრები გ. ესებუასთან. განაჩენში ჩაწერილია, რომ თურმე აღნიშნული მტკიცებულება ამყარებს არა დაცვის, არამედ ბრალდების მხარის პოზიციას, რომ თითქოს გოჩა ესებუას სატელიტური სატელეფონო კავშირი ჰქონდა დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მათ შორის გ. აბსანძისთან და დებულობდა დირექტიულ მითითებებს; თითქოს გ. ესებუას მართავდნენ დანაშაულის ორგანიზატორები, მათ შორის გ. აბსანძე და ამ უკანასკნელთ ეშინოდათ გ. ესებუას დაპატიმრების შემთხვევაში მათი დანაშაულებრივი ქმედებების გამჟღავნებისა და მხილებისა (იხ. განაჩენი, გვ. 69). ამავე დროს განაჩენში აღნიშნულია, რომ გ. ესებუა ჯ. გახოკიძისთან და ჟურნალისტებთან საუბარში ბოლომდე გულწრფელი არ არის და გ. ესებუას საუბრებისა და ინტერვიუების მოშველიებით გ. აბსანძის უდანაშაულობის მტკიცება მოკლებულია საფუძველს (იხ. განაჩენი, გვ. 70).

მიგვაჩინია, რომ განაჩენის ავტორთა ცინიზმი ამაზე შორს ძნელად თუ წავა, ეინაიდან მასში მთლიანად არის გაყალბებული ჯ. გახოკიძის სიტყვებით გადმოცემული ჯ. გახოკიძისა და გ. ესებუას საუბრების არსი; კერძოდ, ხსენებული წიგნის 116-ე გვერდზე გ. ესებუა კითხვას, „რას გირჩევენ ისინი?“ (იგულისხმებოდა ნ. ბურჭულაძე, ტ. გელანტია და გ. აბსანძე) – გ. ესებუა პასუხობს: „ისინი ჩვენ ევრაფერს გვირჩევენ იმიტომ, რომ მაინც არ მივიღებთ მათ რჩევას. ეს ნაბიჯი ჩვენ ჩვენით გადავდგით და ჩვენით მიუიყიანთ ბოლომდე“. წიგნის 98-ე გვერდზე გონა ესებუა ტერაქტის წარუმატებლობას ხსნის მატერიალური გაჭირვებითა და ფულის არქონით, ხოლო მე-100 გვერდზე გ. ესებუა კი არ უარყოფს ტერაქტის მოწყობაში მონაწილეობას, არამედ იგი ამას ხსნის საქართველოს თავისუფლების სურვილით. ზემოაღნიშნული წიგნიდან დასტურდება, რომ გ. ესებუა არ უარყოფდა ტერაქტში მონაწილეობის ფაქტს, როგორც ეს განაჩენშია წარმოდგენილი, და იგი მოქმედებდა დამოუკიდებლად, დევნილი ხელისუფლების ყოველგვარი ღირეპქტივების გარეშე. ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დაცვის მხარის მიერ სასამართლოზე დაყენებული იქნა შუამდგომლობა ჯ. გახოკიძის მოწმის სახით დაკითხვისა და იმ აუდიო-ფირის მტკიცებულებად წარმოდგენის შესახებ, რომლის დეშიფრირებაც დაედო საფუძველად ზემოაღნიშნულ წიგნს. სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული იქნა ადვოკატთა შუამდგომლობა და მოწმედ იქნა გამოძახებული ჯ. გახოკიძე. 2001 წლის 29 მაისს ჯ. გახოკიძის მიერ სასამართლოზე გამოგზავნილი იქნა წერილი, სადაც იგი აცხადებდა, რომ ვერ გამოცხადებოდა პროცესზე, რადგან შესაძლებელი იყო მისი ჩვენების მისივე საწინააღმდეგოდ გამოყენება. ამასთან წერილში მითითებული იყო, რომ ჯ. გახოკიძისათვის უცნობი იყო სასამართლოს მიერ გამოთხოვილი აუდიო-ფირის ადგილსამყოფელი (იხ. ტ. 77, ს.ფ. 355). როდესაც დაცვის მხარემ სასამართლოს დაუსაბუთა ჯ. გახოკიძის განცხადების კანონთან შეუსაბამობა (იხ. ტ. 86, ს.ფ. 189-192), სასამართლო კოლეგიამ საერთოდ ღიად დატოვა ჯ. გახოკიძის მოწმედ მოწვევის საკითხი, რასაც შემდგომში დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების წარმოდგენის აკრძალვა მოჰყვა. აქედან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ თავად შეუშალა ხელი დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულების ბოლომდე გამოკვლევას და ის ფაქტი, რომ განაჩენში გაყალბებულად აისახა ზემოაღნიშნული წიგნის შინაარსი, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს

სასამართლოს მიზანიმართულ ტენდენციურობასა და ფაქტების გაყალბების მცდელობას.

5. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს სასამართლო კოლეგიის მიერ დაშვებული იქნა მთელი რიგი არსებითი ხასიათის უხეში პროცესუალური დარღვევები, კერძოდ: იგნორირებული იქნა საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და საპროცესო კანონმდებლობით ნებისმიერი პირისათვის გარანტირებული იმგვარი ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა დაცვის უფლება და შეჯიბრებითობა; არ ყოფილა გამოკვლეული დაცვის მხარის მთელი რიგი არსებითი ხასიათის მტკიცებულებები, უფრო მეტიც, სასამართლომ დაცვის მხარეს საერთოდ აუკრძალა მტკიცებულებების წარდგენა; გ. აბსანძესა და სხვა განსასჯელებს არ მიეცათ საბოლოო სიტყვის თქმის უფლება; განაჩენი გამოიტანა სასამართლოს არაკანონიერმა შემაღენლობამ; გ. აბსანძე მთელი პროცესის განმავლობაში იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში, რასაც კოლეგიის მიერ არ მიეცა სათანადო სამართლებრივი შეფასება; კოლეგიის თავმჯდომარის მიერ არასწორად იქნა განმარტებული საპროცესო კანონის მთელი რიგი მოთხოვნები; 2001 წლის ივნისში გ. აბსანძისა და სხვა განსასჯელებისათვის სახაზინო წესით დანიშნულ ადვოკატებს არ მიეცათ გონივრული და საკმარისი დრო, რათა გასცნობოდნენ საქმის მასალებს და განეხორციელებინათ დაცვა; წინასწარგამიზნულად, კანონმდებლობისა და ზნეობის ნორმების შელახვით, სასამართლო კოლეგიის მიერ გ. აბსანძე გაძევებული იქნა სასამართლო პროცესიდან; კოლეგიის მიერ გაყალბებული იქნა სისხლის სამართლის საქმის უზენაეს სასამართლოში შესვლის თარიღი, კერძოდ, 1999 წლის 14 მაისი გადაკეთებული იქნა 17 მაისად; კოლეგიის მიერ გამოტოვებული იქნა პროცესის მთელი ეტაპი.

გვინდა დეტალურად გავაანალიზოთ სასამართლო კოლეგიის მიერ დაშვებული თითოეული ზემოაღნიშნული დარღვევა:

1. კოლეგიის მიერ გ. აბსანძის მიმართ უხეშად იქნა დარღვეული საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11, მე-15, მე-18, 52-ე, 84-ე, 437-ე, 439-ე და 563-ე მუხლები, როდესაც გ. აბსანძესა და მის ადვოკატებს 2001 წლის ივნისის დასაწყისში აუკრძალათ მტკიცებულებების წარდგენა სასამართლოს წინაშე, მით უმეტეს,

რომ დაცვის მხარის მიერ სასამართლოსათვის წინასწარ ხდებოდა დასაბუთება იმისა, თუ რისთვის იყო საჭირო ამა თუ იმ მოწმის დაკითხვა ან დოკუმენტის გამოკვლევა. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლეს უფლება არა აქვს აუკრძალოს მხარეს მტკიცებულებათა წარდგენა: იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ მტკიცებულება საქმეს არ ეხება, მას შეუძლია იგი განარიდოს განხილვას (სსსკ 52-ე და 437-ე მუხლები); ამავე დროს მოსამართლე ეალდებულია მხარეებს შეუქმნას თანაბარი პირობები და შესაძლებლობები მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოკვლევისათვის, რაც მოცემულ შემთხვევაში აშკარად იქნა დარღვეული კოლეგიის მიერ, ეინაიდან ბრალდების მხარე შეიდ თეკუსე მეტი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა თავის მტკიცებულებებს მაშინ, როდესაც მთელი დაცვის მხარეს (იგულისხმება ყველა განსასჯელი და მათი ადვოკატები) თავიანთი მტკიცებულებების წარმოსადგენად მიეცათ დაახლოებით თენახევაარი.

სასამართლო კოლეგიის მიერ ასევე უხეზად იქნა დარღვეული სსსკ 488-ე მუხლით გ. აბსანძისათვის მინიჭებული უფლება, როდესაც კოლეგიამ მას არ მისცა საშუალება სასამართლო გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებისათვის ახალი მტკიცებულებების დამატებისა, მით უმეტეს, რომ გ. აბსანძეს მანამდე სასამართლო კოლეგიის წინაშე არაერთგზის ჰქონდა გაცხადებული, რომ 1992-1993 წლების ეპიზოდებთან დაკავშირებით მას სწორედ სასამართლო გამოძიების აღნიშნულ ეტაპზე ჰქონდა განსრახული ჩვენების მიცემა. აქ არ შეიძლება არ გაეიხსენოთ განაჩენში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს გ. აბსანძემ ვერაერთარი საბუთი ვერ დაასახელა იმის დასადასტურებლად, რომ 127 830 აშშ დოლარი იხარჯებოდა საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. აღნიშნულ ეპიზოდში გ. აბსანძეს არა მხოლოდ ჩვენების მიცემის უფლება შეეზღუდა, არამედ მას ფაქტობრივად აუკრძალა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დოკუმენტების, მოწმეებისა და მტკიცებულებების წარდგენა, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი.

გარდა ამისა, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მოწმეების ს. ძიძიგურის, რ. პეტრიაშვილის, რ. ლაკიას, ჯ. გახოკიძის და სხვათა სასამართლო პროცესზე დაკითხვას, რომელთა ჩვენებებიც მთლიანად ცხადყოფდნენ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი სამსახურების მიერ, 1998 წლის 9 თებერვლამდე დიდი ხნით ადრე, გ. აბსანძე მოიაზრებოდა როგორც განხორციელებული თუ განუხორციელებელი ტერაქტების ორგანი-

ზატორი და დამფინანსებელი, რაც ნათელს ჰყენს გ. აბსანძისათვის წარდგენილი ბრალდებების პროვოკაციულ ხასიათს. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ „ე. ქობალიას, ზ. ძიძიგურისა და სხვათა მიმართ“ სისხლის სამართლის საქმის 61-ე ტომის 44-45-ე საქმის ფურცლებზე წარმოდგენილი, იქამად განსასჯელის, ზ. ძიძიგურის ჩვენება სასამართლო პროცესზე 1996 წელს (აღნიშნული მასალა ადვოკატთა შუამდგომლობით დართული იქნა გ. აბსანძისა და სხვათა მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე). ზ. ძიძიგურის ჩვენებაში აღნიშნულია: „10 დღის განმავლობაში მე ვიმყოფებოდი დიღომში, მილიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში. დღეში რამდენჯერმე გამოვყავდი საკნიდან. ბოლო დღეებში ფიზიკური ზემოქმედება შეცვალა ფსიქოლოგიურმა ზემოქმედებამ. მეუბნებოდნენ, რომ ალგეთელი მგლების ჩადენილი ტერაქტები ბავშვების თამაშია იმასთან შედარებით, რაც შენ ჩაგიდენიაო და მისახელებდნენ სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობას, გია ჭანტურიას მკვლელობას და ა.შ. მეუბნებოდნენ, რომ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მე დაკავშირებული ვიყავი ამ მკვლელობებთან. ბალუაშვილმა მინახულა რამდენჯერმე. იგი მუდმივად მაძალებდა მეთქვა, რომ მე ვიყავი ტერორისტული ჯგუფის წევრი და მაფინანსებდა გურამ აბსანძე. ბოლო დღეებში უკვე ისეთ დღეზე ვიყავი მისული, რომ ვეხვეწებოდი დაწერილებით ეთქვათ, სად და როგორ პირობებში განახორციელეს ალგეთელმა მგლებმა ტერაქტი, რომ ეს აქტები ჩემს თაყზე ამელო“ (იხ. ე. ქობალიას, ზ. ძიძიგურისა და სხვათა სს საქმე ტ. 61, ს.ფ. 44-45). აქვე უნდა აღინიშნოს 33-ე ტომის 76-ე საქმის ფურცელზე მოთავსებული უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ჯ. გახოკიძის მიერ დამტკიცებული გეგმა „№ 568 სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შესახებ“, შედგენილი 1997 წელს, 1997 წლის 20 აგვისტოს პრესაში გამოქვეყნებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ე. შევარდნაძეზე მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ. აღნიშნული გეგმის მე-11 პუნქტით დაგეგმილია იმ პირთა ძებნის გააქტიურება, რომლებიც შეიძლებოდა დაკავშირებული ყოფილიყვნენ მოსალოდნელ ტერაქტთან. ამ პირთა ჩამონათვალში ფიგურირებს გ. აბსანძე.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული ფაქტები მთლიანად ცხადყოფენ, რომ გ. აბსანძის მიმართ ბრალდება ტერაქტის ორგანიზებასა და დაფინანსებაში მონაწილეობის შესახებ გენერალურ პროკურატურ

რაში მხადდებოდა ჯერ კიდევ 1995-1997 წლებში.

სასამართლო კოლეგიის მიერ უხეშად იქნა შეხლულული გ. აბსანძისა და სხვა განსასჯელთა უფლებები, რითაც ხელი შეეწაღა საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და ყოველივე ამან არსებითი გავლენა მოახდინა სამართლიანი განაჩენის დადგენაზე, რის გამოც სსსკ 562-ე მუხლისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად განაჩენი უნდა გაუქმდეს.

2. სასამართლო კოლეგიის მიერ მტკიცებულებების წარდგენის უკანონოდ აკრძალვის შემდეგ გ. აბსანძისა და სხვა განსასჯელთა ადვოკატები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ სასამართლო დარბაზი, ვინაიდან მათი პროცესზე ყოფნა ავტომატურად შეუწყობდა ხელს კოლეგიას თავისი უკანონო ქმედების განხორციელებაში, რითაც ადვოკატების მიერ თავიდან იქნა აცილებული სსსკ 84-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევის ფაქტი, რომლითაც დამცველს აკრძალვა იმოქმედოს თავისი დაცვის ქვეშ მყოფის საზიანოდ. ამის შემდგომ სასამართლო კოლეგიის მიერ გ. აბსანძეს დაენიშნა სახაზინო ადვოკატი თ. ჩიკვაიძე, რომელმაც სასამართლოს მოსთხოვა სამი თვის ვადა საქმის მასალების გასაცნობად, რაც კოლეგიამ არ დააკმაყოფილა. კოლეგიის ამ უკანონო ქმედებამ გამოიწვია პოზიციური წინააღმდეგობის წარმოშობა გ. აბსანძესა და სახაზინო ადვოკატს შორის, რის შემდეგ ადვოკატმა თ. ჩიკვაიძემ უარი განაცხადა დაცვის განხორციელებაზე და დატოვა სასამართლო პროცესი. 2001 წლის ივლისში სასამართლო კოლეგიამ განჩინებით გადაწყვიტა, რომ გ. აბსანძისათვის აღარ იყო საჭირო სავალდებულო წესით ადვოკატის დანიშვნა და პროცესი წარმართა გ. აბსანძის ადვოკატის გარეშე.

სასამართლო კოლეგიამ თავისი ზემოაღნიშნული განჩინებით უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის, სსსკ მე-11 მუხლისა და 81-ე მუხლის „დ“ და „ვ“ პუნქტების მოთხოვნები, კერძოდ, სსსკ 81-ე მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად დამცველის დანიშვნა სავალდებულოა, თუ განსასჯელს წარდგენილი ბრალდების შესაბამისად შეიძლება დაენიშნოს უეადო თავისუფლების აღკვეთა. იმავე 81-ე მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად კი აუცილებელია ადვოკატის დანიშვნა იმ შემთხვევაში, თუ განსასჯელთა ინტერესებს შორის არის წინააღმდეგობა და თუნდაც ერთ მათგანს ჰყავს დამცველი. აღსანიშნავია, რომ 2001 წლის 14

იენისს პროკურორმა ბადრიაშვილმა სასამართლო სხდომაზე დააფიქსირა პოზიცია, რომლის მიხედვით, რადგანაც განსასჯელთა უმრავლესობას ბრალი ედებოდა ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც შეიძლებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო უვადო თავისუფლების აღკვეთა, ამიტომ სსსკ 81-ე მუხლის თანახმად განსასჯელებზე ვრცელდებოდა კანონის მოთხოვნა იძულებითი დაცვის შესახებ (იხ. ტ. 86, ს.ფ. 313), ხოლო 2001 წლის 26 ივლისის სხდომაზე იმავე პროკურორმა ბადრიაშვილმა ბრალდების ფორმულირებაში ყოველგვარი ცვლილების შეტანის გარეშე, თავისივე 2001 წლის 14 იენისს გამოთქმული პოზიციის საწინააღმდეგოდ, დაუსაბუთებლად განაცხადა, რომ განსასჯელებს ბრალი არ ედებოდათ იმგვარი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც მათ შეიძლებოდა შეფარდებოდათ უვადო თავისუფლების აღკვეთა (იხ. ტ. 86, ს.ფ. 332).

პროკურორის აღნიშნული პოზიციის გათვალისწინებით, სასამართლო კოლეგიამ გამოიტანა ყოველად უკანონო და დაუსაბუთებელი განჩინება, რომლის თანახმად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სასამართლო პროცესის გაგრძელება გურამ აბსანძისათვის ადვოკატის არყოლის პირობებში (იხ. ტ. 78, ს.ფ. 299).

აქედან გამომდინარე, ვინაიდან გ. აბსანძეს წარდგენილი ჰქონდა ბრალდება 1961 წლის რედაქციის სსკ 104-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებდა უვადო თავისუფლების აღკვეთას, ამასთან მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება აგებული იყო განსასჯელ ზ. ეჯიბიას განთქმით ჩვენებაზე, რომელსაც სასამართლო პროცესის ყველა ეტაპზე ჰყავდა სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი, ცხადია, რომ სასამართლო კოლეგიამ მიზანმიმართულად, უხეშად შელახა გ. აბსანძის დაცვის უფლება, რაც სსსკ 563-ე მუხლის პირველი ნაწილისა და იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტის შესაბამისად განეკუთვნება კანონის არსებით დარღვევათა რიგს და, 562-ე და 563-ე მუხლების მოთხოვნათა თანახმად, ყველა შემთხვევაში წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს.

3. 2001 წლის 26 ივლისის სასამართლო კოლეგიის განჩინებით გ. აბსანძე გაძევებული იქნა სასამართლო პროცესიდან. გ. აბსანძის გაძევებას საფუძველად დაედო ის ფაქტი, რომ კოლეგიის სრული უმოქმედობის გამო იგი იძულებული გახდა თავად გაეცა პასუხი სასამართლო დარბაზში შეგზავნილი შეიარაღებული პროვოკა-

ტორებისათვის, რომლებმაც პროცესის მიმდინარეობის დროს გ. აბსანძეს მოულოდნელად უწოდეს მკვლეელი და დაუწყეს უშეკერი სიტყვებით ღანძლვა. ეს ფაქტი დადასტურებულია სასამართლოს სხდომის ოქმითაც (იხ. ტ. 86, ს.ფ. 333), საიდანაც ნათლად ჩანს, რომ დარბაზში მყოფი ერთ-ერთი პიროვნება მიმართაქს განსასჯელ აბსანძეს: – „შენ ხარ მკვლეელი, შენ რად გინდა განსამართლება, პირდაპირ უნდა ჩამოგახსრონ... შენ ხარ მკვლეელი“... კოლეგიის თავმჯდომარე კი შენიშვნასაც არ აძლევს დარბაზში მყოფ პროვოკატორს, პირიქით, იგი აფრთხილებს, შემდეგ კი აძიებს განსასჯელ აბსანძეს (იხ. ტ. 86, ს.ფ. 333).

ის ფაქტი, რომ სასამართლო დარბაზში, რომელიც უზრუნველყოფილია გაძლიერებული დაცვით და თითოეული შემსვლელი საგულდაგულოდ იჩხრიკება, შესაძლებელი გახდა აშკარად შეიარაღებული პირების თავისუფლად შეშვება და მათი პროვოკაციული ქმედებისათვის ხელის არშეშლა, მთლიანად ცხადყოფს, რომ გ. აბსანძის პროცესიდან გაქევა მოხდა წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით. გ. აბსანძის გაქევის ფაქტი მოხდა მრავალი ადამიანის თანდასწრებით და იგი აღბეჭდილია ვიდეოფირზე. გ. აბსანძის უკანონო გაქევას სასამართლო კოლეგიის მხრიდან შემდგომში ახალი უკანონობა მოჰყვა, რაც გამოიხატა იმაში, რომ სასამართლო კოლეგიამ გ. აბსანძეს არ მისცა უფლება საბოლოო სიტყვის წარმოთქმისა, რაც სსსკ 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ პუნქტის თანახმად წარმოადგენს კანონის არსებით დარღვევას და ყველა შემთხვევაში იწვევს განაჩენის გაუქმებას.

4. სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს არაერთხელ იქნა დაფიქსირებული, რომ სათადარიგო მსაჯულმა სააკიანმა რამდენჯერმე შეცვალა როგორც მსაჯული იასეშვილი, ისე მსაჯული პაპავაძე. შემდგომში იასეშვილი და პაპავაძე კვლავ ახორციელებდნენ მსაჯულთა მოვალეობას, ხოლო სააკიანი კვლავ ხდებოდა სათადარიგო მსაჯული. ყოველივე ამით სასამართლო კოლეგიის მიერ უხეშად იქნა დარღვეული სსსკ 434-ე, 435-ე და 436-ე მუხლების მოთხოვნები; კერძოდ, სსსკ 434-ე მუხლის თანახმად „სისხლის სამართლის საქმეს პირველი ინსტანციის სასამართლოები განსჯადობის შესაბამისად განიხილავენ: ...საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით“. სსსკ 435-ე მუხლის შესაბამისად სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს ერთი და იგივე შემადგენლობით, ხოლო 436-ე მუხლის

თანახმად, როგორც მოსამართლის, ისე მსაჯულის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მისი კოლეგიის შემადგენლობიდან გასვლის შემთხვევაში. კანონი არ ითვალისწინებს კოლეგიის შემადგენლობიდან გასული მოსამართლის (მსაჯულის) კვლავ კოლეგიის შემადგენლობაში დაბრუნების შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში სხვადასხვა დროს სამივე მსაჯულის მიერ მოხდა კოლეგიის შემადგენლობიდან გასვლა, ხოლო შემდეგ, კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ისინი კვლავ იქნენ დაბრუნებულნი კოლეგიის შემადგენლობაში. აღსანიშნავია, რომ მსაჯულმა სააკიანმა იმ მომენტიდან, როდესაც მან პირველად შეცვალა კოლეგიიდან გასული ერთ-ერთი მსაჯული, დაკარგა სათადარიგო მსაჯულის სტატუსი და გახდა ძირითადი მსაჯული, რის გამოც მისი კოლეგიიდან გასვლა და შემდგომში მეორე მსაჯულის ნაცვლად კვლავ კოლეგიის შემადგენლობაში დაბრუნება წარმოადგენს კანონის მოთხოვნათა უხეშ დარღვევას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ პროცესის მსვლელობის დროს კანონის უხეშმა დარღვევებმა სასამართლო კოლეგიის შემადგენლობა სსსკ 434-ე მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ გახადა ოთხკაციანი და, ამდენად, არაკანონიერი, რაც სსსკ 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ყველა შემთხვევაში წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს. დაცვის მხარის მიერ აღნიშნულის თაობაზე არაერთხელ იქნა გამახვილებული სასამართლო კოლეგიის ყურადღება, დაყენებული იქნა არაერთი შუამდგომლობა, მაგრამ კოლეგიის მიერ დაცვის მხარეს არავითარი დასაბუთებული პასუხი არ გასცემია.

5. გურამ აბსანძის ადვოკატების მიერ სასამართლო კოლეგიის წინაშე არაერთგზის იქნა დაყენებული შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გ. აბსანძე იყო უკანონო პატიმარი და სსსკ მე-12 და 159-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყო. შუამდგომლობაში ჩამოყალიბებული იყო 6 დარღვევა, რომელთაგან თითოეული საკმარისი იყო იმისათვის, რომ გურამ აბსანძე ჩათვლილიყო უკანონო პატიმრად, კერძოდ:

ა) წინასწარი ძიების სტადიაზე, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს, თბილისის კრწანისის რ-ნის სასამართლოს 1998 წლის 19 მარტის ბრძანებაში ჩაიწერა, რომ გ. აბსანძის დაკითხვა ვერ მოხერხდა მისი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო მაშინ, როდესაც გ. აბსანძე უკვე დაპატიმრებული და ექსტრა-

დირებული იყო საქართველოში.

- ბ) სასამართლოს მიერ 1998 წლის 19 და 20 მარტის ბრძანებების გაცემა მოხდა ისე, რომ გ. აბსანძეს ბრალი არ წარსდგენია და დაკითხული არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი საქროცესო კოდექსის 145-ე მუხლი გამოძიებას ავალდებულებდა, რომ გ. აბსანძეს ბრალდება წარსდგენოდა არაუგვიანეს მოყვანის დღისა, ხოლო იმავე კოდექსის 147-ე მუხლის შესაბამისად გამოძიებელი ვალდებული იყო ბრალდების წარდგენის შემდეგ დაუყოვნებლივ დაეკითხა ბრალდებული.
- გ) სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს იმსჯელა გ. აბსანძის ბრალეულობის შესახებ, რითაც დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლისა და იმ დროს მოქმედი სსსკ მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები.
- დ) აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების პროცესში ბრალდებულ გ. აბსანძის მიმართ უხეშად იქნა დარღვეული მისი დაცვის უფლება, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით.
- ე) საქმის ძიება დამთავრდა 1998 წლის 4 ოქტომბერს, ხოლო ბ-ნ აბსანძეს საქმის გაცნობის საშუალება მიეცა 19 ნოემბრიდან. ვინაიდან უზენაესი სასამართლოს მიერ გ. აბსანძის პატიმრობის ვადა გაგრძელებული იყო 1998 წლის 10 ოქტომბრამდე, ცხადია, პროკურატურის მიერ გ. აბსანძის საპატიმრო ვადა გადაცილებული იქნა 1 თვითა და 9 დღით.
- ვ) პროკურატურის მიერ 1999 წლის 11 მარტის დადგენილებით დაწესებული ვადა გაეიდა 1999 წლის 12 აპრილს. აღნიშნული დადგენილების გაუქმება ან საქმის გაცნობის ახალი ვადის დაწესება არ მომხდარა, ამდენად, დროის მონაკვეთი 12 აპრილიდან 14 მაისამდე გ. აბსანძეს უნდა ჩათვლოდა პატიმრობის ვადაში და უნდა მიმატებოდა 1998 წლის 17 მარტიდან 19 ნოემბრამდე გასულ ვადას, რითაც მთლიანობაში მივიღებთ 9 თვესა და 20 დღეს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. აქედან გამომდინარე, გ. აბსანძის მიმართ დარღვეული იქნა წინასწარი პატიმრობის როგორც საგამოძიებო, ისე კონსტიტუციური ვადები, ვინაიდან მისი წინასწარი პატიმრობის ვადამ შეადგინა 9 თვე და 20 დღე.

სასამართლო კოლეგიამ ორჯერ განიხილა აღნიშნული შუამდგომლობა და 1999 წლის 15 ნოემბერს და 2000 წლის 14 მარტს გამოიტანა განჩინებები, რომლებითაც არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის მოთხოვნა; კერძოდ, 1999 წლის 15 ნოემბრის განჩინებით, ადვოკატთა შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა იმის გამო, რომ თითქოს მასში გამოყენებული იყო არა ის ნორმები, რომლებიც მოქმედებდნენ 1998 წელს, არამედ 1999 წლის 15 მაისიდან ამოქმედებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლები. მას შემდეგ, რაც ადვოკატებმა სასამართლო კოლეგიას მიმართეს ხელახალი შუამდგომლობით, სადაც დასაბუთებული იყო, რომ 1999 წლის 15 ნოემბრის განჩინების ზემოაღნიშნული მოსაზრება განეკუთვნებოდა კურიოზულ შეცდომათა რიგს, ვინაიდან შუამდგომლობა ემყარებოდა გ. აბსანძის მიმართ სწორედ 1999 წლის 15 მაისამდე მოქმედი სსსკ მუხლების მოთხოვნათა დარღვევას და ამასთან კოლეგიამ განჩინებაში გვერდი აუარა შუამდგომლობაში დასმული ყველა არსებითი საკითხის განხილვას, სასამართლო კოლეგია იძულებული გახდა 2000 წლის 14 მარტს კვლავ განეხილა იგივე შუამდგომლობა, რითაც მთლიანად დადასტურდა 1999 წლის 15 ნოემბრის განჩინების დაუსაბუთებლობა; რაც შეეხება 2000 წლის 14 მარტს კოლეგიის მიერ გამოტანილ განჩინებას, მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ განჩინებაში კოლეგიამ დაუშვა არანაკლებ უხეში შეცდომა, როდესაც განჩინებაში ჩაიწერა, რომ „მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით (სსსკ 159-ე მუხლით), სასამართლოს შეუძლია თავისი გადაწყვეტილებით შეუფარდოს განსასჯელს პატიმრობა“ და იქვე მიუთითა, რომ 1999 წლის 15 ნოემბრის განჩინებით, რომლის დაუსაბუთებლობაზე ზემოთ უკვე გვექონდა საუბარი, ადკვეთის ღონისძიება – პატიმრობა დარჩა უცვლელი. განჩინებაში ასევე ჩაიწერა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გამოძიებით დადგინდებოდა დარღვევების არსებობა გ. აბსანძის მიმართ ადკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და წინასწარი პატიმრობის დროს, სასამართლო კოლეგია შემოაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას მსჯელობას იქონიებდა ამ გარემოებათა შესახებ. ზემოაღნიშნული განჩინებიდან გამომდინარეობს, რომ ამ შემთხვევაშიც სასამართლო კოლეგიამ პრაქტიკულად გვერდი აუარა ადვოკატთა შუამდგომლობაში დაყენებული საკითხების განხილვას და საკითხის არსში გარკვევა გაურკვეველი ვადით გადადო, რითაც უხეშად დაარღვია სსსკ მე-12 და 159-ე მუხლების მოთხოვნები უკანონო პატიმრობაში მყოფი პირის

დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ განჩინებაში არასწორადაა მითითებული სსსკ 159-ე მუხლი, რომლითაც თითქოს სასამართლოს შეუძლია თავისი გადაწყვეტილებით შეუფარდოს განსასჯელს პატიმრობა. სსსკ 140-ე, 155-ე, 157-ე, 158-ე მუხლებით და არა 159-ე მუხლით სასამართლოს უფლება აქვს შეუფარდოს პირს. აღკვეთის ღონისძიება სამართალში მიცემის ან სასამართლო განხილვის დროს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში სასამართლო კოლეგიას გ. აბსანძისათვის აღკვეთის ღონისძიება კი არ შეუფარდება, არამედ შუამდგომლობის არსის გარკვევის გარეშე უცვლელად დატოვა მისთვის მანამდე შერჩეული პატიმრობა, რომლის უკანონობის თაობაზეც იყო დაყენებული ზემოაღნიშნული შუამდგომლობები.

აქედან გამომდინარე ნათელია, რომ სასამართლო კოლეგიამ პრაქტიკულად უარი განაცხადა გ. აბსანძის ადვოკატების შუამდგომლობის არსებითად განხილვაზე, რითაც ფაქტობრივად დაადასტურა მისი უკანონო პატიმრობის ფაქტი. ამასთან ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სასამართლო კოლეგიას განაჩენის გამოტანის დროს საერთოდ არ უმსჯელია იმ საკითხების შესახებ, რომლებზეც მითითებული იყო 2000 წლის 14 მარტის განჩინებაში.

6. გარდა ზემოაღნიშნული დარღვევებისა, სასამართლო კოლეგიის მიერ პროცესის მსვლელობის დროს დაშვებული იყო სხვა მრავალი უხეში დარღვევა, რომელთაგან შეგვიძლია გამოვყოთ:

- კოლეგიის მიერ სასამართლო პროცესის ეტაპების გამოტოვება;
 - სსსკ 475-ე მუხლის შესაბამისად, ადვოკატთა მიერ გ. აბსანძისათვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანის მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობის არგანხილვა;
 - არაპროცესუალური პირის - „კონტაქტის დამამყარებლის“ სასამართლო პროცესში ჩართვა;
 - მხარეთა დასაბუთებული მოთხოვნის მიუხედავად, დაზარალებულისა და ექსპერტების არგამოძახება;
 - ორი მსაჯულის ერთდროულად აცილების შესახებ შუამდგომლობის დაყენების არდაშვება;
 - პროცესის ჩატარება განსასჯელისა და ადვოკატის გარეშე იმ დროს, როდესაც ილახებოდა განსასჯელთა უფლებები;
 - გ. აბსანძის მიმართ მთელ რიგ ეპიზოდებში საქმის დაუსაბუთებლად შეწყვეტა;
 - საქმის სასამართლოში შესვლის თარიღის გაყალბება და ა.შ.
- ყველა აღნიშნული დარღვევის შესახებ დეტალური საუბარი

გვექნება ჩვენს დამატებით საკასაციო საჩივარში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით:

სსსკ 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გააუქმეთ გ. აბსანძის მიმართ გამოტანილი განაჩენი საქართველოს სსკ 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და საქმე დააბრუნოთ ხელახალი სასამართლო განხილვისათვის.

საქართველოს სსსკ 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გააუქმეთ სსკ 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით, 187-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-17, 67-ე მუხლის მე-4 ნაწილით (1961 წ. რედაქცია); მე-17, 104-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტებით (1961 წ. რედაქცია) გ. აბსანძის მიმართ გამოტანილი განაჩენი 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტის ეპიზოდში და შეწყვიტოთ სისხლის სამართლის საქმე.

ამასთან, საქართველოს სსსკ 549-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებისა და „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჩვენი საკასაციო საჩივარი განსახილველად გადაეცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.

პატივისცემით,

*აღვრეკატები: ი. ბარათაშვილი
მ. ჯანბირაშვილი*

ვეთანხმები ზ. აბსანძე

30.08.2001წ.

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატას*

*მსჯავრდებულ გურამ აბსანძის
ადვოკატების
იოსებ ბარათაშვილისა
და მალხაზ ჯანბირაშვილის*

კერძო საკასაციო სარჩევარი

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ გურამ აბსანძისა და სხვათა სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გამოტანილი განჩინებების უკანონო საპროცესო აქტებად ცნობის და გაუქმების შესახებ

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ განხილული იქნა გურამ აბსანძის და სხვათა სისხლის სამართლის საქმე. საქმის განხილვის დროს კოლეგიის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების უბეში დარღვევით გამოტანილი იქნა არაერთი განჩინება, კერძოდ:

1. 1999 წლის 15 ნოემბრის განმწესრიგებელი სხდომის განჩინება.
2. 2000 წლის 14 მარტის განჩინება, გაბსანძის უკანონო პატიმრობიდან განთავისუფლების თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ.
3. 2000 წლის 10 ივლისის განჩინება, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების დაკითხვის შესახებ შუამდგომლობაზე უარის თქმის თაობაზე.
4. 2000 წლის 11 ივლისის განჩინება, განსასჯელ გურამ აბსანძის სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ.

5. 2000 წლის 18 სექტემბრის განჩინება, სათადარიგო მსაჯულის აცილების შესახებ შუამდგომლობის არდაკმაყოფილების თაობაზე.
6. 2000 წლის 22 ნოემბრის განჩინება, სმოლენსკის ოლქის ქ.რუდნიაში გ.აბსანძის ბინაში ჩატარებული ჩხრეკის ოქმის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ შუამდგომლობაზე უარის თქმის თაობაზე.
7. 2001 წლის 2 აპრილის განჩინება, განსასჯელ გურამ აბსანძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ბრალდების 34 ეპიზოდში.
8. 2001 წლის 10 აპრილის განჩინება, საქმის 71-ე ტომის 108-ე ფურცელზე არსებული ოქმის, „ბრალდებულ გ.აბსანძისა და მისი დამცველთათვის საქმის მასალების წარდგენის შესახებ“, დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ შუამდგომლობაზე უარის თქმის თაობაზე.
9. 2001 წლის 8 მაისის განჩინება, სასამართლო კოლეგიის უკანონო შემადგენლობის გამო კოლეგიის აცილების თაობაზე შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ.
10. 2001 წლის 15 მაისის განჩინებები, სსსკ 162-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, გ.აბსანძის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ დაყენებულ შუამდგომლობებზე უარის თქმის თაობაზე.
11. 2001 წლის 21 მაისი განჩინება, გ.აბსანძის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, 1993 წლის 25 ოქტომბრის (ტ.37, ს.ფ. 23-30) და 1998 წლის 19 მარტის დადგენილებების უკანონო საპროცესო აქტებად ცნობის თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობებზე უარის თქმის შესახებ.
12. 2001 წლის 24 მაისის განჩინება, კრწანისის რ-ნის სასამართლოს მოსამართლე მ.ოთარაშვილის მიერ 1998 წლის 19 მარტს გ.აბსანძის დაპატიმრების შესახებ გაცემული ბრძანების (ტ.7, ს.ფ. 24) უკანონო საპროცესო აქტად ცნობის თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ.
13. 2001 წლის 25 მაისის განჩინება, კრწანისის რ-ნის სასამართლოს მოსამართლე მ.ოთარაშვილის 1998 წლის 20 მარტის ბრძანების (ტ.7, ს.ფ. 40) უკანონო საპროცესო აქტად ცნობის თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ.
14. 2001 წლის 28 მაისის განჩინება, გ.აბსანძის მიმართ საპატიმრო ვადის გაგრძელებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსა-

მართლის ბრძანების (ტ. 6, ს. ფ. 290) უკანონო საპროცესო აქტად ცნობის თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ.

15. 2001 წლის 28 მაისის განჩინება, გ. აბსანძის მიმართ საპატიმრო ვადის გაგრძელებაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ბრძანების (ტ. 6, ს.ფ. 256-362) უკანონო საპროცესო აქტად ცნობის თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ.

16. 2001 წლის 30 მაისის განჩინება, დაცვის მხარის მტკიცებულე-ბათა გამოკვლევის დამთავრების შესახებ.

17. 2001 წლის 5 ივნისის განჩინება, დაცვის მხარის მტკიცებულე-ბათა გამოკვლევის დამთავრების შესახებ.

18. 2001 წლის 26 ივლისის განჩინება, სასამართლო სხდომის გ. აბსანძის ადვოკატის გრეშე გაგრძელების შესახებ.

19. 2001 წლის 26 ივლისის განჩინება, გ. აბსანძის სასამართლო სხდომიდან გაძევების შესახებ.

20. 2001 წლის 1 აგვისტოს განჩინება, განსასჯელების ნ. ჩუხუას, ტ. ბუკიას, ზ. გულუას, ზ. მარანელის და ბ. თოდუას ადვოკატების გარეშე საქმის განხილვის გაგრძელების შესახებ.

როგორც აღნიშნული იყო ზემოთ მითითებული განჩინებების გამოტანისას კოლეგიის მიერ უხეშად იქნა დარღვეული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, რის გამოც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს მათი უკანონო საპროცესო აქტებად ცნობა და გაუქმება.

კონკრეტულად კანონის რა მოთხოვნების დარღვევას ჰქონდა ადგილი თითოეული განჩინების გამოტანისას, ამის თაობაზე ჩვენს პოზიციას დეტალურად ჩამოვყალიბებთ დამატებით საკასაციო საჩივარში.

პატივისცემით,

*ადვოკატები: ი. ბარათაშვილი
მ. ჯანგირაშვილი
ვეთანხმები ბ. აბსანძე*

30. 08. 2001 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს

სისხლის სამართლის საქმეთა პალატას

*მსჯავრდებულ ბურამ აბსანძისა და
მისი ინტერესების დამცველების,
მსჯავრდებულ ზაზა მარანელის
საკასაციო საჩივრების*

შ ე ს ა ბ ე ბ ე ლ ი

2001 წლის 4 სექტემბერს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიიდან შემოვიდა მსჯავრდებულების გურამ აბსანძის და ზაზა მარანელის საკასაციო საჩივრები.

მსჯავრდებული გ. აბსანძე და მისი ინტერესების დამცველები კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვენ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ გურამ აბსანძისა და სხვათა სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გამოტანილი განჩინებების უკანონო საპროცესო აქტებად ცნობას და მათ გაუქმებას.

საკასაციო საჩივრით ითხოვენ იგივე კოლეგიის მიერ 2001 წლის 17 აგვისტოს, აბსანძის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გამოტანილი განჩინების გაუქმებას და საქმის დაბრუნებას ხელახალი სასამართლო განხილვისათვის, ხოლო საქართველოს სსკ 307-ე, 315-ე მუხლის პირველი ნაწილით, 187-ე მუხლის მე-3 ნაწილით (სსკ 2000 წლის მაისის რედაქცია) მე-17 და 104-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტებით

(სსკ 1996 წლის რედაქცია) გამოტანილი განაჩენის (1998 წლის 9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებული ტერორისტული აქტის მცდელობა) გაუქმებას და ამ ნაწილში სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

მსჯავრდებულ ზაზა მარანელს მიაჩნია, რომ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი მეტად მკაცრი, უსამართლოა და ითხოვს გადაისინჯოს იგი სასჯელის ლიბერალიზაციის კუთხით.

ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ დასახელებული საკასაციო საჩივრები საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გაზიარებული არ უნდა იყოს, ვინაიდან ისინი უსაფუძვლოა.

განსასჯელების გურამ აბსანძისა და ზაზა მარანელის მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ 2001 წლის 17 აგვისტოს გამოტანილი განაჩენი კანონიერი და სამართლიანია, ამიტომაც იგი ბრალდების მხარეს არ გაუსაჩივრებია.

სახელმწიფო ბრალდების მხარდაშეკერი

პროკურორები:

ა. ხვალაშვიანი

ბ. ბაღრიანაშვილი

მ. ქსაკია

07. 09. 2001 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლო

ბანჩინება

საქართველოს სახელით

(შემოკლებით)

ქ. თბილისი

13 სექტემბერი, 2001 წელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მერაბ ტურავა (თავმჯდომარე),

მურმან ისაევი (მომხსენებელი), ირაკლი ბიბილაშვილი

სხდომის მდივანი – მ. ხოსროშვილი

განიხილა საკითხი გურამ აბსანძის და სხვათა ბრალდების სისხლის სამართლის საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემის შესახებ.

ბამოარკვია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სახელზე წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში მსჯავრდებულ გ. აბსანძის ინტერესების დამცველი ადვოკატები – მ. ჯანგირაშვილი და ი. ბარათაშვილი უშუამდგომლობენ, რომ აბსანძისა და სხვათა ბრალდების საქმე საკასაციო წესით განსახილველად გადაეცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას;

პალატა თვლის, რომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე უნდა გადაეცეს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, რადგან საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, რაც „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-9 მუხლის

მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე წარმოადგენს დიდი პალატის მიერ საქმის განხილვის საფუძველს.

ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული საქმის განხილვა გაჭიანურებულია, რაც მხარეთა უკმაყოფილებების საფუძველი გახდა. საქმის საკასაციო წესით გონივრულ ვადებში განხილვის მიზნით და მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, პალატა მიზანშეწონილად თვლის, სამივე მსჯავრდებულს ცალკე სახაზინო წესით დამატებით გამოეყოს ადვოკატი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-9 მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსსკ-ის 48-ე მუხლის მეორე ნაწილით, 81-ე მუხლით და

დაადგინა:

გურამ აბსანძის, ზაზა მარანელისა და ტარიელ ბუკიას და სხვათა ბრალდების საქმე საკასაციო წესით განსახილველად გადაეცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.

მსჯავრდებულებს – გურამ აბსანძეს, ზაზა მარანელსა და ტარიელ ბუკიას დაცვის განსახორციელებლად დამატებით გამოეყოთ ადვოკატები სახაზინო წესით.

თავმჯდომარე მ. ტურაშვილი

*მოსაქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის
მოადგილე*




სიამუნა ბიორგანია (ნუგ ზარ ჩუხუას ადვოკატი) – მე ვერ ვიმოქმედებდი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ნუგ ზარ ჩუხუას ინტერესების საწინააღმდეგოდ, ამიტომ იძულებული გავხდი დამეტოვებინა პროცესი.

მკა ამბარდნიშვილი (სახაზინო ადვოკატი) – ბატონო მოსამართლე! ვინაიდან თქვენ მე არ მომეცით საქმის გაცნობისთვის აუცილებელი დრო და მომისპეთ რეალური დაცვის განხორციელების საშუალება, ვტოვებ დარბაზს.



ნანი იასალაშვილი (სახაზინო ადვოკატი) – მე იძულებული ვხდები პროტესტის ნიშნად დავტოვო დარბაზი, რამეთუ მოსამართლე არ გვაძლევს დაცვის განხორციელების საშუალებას, დარბაზში შემოყვანილი იქნა გადაცემული და შეიარაღებული სპეცრაზმელები, რომლებმაც მოახდინეს პროვოკაცია და განსასჯელები გააძევეს. ყოველივე ეს კეთდება ჩვენზე ზეწოლის მიზნით, რათა დაცვის გარეშე დარჩენილთ გამოუტანონ წინასწარ დაწერილი განაჩენი.



იოსებ ბარათაშვილი (გურამ აბსანძის ადვოკატი) – მიმაჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული განაჩენი გ.აბსანძის მიმართ, არის დაუსაბუთებელი, უკანონო და გამოტანილია მთელი რიგი არსებითი გარემოებების სრული იგნორირებით, წარდგენილი მტკიცებულებების გაყალბებით, მიკერძოებით და საპროცესო ნორმების უხეში არსებითი დარღვევებით, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარის მოადგილეს
ბ-ნ იური ტყეშელაშვილს

ბრალდებულ გურამ აბსანძის
ინტერესების დამცველი ადვოკატების
იოსებ ბარათაშვილისა და
მალხაზ ჯანგირაშვილის

შ უ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ა

განსასჯელ გურამ აბსანძის უკანონო პატიმრობიდან
დაუყოვნებლივ განთავისუფლების თაობაზე

1999 წლის 9 ნოემბერს ჩვენ მიერ დაყენებული იქნა შუამდგომლობა, სადაც ვითხოვდით განსასჯელ გურამ აბსანძის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას სსსკ 152-ე მუხლის მე-3 ნაწილის 157-ე მუხლის

პირველი ხაწილისა და 159-ე მუხლის საფუძველზე, რაც სასამართლო კოლეგიის მიერ არ იქნა გაზიარებული. საქმის მასალების დამატებითა გაცნობამ კიდევ უფრო ცხადყო შუამდგომლობაში ჩამოყალიბებული მოთხოვნების სისწორე და გამოვლენილი იქნა არსებითი ხასიათის დამატებითი დარღვევები, მით უმეტეს, რომ სასამართლო კოლეგიის განჩინებაში ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო საერთოდ იქნა იგნორირებული შუამდგომლობაში დაყენებული მოთხოვნების ანალიზი და დასაბუთება.

კერძოდ, შუამდგომლობაში მივუთითებდით, რომ საქმის მასალების გაცნობის შემდეგ ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების პროცესში გ. აბსანძის მიმართ, კონსტიტუციისა და საპროცესო კანონმდებლობის ნორმების იგნორირებით, არსებითად იქნა დარღვეული მისი უფლებები. კერძოდ, იმჟამად მოქმედი საქართველოს სსსკ 145-ე მუხლის თანახმად ბრალდების წაყენება უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს 48 საათისა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილების გამოტანის მომენტიდან, ხოლო დანიშნულ დროს ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში - არაუგვიანეს მისი მოყვანის დღისა. სსსკ 147-ე მუხლის თანახმად კი გამოძიებელი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ დაეკითხა ბრალდებული მისთვის ბრალდების წაყენების შემდეგ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაკითხვა დაუყოვნებლივ ვერ მოხერხდებოდა, დაყოვნების მიზეზების შესახებ უნდა შემდგარიყო ოქმი. იმ დროს მოქმედი სსსკ 88-ე მუხლის შესაბამისად კი გამოძიებელი, რომელიც პირს წაუყენებდა ბრალდებას და დაკითხავდა როგორც ბრალდებულს, უფლებამოსილი იყო შუამდგომლობით მიემართა მოსამართლისათვის დაპატიმრებაზე ბრძანების გასაცემად. ამ შემთხვევაში ბრალდებული უნდა მიეყვანათ მოსამართლესთან, რომელსაც წარდგენილი უნდა ჰქონოდა სისხლის სამართლის საქმის მასალები. შუამდგომლობა შესაძლებელია წარდგენილი ჰქონოდა მოსამართლეს იმ შემთხვევაშიც, თუ პირი მიმალვაში იმყოფებოდა. ამ დროს ბრალდებული დაპატიმრების შემდეგ უნდა მიეყვანათ იმ მოსამართლესთან, რომელმაც გასცა ბრძანება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ განმარტების ჩამოსართმევად და დაპატიმრების დასადასტურებლად.

ბ-ნი გ. აბსანძე დაკავებული იქნა რუსეთის ფედერაციის ქ. სმოლენსკში 1998 წლის 17 მარტს, ხოლო 1998 წლის 18 მარტს იგი გადაცემული იქნა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რაც დადასტურებულია საქმეში არსებული არაერთი დოკუმენტით

(იხ. რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილის როზანოვის 1998 წლის 18 მარტის დადგენილება, ტ. 22, ს. ფ. 166-168, აგრეთვე რუსეთის გენერალური პროკურორის ი. სკურატოვის 1998 წლის 14 აპრილის წერილი №35\1-165-96).

ბ-ნ გ. აბსანძის საქართველოში ექსტრადიცია განხორციელდა 1998 წლის 19 მარტს. არც 18 და არც 19 მარტს მისთვის ბრალდება წარდგენილი არ ყოფილა და იგი არ წაკითხულა, რითაც დარღვეული იქნა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტისა და სსკ 145-ე და 147-ე მუხლების მოთხოვნები.

1998 წლის 18 მარტს გ. აბსანძე რუსეთის პროკურატურის მიერ უკვე გადმოცემული იყო საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ხოლო 19 მარტს განხორციელდა მისი ექსტრადიცია თბილისში.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის უფროსმა გ. აგულაშვილმა 1998 წლის 19 მარტს მიიღო დადგენილება გ. აბსანძის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ 9 თებერვლის ტერაქტთან დაკავშირებით. ამავე დღეს აღნიშნული დადგენილების საფუძველზე პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს გ. აბსანძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე. შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ გ. აბსანძისათვის ბრალდების წარდგენა ვერ მოხერხდა მისი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო (იხ. ტ. 7, ს. ფ. 16-22), რაც სინამდვილეში არსებული ფაქტის აშკარა გაყალბებას წარმოადგენს; მით უმეტეს, რომ გენერალური პროკურატურის საერთაშორისო სამართლებრივი განყოფილების უფროსის ბ-ნ ე. სვანიძის 1998 წლის 17 მარტის წერილში პირდაპირ არის მითითებული, რომ გ. აბსანძე უკვე დაკავებულია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე და ბ-ნი ე. სვანიძე აყენებს შუამდგომლობას აბსანძის ბინაში ჩხრეკის ჩატარების შესახებ (იხ. ტ. 3, ს. ფ. 190). ამავე შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ აბსანძის ბინაში ჩხრეკის ჩატარების შესახებ კანონით დადგენილ დროში ეცნობებოდა კრწანისის რაიონის სასამართლოს. აქედან გამომდინარე, 1998 წლის 18 მარტს გ. აბსანძის ადგილსამყოფელის შესახებ კარგად იყო ცნობილი როგორც საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის, ისე კრწანისის რაიონის სასამართლოსათვის, მით უფრო, რომ პრესისა და ტელევიზიის საშუალებით 1998 წლის 17 მარტიდან საყოველთაოდ იქნა გავრცელებული ინფორმაცია გ. აბსანძის დაკავე-

ბის შესახებ.

1998 წლის 19 მარტს თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლომ გასცა ბრძანება გ. აბსანძისათვის აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე (იხ. ტ. 7, ს. ფ. 24). ბრძანებაში ასევე გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ გ. აბსანძისათვის ბრალდების წარდგენა ვერ მოხერხდა მისი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო, რაც, ცხადია, სიმართლეს არ შეესაბამება.

აქედან გამომდინარე ნათელია, რომ გ. აბსანძისათვის ბრალდების წარდგენა და დაკითხვა არ მომხდარა არც მისი საქართველოს მხარისათვის გადმოცემის მომენტში და არც თბილისში ექსტრადირების დღეს, რაც წარმოადგენს საქართველოს იმჟამად მოქმედი სსსკ 88-ე, 145-ე და 147-ე მუხლების უხეშ დარღვევას.

1998 წლის 20 მარტს საქართველოს შსს მე-5 საგამოძიებო იზოლატორში კრწანისის რ-ნის მოსამართლის ბ-ნ მ. ოთარაშვილის მიერ მიღებული იქნა ბრძანება გ. აბსანძისათვის აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების დადასტურების შესახებ. აღნიშნული ბრძანება იმგვარად იქნა გაცემული, რომ გ. აბსანძეს კვლავ არ ჰქონია ბრალდება წარდგენილი და იგი ბრალდების ირგლივ დაკითხული არ ყოფილა. ამრიგად, გ. აბსანძის მიმართ კვლავ იქნა დარღვეული იმდროინდელი სსსკ 145-ე და 147-ე მუხლების მოთხოვნები. მხოლოდ კრწანისის რ-ნის სასამართლოს მიერ ბრძანების გაცემის შემდეგ, 1998 წლის 20 მარტს წარედგინა ბრალი გ. აბსანძეს და დაწყებული იქნა მისი დაკითხვა, რომელიც შეწყდა სამუშაო დროის დამთავრების გამო.

თბილისის კრწანისის რ-ნის სასამართლოს 1998 წლის 19 მარტის ბრძანებაში გ. აბსანძისათვის აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ „გ. აბსანძის ბრალეულობა ჩადენილ დანაშაულში დადასტურებულია ზ. ეჯიბიას, ბ. თოდუას, ზ. მარანელის და სხვების ჩვენებებით, თავდამსხმელთა მიერ ნაჭირავეთ კონსპირაციულ ბინებში ჩატარებული ჩხრეკებით და საქმის ერთობლივი მასალებით“ (იხ. ტ. 7, ს. ფ. 24). აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მოსამართლე აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის დროს შორს გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს, იმსჯელა, შეფასება მისცა და დადასტურებულად მიიჩნია გ. აბსანძის ბრალეულობის სიკითხი, რითაც უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტისა და იმ დროს მოქმედი სსსკ მე-112 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, რომლის თანახმად „არავინ შეიძლება იქნეს ცნობილი ბრალეულად დანაშა-

ულის ჩადენაში, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად”.

საქმის მასალების დამატებითმა გაცნობამ ცხადყო, რომ 1998 წლის 20 მარტს გ. აბსანძისათვის აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის დადასტურების შესახებ სასამართლოს სხდომაზე ბრალდებულ გ. აბსანძისა და მისი დამცველის პოზიციები არსებით წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან. კერძოდ, მოსამართლის შეკითხვაზე აღვოკატი პასუხობს: „იმდენად, რამდენადაც საქმე გვაქვს მძიმე დანაშაულთან, მე არაფრის თქმა არ შემიძლია და სასამართლოს კანონიერების იმედი მაქვს და მის ჰუმანურობას მივანდობ, აბსანძის მიმართ როგორ აღკვეთის ღონისძიებას შეარჩევს“.

ბრალდებულმა გ. აბსანძემ კი განაცხადა: „მე გამოძიებისაგან არ დავმალულვარ, არც არასოდეს დავემალები, ხელს არ შევეშლი ძიებას, გარეთ რომ დამტოვოთ. გთხოვთ არ დამაპატიმროთ“.

როგორც ვხედავთ, ბრალდებულისა და აღვოკატის პოზიციებს შორის წინააღმდეგობა აშკარაა და სასამართლო ვალდებული იყო ყურადღება გაემხვილებინა აღნიშნულ ფაქტზე.

ამრიგად, კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ გ. აბსანძისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების დროს დაშვებული იქნა შემდეგი დარღვევები:

1. სასამართლოს 1998 წლის 19 მარტის ბრძანებაში ჩაიწერა, რომ გ. აბსანძის დაკითხვა ვერ მოხერხდა მისი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო მაშინ, როდესაც გ. აბსანძე უკვე დაკავებული და ექსტრადირებული იყო საქართველოში.

2. სასამართლოს მიერ 1998 წლის 19 და 20 მარტის ბრძანებების გაცემა მოხდა ისე, რომ გ. აბსანძეს ბრალი არ წარსდგენია და დაკითხული არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლი გამოიძიებას ავალდებულებდა, რომ გ. აბსანძის ბრალდება წარსდგენოდა არაუგვიანეს მოყვანის დღისა, ხოლო იმავე კოდექსის 147-ე მუხლის შესაბამისად გამოიძიებელი ვალდებული იყო ბრალდების წარდგენის შემდეგ დაუყოვნებლივ დაეკითხა ბრალდებული.

3. სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს იმსჯელა გ. აბსანძის ბრალეულობის შესახებ, რითაც დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლისა და იმ დროს მოქმედი სსსკ მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები.

4. აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების პროცესში ბრალდებულ გ.

აბსანძის მიმართ უხეშად იქნა დარღვეული მისი დაცვის უფლება, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით.

თითოეული ზემოთაღნიშნული დარღვევა, სხვა დარღვევებისაგან დამოუკიდებლად, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ გ. აბსანძე ჩაითვალოს უკანონო პატიმრად.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების პროცესში გ. აბსანძის მიმართ არაერთგზის უხეშად იქნა დარღვეული როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ისე საპროცესო კანონმდებლობა და, სსსკ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კრწანისის რ-ნის სასამართლოს 1998 წლის 19 და 20 მარტის ბრძანებები გ. აბსანძისათვის აღმკვეთი ღონისძიებების შერჩევის შესახებ უკანონოა და ისინი ექვემდებარებიან გაუქმებას, ხოლო გ. აბსანძე 1998 წლის 17 მარტიდან დღემდე იმყოფება უკანონო პატიმრობაში.

გ. აბსანძე დაკავებული იქნა 1998 წლის 17 მარტს, ხოლო კრწანისის რ-ნის სასამართლოს 19 და 20 მარტის უკანონო ბრძანებებით მას აღმკვეთ ღონისძიებად განესაზღვრა 3-თვიანი პატიმრობის ვადა. 1998 წლის 17 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ აღნიშნული ვადა გაგრძელებული იქნა 1998 წლის 10 აგვისტომდე. 1998 წლის 10 აგვისტოს კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გ. აბსანძის საპატიმრო ვადა გაგრძელებული იქნა 1998 წლის 10 ოქტომბრამდე. გ. აბსანძის მიმართ საპატიმრო ვადის შემდგომი გაგრძელება აღარ მომხდარა. საქართველოს კონსტიტუციისა და საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. პატიმრობის, როგორც აღმკვეთი ღონისძიების ვადის გამოთვლისას ბრალდებულისა და მისი დამცველის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის დრო მხედველობაში არ მიიღება (იხ. იმ დროს მოქმედი სსსკ-ის მუხლი 92. 7 და ახალი სსსკ-ის მუხლი 162. 6).

გ. აბსანძისა და სხვათა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დამთავრდა 1998 წლის 4 ოქტომბერს. იმდროინდელი სსსკ 204-ე მუხლის შესაბამისად, „ბრალდებულისა და მისი დამცველისათვის საქმის ყველა მასალის გასაცნობად წარდგენის შესახებ გამოძიებულს უნდა შეეღვინა ოქმი ამავე კოდექსის 96-ე მუხლის წესების დაცვით. ოქმში აღინიშნებოდა, რომ ბრალდებულს გამოეცხადა წინასწარი გამოძიების დამთავრება, განემარტა მისი უფლებები, სახელდობრ, რა მასალები რამდენ ტომად და ფურცლად წარედგინა გასაცნობად, სად

და რა ღროის განმავლობაში წარმოებდა საქმის გაცნობა, რა შუამდგომლობანი აღძრეს ბრალდებულმა და მისმა დამცველმა და რა შენიშვნები გააკეთეს მათ. თუ ბრალდებულმა და მისმა დამცველმა უარი განაცხადეს საქმის მასალების გაცნობაზე, ეს აღინიშნება ოქმში და ჩამოყალიბდება უარის თქმის მოტივები, თუკი ამას ბრალდებული განაცხადებს".

სსსკ 202-ე მუხლის თანახმად კი გამოძიებელი, მიიჩნევდა რა შეკრებილ მტკიცებულებებს საბრალდებო დასკვნის შესადგენად, მოვალე იყო განეცხადებინა ბრალდებულისათვის, რომ მისი საქმის გამოძიება დამთავრდა და ბრალდებულს უფლება ჰქონდა გასცნობოდა საქმის მთელ მასალას როგორც პირადად, ისე დამცველის დახმარებით, აგრეთვე ეშუამდგომლა წინასწარი გამოძიების დამატების შესახებ. ამის შემდეგ გამოძიებელს ბრალდებულისა და მისი დამცველისათვის გასაცნობად უნდა გადაეცა საქმის მთელი მასალა. საგამოძიებო წარმოების მასალების გადაცემა შესაძლებელია გადადებულიყო დამცველის გამოცხადებამდე, მაგრამ არაუმეტეს 5 დღე-ღამისა. დამცველის გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოძიებელს შეეძლო მიეღო ზომები სხვა დამცველის მოსაწვევად. თუ საქმეში ფიგურირებდა რამდენიმე ბრალდებული, მაშინ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე უნდა წარსდგენოდა საქმის მთელი მასალა.

• საქმის 71-ე ტომში (ს.ფ. 108) წარმოდგენილია ოქმი, რომელიც დათარიღებულია 1998 წლის 5 ოქტომბრით. მასში აღნიშნულია, რომ ბრალდებულ გ. აბსანძეს და მის ადვოკატს წარედვინათ საქმის მასალები 70 ტომად 19 831 ფურცელზე. ოქმზე არ არის დანშული არც ბრალდებულ აბსანძისა და არც ადვოკატის ხელმოწერები. რაც სსსკ 96-ე მუხლის მოთხოვნათა მიხედვით აუცილებლობას წარმოადგენდა, რათა აღნიშნული ოქმი იურიდიულად და კანონიერი ძალის მქონე დოკუმენტად ჩათვლილიყო. ამავე ოქმში „საქმის მასალების გაცნობის დაწყების“ გრაფაში მითითებულია თარიღი - 1998 წლის 19 ნოემბერი.

საქმის 71-ე ტომში (ს. ფ. 109-110) წარმოდგენილია ოქმი, რომელიც აღნიშნულია, რომ 1998 წლის 16 ოქტომბერს შსს მ-5 იზოლაციაში გამოცხადდა გენერალური პროკურატურის განოპიზიციონირების ტექნიკური თანაშემწე გ. აბსანძისათვის №74988:6 ს. ს. საქმის მასალების გასაცნობად. ბრალდებულმა გ. აბსანძემ წამოჭრა რაიმე ნიშნით საკითხი და განაცხადა, რომ როდესაც მიიღებდა დადებით ან უარყოფით პასუხს, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებდა საქმის მასალების

გაცნობას, ამასთან გ. აბსანძემ მოითხოვა ეცნობებინათ მისთვის, თუ რამდენ ტომს მოიცავდა მთლიანად №7498816 ს. ს. საქმე, რათა შემდგომში აღგილი არ ჰქონოდა რაიმე გაუგებრობას.

საქმის 71-ე ტომის 111-ე გვერდზე წარმოდგენილია გ. აბსანძის მიერ საქმის გაცნობის გრაფიკი, რომლის თანახმად მას საქმის გაცნობა დაწყებული აქვს 1998 წლის 19 ნოემბერს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ გურამ აბსანძეს საქმის მთელი მასალა ანუ 70 ტომი ერთდროულად არც 5 ოქტომბერს და არც შემდეგ არ წარსდგენია, რითაც კიდევ ერთხელ უხეშად დაირღვა იმ დროს მოქმედი სსსკ 204-ე მუხლი.

1999 წლის 11 მარტს პროკურატურის მიერ გამოტანილი იქნა უკანონო დადგენილება გ. აბსანძისათვის საქმის მასალების გაცნობის დროის შეზღუდვის თაობაზე საქმის გაჭიანურების მოტივით და დაწესდა საქმის გაცნობის ერთთვიანი ვადა 1999 წლის 12 აპრილამდე, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ შესრულებულად ჩაითვლებოდა სსსკ 202-ე მუხლის მოთხოვნები, რაც განემარტა გ. აბსანძესა და მის ადვოკატს გამომძიებელ ნოზაძის მიერ შესაბამისი ოქმით (იხ. ტ. 71. ს. ფ. 118). იმ ფაქტს, რომ პროკურატურის მუშაკებს გ. აბსანძისათვის 1999 წლის 12 აპრილიდან 4 მაისამდე საქმე კვლავ მიჰქონდათ გასაცნობად, არ გააჩნდა კანონით რეგლამენტირებული სახე, მოქმედი სსსკ 216-ე მუხლის შესაბამისად კი „საპროცესო მოქმედება, რომელიც დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ჩატარდა, ბათილად ითვლება, თუ ვადა არ იქნა აღდგენილი“ და ვინაიდან პროკურატურის 1998 წლის 11 მარტის დადგენილება არავის გაუუქმებია და არც საქმის გაცნობის ახალი ვადა ყოფილა დაწესებული, ამდენად, 1999 წლის 21 აპრილიდან 14 მაისამდე გაგრძელებულად უნდა ჩაითვალოს გ. აბსანძის საპატიმრო ვადის დინება.

ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1998 წლის 19 ნოემბრიდან 1999 წლის 11 მარტამდე პროკურატურის მიზეზით გ. აბსანძეს გაუცდა 16 სამუშაო დღე, რაც ასევე უნდა ჩაითვალოს მის საპატიმრო ვადაში.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად (სსსკ მ. 212. 1) დაკავების, დაპატიმრების და შინაპატიმრობის ვადა გამოითვლება წუთებით.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, პროკურატურის მიერ უხეშად იქნა დარღვეული გ. აბსანძის საპატიმრო ვადა, ვინაიდან:

1. საქმის ძიება დამთავრდა 1998 წლის 4 ოქტომბერს, ხოლო ბ-ნ აბსანძეს საქმის გაცნობის საშუალება მიეცა 19 ნოემბრიდან. ვინაიდან

უზენაესი სასამართლოს მიერ გ. აბსანძის პატიმრობის ვადა გაგრძელებული იყო 1998 წლის ოქტომბრამდე, ცხადია, პროკურატურის მიერ გ. აბსანძის საპატიმრო ვადა გადაცილებული იქნა 1 თვითა და 9 დღით.

2. პროკურატურის მიერ 1999 წლის 11 მარტის დადგენილებით დაწესებული ვადა გავიდა 1999 წლის 12 აპრილს, აღნიშნული დადგენილების გაუქმება ან საქმის გაცნობის ახალი ვადის დაწესება არ მომხდარა. ამდენად, დროის მონაკვეთი 12 აპრილიდან 14 მაისამდე გ. აბსანძეს უნდა ჩაეთვალოს პატიმრობის ვადაში და უნდა მიემატოს 1998 წლის 17 მარტიდან 19 ნოემბრამდე გასულ ვადას, რითაც მთლიანობაში მივიღებთ 9 თვესა და 20 დღეს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. აქედან გამომდინარე, გ. აბსანძის მიმართ დარღვეული იქნა წინასწარი პატიმრობის როგორც საგამოძიებო, ისე კონსტიტუციური ვადები, ვინაიდან მისი წინასწარი პატიმრობის ვადა შეადგინა 9 თვე და 20 დღე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის პატიმრობისა და შინაპატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს, ხოლო 159-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სასამართლო, პროკურორი და გამომძიებელი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ უკანონოდ დაპატიმრებული ნებისმიერი პირი.

სასამართლო კოლეგიის განჩინებაში აღინიშნა, რომ იგი ვერ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას ბ-ნ გ. აბსანძის წინასწარი პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ, ვინაიდან მას წარდგენილი აქვს ბრალდებები, რომლებიც განეკუთვნება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ შიძიმე დანაშაულთა კატეგორიას. კოლეგიის აღნიშნული მოსაზრება ჭსაფუძვლოა, ვინაიდან მოქმედი საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად „სასამართლო, პროკურორი და გამომძიებელი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ უკანონოდ დაპატიმრებული ნებისმიერი პირი“.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით, რათა სსსკ 152-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 157-ე მუხლის 1 ნაწილისა და 159-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე გამოიტანოს განჩინება ბ-ნ გ. აბსანძის უკანონო პატიმრობიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ.

10. 02. 2000 წ.



მალხაზ ჯანზირაშვილი (გურამ აბსანძის ადვოკატი) – საერთოდაც რომ მომიზღდეს ადვოკატურის დატოვება, მაინც ვერ მივიღებ მონაწილეობას იმ პროცესში, სადაც განსასჯელთა და დაცვის კონსტიტუციური უფლებები ფეხქვეშ ითელება და განაჩენი წინასწარაა გამოტანილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას

განსასჯელ გურამ აბსანძის ინტერესების დამცველი ადვოკატების იოსებ ბარათაშვილისა და მალხაზ ჯანზირაშვილის

განცხადება

სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის ბ-ნ ი. ტყეშელაშვილის აცხადების თაობაზე

1999 წლის 15 ნოემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ (თავმჯდომარე ი. ტყეშელაშვილი, მსაჯულები: გ. ოგანოვი და ო. ოთარაშვილი) გამოიტანა განმწესრიგებელი სხდომის განჩინება, რომლის ძალითაც სისხლის სამართლის

№7498816 საქმე მიღებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში და ბ-ნი გ. აბსანძე და სხვა ბრალდებულები მიცემული იქნენ სამართალში.

სასამართლო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა ბ-ნ აბსანძის ადვოკატების შუამდგომლობა საქმის წინასწარ ძიებაში დაბრუნებისა და გ. აბსანძის უკანონო პატიმრობიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ და მიიჩნია, რომ ქმედებებს, რომლებიც გ. აბსანძესა და სხვა ბრალდებულებს ერაცხებათ, სწორად აქვთ შეფარდებული სისხლის სამართლის კანონი; საქმეში არ არსებობს გარემოებანი, რომლებიც იწვევს საქმის შეწყვეტას ან შეჩერებას; შეკრებილია საკირო მტკიცებულებანი სასამართლო სხდომაზე საქმის განსახილველად; წინასწარი გამოძიება ჩატარებულია სრულად და ობიექტურად, არ არსებობს დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების საფუძველი; საქმის მოკლევისა და გამოძიების დროს არ დარღვეულა საპროცესო კანონი; საბრალდებო დასკვნა შედგენილია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. სასამართლო კოლეგიამ ასევე განსაზღვრა, რომ გ. აბსანძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების (წინასწარი პატიმრობის) შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

მიგვაჩნია, რომ სასამართლო კოლეგიის განჩინება დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა და მასში პასუხი არ აქვს გაცემული მთელ რიგ არსებით საკითხებს, კერძოდ:

1. სასამართლო კოლეგიის განჩინებაში აღნიშნულია, თითქოს გ. აბსანძის ადვოკატები თავიანთ შუამდგომლობაში იშველიებენ ამჟამად მოქმედი საპროცესო კანონის მოთხოვნებს იმ საპროცესო მოქმედებათა შეფასებისას, რომლებიც შესრულებული იქნა მის ძალაში შესვლამდე და, აქედან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია თვლის, რომ უსწორია შუამდგომლობის მოტივი იმის შესახებ, რომ გ. აბსანძეს უსაფუძვლოდ შეეფარდა აღკვეთის ღონისძიება და იგი 1998 წლის 17 მარტიდან იმყოფება უკანონო პატიმრობაში.

განჩინებაში მოყვანილი აღნიშნული მოსაზრება არ ემყარება არავითარ არგუმენტაციას და განეკუთვნება კურიოზულ მეცდომათა რიგს, ვინაიდან შუამდგომლობის მე-18-მე-19 გვერდებზე პირდაპირ არის მითითებული, რომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პროცესში გ. აბსანძის მიმართ, კონსტიტუციისა და საპროცესო კანონმდებლობის ნორმების იგნორირებით, არსებითად იქნა დარღვეული იმჟამად მოქმედი საპროცესო კოდექსის 88-ე, 145-ე და 147-ე მუხლების მოთხოვნები. არავითარი სხვა დასაბუთება იმის უარსაყოფად, რომ გ. აბსანძეს უკანონოდ შეეფარდა აღკვეთის ღონისძიება, განჩინებაში არ

ფიგურირებს. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლო და უკანონო განჩინების აღნიშნული ნაწილი. ჩვენს შუამდგომლობაში მივუთითებდით, რომ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების პროცესში გ. აბსანძის მიმართ, კონსტიტუციისა და საპროცესო კანონმდებლობის ნორმების იგნორირებით, არსებითად იქნა დარღვეული მისი უფლებები; კერძოდ, იმუხამად მოქმედი საქართველოს სსსკ 145-ე მუხლის თანახმად, ბრალდების წაყენება უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს 48 საათისა ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის დადგენილების გამოტანის მომენტიდან, ხოლო დანიშნულ დროს ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში – არაუგვიანეს მისი მოყვანის დღისა. სსსკ 147-ე მუხლის თანახმად კი გამოძიებელი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ დაეკითხა ბრალდებული მისთვის ბრალდების წაყენების შემდეგ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაკითხვა დაუყოვნებლივ ვერ მოხერხდებოდა, დაყოვნების მიზეზების შესახებ უნდა შემდგარიყო ოქმი. იმ დროს მოქმედი სსსკ 88-ე მუხლის შესაბამისად კი გამოძიებელი, რომელიც პირს წაუყენებდა ბრალდებას და დაკითხავდა როგორც ბრალდებულს, უფლებამოსილი იყო შუამდგომლობით მიემართა მოსამართლისათვის დაპატიმრებაზე ბრძანების გასაცემად. ამ შემთხვევაში ბრალდებული უნდა მიეყვანათ მოსამართლესთან, რომელსაც წარდგენილი უნდა ჰქონოდა სისხლის სამართლის საქმის მასალები. შუამდგომლობა შესაძლებელია წარდგენილი ჰქონოდა მოსამართლეს იმ შემთხვევაშიც, თუ პირი მიმალვაში იმყოფებოდა. ამ დროს ბრალდებული დაპატიმრების შემდეგ უნდა მიეყვანათ იმ მოსამართლესთან, რომელმაც გასცა ბრძანება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ, განმარტების ჩამოსართმევად და დაპატიმრების დასადასტურებლად.

ბ-ნი გ. აბსანძე დაკავებული იქნა რუსეთის ფედერაციის ქ. სმოლენსკში 1998 წლის 17 მარტს, ხოლო 1998 წლის 18 მარტს იგი გადაცემული იქნა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რაც დადასტურებულია საქმეში არსებული არაერთი დოკუმენტით.

ბ-ნ გ. აბსანძის საქართველოში ექსტრადიცია განხორციელდა 1998 წლის 19 მარტს. არც 18 და არც 19 მარტს მისთვის ბრალდება წარდგენილი არ ყოფილა და იგი არ დაკითხულა, რითაც დარღვეული იქნა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტისა და იმ დროს მოქმედი სსსკ 145-ე და 147-ე მუხლების მოთხოვნები.

1998 წლის 18 მარტს გ. აბსანძე რუსეთის პროკურატურის მიერ უკვე გადმოცემული იყო საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ხოლო 19 მარტს განხორციელდა მისი ექსტრადიცია

თბილისში. 1998 წლის 19 მარტს პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს გ. აბსანძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახელ წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე. შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ გ. აბსანძისათვის ბრალდების წარდგენა ვერ მოხერხდა მისი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო, რაც სინამდვილეში არსებული ფაქტის აშკარა გაყალბებას წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ გენერალური პროკურატურის საერთაშორისო სამართლებრივი განყოფილების 1998 წლის 17 მარტის წერილში პირდაპირ არის მითითებული, რომ გ. აბსანძე დაკავებულია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე და დაყენებულია შუამდგომლობა აბსანძის ბინაში ჩხრეკის ჩატარების შესახებ. იმავე შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ აბსანძის ბინაში ჩხრეკის ჩატარების შესახებ კანონით დადგენილ ვადაში ეცნობებოდა კრწანისის რაიონის სასამართლოს. ამრიგად, 1998 წლის 18 მარტს გ. აბსანძის ადგილსამყოფელის შესახებ კარგად იყო ცნობილი როგორც საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის, ისე კრწანისის რაიონის სასამართლოსათვის.

1998 წლის 17 მარტს თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლომ ვასცა ბრძანება გ. აბსანძისათვის აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე. ბრძანებაში ასევე გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ გ. აბსანძისათვის ბრალდების წარდგენა ვერ მოხერხდა მისი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო, რაც, ცხადია, სიმართლეს არ შეესაბამება.

აქედან გამომდინარე ნათელია, რომ გ. აბსანძისათვის ბრალდების წარდგენა და დაკითხვა არ მომხდარა არც მისი საქართველოს მხარისათვის გადმოცემის მომენტში და არც თბილისში ექსტრადირების დღეს, რაც წარმოადგენს საქართველოს იმჟამად მოქმედი სსსკ 88-ე, 145-ე და 147-ე მუხლების უხეშ დარღვევას.

1998 წლის 20 მარტს საქართველოს შსს მე-5 საგამომძიებო იზოლატორში კრწანისის რ-ნის მოსამართლის ბ-ნ მ. ოთარაშვილის მიერ მიღებული იქნა ბრძანება გ. აბსანძისათვის აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების დადასტურების შესახებ. აღნიშნული ბრძანება იმგვარად იქნა გაცემული, რომ გ. აბსანძეს კვლავ არ ჰქონია ბრალდება წარდგენილი და იგი ბრალდების ირგვლივ დაკითხული არ ყოფილა. ამით გ. აბსანძის მიმართ კვლავ იქნა დარღვეული იმდროინდელი სსსკ 145-ე და 147-ე მუხლების მოთხოვნები და მხოლოდ კრწანისის რ-ნის სასამართლოს მიერ ბრძანების გაცემის შემდეგ, 1998 წლის 20 მარტს წარედგინა ბრალი გ. აბსანძეს და დაწყებული იქნა

მისი დაკითხვა.

თბილისის კრწანისის რ-ნის სასამართლოს 1998 წლის 19 მარტის ბრძანებაში გ. აბსანძისათვის აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ გ. აბსანძის ბრალეულობა ჩადენილ დანაშაულში დადასტურებულია ზ. ეჯიბიას, ბ. თოდუას, ზ. მარანელის და სხვების ჩვენებებით, თავდამსხმელთა მიერ ნაჭირავევ კონსპირაციულ ბინებში ჩატარებული ჩხრეკებით და საქმის ერთობლივი მასალებით. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მოსამართლე აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის დროს შორს გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს: იმსჯელა, შეფასება მისცა და დადასტურებულად მიიჩნია გ. აბსანძის ბრალეულობის საკითხი, რითაც უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის 1 პუნქტისა და იმ დროს მოქმედი სსსკ მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, რომლის თანახმად „არავინ შეიძლება იქნეს ცნობილი ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად“.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების პროცესში გ. აბსანძის მიმართ არაერთგზის უხეშად იქნა დარღვეული როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ისე საპროცესო კანონმდებლობა და სსსკ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად კრწანისის რ-ნის სასამართლოს 1998 წლის 19 და 20 მარტის ბრძანებები გ. აბსანძისათვის აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის შესახებ უკანონოა და ისინი ექვემდებარებიან გაუქმებას, ხოლო გ. აბსანძე 1998 წლის 17 მარტიდან ღელემდე იმყოფება უკანონო პატიმრობაში.

დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ გ. აბსანძისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების დროს დაშვებული იქნა შემდეგი დარღვევები:

1. სასამართლოს 1998 წლის 19 მარტის ბრძანებაში ჩაიწერა, რომ გ. აბსანძის დაკითხვა ვერ მოხერხდა მისი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო მაშინ, როდესაც გ. აბსანძე უკვე დაკავებული და ექსტრადირებული იყო საქართველოში.

2. სასამართლოს მიერ 1998 წლის 19 და 20 მარტის ბრძანებების გაცემა მოხდა ისე, რომ გ. აბსანძეს ბრალი არ წარსდგენია და დაკითხული არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლი გამოიძებნა ავალდებულებდა, რომ გ. აბსანძეს ბრალდება წარსდგენოდა არაუგვიანეს მოყვანის დღისა, ხოლო იმავე კოდექსის 147-ე მუხლის შესაბამისად გამოძიებელი ვალდებული იყო

ბრალდების წარსდგენის შემდეგ დაუყოვნებლივ დაეკითხა ბრალდებულს.

3. სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს იმსჯელა გ. აბსანძის ბრალეულობის შესახებ, რითაც დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლისა და იმ დროს მოქმედი სსსკ მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები.

თითოეული ზემოაღნიშნული დარღვევა, სხვა დარღვევებისაგან დამოუკიდებლად, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ გ. აბსანძე ჩაითვალოს უკანონო პატიმრად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კოლეგიას თავის განჩინებაში საერთოდ არ უმსჯელია გ. აბსანძის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს დაშვებულ არცერთ უხეშ დარღვევაზე, რაც ამჟამად მოქმედი სსსკ 424-ე მუხლის „ი“ პუნქტის შესაბამისად აუცილებლად უნდა გაეკეთებინა.

II. სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა შუამდგომლობის ის ნაწილი, სადაც საუბარი იყო გ. აბსანძის მიმართ პატიმრობის როგორც საგამოძიებო, ისე კონსტიტუციური ვადების დარღვევაზე და ამასთან უსაფუძვლოდ მიიჩნია ადვოკატების მსჯელობა იმის თაობაზე, რომ გ. აბსანძის მიმართ პროკურატურა შეგნებულად აჭიანურებდა და ზღუდავდა საქმის მასალების გაცნობას, რის გამოც გ. აბსანძეს და მის ადვოკატებს პროკურატურის უკანონო ქმედებით არ მიეცა საქმის უმეტესი ნაწილის გაცნობის და, აქედან გამომდინარე, წინასწარი ძიების სტადიაზე საბოლოო შუამდგომლობის ჩამოყალიბების საშუალება. განჩინებაში მითითებულია: სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს შუამდგომლობის მოტივს იმის შესახებ, რომ წინასწარი გამოძიების პროცესში გ. აბსანძეს სრულყოფილად არ გააცნეს საქმის მასალები, შეუზღუდეს დრო, რითაც დაარღვიეს მისი კანონიერი უფლებები. კოლეგიამ მიუთითა, რომ გ. აბსანძე საქმეს ეცნობოდა 104 სამუშაო დღის განმავლობაში, რომ თითქოს საქმის მე-7 ტომს იგი ეცნობოდა 24 დღე, 39-ე ტომს—10 დღე და ა. შ. აქედან გამომდინარე, კოლეგიამ სავსებით კანონიერად მიიჩნია წინასწარი გამოძიების მიერ მიღებული დადგენილება გ. აბსანძის მიერ საქმის გაცნობის პროცესის შეგნებულად გაჭიანურების გამო ვადის დაწესების შესახებ. განჩინებაში იქვე აღნიშნულია, რომ, საქმის მასალების ანალიზიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს შუამდგომლობის იმ მტკიცებასაც, რომ გ. აბსანძე წინასწარ პატიმრობაში იძყოფებოდა კანონით დადგენილ მაქსიმალურ ვადაზე მეტი ხნის განმავლობაში.

განჩინების ამ ნაწილთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, ხაზი

უნდა გაეხსენებინათ იმ გარემოებას, რომ სრულიად გაუგებარია, თუ რატომ შეუტრწვა ერთმანეთს სასამართლო კოლეგიამ გ. აბსანძის მიმართ წინასწარი პატიმრობის ვადების დარღვევის ფაქტი მის მიმართ პროკურატურის მიერ საქმის გასაცნობი დროის შეზღუდვის ფაქტს, ვინაიდან ეს არის ორი სრულიად სხვადასხვა საკითხი. როდესაც საუბარია გ. აბსანძის მიმართ პროკურატურის მიერ საქმის მასალების გაცნობის ვადის გაჭინაურებისა და შეზღუდვის ფაქტებზე, კოლეგია ვალდებული იყო გაერკვია, თუ რატომ არ მოხდა პროკურატურის მიერ გ. აბსანძისათვის საქმის გაცნობის დაწყება 1998 წლის 5 ოქტომბრიდან და რატომ დაიწყო იგი 1998 წლის 19 ნოემბერს მაშინ, როდესაც მისი საპატიმრო ვადა ერთი თვის და 9 დღის გასული იყო; რატომ არ წარუდგინა პროკურატურამ გ. აბსანძეს საქმე გასაცნობად 16 სხვადასხვა სამუშაო დღის მანძილზე, 1998 წლის 19 ნოემბრიდან 1999 წლის 11 მარტამდე; რატომ არ იქნა გაგრძელებული 1999 წლის 11 მარტის დადგენილება ვადის გასვლის შემდეგ.

სასამართლო კოლეგია სრულიად ტენდენციურად მიუდგა საკითხს იმის შესახებ, თითქოს გ. აბსანძე საქმეს ეცნობოდა 104 სამუშაო დღის განმავლობაში, ვინაიდან იგი არ დაინტერესებულა შუამდგომლობაში მითითებული ფაქტით, რომ გ. აბსანძე პროკურატურის მიზნით საქმეს ეცნობოდა დღის განმავლობაში საშუალოდ მხოლოდ 3 საათის მანძილზე და ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის გაცნობის ვადადებდა ხდებოდა გ. აბსანძის მიზნით, პროკურატურის მიერ დგებოდა სათანადო ოქმი. სასამართლო ასევე მცდარად მიუთითებს გ. აბსანძის მიერ საქმის გაცნობის დღეთა რაოდენობას, რაც ცხადად ჩანს საქმის გაცნობის გრაფიკიდან და რაზეც დეტალურად ისაუბრებს თვით ბ-ნი გ. აბსანძე. ამასთან, სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია იმ მასალებზე, რომელიც პროკურატურის მიზნით საერთოდ არ ფიგურირებდა საქმეში და რომლებიც ჩვენს მიერ წარდგენილი იქნა სასამართლოსადმი. იგულისხმება გ. აბსანძის მიერ გენერალური პროკურატორის სახელზე გაგზავნილი 2 საჩივარი, საგამომძიებო ჯგუფის უფროსის გ. აგულაშვილის 1999 წლის 19 მარტისა და 16 აპრილის დადგენილებები, პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის უფროსის ო. ბეზიას 1999 წლის 6 აპრილის დადგენილება გ. აბსანძის განცხადებები საქმის გაცნობის გაჭინაურებასთან დაკავშირებით, ასევე გ. აბსანძის ადვოკატების შუამდგომლობა და 4 საჩივარი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს კოლეგიის მსჯელობა იმის თაობაზე, თითქოს გ. აბსანძე საქმის მასალების გაცნობისას შეგნებულად აჭინაურებდა დროს და პროკუ-

რატურას მისთვის და მისი ადვოკატებისათვის საქმის მასალების გასაცნობი დრო უკანონოდ არ შეუზღუდავს.

რაც შეეხება კოლეგიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, საქმის მასალების ანალიზიდან გამომდინარე, იგი ვერ გაიზიარებს შუამდგომლობის იმ მტკიცებასაც, რომ გ. აბსანძე წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა კანონით დადგენილ მაქსიმალურ ვადაზე მეტი ხნის განმავლობაში, აქ უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ კოლეგიას საერთოდ არ უმსჯელია შუამდგომლობაში დასაბუთებულ არგუმენტებზე, რომელთა თანახმად პროკურატურის მიერ გ. აბსანძის მიმართ უნებლად იქნა დარღვეული წინასწარი პატიმრობის როგორც საგამოძიებო, ისე კონსტიტუციური ვადები.

ვინაიდან აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დამთავრდა 1998 წლის 4 ოქტომბერს, ხოლო გ. აბსანძეს საქმის გაცნობის საშუალება მიეცა მხოლოდ 19 ნოემბრიდან და რადგან უზენაესი სასამართლოს მიერ გ. აბსანძის პატიმრობის ვადა გაგრძელებული იყო 1998 წლის 10 ოქტომბრამდე, ცხადია, პროკურატურის მიერ გ. აბსანძის საპატიმრო ვადა იმ დროისათვის უკვე გადაცილებული იქნა ერთი თვითა და 9 დღით. შუამდგომლობაში ასევე მითითებული იყო, რომ პროკურატურის 1999 წლის 11 მარტის დადგენილებით დაწესებული საქმის გაცნობის ერთთვიანი ვადა გავიდა 1999 წლის 12 აპრილს, აღნიშნული დადგენილების გაუქმება ან ახალი ვადის დაწესება აღარ მომხდარა, რაც უნდა გაეკეთებინა პროკურატურას იმ დროს მოქმედი სსსკ 104-ე მუხლის 1 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დროის მონაკვეთი აუცილებლად უნდა დაემატოს 1998 წლის 17 მარტიდან 19 ნოემბრამდე გასულ ვადას, რაც პროკურატურის მიზეზით საქმის გაცნობის პერიოდში გაცდენილ 16 სამუშაო დღესთან ერთად შეადგენს 9 თვესა და 20 დღეს, რითაც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის შესაბამისად დარღვეულია ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადა.

თავის განჩინებაში კოლეგიას საერთოდ არ უმსჯელია გ. აბსანძის მიმართ წინასწარი პატიმრობის როგორც საგამოძიებო, ისე კონსტიტუციური ვადების დარღვევაზე და სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი დეკლარაციით, რაც მიუთითებს მის აშკარა არაობიექტურობაზე.

განჩინებაში აღინიშნა, რომ კოლეგია ვერ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას გ. აბსანძის წინასწარი პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ, ვინაიდან მას წარდგენილი აქვს ბრალდებები, რომლებიც მიეკუთვნება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ძვირე დანაშაულთა

კატეგორიას. კოლეგიის აღნიშნული მოსაზრება სრულიად უსაფუძვლოა, ვინაიდან მოქმედი საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე „სასამართლო, პროკურორი და გამომძიებელი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ უკანონოდ დაპატიმრებული ნებისმიერი პირი“.

III. სასამართლო კოლეგიამ უსაფუძვლოდ მიიჩნია შუამდგომლობის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ წინასწარი გამოძიების პროცესში არ ჩატარებულა მოწმეთა დაპირისპირებები გ. აბსანძესთან და აღნიშნა, რომ ამ მოქმედებების ჩატარება შესაძლებელია სასამართლო გამოძიების სტადიაზე. ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ მიიჩნევს კოლეგია უსაფუძვლოდ იმ ფაქტს, რომ შუამდგომლობაში დასახელებული მოწმეები არ ყოფილან დაპირისპირებული გ. აბსანძესთან, ვინაიდან ვერც სასამართლო და ვერც პროკურატურა ამ ფაქტს ვერ უარყოფს; რაც შეეხება იმას, რომ მოწმეთა დაკითხვა შესაძლებელი იქნება სასამართლო გამოძიების სტადიაზე, ჩვენს შუამდგომლობაში დასაბუთებული იყო, რომ ყოველივე ამის განხორციელება ფიზიკურად შეუძლებელი იქნება, რასაც განჩინებაში არგუმენტირებული პასუხი არა აქვს გაცემული. იმ დროს მოქმედი სსსკ მე-18 და 160-ე მუხლების შესაბამისად, წინასწარი გამოძიება ვალდებული იყო ჩაეტარებინა გ. აბსანძის დაპირისპირება მოწმეებთან, კერძოდ, 160-ე მუხლის თანახმად, „თუ ბრალდებულთა, დაზარალებულთა, მოწმეთა, ექვმიტანილთა ჩვენებებს შორის არსებითი წინააღმდეგობებია, გამომძიებელს უფლება აქვს მოახდინოს მათი დაპირისპირება“, ხოლო მე-18 მუხლის შესაბამისად გამომძიებელი ვალდებულია მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის, გამოავლინოს ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი გარემოებანი. აქედან გამომდინარე, პროკურატურა წინასწარი გამოძიების პროცესში ვალდებული იყო გაბსანძესთან დაეპირისპირებინა შუამდგომლობაში მითითებული მოწმეები, რაც მან არ გააკეთა. აქვე ისმის კითხვა: თუ სასამართლო ძიების სტადიაზე შესაძლებელია ყველა მოწმის დაკითხვა, დაპირისპირება და ყველა საპროცესო მოქმედების შესრულება, მაშინ საერთოდ რისთვის არის საჭირო წინასწარ გამოძიება?

რაც შეეხება სასამართლო კოლეგიის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ წინასწარი გამოძიების დროს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობდა პრეიუდიციის ინსტიტუტს, აქ საკითხავია, თუ რატომ და რომელი კანონმდებლობის საფუძველზე მოახდინა პროკურატურამ დღევანდელ საქმეში „ქობალიასა და სხვათა საქმის“ უდიდესი

ნაწილის გადმოტანა? ამასთან ერთად, როგორც უშუალოდ მომლობაში იყო მითითებული 1992-1993 წლებთან დაკავშირებულ ეპიზოდებში, პროკურატურის მიერ საბრალდებო დასკვნისათვის მოწმეთა სიაც კი არ იქნა დართული, რითაც დარღვეული იქნა იმჟამინდელი სსსკ 207-ე მუხლის მოთხოვნები. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ პროკურატურას არც სასამართლო გამოძიების სტადიაზე მიაჩნია საჭიროდ აღნიშნულ მოწმეთა დაკითხვა. პროკურატურას კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, შერჩევით, თავისი შეხედულებისამებრ, საქმეში გადმოტანილი აქვს სწორედ პრეიულიციული მტკიცებულებები. სამწუხაროდ, სასამართლო კოლეგიის განჩინებაში არც ეს საკითხი იქნა შეფასებული ობიექტურად და კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

IV. განჩინებაში აღნიშნულია, რომ 1991-92 წლების მოვლენებისათვის იურიდიული და პოლიტიკური შეფასების მიცემა არ შედის გამოძიების კომპეტენციაში. გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენს უშუალოდ მომლობაში საერთოდ არ ყოფილა საკითხი დაყენებული იმის თაობაზე, რათა პროკურატურას რაიმე შეფასება მიეცა 1991-92 წლების მოვლენებისათვის, ჩვენ მივუთითებდით მხოლოდ იმაზე, რომ პროკურატურა ვალდებული იყო გამოერკვია, თუ რას წარმოადგენდა 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალება როგორც იურიდიული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით და რა სამართლებრივი სტატუსით სარგებლობდა 1992-93 წლებში დევნილი ხელისუფლება, ვინაიდან, ჩვენი ღრმა რწმენით, ზემოაღნიშნული ფაქტების გამორკვევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საქმის ობიექტური და სრულყოფილი გამოძიება, რასაც ავალდებულებდა კიდევ პროკურატურას იმ დროს მოქმედი სსსკ მე-18 მუხლი.

V. რაც შეეხება უშუალოდ მომლობაში მოყვანილ ფაქტსამერიკელი გენერლის უილიამ ოდომის განცხადებასთან დაკავშირებით, ჩვენ მივუთითებდით, რომ პროკურატურა ვალდებული იყო მოქმედი სსსკ 24-ე, 261-ე და 263-ე მუხლების შესაბამისად აღედგრა სისხლის სამართლის საქმე, ჩაეტარებინა მოკვლევა და გამოძიება, ხოლო ყოველივე ამის გაკეთებამდე შეუძლებელი იქნებოდა სასამართლოს მიერ ობიექტური გადაწყვეტილების მიღება. ამასთან დაკავშირებით განჩინებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული ცნობა გამოქვეყნდა 1999 წლის ოქტომბერში, მაშინ, როდესაც მოცემულ საქმეზე წინასწარი გამოძიება უკვე დამთავრებული იყო და საქმე უზენაეს სასამართლოში იმყოფებოდა. აღნიშნული პასუხიდან გამომდინარე იქმნება შთაბეჭდილება, რომ კოლეგია 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტის მცდელობის

ეპიზოდებთან დაკავშირებით დაინტერესებულია არა საქმის არსის ობიექტური და სრულყოფილი გამოკვლევით, არამედ იმით, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაასრულოს აღნიშნული საქმე გარკვეული წინასწარ დასახული გეგმის შესასრულებლად, თუნდაც ჭეშმარიტების უგულვებლყოფის ხარჯზე.

ჩვენს შუამდგომლობაში დაყენებული თითოეული საკითხი ემყარებოდა სისხლის სამართლის საქმის მასალების ანალიზსა და წინასწარი გამოძიების დროს მოქმედ კანონმდებლობას, რომლის 19 მუხლიც უხეშად იქნა დარღვეული პროკურატურის მიერ; განჩინებაში კი სრულიად დაუსაბუთებლადაა მითითებული, რომ საქმის მოკვლევისა და გამოძიების დროს არ დარღვეულა საპროცესო კანონი და წინასწარი გამოძიება ჩატარდა სრულად და ობიექტურად. სამწუხაროდ, სასამართლო კოლეგიის განჩინებაში არა თუ დასაბუთებული პასუხი არ გაეცა, არამედ საერთოდ იგნორირებული იქნა შუამდგომლობაში დასმული ყველა მოთხოვნა და საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის მოთხოვნათა უგულვებლყოფით საქმე მიღებული იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის წარმოებაში, რაც სრულ საფუძველს გვიქმნის ეჭვი შევიტანოთ სასამართლოს ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში მოცემულ საქმეზე და საქართველოს სსსკ 105-ე მუხლის 1 ნაწილის „ზ“ პუნქტის შესაბამისად დავაყენოთ საკითხი სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის აცილების თაობაზე.

ჩვენთვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ მიმდინარე სასამართლო გამოძიება არ შეიძლებოდა ყოფილიყო რიგითი პროცესი, ვინაიდან საქმე ეხება დევნილი ხელისუფლების ერთ-ერთ უმაღლესი თანამდებობის პირს, ხოლო ბრალდება შეეხება პრეზიდენტზე განხორციელებული ტერაქტის მცდელობას. ცხადი იყო ისიც, რომ მოსამართლეს დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა კანონის უზენაესობის პრინციპების გასატარებლად, გარეშე ზეწოლის დასაძლევად და სწორედ ამიტომ ვამყარებდით იმედს ბ-ნ იური ტყეშელაშვილის პროფესიონალიზმსა და მაღალ ზნეობაზე. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ კვლავ აღმოვჩნდით კოლეგიის თავმჯდომარის აცილების დილემის წინაშე, ვინაიდან ამჟამად, რომ გამოტანილი იქნა სრულიად დაუსაბუთებელი, ტენდენტური და უკანონო განჩინება, რაც გვარწმუნებს, რომ კოლეგიის თავმჯდომარე თავს ვერ გაართმევს მოცემული სისხლის სამართლის საქმის ობიექტურად წარმართვას.

25. 11. 1999 წ.

*საქართველოს პარლამენტის
ეროვნული თანხმობის დროებით
საპარლამენტო კომისიას*

*განსასჯელ გურამ აბსანძის აღვოკატების
იოსებ ბარათაშვილისა და
მალხაზ ჯანშირაშვილის*

ბ ა ნ ს ხ ა ლ ე ბ ა

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებიდან გამომდინარე, ეროვნული თანხმობის საპარლამენტო კომისია უფლებამოსილია განიხილოს და რეკომენდაციით მიმართოს შესაბამის უწყებებს განსასჯელთა და საქართველოს თუ მის გარეთ მყოფი ყველა იმ პირის სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე, რომლებიც პასუხისგებაში არიან მიცემულნი 1991-1992 წლებიდან 2000 წლის 20 აპრილამდე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისიის შესწავლის არეალში ექცევა განსასჯელი გურამ აბსანძეც, რომლის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვა პარლამენტის ზემოაღნიშნული დადგენილების მიღების დროს მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს საქართველოს უზენაეს სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებით გენერალურ პროკურატურას უნდა განეხილა და გადაეწყვიტა სხვა განსასჯელებთან ერთად გურამ აბსანძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხი, ამ მიმართულებით გენერალური პროკურატურის მიერ ფაქტობრივად დღემდე არც ერთი ნაბიჯი არ არის გადადგმული. მართალია, 2001 წლის 5 აპრილს სახელმწიფო ბრალდების მხარემ გურამ აბსანძის მიმართ წარმოადგინა ბრალდების ახალი ფორმულირება, სადაც თითქოს ამოღებულია რიგი ეპიზოდები, მაგრამ პრაქტიკულად გურამ აბსანძის მიმართ ბრალდების შემსუბუქების თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა და მის მიმართ წარდგენილ ერთ-ერთ ძირითად ბრალდებას კვლავაც წარმოადგენს სამშობლოს ღალატი და ბანდიტიზმი, რომელიც თითქოს 1992-1993 წლებში ზვიად გამსახურდიასთან და დევნილი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ჩაიდინა გურამ აბსანძემ. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სრულიად ცხადია ორმაგი სტანდარტი, რომელიც უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე იმკვიდრებს ადგილს ჩვენს საზოგადოებრივ ცხ-

ოვრებაში. კერძოდ, ერთი მხრივ, საუბარია ეროვნული თანხმობის საყოველთაო პოლიტიკაზე, კანონიერი ხელისუფლების დამხობის დაგმობასა და სამოქალაქო კონფლიქტის აღმოფხვრის აუცილებლობაზე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უკვდავსაყოფ ღონისძიებებზე, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს უზენაეს სასამართლოში დღეს კვლავ მიმდინარეობს იმ სისხლის სამართლის საქმის განხილვა, სადაც ზვიად გამსახურდია და მისი მომხრეები გამოცხადებულნი არიან სამშობლოს მოღალატეებად და ბანდიტებად.

აქვე გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება იმ ფაქტზე, რომ 2001 წლის 17 აპრილს ჩვენს მიერ საქართველოს სსსკ 475-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, დაყენებული იქნა შუამდგომლობა 1998 წლის 9 თებერვალს განხორციელებული ტერაქტის მცდელობის ეპიზოდში განსასჯელ გურამ აბსანძის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე. ჩვენს შუამდგომლობაში დეტალურად იყო დასაბუთებული ყველა იმ ბრალდების სრული უსაფუძვლობა, რომელიც წაყენებული აქვს ბატონ გურამ აბსანძეს ზემოაღნიშნულ ეპიზოდებში. სამწუხაროდ, არც სახელმწიფო ბრალდების მხარემ და არც სასამართლო კოლეგიამ საჭიროდ არ მიიჩნიეს რაიმე დასაბუთებული პასუხის გაცემა ჩვენს შუამდგომლობაზე (თუმცა ამას ითხოვდა საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლი), რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ უზენაეს სასამართლოში მიმდინარე ზემოაღნიშნული პროცესი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს პოლიტიკურ პროცესს, რომლის მხოლოდ სასამართლო განხილვის გზით კანონიერად გადაწყვეტა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარე ეტაპზე პრაქტიკულად შეუძლებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებით თქვენთვის მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოიყენოთ თქვენი ძალისხმევა, რათა მოქმედი კანონმდებლობისა და პარლამენტის დადგენილების საფუძველზე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ობიექტურად გადაწყვიტოს განსასჯელ გურამ აბსანძის სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხი, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ბატონ გურამ აბსანძის მიმართ კანონიერი, ობიექტური განაჩენის გამოტანას.

პატივისცემით,

ადვოკატები: ი. ბარათაშვილი, მ. ჯანგირაშვილი

2. 05. 2002

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი მიესალმება და მხარს უჭერს საქართველოს პრეზიდენტის ძალისხმევას სამლქალაქო დაპირისპირების დასრულების, მისი შედეგების აღმოფხვრის, ეროვნული თანხმობის პროცესის დაწყების და იმ პირთა სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების შესახებ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან 1991-1992 წლების ტრაგიკული მოვლენების შედეგად გამოწვეული კონფრონტაციის პერიოდში ჩადენილი ქმედებების გამო.

1991 წელს საქართველოში დაიწყო დაპირისპირება, რასაც მოჰყვა კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფლიქტი.

მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ პერიოდში საქართველოს მოსახლეობამ მრავალჯერ გამოხატა თავისი ნება დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების გზით, 1991-1992 წლებში საქართველოში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების პოლიტიკური შედეგები დღემდე არ არის აღმოფხვრილი, რაც ხელს უშლის ქვეყნის სულიერ ერთიანობას და სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესს.

საქართველოს პარლამენტი 1991-1992 წლებში დაწყებულ სამოქალაქო დაპირისპირებას განიხილავს როგორც საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ პერიოდს, როცა ერთმანეთს გადაეჯაჭვა ურთულესი და ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკურ-სამართლებრივი პრობლემები.

საქართველოს პარლამენტი პატივს მიაგებს ძმათა შორის შეიარაღებული დაპირისპირებისას დაღუპულთა ხსოვნას, რომლებიც სამშობლოსათვის იბრძოდნენ მიუხედავად პოლიტიკური მრწამსისა და მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, ერთხელ და სამუდამოდ წერილობითი დაესვას სამოქალაქო კონფრონტაციას.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაგმობილ იქნეს სახელმწიფოში პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამცობის ყოველგვარი მცდელობა.

2. ეთხოვოს საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

ა) ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით 2000 წლის 1 ივლისამდე განიხილოს და გადაწყვიტოს განსასჯელთა და საქართველოში თუ მის გარეთ მყოფი ყველა იმ პირის სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხები, რომლებიც პასუხისგებაში არიან მიცემულნი 1991-1992 წლებიდან დღემდე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

ბ) 2000 წლის 10 ივლისამდე უზრუნველყოს იმ პირთა სიის გამოქვეყნება, რომელთა მიმართ მიღებული იქნება გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე უარის თქმის შესახებ.

3. საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის 20 მაისამდე შექმნას „ეროვნული თანხმობის“ დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული თანხმობის პროცესის გაგრძელებას, სამოქალაქო დაპირისპირების დასრულებას ამ დადგენილებაში ასახული მოთხოვნების, პრინციპების და სულისკვეთების გათვალისწინებით.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია
თბილისი, 2000 წლის 20 აპრილი.*

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სისხლის სამართლის კოლეგიის
თავმჯდომარეს ბატონ იური ტაყაიას ვაჟს

ასლი: საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის
წევრებს ბატონებს
იოსებ ბარათაშვილს
და მალხაზ ჯანბირაშვილს

შუამდგომლობა

„1991-1992 წლებში სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისია, რომლის საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ქვეყანაში ეროვნული თანხმობის პროცესის განმტკიცება, სამოქალაქო დაპირისპირების დასრულება და პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება. სხვა საკითხებთან ერთად კომისია უფლებამოსილია განიხილოს და რეკომენდაციით მიმართოს შესაბამის უწყებებს განსასჯელთა და საქართველოში თუ მის გარეთ მყოფი ყველა იმ პირის სისხლის-სამართლებრივი დევნის საკითხებზე, რომლებიც პასუხისმგებლობაში არიან მიცემულნი 1991-1992 წლებიდან დღემდე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისიის შესწავლის არეალში ექცევიან ის განსასჯელებიც, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვა უზენაეს სასამართლოში დღეისათვის მიმდინარეობს თქვენი თავმჯდომარეობით.

2000 წლის 21 ივნისს ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების მთავარი ექიმისა და ამავე დაწესებულების თერაპიული განყოფილების უფროსის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა განსასჯელ გურამ აბსანძის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე.

ცნობაში მითითებულია, რომ გ. აბსანძე მათ დაწესებულებაში მიყვანის შემდეგ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ დაუდგინდა შემდეგი დიაგნოზი: „ გულის მოციმციმე არითმიის პაროქსიზმი, არტერიული ჰიპერტენზია, მუცლის წინა კედლის დიდი ზომის ლიპომა, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული მრავლობითი ჭრილობები გულმკერდის მარცხენა ნახევარში (დარჩენილია სამი ტყვია), მარჯვენა ნახევარში (1 ტყვია), კისრის I-II მალათა შუა არეში (1 ტყვია)“.

სამედიცნო ცნობაში ხაზგასმულია, რომ დარჩენილი ტყვიების ამოღების მიზნით საჭიროა გ. აბსანძეს ჩაუტარდეს ოპერატიული მკურნალობა, მაგრამ რადგანაც ეს უკანასკნელი დაკავშირებულია „რისკ-ფაქტორებთან“, ამიტომ ოპერაციის ჩატარება, ექიმების დასკვნით, სასურველია მაღალკვალიფიციურ ქირურგიულ კლინიკაში მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების მიზნით.

ეროვნული თანხმობის საპარლამენტო კომისიამ იმსჯელა განსასჯელ გ. აბსანძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება, რათა მოგმართოთ შუამდგომლობით გ. აბსანძის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების, პატიმრობის შეცვლის თაობაზე ხელწერილით გაუსვლელობის და სათანადო ქცევის შესახებ.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩვენი შუამდგომლობის დაკმაყოფილება ხელს შეუწყობს საქართველოში ეროვნული თანხმობის პროცესის გაგრძელებას, სამოქალაქო დაპირისპირების დასრულებას და საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების მოთხოვნების შესრულებას.

კომისიის თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე

კომისიის წევრები: ანზორ აბრალავა, ვახტანგ გოგორიშვილი, ჯემალ გამახარია, არჩილ გოგელია, კობა დავითაშვილი, ზაზა დვალი, კონსტანტინე კეზულარია, დავით მაღრაძე, თედო პაატაშვილი, დავით სალარიძე, გუბაჯ სანიძე, ჯემალ საჯანია, გურამ შარაძე, ელდარ შენგელაია, ივარი ველიძე, ვახტანგ ხმალაძე, ელიზბარ ჯაპელიძე, თენგიზ ჯგუშია

23. 06. 2000 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სისხლის სამართლის კოლეგიის
თავმჯდომარეს ბატონ იური ტაუშელაშვილს

ასლი: საქართველოს გენერალურ
პროკურატურას

ასლი: საქართველოს ადვოკატთა
კოლეგიის წევრებს
ბატონებს იოსებ ბარათაშვილს და
მალხაზ ჯანჭირაშვილს

შუამდგომლობა

განსასჯელ გურამ აბსანძის მიმართ აღმკვეთი
ლონისძიების პატიმრობის შეცვლის თაობაზე
პირადი თავდებობით

როგორც ცნობილია, საქართველოს უზენაეს სასამართლოში თქვენი თავმჯდომარეობით მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის განხილვა განსასჯელ გურამ აბსანძისა და სხვათა მიმართ. ჩვენთვის ცნობილია გურამ აბსანძის მიმართ წაყენებული ბრალდების არსი, ცნობილია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მიერ დადგენილადაა მიჩნეული, რომ გ. აბსანძეს აწუხებს გულის იშემიური დაავადება ჰიპერტონიით, მოციმციმე არითმიის პაროქსიზმი, დიდი ზომის ლიპომა, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული კრილობები, სხეულში ჩარჩენილი მრავალი ტყვიანა. ცნობილია ასევე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა იმის თაობაზე, რომ თუმცა ამჟამად ბ-ნ გ. აბსანძეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესში, მაგრამ „თუ შემდგომში გამოიხატება აღნიშნული პათოლოგიის რაიმე დამახასიათებელი გართულება... დღის წერტილში უნდა დადგეს გადაუდებელი ქირურგიული ჩარევის აუცილებლობა“.

ვინაიდან საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების მოქმედების არეალში ექცევიან ის განსასჯელებიც, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვა საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობს თქვენი თავმჯდომარეობით, საქართველოს სსს კოდექსის 170-ე მუხლის საფუძველზე

მივიღეთ გადაწყვეტილება, რათა ვიკისროთ ვალდებულება გურამ აბსანძისათვის პირად თავდებად დადგომის თაობაზე, რაც გულისხმობს ჩვენს მიერ გ. აბსანძის სათანადო ქცევის უზრუნველყოფას და სასამართლოს გამოძახებით დაუყოვნებლივ გამოცხადებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით გურამ აბსანძის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების, პატიმრობის შეცვლის თაობაზე პირადი თავდებობით.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი შუამდგომლობის დაკმაყოფილება ხელს შეუწყობს ეროვნული თანხობის პროცესის განმტკიცებას და დადებითად წაადგება ქართველი ერის გამთლიანების საქმეს.

პარლამენტის წევრები:

1. ე. თევდორაძე, 2. ა. მარშანია, 3. კ. მუშეუდიანი, 4. გ. ვახტანგაშვილი, 5. ჯ.საჩაია, 6. გ. თოფაძე, 7.გ. შარაძე, 8. რ. გვენცაძე, 9. ზ. ტყემალაძე, 10. ნ. ჩავახიშვილი, 11. მანაგაძე, 12. ვ. ხმალაძე, 13. ი. ბათიაშვილი, 14. ფ. ჩიხრაძე, 15. გ. კალანდია, 16. ა. ვასვიანი, 17. ა. ასათიანი, 18. თ. ფიჩხაია, 19. თ. პაატაშვილი, 20. თ. ლოლობერიძე, 21. ა. შალამბერიძე, 22. ვ. რჩეულიშვილი, 23. ი. მინდელი, 24. ბ. ბუცხიკიძე, 25. თ. ჩანაშია, 26. თ. გელაშვილი, 27. ი. ჩიხრაძე, 28. ზ. ქუცნაშვილი, 29. ჯ. გოგიტიძე, 30. რ. ჩაფარიძე, 31. ი. ლუღუშაური, 32. გ. ხანიკიძე, 33. მ. ნადირაძე, 34. გ. თარგამაძე, 35. ვ. გვარამია, 36. თ. ჭითანავა, 37. რ. ბაქრაძე, 38. თ. ღორჯომელაძე, 39. ნ. პატარქალიშვილი, 40. ვ. გელბახიანი, 41. გ. ჯოჭუა, 42. ა. ბრეგაძე, 43. ა. გოგელია, 44. ე. ნადირაძე, 45. ნ. გრიგალაშვილი, 46. ა. აბრალავა, 47. ე. ჩაველიძე, 48. ჯ. გამახარია, 49. ვ. ბოჭორიშვილი, 50. ს. სიგუა, 51. ნ. მოდებაძე, 52. მ. მაჭავარიანი, 53. რ. მიშველაძე, 54. არ. ასათიანი, 55. დ. ვადელია, 56. თ. მეჭიაური, 57. მ. ბარამიძე, 58. ნ. ნავაძე, 59. ზ. ქაფიანიძე, 60. ა. უვანია, 61. ვ. მაღლაფერიძე, 62. ზ. დვალი, 63. ე. შენგელაია, 64. გ. წერეთელი, 65. გ. ბარამიძე, 66. გ. შულაროვი, 67. ზ. შერაზადიშვილი, 68. დ. ტყეშელაშვილი, 69. ს. პავლიაშვილი, 70. რ. გილიკაშვილი, 71. რ. დალაქიშვილი, 72. ლ. თედიაშვილი, 73. ე. მკოიანი, 74. თ. მეგრელიშვილი, 75. ჰ. ჭიპაშვილი, 76. გ. ბოლოთაშვილი, 77. ა. წოწონავა, 78. ჯ. ეზუგბაია, 79. გ. ლომინაძე, 80. ა. ახელედიანი, 81. ვ. ყოლბაია

36. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
37. ~~...~~ (1. 8. 2000) / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
38. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
39. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
40. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
41. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
42. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
43. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
44. ~~...~~ (1994 6. 2000) / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
45. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
46. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
47. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
48. ~~...~~ (3. 2. 2000) / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
49. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
50. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
51. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
52. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
53. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
54. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
55. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
56. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
57. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
58. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
59. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
60. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
61. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
62. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
63. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
64. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
65. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
66. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
67. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
68. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
69. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
70. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
71. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
72. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
73. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
74. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
75. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
76. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
77. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
78. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
79. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
80. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~
81. ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~ / ~~...~~

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის
თავმჯდომარებს ბ-ნ ი. ტყეშელაშვილს*

ასლი: გენერალურ პროკურატურას
ასლი: ბ. აბსანძის ინტერესების დამცველ
ადვოკატებს

ბატონო იური!

საქართველოს უზენაეს სასამართლოში თქვენი თავმჯდომარეობით მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის განხილვა განსასჯელ გურამ აბსანძის და სხვათა მიმართ. როგორც ცნობილია, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მიერ დადგენილად და მიჩნეული, რომ გ. აბსანძის აწუხებს გულის იშემიური დაავადება ჰიპერტონიით, მოციმციმე არითმიის პაროქსიზმი, დიდი ზომის ლიპომა, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები, სხეულში ჩარჩენილი ტყვიები. მიუხედავად გ. აბსანძის ჯანმრთელობის საგანგაშო მდგომარეობისა, მის მიმართ არ ხდება აღმკვეთი ღონისძიების – პატიმრობის შეცვლა, რაც ჩრდილს აყენებს როგორც მართლმსაჯულებას, ასევე მთლიანად ხელი-სუფლებას.

გამომდინარე გ. აბსანძის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობიდან და ქვეყანაში დაწყებული ეროვნული თანხმობის პროცესის განმტკიცების მიზნით, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობისა და უმცირესობის 81-მა დეპუტატმა (მათ შორის 4 -მა ვიცე-სპიკერმა და ფრაქციის თავმჯდომარეებმა) ხელი მოაწერა თქვენს სახელზე გამოგზავნილ შუამდგომლობას გ. აბსანძისათვის აღმკვეთი ღონისძიების – პატიმრობის პირადი თავდებობით შეცვლის თაობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველი ყოველმხრივ იზიარებს პარლამენტართა მოთხოვნას და მიაჩნია, რომ მსგავსი გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ქვეყანაში დაწყებული შერიგების პროცესის გაღრმავებას.

საქმის არსიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით გ. აბსანძის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების – პატიმრობის შეცვლის თაობაზე პირადი თავდებობით.

პატივისცემით

ნ. დევიდარიანი
21. 07. 2000 წ.

*საქართველოს უზენაესი
სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ლ. ზანტაშვილს*

ბატონო ლალო!

სამეგრელო-ზემო სვანეთში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატში, ზუგდიდისა და სენაკის გამგეობებში შემოვიდა ეროვნულ ძალთა გაერთიანების წარმომადგენელთა, პოლიტპარტიმართა და პოლიტდევნილთა რეგიონალური ორგანიზაციის, აგრეთვე მოსახლეობის ერთი ნაწილის თხოვნა განსასჯელების გურამ აბსანძის, ზურაბ გვაზაფას, სოსო სანაიასა და გია ზარქუას შეეცვალოთ აღმკვეთი ღონისძიება – დაპატიმრება სხვა უფრო მსუბუქი სახის აღმკვეთი ღონისძიებით, ამასთან ისინი აღნიშნავენ, რომ განსასჯელ გ. აბსანძის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

გთხოვთ განიხილოთ. ღრმა პატივისცემით

*ბ. ჯიქია – პრეზიდენტის რწმუნებული,
ლ. ზითანაშვილი – ზუგდიდის რაიონის გამგებელი,
ბ. დებეშაძე – სენაკის რაიონის გამგებელი,
28. 05. 2001 წ.*



*საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ ელშარდ შივარდნაძეს*

ბატონო პრეზიდენტო!

თქვენი ინიციატივით ჯერ კიდევ 1992 წელს დაწყებული ეროვნული თანხმობის პროცესის ბოლომდე მიყვანას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის გამთლიანებისა და ქართული სახელმწიფოს საფუძვლების განმტკიცებისათვის.

1991-1992 წლებში სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ საქართველოს

პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისია, რომლის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს უშიშროების საბჭოსთან ერთად ეროვნული თანხმობის პროცესის გაგრძელება, სამოქალაქო დაპირისპირების აღმოფხვრისათვის ხელის შეწყობა.

სხვა საკითხებთან ერთად კომისია უფლებამოსილია განიხილოს და რეკომენდაციით მიმართოს შესაბამის უწყებებს განსასჯელთა და საქართველოში თუ მის გარეთ მყოფი ყველა იმ პირის სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე, რომლებიც პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი 1991-1992 წლებიდან 2000 წლის 20 აპრილამდე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, ეროვნული თანხმობის საპარლამენტო კომისიის შესწავლის არეალში ექცევა დამხობილი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის, ამჟამად განსასჯელ გურამ აბსანძის საქმეც.

გურამ აბსანძის მიმართ წაყენებული ბრალდებები პირობითად იყოფა ორ ძირითად ნაწილად. ბრალდებათა პირველი რიგი შეეხება 1992-1993 წლებში მომხდარ მოვლენებს. ამ მოვლენებთან დაკავშირებით გურამ აბსანძისათვის საბრალდებო დასკვნის მიხედვით წარდგენილი იყო 60-ზე მეტი ბრალდება.

2001 წლის 2 აპრილს საქმის სასამართლო გამოძიების პროცესში ბრალდების მხარემ დაუსაბუთებლობის გამო უარი თქვა გურამ აბსანძისათვის 1992-1993 წლების მოვლენებთან დაკავშირებით წარდგენილ 60 ბრალდებაზე და დაუტოვა მხოლოდ ორი, რამაც საზოგადოებაში დაამკვიდრა აზრი, რომ გურამ აბსანძისათვის წარდგენილი ბრალდება გამომდინარეობს პოლიტიკური კონიუნქტურიდან, აგებულია ვარაუდებზე და რეალური მტკიცებულებით გამაგრებული არ არის.

სწორედ ეს გარემოება იწვევს საყოველთაო უკმაყოფილებას, განსაკუთრებით სამეგრელოში, და ისედაც დაძაბულ ვითარებას ფეთქებადსააშიშს ხდის. ამის დასტურია ა. წ. 24 მაისის სენაკის აქცია, რომელიც რამდენიმე საათით ცენტრალური მაგისტრალის გადაკეტვით დამთავრდა, ასევე – სენაკის შიმშილობისა და 27 ივნისის დაწყებული ზუგდიდის თვითდაწვის აქცია.

უშიშროების საბჭოს ჩარევის შედეგად მათ დროებით უარი თქვეს თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანაზე, მაგრამ სიტუაცია კვლავაც მძიმე რჩება და მოსალოდნელია მისი გამწვავება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს გენერალური პროკურატურის პოზიცია, რომელიც გამოიხატა ეროვნული თანხმობის საპარლამენტო კომისიისათვის გამოგზავნილ ოფიციალურ წერილში (13 - 1 - გ - 01; 27.06.2001 - დანართი №1). ამ წერილში პროკურატურა მხარს უჭერს საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების სულისკვეთებას და აცხადებს, რომ ვითარების შეცვლის გამო გურამ აბსანძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საკითხი შესაძლებელია გადაწყდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმის სასამართლოში განხილვის დამთავრებამდე.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქმის სასამართლოში დამთავრებამდე გურამ აბსანძის თავდებქვეშ განთავისუფლება სერიოზულად შეუწყობდა ხელს დაძაბულობის განმუხტვას.

თქვენ ბევრჯერ მიგიღიათ არაორდინარული, მაგრამ ჰუმანური გადაწყვეტილება სამოქალაქო კონფრონტაციის აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის მიზნით. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ასეთი გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს საქართველოში ეროვნული თანხმობის პროცესის განმტკიცებას, სამოქალაქო დაპირისპირების დასრულებას და კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს ქართული ერის გამთლიანების საქმეს.

ულრმესი პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის წევრები:

1. ვასილ მაღლაფერიძე;
2. კოტე კემულარია;
3. ელდარ შენგელაია;
4. ზაზა დვალი;
5. ვახტანგ ბოჭორიშვილი;
6. კობა დავითაშვილი;
7. ანზორ აბრალავა;
8. ჩემალ გამახარია;
9. არჩილ გოგელია;
10. ელიზბარ ჯაველიძე;
11. გურამ შარაძე;
12. თედო პაატაშვილი;
13. ივერი ჭელიძე;
14. ჩემალ საჩაია;
15. გუბაზ ხანიკიძე;
16. პეტრე ცისკარიშვილი;
17. ლადო ჭიპაშვილი;
18. ალექსანდრე შალამბერიძე;
19. მაია ნადირაძე;
20. თეიმურაზ დოლობერიძე;
21. აკაკი ასათიანი;
22. დემურ გაღელია;
23. გენო კალანდია;
24. დიმიტრი ჭაიანი;
25. არნოლდ ფენდერავა;
25. ვალერი ჭანტურია;
26. დავით გვაძაბია;
27. ვახტანგ გვარამია;
28. ნოდარ გრიგალაშვილი;
29. გერმანე ფაცაცია;
30. ვახტანგ რჩეულიშვილი;
31. პეტრე ბერაია;
32. ირაკლი ჩუბინიშვილი;
- 33.

ვახტანგ ყოლბაია; 34. თენგიზ ჯგუშია; 35. კახა ჩიტაია; 36. ირაკლი გოგავა; 37. დავით სალარიძე; 38. ბესიკ ლაგვილავა; 39. ნოდარ მოღებაძე; 40. არნოლდ შვანია; 41. ხათუნა (ნინო) ზოფერია; 42. ოთარ ჭითანავა; 43. ელენე თევდორაძე; 44. გიორგი ხევიაშვილი; 45. გიორგი კოსრეიძე; 46. ედვარდ სურმანიძე; 47. დავით ტყეშელაშვილი; 48. მოსე (მამუკა) კობახიძე; 49. თენგიზ გაზდელიანი; 50. მერაბ სამადაშვილი; 51. ჭემალ სვანიძე; 52. რომან დალაქიშვილი; 53. ჭემალ მებუკე; 54. ივანე მერაბიშვილი; 55. დავით კაპანაძე; 56. ბეჟან გონაშვილი; 57. რომან კუსიანი; 58. სოლომონ პავლიაშვილი; 59. არმაზ შამანაური; 60. გიორგი ჯაყელი.

სამეგრელოს რეგიონის ხელიძღვანელობა:

- ვ. ანთია (ზუგდიდის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე)
- ვ. ცხადაია (ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე)
- ჭ. წულაია (მარტვილის რაიონის გამგებელი)
- ნ. არონია (სახალხო დამცველის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთში)
- ა. მიქავა (ზობის რაიონის გამგებელი)
- ტ. დგებუაძე (სენაკის რაიონის გამგებელი)
- ბ. ლასარეიშვილი (აბაშის რაიონის გამგებელი)
- დ. ქანთარია (წალენჯიხის რაიონის გამგებელი)
- ლ. ჭითანავა (ზუგდიდის რაიონის გამგებელი)
- ა. პერტაია (ჩხოროწყუს რაიონის გამგებელი)
- ა. კრილოვი (ჩხოროწყუს რაიონის საკრებულოს მდივანი)
- ა. ჯანჯღავა (წალენჯიხის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე)
- თ. დარჯანია (ქალაქ ფოთის მერი)
- ჭ. კემულარია (ფოთის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე)
- ლ. ცაგური (ფოთის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე)
- თ. წურწუშია (ფოთის საკრებულოს მდივანი)

17. 07. 2001 წ.

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შივაშვილს

ბატონო ედუარდ!

გუშინ ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე შეახლენ ზუგდიდში პოლიტპარტიმართა განთავისუფლების მიზნით გამართული აქციის მონაწილენი.

შედეგა თითქმის სამსაათიანი საუბარი, სადაც ვეცადეთ გაგვეანალიზებინა შექმნილი სიტუაცია. მე დავრწმუნდი, რომ თუმცა ეს ადამიანები თავისი პოლიტიკური შეხედულებით (რასაც არც მალავენ) არიან ყოფილი პრეზიდენტის მიმდევარნი, ეს ვითარება სულაც არ უშლის მათ დაინახონ გარკვეული დესტრუქციული ძალების ქმედებები სამეგრელოში (~~სამეგრელოში~~). ხობში შეკრებაზე, სადაც გაიჟღერა მოწოდებამ სამეგრელოს ავტონომიად გამოცხადებისა, სწორედ ეს ადამიანები წინ აღუდგნენ ამ აზრს.

როგორც ისინი მოიაზრებენ, თუ ეროვნული თანხმობის პროცესი აქტიურად არ წარიმართა, ამ დესტრუქციულმა ძალებმა შესაძლოა სამეგრელოში მიაღწიონ დესტაბილიზაციას, მაგრამ თუ ხელისუფლება უფრო ქმედითად წარმართავს თანხმობის პროცესს, ისინი გვპირდებიან, რომ არ დაუშვებენ დესტრუქციული ძალების პარპაშს სამეგრელოში.

ჩემი აზრით, ამ შანსის გაშვება ჩვენი მხრიდან იქნებოდა პოლიტიკური სიბეცე. ბოლოს და ბოლოს მათი მთავარი მოთხოვნებია: აბსანძის თავდებით გამოშვება, პროცესის გაგრძელება. რომელსაც აბსანძე არ აარიდებს თავს. პროკურატურის მიერ უფრო ქმედითად იმ დარჩენილ საქმეთა თავიდან შესწავლა, რომელთა მიხედვითაც დღეს მსჯავრდებულნი არიან 1991-1992 წლების მოვლენებში მონაწილე ადამიანები. ბატონ გია მეფარიშვილთან საუბრის შემდეგ შევიტყვე, რომ ზემოთ ხსენებული საქმეების შესწავლა დასრულებული იქნება 9 ივლისამდე და შედეგები გამოქვეყნებული იქნება პრესაში. ეს, რა თქმა უნდა, დადებითი ნაბიჯი იქნება თანხმობის პროცესში.

ვინაიდან მათ ისურვეს უპირველეს ყოვლისა ჩემთან შეხვედრა, როგორც თვითონ ბრძანეს, თავის კუთხის შვილთან და ადამიანთან, რომელმაც აქტიურად დაუჭირა მხარი თქვენს მიერ წამოწყებულ თანხმობის პროცესს და პარლამენტის მიერ მიღებულ სათანადო დადგენილებას, მე უფრო მეტად ვიგრძენი ის პასუხისმგებლობა, რომელიც მა-

ვალდებულებს აქტიურად ვიმოქმედო.

რაც შეეხება პარლამენტის როლს ამ საქმეში, მე ვეცდები შევკრიბო „თანხმობის კომისია“, შევახვედრო ამ ადამიანებს, რათა შემუშავდეს უახლოეს პერიოდში კომისიის საქმიანობა.

რაც შეეხება აბსანძის საკითხის გადაწყვეტას, მე ამას მოვიაზრებ, უპირველეს ყოვლისა როგორც პოლიტიკური ნების საკითხს. ბოლოს და ბოლოს ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ გამსახურდიას ხელისუფლების განდევნა პოლიტიკური აქტი იყო და ვერავითარ სამართლებრივ ჩარჩოებს ვერ ექვემდებარება.

უპირველესად თქვენ და ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვეცადოთ ავაცილოთ საქართველოს კიდევ ერთი დაძაბულობის კერა, რომელიც სავსებით რეალურად მესახება. მე მართლაც დავინახე ამ ადამიანთა თვლებში იმ განზრახვის შესრულების მზადყოფნა, რომელიც ჩაიფიქრეს. არადა მათთან კონტაქტი ჩვენ გვაძლევს მათზე ზემოქმედებისა და დესტრუქციული ძალების წინააღმდეგ მათი გამოყენების საშუალებას, რადგან თავისი შეხედულებების მიუხედავად ისინი საქართველოს ერთიანობის და გაძლიერების მომხრენი არიან.

თბილისში ჩამოსული აქციის მონაწილეებმა, რამდენადაც მე ვიცი, ბატონ ნ. საჯაიას მიმართეს თხოვნით, რომ მომხდარიყო მათი შეხვედრა თქვენთან. მე პირადად ვთვლი, რომ ყოველგვარ ინფორმაციას სჯობს თქვენი პირადი შეხვედრა იმ ადამიანებთან. თუმცა, მე მესმის, რომ ეს თქვენი გადასაწყვეტია.

ასევე მოვილაპარაკეთ, რომ შემდეგი კვირის ბოლოს მე ჩავალ ზუგდიდში.

ღრმა პატივისცემით

ელდარ შენგელაია
30. 06. 2001 წ.

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული
თანხმობის კომისია, ბ-ნ ვასილ მაღლაზვირიძეს
ასლი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარეს ბ-ნ ლადო ჭანტურიას**

პატივცემულო ბატონებო!

ნება მიბოძეთ გამოვხატო ჩემი მადლიერება თქვენს მერ გამოჩენილი ინიციატივის გამო გ. აბსანძის დაუყოვნებელი განთავისუფლების შესახებ. ვიმედოვნებ, რომ ამ საკითხის უმოკლეს დროში გადაწყვეტას ხელს შეუწყობს აღნიშნულ ინიციატივაში გამოხატული კომისიის შუამდგომლობა მოცემულ საკითხზე ჩემს 2000 წლის 25 აპრილის მიმართვასთან ერთად, რომელიც, როგორც გენერალურ პროკურატურაში მაცნობეს, გადაგზავნილი იქნა უზენაეს სასამართლოში.

ადრე არაერთხელ მომიხდა გამოვსულიყავი შეხსენებით გ. აბსანძისათვის სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გ. აბსანძე ამჟამად სასწრაფო ოპერაციას საჭიროებს, მას აწუხებს გულის სერიოზული ავადმყოფობა და სხეულში ჩარჩენილი აქვს 11 ტყვია და ტყვიის ნამსხვრევი. არაერთხელ მიმიღია სხვა ცნობებიც მისი ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად გ. აბსანძე დე ფაქტო აღიარებული იქნა უკანონოდ დაპატიმრებულად (ექვსი სხვადასხვა საფუძვლის მიხედვით), გამომდინარე საქართველოს უზენაეს სასამართლოში 14 მარტს გამართულ პროცესზე სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის ი. ტყეშელაშვილის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებიდან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ არსებობს სამართლებრივი და ჰუმანური ხასიათის ყოველგვარი საფუძველი თქვენი კომისიის შუამდგომლობის დაუყოვნებლივი დაკმაყოფილებისა.

სწორედ ასეთი ნაბიჯია აუცილებელი საქართველოში ეროვნული შერიგების დაწყებისა და განვითარების გზაზე.

პატივისცემით

**ს. ა. კოვალიოვი
6. 07. 2000 წ.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარის ბატონ ლადო ჰანტურიას
ასლი: ეროვნული თანხმობის კომისიის
თავმჯდომარის ბატონ ვანო მალაფერიძის

განსახელებული გზით

ბანსხლება

როგორც თქვენთვის ცნობილია, 1999 წლის 14 მაისიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია (თავმჯდომარე - ი. ტყეშელაშვილი, მსაჯულები - თ. იასეშვილი და ნ. პაპავაძე) იხილავს ჩემსა და სხვათა სისხლის სამართლის საქმეს.

არ შევეუდგები სასამართლო კოლეგიის მიერ დაშვებული უხეში დარღვევების და ტენდენციური, აბსოლუტურად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი განჩინებების გამოტანის ჩამოთვლა-გაანალიზებას, რადგანაც ამ საკითხზე ინფორმირებული ხართ ჩემი ადვოკატების მიერ, რასაც, სამწუხაროდ, თქვენი მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. მე მსურს თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ ფაქტს-დაცვის გარეშე ჩემს დატოვებას.

ბატონო ლადო, ნათელია, რომ სასამართლო შესულია სამართლებრივ ჩიხში, რომლის მიზეზებია: სასამართლო კოლეგიის მიერ სასამართლოს არასწორად წარმართვა; სრულიად უკანონო და დაუსაბუთებელი განჩინებების მიღება; სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების არასწორი ინტერპრეტაცია და, აქედან გამომდინარე, კანონის მოთხოვნათა აშკარა ხელყოფა.

ჩემს მიერ ადვოკატების აცილებასთან დაკავშირებით ინფორმირებული ხართ არასწორად. ადვოკატების აცილების მოთხოვნით შუამდგომლობის დაყენება მაიძულა სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილმა უკანონო განჩინებამ, რომლის მიხედვითაც დაცვის მხარეს აუკრძალა მტკიცებულებათა წარდგენის უფლება. სასამართლო კოლეგიამ ვერ აგვიხსნა (იქნებ თქვენ აგვიხსნათ) საპროცესო კანონმდებლობის რომელი მუხლის საფუძველზე გამოიტანა ასეთი უკანონო გადაწყვეტილება. მტკიცებულებათა წარდგენა აგვეკრძალა მაშინ,

როცა მე, როგორც განსასჯელს, არ მქონდა მიცემული ჩვენება 1992-93 წლების მოვლენებთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ მოწვეული 122 მოწმიდან არ დაკითხულა არცერთი (დავიწყეთ ერთი მოწმის დაკითხვა, მაგრამ ვერ მიგვაყვანიეს ბოლომდე); არ მოგვეცეს საშუალება წარგვედგინა სასამართლოსათვის სისხლის სამართლის საქმეში არსებული მასალები, რომლებიც ადასტურებენ ჩემს უდანაშაულობას. იქნებ კითხავთ ბატონ ი. ტყეშელაშვილს, რამ ან ვინ აიძულა ასეთი გადაწყვეტილების მიღება?

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბრალდების მხარეს მტიცებულებათა წარდგენისათვის „გამოუყვეს“ შვიდი თვე, ხოლო დაცვის მხარეს – მხოლოდ თვენახევარი. საინტერესოა, თუ რა საპროცესო ნორმებით ხელმძღვანელობდა ბატონი ი. ტყეშელაშვილი ასეთი უკანონო გადაწყვეტილების მიღებისას.

ვინაიდან სასამართლო კოლეგიამ ჩემს ადვოკატებს მოუსპო დაცვის ყველა კანონიერი საშუალებისა და ხერხის გამოყენების უფლება ჩემს დასაცავად, იძულებული გავხდი აცილება მიმეცა მათთვის, მაგრამ სანამ აცილების შუამდგომლობას დავაყენებდი, მანამდე კიდევ ერთხელ მოვითხოვე სასამართლო კოლეგიისაგან, დაეთმო ჩვენთვის თვენახევარი მტიცებულებათა წარსადგენად, მაგრამ ეს კანონიერი მოთხოვნაც უგულუბელყოფილი იქნა. ყოველივე ამან განაპირობა ჩემი ადვოკატების მიერ სასამართლო სხდომის დატოვება.

ამის შემდეგ სასამართლო კოლეგიის მიერ მოწვეული იქნა ადვოკატი თ. ჩიკვაიძე, რომელსაც მივეცი აცილება საქართველოს სსსკ-ის 107-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, რაც სასამართლო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა. ადვოკატი თ. ჩიკვაიძე სისხლის სამართლის საქმეს ეცნობოდა ერთი თვე და 13 დღე, რა დროსაც, როგორც თვითონ განაცხადა, გაეცნო 100 ტომიდან მხოლოდ 6 ტომს.

ა.წ. 16 ივლისს სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა თ. ჩიკვაიძემ მოითხოვა საქმის მასალების გასაცნობად კიდევ 3 თვე, რაც სასამართლო კოლეგიის მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული. იმავე დღესვე ჩემსა და თ. ჩიკვაიძეს შორის მოხდა შელაპარაკება, რას შემდეგაც მან თვითაცილების მიზნით განცხადებით მიმართა სასამართლო კოლეგიას.

აქვე უნდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ ადვოკატი ჩიკვაიძე ჩემთან, ციხეში მობრძანდა მხოლოდ ერთხელ, ნახევარი საათით, ა.წ. 15 ივლისს. ჩვენს შორის არ მომხდარა პოზიციების შეთანხმება, ვინაიდან ის პრაქტიკულად საქმეს არ იცნობდა.

ასე რომ მე დაცვაზე უარი არ მითქვამს, მე მსურს ჩემი დაცვა განა-

ხორციელონ ადვოკატებმა – ბატონმა სოსო ბარათაშვილმა და ბატონმა მალხაზ ჯანგირაშვილმა, მაგრამ ამისათვის საჭიროა სასამართლო კოლეგიამ მათ მისცეს უფლება მტკიცებულებათა წარდგენისა და რეალური დაცვის გახორციელებისა, თუ სასამართლო კოლეგია მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, მაშინ ისინი ხვალვე შეუდგებიან ჩემი დაცვის განხორციელებას.

რაც შეეხება ა.წ. 25 ივლისს სასამართლო დარბაზიდან ჩემს გაძევებას, ეს იყო სასამართლო კოლეგიის მიერ მოწყობილი უნიკო პროვოკაცია, რომელიც მთელმა საქართველომ იხილა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენი მხარე ამზადებს მასალებს სათანადო ორგანოებში წარსადგენად.

პატივისცემით

მურამ აბსანძე

28. 07. 2001 წ.

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის
თავმჯდომარის ბ-ნ ი. ტყეშელაშვილს*

ასლი: გენერალურ პროკურატურას

ასლი: მ. აბსანძის ინტერესების დამცველ

ადვოკატებს

ბატონო იური!

სახალხო დამცველის აპარატს მომართეს თქვენს განსჯადობაში არსებული აბსანძისა და სხვათა საქმის ადვოკატებმა 2000 წლის 11-12 ივლისის განჩინებით დარბაზიდან სხვადასხვა მიზეზით გაძევებულ განსასჯელთა შესახებ.

- გამომდინარე საქმის მნიშვნელობიდან აუცილებლად მიგვაჩნია განსასჯელთა მონაწილეობით სასამართლო პროცესის შემდგომი

გაგრძელება. აღნიშნულის საჭიროება გამომდინარეობს იქიდან, რომ განსასაჯელთა გარეშე ჩატარებული სასამართლო პროცესი გადაიქცევა ერთგვარ ფორმალობად და საზოგადოების თვალში ექვეკვეშ დააყენებს განაჩენის კანონიერებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით შემოვდივარ შუამდგომლობით განსასაჯელთა სასამართლოს სხდომის დარბაზში დაბრუნების თაობაზე.

პატივისცემით

ნ. დვდარიანი
21. 07. 2000 წ.

**საქართველოს უზენაესი
სასამართლოს თავმჯდომარის
ბატონ ლადო ჭანტუიას**

ბატონო ლადო!

გაცნობებთ, რომ მიუხედავად საქართველოში გატარებული სასამართლო რეფორმებისა, კვლავაც უხეშად ირღვევა როგორც საქართველოს კონსტიტუციის, ისე სსს კოდექსის მოთხოვნები. ე.წ. გურამ აბსანძისა და სხვათა საქმეზე სასამართლო პროცესი თავიდან ბოლომდე მიმდინარეობდა ტენდენციურად, ხოლო მისი დასკვნითი ეტაპი მოგვაგონებს 1937-1938 წლებში ე.წ. სამეულის („ტროიკა“) მიერ მოწყობილ პროცესებს.

ჩვენ არამც და არამც არ ვერევით სასამართლოს საქმიანობაში, მაგრამ ის სიმახინჯე, აღვირახსნილობა – გამოწვეული მოსამართლე იურიტყველაშვილის მოქმედებით, ყოველგვარ ზღვარს სცილდება, რაც საზოგადოების ფართო მასების გულისწყრომასა და გაღიზიანებას იწვევს. მისი მოქმედება მიმართულია ქვეყანაში მიმდინარე თანხმობის პროცესების ჩასაშლელად, რომლის მისაღწევადაც ერთ წელზე მეტია მოუშობს როგორც პარლამენტის თანხმობის კომისია, ასევე საზოგა-

დობის უდიდესი ნაწილი. ამ პროცესის ჩაშლა პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში ახალ დამაბულობასთან, დესტაბილიზაციასთან და სხვა გართულებებთან, რაც სასიკეთოს ვერაფერს მოუტანს ქვეყანას. პირიქით, მიყენებული ზიანი კიდევ უფრო დასცემს საქართველოს ავტორიტეტს. ამიტომაც ჩვენთვის სულერთი არაა და არ შეგვიძლია მშვიდად ვუყუროთ იმ უმსგავსობას, რაც უზენაეს სასამართლოში ხდება. ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია წინ აღვუდგეთ ამ დამახინჯებებსა და უხეშ დარღვევებს. გვსურს ამჯერად თქვენი ყურადღება მივაქციოთ ამ პრობლემებს, რათა სასამართლო რეფორმის პროცესი პრაქტიკაში განხორციელდეს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი თქვენს მიერ არ იქნა სათანადო ზომები მიღებული ქვეყნის კონსტიტუციის შესრულების უზრუნველსაყოფად და არსებულ დარღვევა-დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად, მოსალოდნელია ქვეყანაში სიტუაციის გართულება, ხოლო მოსალოდნელ მძიმე შედეგებზე პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ პირადად თქვენ.

ზემოთ აღნიშნულ დარღვევებსა და დამახინჯებებზე დასაბუთებული მასალები თან ერთვის.

კეთილი სურვილებით

*საქართველოს პოლიტდევნილთა და პოლიტპატიმართა
საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრის სახელით
მურმან ზაქარაია
06. 08. 2001 წ.*

*საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ მ.მეზარიშვილს*

**გ.აბსანძის, ი.სანაიას, ზ.გვაზავას და გ. ზარქუას
სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე**

ბატონო გია!

2000 წლის 27 ივლისს №109\01 რეკომენდაციით მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს, 2000 წლის 9 ივლისს ზესტაფონში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებული ი.სანაიას და გ.ზარქუას მიმართ ისეთი სახის აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის შესახებ, რაც დაკავშირებული არ იქნებოდა პატიმრობასთან.

მიუხედავად ორივე მათგანის მძიმე ოჯახური მდგომარეობისა – სანაიას გააჩნია ორი მცირეწლოვანი შვილი, არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის გამართული ბრძოლების მონაწილე, საქართველოს ვეტერანთა კავშირის წევრი, ხოლო ზარქუას ჰყავს ფსიქიურად დაავადებული შვილი – სახალხო დამცველის ეს შუამდგომლობა არ იქნა დაკმაყოფილებული.

2001 წლის 16 მაისს გადმოგეზავნათ ჩემი №338\01-1\136 რეკომენდაცია ეროვნული თანხმობის შესახებ საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების საფუძველზე, გურამ აბსანძის სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, რაზედაც დღემდე პასუხი არ მიგვიღია.

გუბრუნდები რა ჩემს წარსულ რეკომენდაციებს, კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით, პარლამენტის დასახელებული დადგენილების ფარგლებში განიხილოთ იგი გ.აბსანძის, ი.სანაიას, გ.ზარქუას და მ.გვაზავას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საკითხი და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ გვაცნობოთ დროულად.

პატივისცემით

ნანა დვდარიანი
21.06. 2001 წ.

**საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ ბ. მუხარინსვილს**

პატივცემულო ბ-ნო მეფარიშვილო!

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენი უწყებისა და უშიშროების საბჭოს მონაწილეობით მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს მიღწეული იქნა წინასწარი შეთანხმება განსასჯელ გურამ აბსანძისათვის დატოვებულ ბრალდებათა, მათ შორის სახელმწიფო ღალატისა და 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტის დაფინანსების ბრალდების მოხსნის შესახებ სასამართლოსათვის მათი მტკიცებულებების უქონლობის გამო და საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების აღსასრულებლად.

ჩემი წარმოდგენით, ეს იქნება ერთადერთი სწორი, არსებითი და აუცილებელი ნაბიჯი საქართველოში პოლიტიკური შერიგებისა და თანხმობის ჭეშმარიტი მიღწევის გზაზე.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ასეთ ნაბიჯს უნდა მოჰყვეს გ. აბსანძის ავტობიოგრაფიული განთავისუფლება პატიმრობიდან (სასამართლოს დარბაზში), რომლის აუცილებლობის შესახებ საკითხს თავიდანვე არაერთხელ ვაყენებდი როგორც თქვენს, ასევე თქვენი წინამორბედის ბ-ნ ჯ. ბაბილაშვილის, ბ-ნ ლადო ჭანტურიას, ბ-ნ მ. სააკაშვილის და უშუალოდ ბ-ნ ე. შევარდნაძის წინაშე.

ნება მომეცით გამოვხატო ჩემი იმედი ამ მწვავე პრობლემის დაუყოვნებლივი გადაწყვეტის თაობაზე.

ს. ა. კოხალიძე
10. 07. 2001 წ.

**საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ ბიბ მუშარისძეს**

ა. წ. 24 მაისს, სენაკის აქციის მოთხოვნით შედგა თქვენი შეხვედრა პარლამენტის ეროვნული თანხმობის კომისიის, პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა საკოორდინაციო ცენტრის წარმომადგენლებსა და გ. აბსანძის ადვოკატებთან. აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ, პროკურატურას გამოეთხოვა გ. აბსანძის, ს. სანაიას, ზ. გვაზავას, გ. ზარქუას საქმეები სასამართლოდან და დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებინა ისინი, როგორც უკანონო პატიმრები. უფრო ადრე საკოორდინაციო ცენტრმა და სახალხო დამცველმა ქალბატონმა ნანა დევედარიანმა მოგმართათ ანალოგიური თხოვნით.

შეხვედრის დროს ეროვნული თანხმობის კომისიის წარმომადგენლებმა ბატონებმა ვ. მალლაფერიძემ და კ. კემულარიამ თქვენი ყურადღება მიაპყრეს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების შესრულებაში არსებულ სხვა ნაკლოვანებებზეც.

თქვენ შეხვედრის მონაწილეებს აღუთქვით, რომ გაერკვეოდით შექმნილ სიტუაციაში და უახლოეს დღეებში ჩამოაყალიბებდით თქვენს პოზიციას.

განვილიმა დღეებმა გვიჩვენეს, რომ პროკურატურამ უფრო გაამკაცრა თავისი მიდგომა პრობლემისადმი. ბრალდების მხარემ მხარი დაუჭირა მოსამართლე ტყე შელაშვილის სრულიად უკანონო გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც გ. აბსანძეს მტკიცებულებების წარდგენის და თავის დაცვის უფლება წაართვეს. აქციის მონაწილეები თქვენს მოქმედებას აღიქვამენ ხელისუფლების მხრიდან სამეგრელოს მხარის წინააღმდეგ 1992 წლიდან დღემდე განხორციელებული გენოციდის პოლიტიკის გაგრძელებად.

აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ თუ მათი მოთხოვნა უახლოეს დღეებში არ იქნა დაკმაყოფილებული, აქცია თბილისი-ფოთის მაგისტრალზე განახლდება. ის განახლება გაცილებით უფრო რადიკალური და ფართომასშტაბიანი, ბევრი ყოფილი პოლიტდევნილი და პოლიტპატიმარი აცხადებს, რომ ასეთ აბუჩად აგდებას ვერ აიტანენ და სახალხოდ თავს დაიწვავენ.

პასუხისმგებლობა მოსალოდნელ გართულებაზე დაეკისრება ხელი-სუფლებას.

**პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა
საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრის სახელით
მშრმან ზაპარაია**

19. 06. 2001 წ.

საქართველოს გენერალურ პროკურორს ბატონ ბიბ მუშარბიშვილს

ბატონო გია!

მადლობას მოგახსენებთ იმ გულისხმიერებისათვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებსაც აყენებდნენ სენაკისა და ზუგდიდის მაისის, ივნისის, ივლისის აქციის მონაწილეები, და იმისთვისაც, რომ ჩვენდამი გამოგზავნილ წერილში (12-1გ-01, 16.07.2001 წ.) დაადასტურეთ ერთგულება უშიშროების საბჭოს მდივნის ბატონ ნუგზარ საჯიას ინიციატივით გამართული მოლაპარაკებებისას მიღწეული შეთანხმებისადმი – გურამ აბსანძის, ზურაბ გვაზავას, გია ზარქუას, იოსებ სანაიას და სხვათა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების მოქმედების გავრცობასთან დაკავშირებით.

თქვენს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად საქმე წარმოებით შეწყვეტილი იქნა კანონიერი ხელისუფლების მომხრე 72 პირზე. აღმკვეთი ღონისძიება მსუბუქი ფორმით შეეცვალა განსასჯელ გია ზარქუას. ამასთანავე აღსანიშნავია ის, რომ გვაზავასა და სანაიას პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების საფუძველზე პროკურორმა სასამართლო პროცესზე მოუხსნა 1998 წლის 19 ოქტომბრის მოვლენებთან დაკავშირებული ბრალდება. ყოველივე ეს უდავოდ ამტკიცებს თქვენს კეთილგანწყობას ეროვნული თანხმობის პროცესისადმი, რასაც თქვენ ადასტურებთ ჩვენდამი გამოგზავნილ წერილშიც. ამავდროულად თქვენი ყურადღება უნდა შევაჩეროთ შემდეგ გარემოებაზე – პროკურატურის მიერ გამოგზავნილ წერილში ნათქვამია: „გურამ აბსანძის მიმართ ვითარების შეცვლის გამო, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საკითხი გადაწყდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით“, ხოლო საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია: „ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით 2000 წლის 1 ივლისამდე განიხილოს და გადაიწყვიტოს ბანსასჯელთა და საქართველოში თუ მის გარეთ მყოფი ყველა იმ პირის სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხები, რომლებიც პასუხისმგებლობაში არიან მიცემული 1991-

92 წლებიდან დღემდე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით“.

სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას სახელმწიფო ბრალდების მხარემ ისარგებლა საპროცესო კოდექსის 57-ე და 24-ე მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებებით და გ. აბსანძის მოუხსნა ბრალდება მთელ რიგ ეპიზოდებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მას კვლავ დარჩა მთელი რიგი ბრალდებებისა, რაც ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ვინაიდან თუ პროკურატურას მიაჩნია, რომ არსებობს საფუძველი გ. აბსანძის მიმართ საქმის შეწყვეტისა (როგორც ეს სახელმწიფო ბრალდების სამმართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების განყოფილების უფროსის გ. ხაბაშვილის წერილშია მითითებული), რატომ არ იყენებს ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო ბრალდება საპროცესო კოდექსის 24-ე, 57-ე და 28-ე მუხლებით მინიჭებულ უფლებას და რატომ არ ხსნის ბრალდებას გ. აბსანძის მიმართ პროცესის ამ ეტაპზე.

იმედი გვრჩება, ვითარების შეცვლის გამო, რაც დადგა პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებასთან დაკავშირებით, ერთი წლის დაგვიანებით, მაგრამ მაინც შეწყდება გურამ აბსანძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის საქმე.

ბატონო პროკურორო, როგორც ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისიის, პარლამენტართა და სამეგრელოს რეგიონის ხელმძღვანელთა მიერ პრეზიდენტისადმი გაგზავნილი მიმართვიდან, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის ქ-ნ ნანა დევდარიანის მიერ თქვენდამი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილება უნდა აღსრულდეს ბატონ გურამ აბსანძისთან მიმართებაშიც, მას უნდა მოეხსნას ბრალდება მის ორივე ნაწილში: როგორც 1991-93 წლების, ასევე 1998 წლის 9 თებერვლის მოვლენებთან დაკავშირებით, როგორც ეს გაკეთდა 1998 წლის 19 ოქტომბრის გამოსვლასთან მიმართებაში. მით უმეტეს, წარდგენილი ბრალდება გამომდინარეობს პოლიტიკური კონიუნქტურიდან და როგორც სასამართლო პროცესმა გვიჩვენა, აგებულია ვარაუდებზე.

ბატონო პროკურორო, მაშინ, როცა პოლიტიკური ხელისუფლება, პრეზიდენტი, როგორც დაზარალებული, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები (როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ), იზიარებენ „ეროვნული თანხმობის“ კომისიის მიერ

დასმულ საკითხს, თქვენი მხრიდან სრულყოფილ გადაწყვეტაზე უარის თქმანიშნავდეს იქნება იმას, რომ საქართველოს აწმყოსა და მომავლის წინაშე თქვენ თავზე იღებთ ისეთ პასუხისმგებლობას, რომლის ტარებაც აღემატება ერთი ადამიანის, თუნდაც გენერალური პროკურორის, შესაძლებლობებს. ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლით გაცნობოთ: აუცილებელია პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილება აღსრულდეს ბატონ გურამ აბსანძესთან მიმართებაში და მოეხსნას ბრალდება მის ორივე ნაწილში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის პოლიტიკური გართულებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასულ თვეებში და ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით დროებით შეჩერდა, ახალი ძალით დაიწყება და ამჯერად მთელი პასუხისმგებლობა მართლ-ოდენ თქვენ დაგეკისრებათ.

კეთილი სურვილებით

*პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა
საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრის სახელით
მშრმან ზაქარაიძე
31. 07. 2001 წ.*

*საქართველოს უშიშროების საბჭოს
მდივანს ბატონ ნუშ ზარ სპეციალს*

დღეს, ქ. ზუგდიდში, სამხარეო ადმინისტრაციის შენობასთან დაიწყო საპროტესტო აქცია, პოლიპატიმრების გ. აბსანძის, ს.სანაიას, ზ. გვაზავას დაგ. ზარქუას გათავისუფლების მოთხოვნით. 32 ადამიანს გადაწყვეტილი აქვს, თავი დაიწვეას თუკი მათი სამართლიანი მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული და სამეგრელოს მოსახლეობის ნების აბუჩად აგდება, მათი საუკეთესო შვილების წამება ისევ გაგრძელდება. აქციის მონაწილეებს სწამთ, რომ თქვენ ძალგიძთ ამ პრობლემის საართლიანად გადაწყვეტას ხელი შეუწყოთ და ამიტომაც ითხოვენ

თქვენთან შეხვედრას. იმედია, გაითვალისწინებთ შექმნილი ვითარების მთელ სერიოზულობას და არ დაუშვებთ ისედაც განადგურებულ სამეგრელოში კიდევ ერთი, ახალი უბედურების დატრიალებას, გამონახავთ ღროს და შეხვედებით აქციის მონაწილეებს.

*პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა
საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრის სახელით
მურმან ზაქარაია
27.06.2001წ.*

*პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე
ბატონ ქულდარ შენგულაიას*

ბატონო ელდარ!

როგორც გუშინ, 27 ივნისს გამოგზავნილი წერილით გატყობინებდით, ზუგდიდში დაწყებული თვითდაწვის აქციის მონაწილეები ითხოვდნენ თქვენთან შეხვედრას. მათ რაიმე კონკრეტული პასუხი არ მიუღიათ. აქციის მონაწილეებს განზრახული აქვთ დღეს, 15⁰⁰ საათზე სისრულეში მოიყვანონ თავიანთი განზრახვა.

ჩვენ თხოვნით მივმართეთ გურამ აბსანძეს და სხვა პოლიტპატიმრებს, თავიანთი მხრივ მიმართონ აქციის მონაწილეებს, რათა უარი თქვან თვითლიკვიდაციაზე, მაგრამ თუ თქვენი მხრივ არ იქნება სათანადო რეაგირება, მაშინ ჩვენი ყოველგვარი ძალისხმევა ფუჭად ჩაივლის და გარდაუვალი უბედურება დატრიალდება.

იმედია, გამოიჩინთ გულისხმიერებას და ყველაფერს გააკეთებთ საშინელი ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად.

*პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა
საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრის სახელით
მურმან ზაქარაია
28.06.2001წ.*

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული
თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ვასილ მაღლაფერიძეს**

ბატონო ვასილ!

განვიხილეთ თქვენი წერილი განსასჯელ გურამ აბსანძის მიმართ საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების გამოყენებასთან დაკავშირებით.

საქართველოს გენერალური პროკურატურა მხარს უჭერს ხსენებული დადგენილების სულისკვეთებას ეროვნული თანხმობის პროცესის დაწყების თაობაზე და გამოთქვამს მზადყოფნას მიიღოს მონაწილეობა ეროვნული თანხმობის დროებით საპარლამენტო კომისიაში ყველა საჭირობორტო საკითხის განხილვისას, რომელიც ხელს შეუწყობს 1991-1992 წლებში სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრას.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ გ. აბსანძის მიმართ, ვითარების შეცვლის გამო, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საკითხი გადაწყდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქმის სასამართლოში განხილვის დამთავრებამდე. პატივისცემით,

**საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი
მოადგილე, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი
ვ. ბენიძე**

27. 06. 2001 წ.

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული
თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ვასილ მაღლაფერიძეს**

პატივცემულო ბ-ნო ვასილ!

მე ეს-ესაა გავიგე გ. აბსანძისა და სხვათა სასამართლო პროცესის დამთავრების და იმის შესახებ, რომ განსასჯელებს მიესაჯათ თავისუფ-

ლების აღკვეთა ძალზე ხანგრძლივი ვადით.

ამასთან დაკავშირებით მინდოდა გამეგო, თქვენი სახელმძღვანელო კომისია აპირებს თუ არა სასწრაფო შუამდგომლობას ეროვნული თანხმობის შესახებ 2000 წლის 20 აპრილის საპარლამენტო აქტის დაუყოვნებლივ გამოყენებასთან დაკავშირებით?

დარწმუნებული ვარ, რომ წამოყენებულ ბრალდებათა სიმძიმეზე მითითების სამართლიანობა ჩატარებული სასამართლო პროცესის მთლიან ხასიათთან ერთობლიობაში არავითარ საფუძველს არ ტოვებს იმისათვის, რომ უარი ეთქვას აღნიშნული აქტის დაუყოვნებლივ გამოყენებას.

ჩემი მხრივ, ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ კვლავაც მზად ვარ თქვენთან ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით

დეპუტატი ს. ა. კოვალევიჩი
27. 08. 2001 წ.

პასილ გალაჟერიძის მოხსენება პარლამენტში ეროვნული თანხმობის კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (შემაჯავებლად)

ყველამ ვიცით, რა ტრაგედია დატრიალდა საქართველოში. ქვეყანამ გადაიტანა სამოქალაქო ომი, შემდგომი შეიარაღებული დაპირისპირება.

... როგორც ჩანს, სამოქალაქო ომი კაცობრიობის ისტორიის ტრაგიკული კანონზომიერებაა. მთავარი ის არის, თუ როგორ დაძლევეს ქვეყანა ამ კრიზისს.

... გასათვალისწინებელი საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი ქვეყანა შეძლებს სამოქალაქო კრიზისიდან გამოსვლას, თუ ეროვნული თანხმობის გზას აირჩევს.

ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისია შეიქმნა

2000 წლის ივნისის ბოლოს. სულ 6-7 თვეა (დაახლოებით 180-200 დღე), რაც ვმუშაობთ. ეს საკმაოდ მცირე დროა ნებისმიერი მინიშვნელოვანი საქმისათვის, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემების სირთულესა და აქტუალობას. კომისიის მუშაობაში პარლამენტის ყველა ფრაქცია იღებდა მონაწილეობას.

... მთლიანობაში მე, როგორც კომისიის თავმჯდომარემ და პარლამენტის წევრმა, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს კოლეგებს ფრაქცია „XXI საუკუნიდან“, რადგან დარწმუნებული ვარ (და ესეც იყო), რომ ჩვენს შორის არსებული ყველა დაპირისპირება მიზნისკენ მიმავალი საუკეთესო გზის ძიების ფორმას წარმოადგენდა.

... მინდა არაგუმენტირებულად დავასაბუთო, თუ რატომ იყო პირველ ეტაპზე აქტუალური სწორედ, და განსაკუთრებულად, პატიმრების თემა. პირველ რიგში იმიტომ, და ეს უმთავრესია, რომ საქმე გვჭონდა კონკრეტული ადამიანების ბედთან. იმედია დამეთანხმებით, რომ ადამიანთა კაცობრიობის ყველაზე დიდი ფასეულობა. მეორე მხრივ, ამას ჰქონდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. შეუძლებელია საუბარი თანხმობის შემდგომ ეტაპზე გადასვლის, პროცესის გაფართოების შესახებ მანამ, სანამ არსებობს პატიმართა, ანუ იმ ადამიანთა პრობლემა, რომელთა მიმართაც არსებობს ეჭვი, რომ ისინი გასამართლებული არიან პოლიტიკური ნიშნით (კერძოდ იმიტომ, რომ ისინი „ზვიადისტები“ არიან). წინააღმდეგ შემთხვევაში არ განხორციელდება თანხმობის შემდგომი ეტაპი, რადგან პოლიტიკური ნიშნით გასამართლებულთა განთავისუფლების გარეშე არ იარსებებს ურთიერთნდობის ფაქტორი, რომელიც თანხმობის მიღწევის სურვილის ცხოვრებაში ხორცშესხმის უმთავრეს და აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი ორიგინალური დასკვნა, ამას გვასწავლის საერთაშორისო გამოცდილებაც, რომელიც ჩვენთვის, და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი გახდა პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის მიერ მომზადებული საინტერესო შრომის („საერთაშორისო გამოცდილება ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ“) წყალობით. მასში, სხვა ქვეყნის გამოცდილების საფუძველზე, ეროვნული თანხმობის მიღწევის პირველი ეტაპის უმთავრეს ამოცანად სწორედ პატიმართა საკითხის გადაწყვეტა დასახელებული. უფრო მეტიც, განსაზღვრულია, რომ პატიმართა საკითხის მოხსნის გარეშე ყველა სხვა ღონისძიებაზე ლაპარაკი კი ზედმეტია, რადგან ამ შემთხვევაში ძალებს, რომლებიც გარეთ არიან და რომლებთანაც წარმოებებს

დიალოგი, ფაქტობრივად ხელ-ფეხი აქვთ შეკრული და ისინი იძულებულნი არიან არც კი გააგრძელონ საუბარი ამ თემაზე. სწორედ ამიტომ ვიყავით პირველ ეტაპზე დაკავებული მეტწილად პატიმართა და ძებნილთა საკითხებით.

... პარლამენტის 20 აპრილის დადგენილების შემუშავებაში მონაწილეობდნენ პარლამენტის წევრები, პატიმრები და ახალგანთავისუფლებულები. ჩვენი თანამშრომლობა საინტერესო და შედეგიანი იყო. ორივე მხარე პირადულზე მაღლა თანხმობის იდეას აყენებდა. ამიტომაც მართებული იქნება თუ მრავალ მათგანს მაღლობას გადაუხდის მთელი საზოგადოება. ეს არ არის მხოლოდ ემოცია, საზოგადოებას უფლება აქვს ქონდეს ინფორმაცია მათ შესახებ. *მე მაღლობას მოვახსენებ ბატონ გურამ აბსანძეს. კომისიის წევრები დამეთანხმებიან, რომ მან განსაკუთრებით მძიმე პირადული მდგომარეობის მიუხედავად არაერთგზის მოგვმართა და მუდმივად აყენებდა თანხმობისა და სახელმწიფოს ერთიანობის იდეას პირადულ განცდებზე მაღლა, რითაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანხმობის პროცესში. უფრო მეტიც, ვიტყვოდი, რომ ის იყო თანხმობის კომისიის ერთ-ერთი აქტიური არაოფიციალური წევრი და ამ მიზნით ბევრ კრიტიკულ სიტუაციაში გამოიყენა თავისი ავტორიტეტი.*

13. 02. 2001 წ.

საქართველოს სახალხო დამცველს ქალბატონ ნანა დევდარიანს

ქალბატონო ნანა!

ადამიანის უფლებათა დაცვა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კონსტიტუციურ უფლებათა დაცვას. შესაბამისად, ყველაზე დიდი დარღვევა კონსტიტუციური უფლებების დარღვევაა. დღევანდელ – გარდამავალი ეპოქის საქართველოსათვის უცხო არაა ასეთი ქმედებები. მაგრამ საეალალო და საგანგაშო ისაა, როცა ამას სჩადის ერთადერთი რეფორმირებული ორგანო და ისიც უზენაესი სასამართლო.

უზენაეს სასამართლოში ე.წ. გურამ აბსანძისა და სხვათა სასამართ-

ლო საქმეები მიმდინარეობს კონსტიტუციური უფლებათა უხეში დარღვევით, კერძოდ:

ა) დარღვეულია 42-ე მუხლის მე-3 ნაწილი „დაცვის უფლება გარანტირებულია“;

მოსამართლემ სასამართლო გამოძიების პროცესში თავისი არაკვალიფიციური და ტენდენციური დამოკიდებულებით ადვოკატებს არ მისცა საშუალება ეწარმოებინათ სრულფასოვანი დაცვა და აიძულა ისინი დაეტოვებინათ პროცესი. ამასაც არ დასჯერდნენ და პროვოკაციის მიზნით სასამართლო პროცესზე შემოყვანილი იქნა „სპეცნაზის“ გადაცმული და შეიარაღებული პირები, რომელთაც მოახერხეს პროვოცირება, რის შედეგადაც მოსამართლემ სასამართლო დაატოვებინა ყველა განსასჯელს. ამდენად, განსასჯელთა დიდი უმრავლესობა, მათ შორის გურამ აბსანძეც, დარჩა დაცვის გარეშე. სასამართლო პროცესს კი შემორჩნენ მხოლოდ 1937 წლის დროინდელი „ტროიკები“ – სამი მოსამართლე, სამი პროკურორი და მსუბუქ დანაშაულში ბრალდებულ განსასჯელთა სამი ადვოკატი.

ბ) დარღვეულია კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილი: „ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს“.

მოსამართლემ, ჯერ იყო და, ბრალდებულებს არ მისცა საშუალება სასამართლო პროცესზე გამოეძახათ ისეთი მოწმეები, რომლებსაც დანაშაულის მოხდენის პროცესში ეკავათ მაღალი თანამდებობა და, აქედან გამომდინარე, ყველაზე სრულყოფილად უწყობდნენ საქმის გარემოება, მაგალითად, უშიშროების ყოფილი მინისტრი ჯემალ გახოკიძე, კონტრაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი, ანდა ისეთები, რომლებმაც, გამოიყენეს რა თავიანთი თანამდებობა, კანონმდებლობის დარღვევით აწარმოეს საგამოძიებო მოკვლევა, მაგალითად, გენერალური პროკურორის ყოფილი პირველი მოადგილე რევაზ ყიფიანი. მოსამართლე ტყეშელაშვილი ამასაც არ დასჯერდა და იერიში მიიტანა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტზე, თავისი განჩინებით განსასჯელებს აუკრძალა მათ მიერ დასახელებული მოწმეთა დაკითხვა. გურამ აბსანძის და მათ მიერ წარმოდგენილი 120-ზე მეტი მოწმიდან დაიკითხა მხოლოდ ერთი და ისიც არასრულყოფილად. ასეთმა, კომუნისტური დიქტატურისთვისაც კი წარმოუდგენელმა დარღვევებმა, თავისთავად გამოიწვიეს კონსტიტუციის 85-ე

მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა: „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრითობის საფუძველზე“.

ქალბატონო ნანა!

ამჯერად თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ არა კონკრეტულ პიროვნებებთან მიმართებაში ჩადენილ დანაშაულობებზე, არამედ იმ ტენდენციებზე, ადამიანთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევებს რომ ამკვიდრებენ ახალფეხადგმულ დამოუკიდებელ სახელმწიფოში. იმედია, გამოიყენებთ თქვენდამი მინიჭებულ კონსტიტუციურ უფლებებს და სახალხო განსჯის საგნად აქცევთ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა დარღვევების ამ ცინიკურ ფაქტებს, საქმის არსში ჩააყენებთ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს, ეუთოს, ევროსაბჭოს, გაეროს სათანადო სტრუქტურებს.

ულრმესი პატივისცემითა და კეთილი სურვილებით

*პოლიტდევნილთა და პოლიტპატიმართა
საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრის სახელით
მურმან ჯაპარაძე
7. 08. 2001 წ.*

საქართველოს გენერალური პროკურატურა

ბატონ მურმან ჯაპარაძეს

ბატონო მურმან!

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განხილულ იქნა თქვენი წერილი გ. აბსანძის, ზ. გვაზაეას, გ. ზარქუას და სხვათა მიმართ საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების გამოყენებასთან დაკავშირებით ამ პირთა მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე.

საქართველოს გენერალური პროკურატურა მხარს უჭერს ხსენებ-

ული დადგენილების სულისკვეთებას ეროვნული თანხმობის პროცესის დაწყების თაობაზე.

გ. აბსანძის მიმართ ვითარების შეცვლის გამო სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საკითხი გადაწყდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რაც შეეხება სხვათა მიმართ სასამართლო სხდომაზე პროცესში მონაწილე პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო კოლეგიამ გ. ზარქუას აღმკვეთი ღონისძიება-პატიმრობა შეუცვალა უფრო მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიების სახით-პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემით და იგი გაათავისუფლა წინასწარი პატიმრობიდან.

ამ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნა გ. ზარქუას ოჯახური მდგომარეობა, მისი პიროვნება, დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება და ის გარემოება, რომ იგი აღრე არ იყო სასამართლევი.

ზ. გვაზავას და ი. სანაიას მიმართ აღმკვეთი ღონისძიების-პატიმრობის შეცვლა უფრო მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიებით, ამ ეტაპზე არ იქნა დაკმაყოფილებული სასამართლო კოლეგიის მიერ, რადგან მათ ედებათ ბრალი უფრო ძვირე დანაშაულის ჩადენაში.

ზ. გვაზავას, ი. სანაიას, გ. ზარქუას ბრალეულობის საკითხი საბოლოოდ გადაწყდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის სხდომაზე მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას.

პატივისცემით,

გ. ხაბაშვილი,

*სახელმწიფო ბრალდების სამმართველოს პირველი
ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების
განყოფილების უფროსი
16. 07. 2001 წ.*

მესამე სექცია

სტრასბურგი. 20 მარტი, 2001 წ.

საჩივარი №57861\00

აბსანძე საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ

ამით გაცნობებთ, რომ სასამართლომ (მესამე სექცია) 2001 წლის 20 მარტს შეისწავლა ზემოთ აღნიშნული საჩივრის მიღების მიზანშეწონილობა. თავისივე წესდების 54-ე მუხლის 3ბ) ნაწილზე დაყრდნობით სასამართლომ გადაწყვიტა საჩივარი გასაცნობად გადაუგზავნოს საქართველოს ხელისუფლებას, რათამან წერილობითი სახით წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება საჩივრის მიზანშეწონილობისა და საფუძვლიანობის შესახებ.

სასამართლომ მიუთითა ხელისუფლებას, რომ მისი მოსაზრებანი უნდა ეხებოდეს შემდეგ პუნქტებს:

1. მომჩივანის ჯანმრთელობის მდგომარეობა, თვითონ მისი დაპატიმრება, აგრეთვე პატიმრობის პირობები ესადაგება თუ არა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს? საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად როგორია გასაჩივრების გზები, რომლითაც დაპატიმრებულს შეეძლება სარჩელის წარდგენა (საქმის აღძვრა) პატიმრობის ცუდი პირობების აღსაკვეთად?

2. იყო თუ არა სამართლიანი და შეესაბამებოდა თუ არა კონვენციის მე-5 მუხლის პირველ ნაწილს განმცხადებლის წინასწარი დაპატიმრება 1999 წლის 20 მაისიდან 1999 წლის 26 ივლისამდე?

3. განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობით, რაც გრძელდება 1998 წლის 19 მარტიდან დღემდე, შეილახა თუ არა ის უფლებები, რაც გარანტირებულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით?

4. შეესაბამება თუ არა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილს განთავსუფლების შესახებ შუამდგომლობების (1999 წლის 26 ივლისის, 1999 წლის 9 ნოემბრის, 2000 წლის 10 თებერვლის) შესწავლა, რომლებიც განმცხადებელმა მისი დაპატიმრების კანონიერებისა და საფუძვლიანობის გარკვევის მიზნით გადაუგზავნა უზენაესი

სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარეს? ასეთი შუამდგომლობა, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, შეიძლება თუ არა კვალიფიცირებული იქნეს, როგორც სარჩელი?

5. კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 1999 წლის მაისიდან დღემდე იყენებდა თუ არა განმცხადებელი უდანაშაულობის პრეზუმფციის მდგომარეობის უფლებას, გამოძინარე საზოგადოებრივი ავტორიტეტების მიერ მისი დამნაშავეობის შესახებ საჯაროდ გამოთქმული განცხადებებიდან?

ამ წერილის დანართში, ინფორმაციისათვის, თქვენ იხილავთ ფაქტების ჩამონათვალს, მომზადებულს სასამართლოს კანცელარიის მიერ.

თქვენ გეცნობებათ ხელისუფლების მოსაზრებების შესახებ და მოგეცემათ შესაძლებლობა წერილობითი ფორმით პასუხი გასცეთ მათ.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ბ-ნი მ. უგრეხელიძე, საქართველოს სახელით არჩეული მოსამართლე, ჩამოშორებულია ზემოთ აღნიშნული საქმის შესწავლისაგან.

სასამართლო პალატის პრეზიდენტის ინსტრუქციის შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებას წინადადება მიეცა 2001 წლის 17 აპრილამდე აცნობოს სასამართლოს იმის შესახებ, აპირებს თუ არა აღნიშნული შემთხვევისათვის სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარედ სხვა მოსამართლის არჩევას, რომელიც შეასრულებს იმ პირობებს, რასაც მოითხოვს კონვენციის 21-ე მუხლის 1 ნაწილი (იხ. აგრეთვე სასამართლო წესდების 29-ე ნაწილის პირველი და მეორე ნაწილები). ხელისუფლების პასუხის შესახებ თქვენ ინფორმირებული იქნებით.

გთხოვთ კეთილგანწყობით მიიღოთ ჩემი გულითადი სალამი.

*ს. დოლე,
სექციის მდივანი*

*პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა
საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრის
სამეგრელოს რეგიონული ორგანიზაციის
ხელმძღვანელის ბატონ სოსო ლაბვილაშვილს*

შეტყობინება

სენაკის გამაფრთხილებელი აქციის შემდეგ კიდევ უფრო მწვავე და ცინიკური გახდა საქართველოს სამართალდამცავ ორგანოთა (პროკურატურის, უზენაესი სასამართლოს) მოქმედება, იგნორირებული იქნა საქართველოს კონსტიტუციის მუხლები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მთელი რიგი მოთხოვნები, არაფერს ვამბობთ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დეკლარაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე.

ყოველივე ამ დარღვევებმა, გაუგონარმა ცინიზმმა, ადამიანის უფლებათა აშკარა იგნორირებამ აიძულა პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა საკოორდინაციო ცენტრი მიექცია ქვეყნის ხელისუფალთა, ასევე მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება აღნიშნული პრობლემისადმი, რათა კანონიერად წარმართულიყო გურამ აბსანძის და სხვათა სასამართლო პროცესი, ამასთან შესრულებულიყო საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილება.

ამ მიზნით 2001 წლის 26 ივნისს ქ. ზუგდიდის ცენტრში, სამხარეო ადმინისტრაციის შენობასთან გაიმართა მრავალათასიანი მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომლის მონაწილე 32-მა ადამიანმა-ყოფილმა პოლიტპატიმარებმა, პოლიტდევნილებმა, ქალაქისა და რაიონის ინტელიგენციისა და, რაც ყველაზე საგულისხმოა, სამეგრელოს რეგიონის თითქმის ყველა რაიონის წარმომადგენლებმა ერთხმად გადავწყვიტეთ მოგვეწყო თვითლიკვიდაცია-თვითდაწვის აქტი იმ შემთხვევაში, თუკი ხელისუფლება არ უზრუნველყოფდა სასამართლო პროცესის კანონიერად ჩატარებას.

ჩვენი მოთხოვნა იყო: სასამართლოს კანონიერი და ობიექტური ჩატარება და საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების შესრულება. მას შემდეგ, რაც ხელისუფლების მხრიდან არავითარი რეაქცია არ მოჰყვა ამ მოთხოვნას, გადაწყდა, რომ 2001

წლის 27 ივნისს 15 საათისათვის აღსრულებულიყო თვითდაწვის აქტი. 29 წუთით აღრე აქციის მონაწილეებს მოგვმართა ბატონმა გურამ აბსანძემ თხოვნით, თავი შეგვეკავებინა, მაგრამ აქციის მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ მიიღო გურამ აბსანძის ეს თხოვნა. მდგომარეობა ძალზე დაიძაბა. თვითდაწვის აქციის დაწყებამდე 5 წუთით აღრე აქციის მონაწილეებმა მივიღეთ საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელის ბატონ მურმან ზაქარაიას შეტყობინება იმის შესახებ, რომ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი ითხოვდა დროებით შეგვეწყვიტა აქცია და აქციის მონაწილეებს იწვევდა მოლაპარაკებაზე. ის გვიპირდებოდა, რომ საკითხი განხილული იქნებოდა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში და აქციის მოთხოვნები დაკმაყოფილდებოდა კანონის შესაბამისად.

აქციის მონაწილენი ვენდეთ ამ ინფორმაციას და აქცია დროებით შევწყვიტეთ.

28 ივლისს გაიმართა მოლაპარაკება საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანთან ნუგზარ საჯაიასთან და გენერალურ პროკურორთან გია მეფარიშვილთან, მოლაპარაკების თანახმად, მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ აქციის მონაწილეთა ეს კანონიერი მოთხოვნა შესრულდებოდა.

სამწუხაროდ, უშიშროების საბჭოს მდივანმა ნუგზარ საჯაიამ და გენერალურმა პროკურორმა გია მეფარიშვილმა კიდევ ერთხელ მოატყუეს აქციის მონაწილეები. არანაირი ძვრები, განსაკუთრებით გ. აბსანძესთან მიმართებაში არ ყოფილა. პირიქით, კიდევ უფრო დიდი დარღვევები დაფიქსირდა. მათ, ახლა უკვე უზენაესი სასამართლოს ამოფარებულებმა, გააგრძელეს გ. აბსანძის მიმართ პოლიტიკური ანგარიშსწორება.

ქვეყანაში, სადაც ხელისუფლების ისეთი უმაღლესი ორგანოებისათვის, როგორცაა უშიშროების საბჭო, გენერალური პროკურატურა და უზენაესი სასამართლო, არაფერს ნიშნავს კონსტიტუციის უნეში დარღვევა, უკანონობის დამკვიდრება და ადამიანის უფლებათა ფეხქვეშ გათელვა, იქმნება პრეცედენტი ანარქიისა და დიქტატურის დამყარებისა, რასაც ჩვენი საზოგადოება ვერ მოითმენს.

ჩვენ ბოლომდე ვიბრძობლებთ უკანონო პოლიტპატიმრის გურამ აბსანძის უფლებისათვის!

14. 08. 2001 წ.

გზებლის თვითმართვის აქტის მონაწილეთა სია

№	სახელი, გვარი	ბიკი	პარტია, განაღობი	ოქაუბრა მდებარეობა	საქმიანობა
1	სოსო ლავროვი	48	ეპარქია	რაიონი	ქ. ზუგდიდი, უნივერსიტეტის ტერიტორია
2	მუხომბე მგებელი	59	ეპარქია	მუხომბე, მუხომბე	ქ. ზუგდიდი
3	ოთარ მგებელი	60	ეპარქია	მუხომბე, მუხომბე	დღესღამის სახლი, უნივერსიტეტის ტერიტორია
4	ქაბაქაძე მუხომბე	45	ეპარქია, მს. ტერიტორია	რაიონი	ქ. მუხომბე, უნივერსიტეტის ტერიტორია
5	გობაძე მუხომბე	30	სტუდენტები	მუხომბე	სამხ. უნივერსიტეტის ტერიტორია
6	ხაბაძე მუხომბე	45	ტექნიკური	მუხომბე	ზუგდიდი, უნივერსიტეტის ტერიტორია
7	მუხომბე მუხომბე	44	ტექნიკური	სამხ. მუხომბე	ქ. ზუგდიდი, უნივერსიტეტის ტერიტორია
8	ქაბაქაძე მუხომბე	43	ტექნიკური	მუხომბე	ქ. ზუგდიდი, დღესღამის, უნივერსიტეტის ტერიტორია
9	მუხომბე მუხომბე	58	ეპარქია	რაიონი	ქ. ზუგდიდი, მუხომბე
10	მუხომბე მუხომბე	62	ეპარქია, მს. ტერიტორია	რაიონი, მუხომბე	ქ. ზუგდიდი, უნივერსიტეტის ტერიტორია
11	მუხომბე მუხომბე	62	ეპარქია	რაიონი	ქ. ზუგდიდი, უნივერსიტეტის ტერიტორია
12	მუხომბე მუხომბე	53	ეპარქია, მუხომბე	რაიონი	ქ. ზუგდიდი, უნივერსიტეტის ტერიტორია
13	მუხომბე მუხომბე	27	სტუდენტები	რაიონი	ქ. ზუგდიდი, უნივერსიტეტის ტერიტორია
14	მუხომბე მუხომბე	42	საშუალო	მუხომბე	დღესღამის უნივერსიტეტის ტერიტორია
15	მუხომბე მუხომბე	45	საშუალო	რაიონი	ქ. ზუგდიდი, უნივერსიტეტის ტერიტორია
16	მუხომბე მუხომბე	58	ეპარქია, მუხომბე	მუხომბე	ქ. ზუგდიდი, მუხომბე
17	მუხომბე მუხომბე	53	ტექნიკური	მუხომბე	ზუგდიდის სახლი, სოფ. მუხომბე, მუხომბე
18	მუხომბე მუხომბე	50	დასახლები	სამხ. მუხომბე, მუხომბე	ზუგდიდის სახლი, სოფ. მუხომბე
19	მუხომბე მუხომბე	60	ეპარქია	მუხომბე	ზუგდიდის სახლი, სოფ. მუხომბე
20	მუხომბე მუხომბე	62	საშუალო	მუხომბე	ზუგდიდის სახლი, სოფ. მუხომბე
21	მუხომბე მუხომბე	50	ეპარქია, მუხომბე	სამხ. მუხომბე	დღესღამის უნივერსიტეტის ტერიტორია
22	მუხომბე მუხომბე	52	საშუალო	მუხომბე	ზუგდიდის სახლი, სოფ. მუხომბე
23	მუხომბე მუხომბე	34	ტექნიკური	მუხომბე	ქ. ზუგდიდი, მუხომბე
24	მუხომბე მუხომბე	27	ეპარქია	მუხომბე	ქ. ზუგდიდი
25	მუხომბე მუხომბე	28	ეპარქია	მუხომბე	ქ. სამხ. მუხომბე
26	მუხომბე მუხომბე	47	საშუალო, მუხომბე	მუხომბე	ქ. ზუგდიდი, მუხომბე
27	მუხომბე მუხომბე	50	ეპარქია	მუხომბე	ფოთი, უნივერსიტეტის ტერიტორია
28	მუხომბე მუხომბე	31	ეპარქია	მუხომბე	ფოთი, უნივერსიტეტის ტერიტორია
29	მუხომბე მუხომბე	41	ეპარქია	მუხომბე	მუხომბე, უნივერსიტეტის ტერიტორია
30	მუხომბე მუხომბე	47	საშუალო, მუხომბე	მუხომბე	მუხომბე
31	მუხომბე მუხომბე	37	საშუალო, მუხომბე	მუხომბე	მუხომბე, უნივერსიტეტის ტერიტორია
32	მუხომბე მუხომბე	52	ეპარქია	მუხომბე	მუხომბე, მუხომბე

გუგლიოს
თვითღანვის
აქიის
მონანოლეპი



ინფორმაცია

27 ივნისს ზუგდიდში დაწყებული აქციის მონაწილეებს დღეისათვის გადაწყვეტილი აქვთ სისრულეში მოიყვანონ თავიანთი ჯანაზრახი. ამ ახალი უბედურების თავიდან აცილების მიზნით ჩვენ მივმართეთ ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ ორგანოებს, ადამიანის უფლებათა დამცველ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ასევე – პოლიტპატიმრებს, მათ შორის ბატონ გურამ აბსანძესაც, რათა მიმართონ აქციის მონაწილეებს უარი თქვან თვითლიკვიდაციაზე.

